გრიგოლ რობაქიძის პოეზია 40-50-იან წლებში, ანუ ემიგრაციაში, გერმანულ ენაზე იქმნებოდა უმთავრესად. „ნაწერების“ I წიგნში შესული, გრიგოლ რობაქიძის გერმანულ ენაზე დაწერილი ლექსები: „მომაკვდავი არწივი“ (ზმული 1943). ეძღვნება მაქვს ლინკეს, გამომცემლობა „დიდერისის“ ფინანსურ დირექტორს, გრ. რობაქიძის მეგობარს, ერთგულ პიროვნებას; ქართულად თარგმნეს ნოდარ კაკაბაძემ და ზაალ ებანოიძემ, 1991, ჟ. „განთიადი“, № 3, გვ. 158; ტ. IV, გვ. 567). „მტევანნი ჟანა დ'არკისა ნილ“ (მოზმული გვიანშემოდგომისა, 1943-ისა თარიღი. 8.5.1955. ქართულად თარგმნა ბესიკ ადვიშვილმა, ჟურნ. „პოლილოგი“, 1994, № 3, ივლის-სექტემბერი, გვ. 113-115). ამ ლექსს ახლავს 1955 (8.V) ჟენევაში მყოფი გრ. როქაბიძის შენიშვნა: „ჟანა ჩვენი ნინოს უმცროსი დაა. ჩემს სიტყვაში „ჯვარმა ვაზისა“ გამოისხა ეს მტევნები. აქ ერთ სიტყვასაც ვერ შეცვლი — ისეა მოზმული შაირი. გამოვიყენე ჩინური ხერხი: „des Weglassens“ როგორც ლექსის ქართული თარგმნიდან ჩანს, „მტევანნი ჟანა დ'არკისა“ 3 „მტევანის“, ანუ სტროფისაგან შედგება. გრიგოლ რობაქიძე „მტევანს“ უწოდებდა, ჩანს, სტროფს, ან სტროფულ პერიოდს, რადგან ეს ლექსი არ არის კონვენციური. „ბუხართან“, სავარაუდოდ, 1943 წელს არის შეთხზული. იგი შესულია ბრუნო გოეტცისადმი მიწერილ ბარათში. „ბუხართან“ ქართულად ნანა გოგოლაშვილს უთარგმნია (სლდ. № 027589), ასევე ნანა გოგოლაშვილს უთარგმნია გრ. რობაქიძის 1946 წლის აპრილის შუა რიცხვებით დათარიღებული ლექსი „დაა“, „ჰომინი ორფეოსისადმი“, გრ. რობაქიძის ნაგალობევი თებერვალს 1949, ეპიგრაფით გვაუწყებს პოეტის განმარტებას: „უცხო ბგერები — საკრალური თაურ-ბგერებია,

რითაც ესენი ქართულ სიმღერებს შემორჩენილნი, არიან შთენილი“ (რობაქიძე 2012: 631). გერმანულად დაწერილ ამ ლექსს გრ. რობაქიძე ამგვარი თანმიმდევრობით წაუმძღვარებს უძველესი ქართული წარმართული საგალობლის საკრალურ სიტყვებს: „იიარრაალ არრალუუ ოორეეაა როოიაა“ — გალობს ორფეოს...“ „ოდილლარ იდალლა დალი დალ დილლარაა“ — უცხო არული, ხისტი ესა და მშვენიერი ათინათითა შორის მშვიდად ასხივოსნდება ლბილის მზერთა. სჩხიბავს ორფეოს...“; „ოორეეაა როოიაა“ — სიღრმე ზღვისა, „ოოროოიაა რეეაა“ — ჰკვდება მათანი, აღმოსუნთქვის უკანასკნელის...“; „არრალუუიიარრაალ“ — აღფრენს ყოველი და იგალობს შენავთანაერთ... ოდილლარი დალლა... ევოე! ევოე! „დალი დალ დილლარაა... ახაიმე! ახაიმე! — კვდება ორფეოს ...ევოე! ევოე! ევოე! იიარრაალ არრალუუ ოდილლარ იაღლა! (ქართულად თარგმნა ბესიკ ადეიშვილმა, ჟურნ. „პოლილოგი“, 1994, № 3, VII-X, გვ. 116-120); 1953 წლის 21 იანვარს ელენი კაზანძაკისადმი მიწერილ ბარათში გრიგოლ რობაქიძეს შეუტანია 1950 წელს დაწერილი, ცნობილი ლექსი „მცხეთის ტაძარი“ („... შენ, დიდოსტატმა ოდეს აგაგო“). იგი ქართულად თარგმნა მარიამ ქსოვრელმა (თამარ მესხი, „დიდი ხანძრის მენამული ანარეკლი“, თბილისი, „მეცნიერება“, 1996: 126), „დამშრალი წყარო“ (თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა), „მწყემსთა ღმერთი“ (თარგმნეს: ნოდარ კაკაბაძემ და ზაალ ებანოიძემ). გერმანულად დაწერილი ზემოჩამოთვლილი ლექსებით პოეტ-ემიგრანტი აგრძელებს თავისი შემოქმედების ძირითად სათქმელს: მსოფლმხედველობის გამოხატვას ჰანგით, ბგერწერით, მელოდოიურობით. ეს უმთავრესი ხაზი კი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევისა არის: ეროვნული ენერჯის ქებათაქება, კავკასიური ერთიანობის იდეის ხოტბა, კოსმიურ სამყაროსთან შერწყმის გზით პიროვნების შინაგანი ჩაკეტილობის დამარცხება, რომლის უმდიდრესი გამოცდილება აქვს გრიგოლ რობაქიძის მშობელ ერს.

პოეტ-ემიგრანტმა გრიგოლ რობაქიძემ ქართულ ენაზე 1943 წელს დაწერა ლექსი: „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“. სამშობლოს სამსახურის სურვილი, მისი ნახვის ნატვრა გრ. რობაქიძის ამ თერთმეტმარცვლიან (4/4/3; 4/2/5; 4/3/4), „თეფნისის“ საზომით დაწერილ ლექსს ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილთან“ აკავშირებს.

საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსები (ანუ „შაირები“, როგორც გრ. რობაქიძე ლექსს უწოდებს!) „თამარ“ და „ხანჯალი“ გრ.რობაქიძემ თავის ლექსებთან — „ვაჟაური“ და „მინის სჯული“ — ერთად წაუკითხა ბრანდენბურგში, ქართველ ტყვეებს („საუბარი კარდ-ჰუსთან“) (რობაქიძე 2012, IV: გვ. 566). ვფიქრობ, ალბათ, იგულისხმება ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსები:

## ჩივილი ხმლისა

— დაჰჟანგებულხარ, გორდაო,  
დაგობებია ქარქაში  
სადა გყავს შენი პატრონი,  
დაგანყებინოს კაშკაში?  
— სადა მყავს, ძმაო, პატრონი,  
შამქორს გავწირე მკვდარია,  
ორმოცგან სჭირდა ნახმლევი  
სდიოდა სისხლის ღვარია.  
.....  
შვიდასი წელი გამიხდა  
არ გავპოხილვარ დუმითა,  
არ ვუღესივარ ქართველსა  
დალიღინებით ჩუმითა;  
მისი ხმა აღარ მსმენია:  
„გასჭერ, გამიშვი წინაო  
თუ სახელს არ მაშოვნინებ  
როგორ დავბრუნდე შინაო?!“  
1890

## დიდი თამარი

ქალო, ქართველთა სულისდგმავ,  
ქალო, ქართველთა დედაო!  
ტყუილად ვამბობ შენს სიკვდილს,  
თამარს ცოცხალსა ვხედაო.  
რუსთველის ქებას ჩვეულო,  
მეც ქებას გაგიბედაო.  
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ  
ვმლერი,  
რად არ ვჩემდები ნეტაო?!  
.....  
შენა ხარ ერის სიცოცხლე,  
თავი არ მომიკვდებაო!  
მონყალედ გვექმენ ქართველთა,  
ჩვენო ლამაზო დედაო.

1915

„ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილი შვილისადმი“ გ. რობაქ-  
იძეს გართიმვის სხვადასხვა სქემით (aabb, abab, abba, xaxa) გაუმართავს:  
გამოუყენებია კატრენისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობა  
გართიმვისა: მოსაზღვრე, ჯვარედინი, რკალური და ინტერვალიანი. ამ  
ლექსის საზომად „თეფნისის“ სასიმღერო რიტმის შერჩევა და მრავალ-  
ფეროვანი რითმა, ჩვენი აზრით, ერთგვარი „ემოციური დამატება“ პო-  
ეტის ემიგრანტული ლირიკის ამ შედეგისათვის.

გრიგოლ რობაქიძის „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილი  
შვილისადმი“ 10-სტროფიანია, ჯარისკაცის დედა ესაუბრება ომში წა-  
სულ შვილს, ნუხს მეომრის ბედსა და ქართველი დედების ნაღველის  
გამო; თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია, შევნიშნოთ, რომ ლირიკული  
გმირის განცდაც და, შესაბამისად, ფორმა მისი გადმოცემისა ხელოვ-  
ნური და მოუქნელია:

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა  
შენ მეგონე: გულმა ცემას უშინა.  
წამოვვარდი. მეუცხოვა. არ იყავ  
და საგულემ გული ცივად გარიყა  
შენი პანა სიდონია, თმათაფლა,  
მეკითხება შენზე ყველას უმალა  
„მალე მოვა“, — ვეუბნები ხმადაბლა  
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა უმაღავ. და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სტროფები ზმნების სიმრავლითა და აღწერის დეტალების სიუხვით, აფერხებს ემოციის, განცდის ინტენსივობის ჩვენებას. მკითხველს უჭირს თანაგანცდა, გაზიარება დედის მწუხარებისა.

გაცილებით მეტი ზემოქმედების ძალით გამოირჩევა გრიგოლ რობაქიძის ემიგრაციაში დანერლი ლექსი „მშობელი მიწის მიმართ“:

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.  
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის.  
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მოლოღავს სველი  
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე  
მოვთქვამ და ვტირი.

ბესიკური თოთხმეტმარცვლედით (5/4/5) შესრულებული ეს მოთქმა-გოდება ემიგრანტი პოეტისა, რომელიც თავის ყოფნას უცხოეთში ობობას, ღამურას, ლოკოკინას არსებობას უთანაბრებს, სრულდება დატეხილი თხუთმეტმარცვლედით, ქართველი რომანტიკოსების მიგნებული ვერსიფიკაციული ვარიანტით:

შენ იცი მხოლოდ  
მშობელო მიწავ: თუ რისთვის ვენთე.  
უკანასკნელი  
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვეთი:  
ჩუმი და უთქვი —  
და შესვი სუნთქვით.

კონსონანსური რითმა: ვენთე-ღვეთი, ეგზოტიკური სარითმო ერთეული ნყვილში უთქვი—სუნთქვით გვიდასტურებს, რომ პოეტ-ემიგრანტის ლექსის თხზვის ხელოვნება, სამშობლოს მონატრებით შთაგონებული, დახვეწილია და ამაღლებული.

„ომის წლებში ლირიკას დავუბრუნდი: იქ ვპოვებდი სულისკვეთების მოღბილებას. შაირებს გერმანულად ვთხზავდი... ჩემს გერმანულში შენი ენა მეტყველებს, მზიანო კარდუ“, — ნერს გ. რობაქიძე თავის ცნობილ თხზულებაში „საუბარი კარდუსთან“ (რობაქიძე 2012: IV, 164), რომლის ერთი ნაწილი: „ქართული შაირი“ ეროვნული ლექსის ბუნების პრობლემას ეძღვნება.

გრიგოლ რობაქიძე, XX ს. 10-იანი წლებიდან უკვე ცნობილი ლექსის მკვლევარი, ემიგრაციაში კვლავ ინტერესდება ეროვნული ლექსწყობის უმთავრესი პრობლემის გარკვევით: სილაბურია თუ სილაბურ-ტონური ქართული ვერსიფიკაცია.

„ქართული შაირი“, რომელიც მეორე ნაწილია თხზულებისა „საუბარი კარდუსთან“, გვიჩვენებს, რომ გ. რობაქიძე ემიჯნება თავის ადრინდელ თვალსაზრისს ქართულ ლექსში მახვილის დომინანტური როლის თაობაზე და 1948 წელს, შენევაში დანერილ ზემოხსენებულ გამოკვლევაში აღნიშნავს: „ქართულმა ბგერამ არ იცის „იკტუსი“: მკვე-

თრი მახვილი. გ. რობაქიძე იმონმებს კრისტიან ლაჰუსენის აზრს, რომლის მიხედვით, ე.წ. „საკრალურ ენებს“ არა აქვთ იკტუსი, მათი ლექსნ-ყობა „მაღალი“ და „დაბალი“ ტონით იმართება, როგორც ქართული ლექსისა“ (რობაქიძე 2012: IV, 170).

გ. რობაქიძე ნუხს იმის გამო, რომ ქართულ სასაუბრო ენაში შემორჩენილი ეს „მაღალი“ და „დაბალი“ ტონალობები, ანარეკლი „ვეფხისტყაოსნისა“, ნელა-ნელა იკარგება: „ქართული სმენა თანდა-თან ჰკარგავს „მაღალ“ და „დაბალ“ ტონალობას თანშობილს. საბედ-ნიეროდ, მე კიდევ მიგემნია იგი. დავასახელებ აქ იმ პირთ, რომელთა ქართულით დავმტკბარვარ. ესენი იყვნენ: ვახტანგ და ტელემაკ გური-ელები, დავით მიქელაძე, სამწერლო სახელით „მეველე“, იონა მეუ-ნარგია, ივანე ჯავახიშვილი (შენი დიდი მეისტორიე, კარდუ), სვიმონ აბაშიძე... (ცოცხლებში: შალვა დადიანი, იროდიონ სონღულაშვილი... (რობაქიძე 2012: IV, 171).

გ. რობაქიძე წერს: „კოტე დოდაშვილს, შვილიშვილს სოლომონ დოდაშვილისა, დაკვირვებულ მწიგნობარს, ეგონა: ქართული შაირის წყობა თუ ზომა ტონურსილაბურიანო. ასე ეგონა სერგი გორგაძესაც, რომელმაც ქართულ შაირს მთელი წიგნიც უძღვნა — იყო მშვიდი, კეთილი, „ამოფურცლული“ პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“, ნათელგონიერი და ღრმად ჩახედული საქართველოს ისტორიაში. **ასე მე-გონა მეც. ასე ჰგონიათ დღეს სხვებსაც.** მაშ, რა უნდა ვიგონოთ? ჩვენ შეგვიძლია, ქართულ შაირს ვუნოდოთ „ტონურსილაბური“, თუ ვიგულ-ვებთ, რომ იგი „იკტუსითაა“ დაბგერილი. ხოლო ეს ასე არაა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ „მაღალი ტაეპი რუსთაველისა უნდა წარმოგვეთქვა ისე, როგორც „დაბალი“ და, პირუკუ. აბა, სცადეთ, წარმოსთქვათ „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ისე, როგორც „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“, ანდა უკანასკნელი ისე, როგორც პირველი — ნამსვე იგრძნობთ რიტმის დარღვევას“.

გ. რობაქიძის მიერ ემიგრაციაში გამოთქმული თვალსაზრისი ქართული ლექსის სილაბურობის თაობაზე საქართველოში ცნობილი გახდა XX ს. 90-იანი წლებიდან, პარიზში 1948 წელს გამოცემული „ბედი ქართლისას“ მეოხებით, ამიტომ აკაკი ხინთიბიძე, ქართული ლექსის სილაბურობის მტკიცე დამცველი, 2009 წელს წერდა: „უცხოურ პოეტურ სამყაროში უშუალოდ ჩართვამ (იგი ხომ გერმანულ ენაზეც წერდა ლექსებს!) გრიგოლ რობაქიძე საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქართული ლექსი მკვეთრად განსხვავებულია გერმანული (ე.ი. სილაბურ-ტონური) ლექსისაგან. ახლა უკვე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იგი ქართული ლექსის სილაბურობის პოზიციაზე დგება“ (ხინთიბიძე 2009: 355).

ამავე გამოკვლევაში („საუბრაი კარდჰუსთან“, II ნაწილი) გ.რო-ბაქიძე აღნიშნავს, რომ რუსთაველის „დაბალი შაირი“ ანტიკური ჰექსამეტრის შესატყვისია.

გრ. რობაქიძის აზრით, ტერმინი „რიტმა“ არ უნდა იყოს საჭირო ქართული ლექსისათვის; უმჯობესი იქნებოდა, მის ნაცვლად „ზმა“ დანერგილიყო; „გართიმულის“ ნაცვლად — „გაზმული“. როგორც ცნობილია, თავის რითმიან ლექსებს იგი ამგვარად მოიხსენიებდა კიდევ.

ჩეხი მეცნიერის იარომირ იედლიჩკას შეკითხვებზე IV-VI პასუხებში გრიგოლ რობაქიძე, 1943 წლის 24 მაისს, გამოთქვამს თავის შეხედულებებს ქართული ლექსის თაობაზე: რუსთაველის ლექსის მეტრს საფუძვლად უდევს ხალხური ლექსის ზომა; რუსთაველამდე კატრენი, სტროფის ფორმა, ქართულ ლექსში არ არსებობდა. ქართული ლექსწყობის თავისებურებაზე კი მკვლევარი VI პასუხში ასე მსჯელობს: „ქართული ლექსის სახეობის შესახებ გაბატონებული აზრია. ქართული ლექსი სილაბურტონურია. ჩემი პირადი აზრია: ქართული ლექსი ჩამოყალიბდა ქართული ენის თავისებურებიდან, ქართულმა ენამ არ იცის მახვილი (iktus), მას აქვს მხოლოდ (ober) და ღრმა (tiefe) ტონები. აქედან გამომდინარეობს: ქართული ლექსის აგებულების შესატყვისი სხვა ენებში არ გვხვდება (რობაქიძე 2012: IV, 534). საგულისხმოა, რომ მსგავს თვალსაზრისამდე, XX ს. 70-80-იანი წლების ცნობილი მწვავე დისკუსიის შემდეგ, XXI ს. დამდეგს, 2000-იან წლებში მივიდა აპოლონ სილაგაძე (სილაგაძე 2008: 99-100). გრიგოლ რობაქიძის პასუხები იარომირ იედლიჩკასადმი ხუთი წლით ადრეა დაწერილი. მკვლევარი ზემოხსენებულ საბოლოო თვალსაზრისამდე ქართული ლექსწყობის თაობაზე. გრიგოლ რობაქიძის შეხედულება ქართული ლექსის სილაბურობაზე ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის, დაკვირვების შედეგად დადგინდა.

გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისი ქართული ლექსწყობის თაობაზე, შეიძლება ითქვას, უნდა განისაზღვროს ქართული ენის საკრალურობისა და ლექსში საგალობლის რიტმის პრიმატის აღიარებით; როგორც ვნახეთ, ამის დასტურია პოეტ-ემიგრანტის ერთ-ერთი უკანასკნელი ქართულ ენაზე დაწერილი ლექსი: „მშობელი მიწის მიმართ“.

## **დამოწმებანი:**

**ბარბაქაძე 2006:** ბარბაქაძე თ. *ქართული ლექსმცოდნეობა და სხვ.* თბ.: „უნივერსალი“, 2006.

**რობაქიძე 2012:** რობაქიძე გ. *ნაწერები. I, III, IV.* თბ.: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. 2012.

**სილაგაძე 2008:** სილაგაძე ა. ქართული ლექსის კვალ-ფიკაციის საკითხი. // *ლექსმცოდნეობა. I*, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

**ხინთიბიძე 2009:** ხინთიბიძე ა. *ქართული ლექსის ისტორია და თეორია.* თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.



**RUSUDAN DAUSHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **Reminiscences of Georgian Emigrants about the World War II**

We have written down the reminiscences of the 5 emigrants. They recall participation of the Georgian emigrants in the World War II. Shota Berezhian and Zeinab Kedia migrated to Paris with the first wave of emigrants. Emigrant Shalva Nebieridze, father of Neli Nebieridze, entered the air/landing force “Tamar the First” and died while landing in Georgia. Gaioz Berekashvili, father of Belgian emigrant Darejan Berekashvili, was fighting in the Belgian army, later in the Georgian division of the German army. Petre Khvedelidze, the oldest Georgian emigrant in the United States was taken captive from the Soviet army.

*Key words: Georgian emigrant, World War II.*

### **რუსუდან დაუშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ქართველ ემიგრანტთა მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე**

ემიგრანტული მემუარული ლიტერატურა შესანიშნავი წყაროა ემიგრაციის ისტორიის შესასწავლად. მწერლების, პოლტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, რიგითი ემიგრანტების მოგონებები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, უცხო ენებზე წიგნებად, ბროშურებად, ასევე ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში. ნაწილი საქართველოშიც გამოიცა, თუმცა უმეტესობა სახელმწიფო თუ კერძო არქივებშია ჩარჩენილი.

ემიგრანტების — შოთა ბერეჟიანის, ზეინაბ კედიას, ნელი ნე-ბიერიდის, დარეჯან ბერეკაშვილის, პეტრე ხვედელიძის მოგონებები სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ. მათი ნაწილი გამოვაქვეყნეთ, დიდი ნაწილი ჯერაც გამოუქვეყნებელია. ისინი მრავალ ჩვენთვის საინტერესო თემას ეხებიან. ერთ-ერთი მათგანია მეორე მსოფლიო ომში ქართველ ემიგრანტთა მონაწილეობა.

შოთა ბერეჟიანი და ზეინაბ კედია პირველი ტალღის პარიზელი ემიგრანტები არიან. შოთა ფრანგების მერ შექმნილ ქართულ ნაწილში "Unite Georgiene" იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ, საფრანგეთის



დამარცხების შემდეგ, საქართველს გასათავისუფლებლად, გერმანულ ჯარში, ბრანდენბურგის პოლკში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კავკასიასთან მარცხის შემდეგ ბერლინში, მიხეილ კედიას ხელმძღვანელობით არსებულ „ქართულ საკავშირო შტაბში“ შევიდა და ქართველ საბჭოთა ტყვეთა გათავისუფლების კამპანიაში ჩაება. ცნობილი მოღვაწის, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის მეუღლე და მიხეილ კედიას დას ზეინაბ კედიას კარგად ახსოვს ლევანის ანტიგერმანული განწყობაც, ქართველთა მონაწილეობა ფრანგულ წინააღმდეგობაში, ასევე მიხეილისა და გერმანულ ბანაკში მებრძოლ ქართველთა სულისკვეთება. ნელი ნებიერიძე პარიზში ქართული თეატრალური დასის დამაარსებლის შალვა ნებიერიძის ქალიშვილია. მამამისი საჰაერო-სადესანტო ნაწილში „თამარ პირველი“ შევიდა და საქართველოში დესანტად ჩასმისას დაიღუპა. გერმანიიდან იძულებით ინტერნირებულმა ნელიმ კი საბჭოთა ბანაკების მთელი საშინელება გამოიარა. დარეჯან ბერეკაშვილი ბელგიელი ემიგრანტის გაიოზ ბერეკაშვილის ქალიშვილი ინახავს მამის მემუარული თხზულების ხელნაწერს. გაიოზი ჯერ ბელგიის ჯარში იბრძოდა, მერე გერმანული ჯარის ქართულ ნაწილში, ომის შემდეგ კი ძლივს გადაურჩა ბელგიის სამხედრო-საველე სასამართლოს სასჯელს. უხუცესი ქართველი ემიგრანტი ამერიკაში პეტრე ხვედელიძე საბჭოთა ჯარიდან ტყვედ ჩავარდა. ჯერ გერმანულ ჯარში ბრანდენბურგის პოლკში მოხვდა, მერე ქართულ ლეგიონში. გერმანიის დამარცხების შემდეგ კი ემიგრაციაში დარჩა და ფრანგულ უცხოურ ლეგიონში ჩაენერა.

მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობა ამ ბოლო დრომდე მხოლოდ ერთი, საბჭოური პოზიციებიდან შუქდება. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით ქართველ ემიგრანტთა მონაწილეობაზე ანტიფაშისტურ მოძრაობაში, გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველები კი მოღალატეებად იყვნენ გამოცხადებულნი. არადა, სამივე მხარეს მებრძოლი ქართველებისათვის ეს დიდი ეროვნული ტრაგედია იყო. ომს მრავალი ქართველი შეენირა. მრავალი ტყვედ ჩაუვარდა გერმანულ ან საბჭოთა მხარეს და ტყვეთა ბანაკებში დაასრულა სიცოცხლე. მაგრამ იყვნენ ისეთები, რომლებიც ანტისაბჭოთა განწყობის, ან თავის გადარჩენის მიზნით მებრძოლი მხარეების არმიებში ჩაწერილნი, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ალოჩნდნენ. ვიცით, რა მსხვერპლი გაიღო საქართველომ ე.წ. „სამამულო ომში“, მაგრამ ყველა ქართველისათვის ომი 1941 წლის 22 ივნისს არ დანეებულა — ემიგრანტებისათვის ომი 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო. ევროპის ქვეყნებში გაფანტული ქართული ემიგრაცია ჩაბმული აღმოჩნდა ომში და მათ სავსებით გაინანილეს მასპინძელი ერების ხვედრი. ქართველები როგორც გერმანულ, ისე ანტიჰიტლერულ ბანაკში საქართველოს გათავისუფლებას ცდი-

ლობდნენ, ერთნი — მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ რუსეთზე ზენო-ლით, მეორენი — გერმანიის მიერ სსრკ-ს დამარცხებითა და დაშლით.

ომამდე ქართველები მსახურობდნენ პოლონურ და ფრანგულ ჯარში. პოლონეთში ქართველებს მობილიზაცია არ შეეხებიათ, საკუთარი ინიციატივით ჩაებნენ ბრძოლაში, რათა ამგვარად გამოეხატათ თავიანთი სიყვარული ახალი სამშობლოსადმი. არც გერმანიას გაუნწევია უცხოელები. საფრანგეთმა კი 1939 წელს, ომში საფრანგეთის ჩაბმის შემდეგ, მობილიზაცია შეეხო ემიგრანტ სამოქალაქო პირებს, მათ შორის ქართველებს. 170 ქართველი, მათ შორის შოთაც ჯერ ფრანგულ ჯარში ჩარიცხეს, შემდეგ ქართულ ნაწილში — „ნიტე ეორგიენე“. სანამ ნაწილი განვრთნეს და ბრძოლაში ჩააბეს, საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა. დაპყრობილი საფრანგეთი მარშალმა პეტენმა ორად, ჩრდილოეთი გერმანულ და სამხრეთი — თავისუფალ ნაწილად გაჰყო. ფრანგული ჯარი და ეროვნული ნაწილები დაშალეს. დემობილიზაციის შემდეგ, ვინც თავისუფალ ნაწილში აღმოჩნდა — ჯარიდან გაუშვეს, შოთა კი გერმანულ ნაწილში მოხვდა და არ უშვებდნენ, ამიტომ თავისუფალ ზონაში ქ. ლიონში ჩავიდა და მუშაობა ხელოვნურ აბრეშუმსახვევ ქარხანაში დაიწყო.

1941 წლის ივნისში სცადა პარიზში დაბრუნება. „ორ ზონას შორის იყო საზღვარი, — იხსენებდა ბ-ნი შოთა, — საზღვარზე გადაგვცეს გერმანელებს. გაგყვეს. უკრაინელები ცალკე, რუსები — ცალკე. ჩემი მეგობარი ირაკლი ნადირაძე რუსებს შეუერთდა. მე მარტო დავრჩი. ფელდფებელმა მკითხა: „შენ ვინლა ხარო“. ვუთხარი: „ქართველი-მეთქი“. ამ დროს მოვიდა ძალიან ლამაზი ოფიცერი ჯვრებით. ფელდფებელმა უპატიკა: „ეს არ ვიცი, ვინ არის, ამბობს ქართველი ვარო“. ოფიცერი კაპიტანი შმიდტი აღმოჩნდა, რომელიც 1918 წელს საქართველოში ბავარიული ბატალიონის შემადგენლობაში ყოფილა, მის მეგობარს კი ცოლად ჩიკოვა-ნის ქალი შეურთავს. შევჩვილე პარიზში ჩასვლა რომ მიხდოდა. ნამიყვანა, კარგი საუზმე შეუკვეთა, დააბე-ჭდინა ქალაღდი, მოაწერა ხელი და გამიშვა. ირაკლიმ რომ გაიგო, პარიზში მივდიოდი, დახმარება მთხოვა „რუსებს მიეკედლე და ახლა რა გიყომეთქი“. მივბრუნდი და შმიდტს ვუთხარი ნადირაძეზე. მიაწერა ჩემს ქალაღდს ირაკლი... მეორე დღეს, კვირას — 22 ივნისს რადიოთი გამოაცხადეს, რომ გერმანიამ გადალახა საბჭოთა კავშირის საზღვრები. შმიდტმა გვითხრა: „ახლა კი გათავისუფლდება თქვენი სამშობლო“ (დაუშვილი 2000: 35-44).

პარიზში ემიგრანტები სამშობლოს გასათავისუფლებლად ქართულ ბატალიონში ეწერებოდნენ. ჩაწერა შოთაც. 1 ივლისს ისინი ვენაში ჩაიყვანეს, გერმანული ფორმა ჩააცვეს, მაგრამ სამედიცინო შემოწმებისას, დასახიჩრებული მარჯვენა ხელის გამო, ომში წაყვანაზე უარი უთხრეს, მაშინ ექიმმა გოგი ჭაჭიაშვილმა შოთა სანიტრად

აიყვანა. მეორე დღეს ჯგუფი წაიყვანეს რუმინეთში, სადაც ნაწილს „თამარ მეორე“ დაარქვეს. მეთაური იყო სოლომონ ზალდასტანიშვილი. იქ ჯგუფს პარიზიდან ჩასული მეორე ჯგუფი — „თამარ პირველი“ შეუერთეს. ჯგუფის 12 წევრი ყირიმში, სევასტოპოლში, იქიდან კი — ჩრდილო კავკასიაში გადააფრინეს. იქ უკვე იყვნენ ბატალიონ „ბერგმანის“, „თამარ პირველისა“ და „თამარ მეორის“ ნაწილები. მოგვიანებით შ. ბერეჟიანიმა გაიხსენა გაერთიანებული „თამარის“ წევრთა ნაწილი (ბერეჟიანი 1986: 35-38). ბევრი ქართველი ემიგრანტი დაიღუპა კავკასიისათვის ბრძოლებში, კიდევ უფრო მეტი — ყირიმსა და ქერჩში, მაგრამ შოთა უფნებლად გადარჩა. კავკასიაში წარუმატებლობისა და უკან დახევის შემდეგ, ნაწილი ბერლინში დაბრუნდა. შოთა მიხეილ კედიამ ახალშექმნილ „საკავშირო შტაბში“ (Fermindungstab) მიიწვია. შტაბის მთავარი ფუნქცია იყო ტყვედჩავარდნილ, ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხვედრილ ქართველთა გადარჩენა და მათი მოვლა-პატრონობა.

ამ დროს იგი შეხვდა თავის ბავშვობის მეგობარს, ულამაზეს თამარ რევიას, რომელიც, გერმანელ ქმარს გაშორებული, ბერლინში ცხოვრობდა. შტაბის დავალებით თამარმა შოთასთან ერთად ავსტრიაში, მიტერზინში შექმნა ლტოლვილთა ბანაკი, რომელსაც „მადამ ტიცის“ სახელით განაგებდა. ბანაკს თავს აფარებდნენ პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან ლტოლვილი ქართველი ემიგრანტები და ყოფილი ტყვეები. თამარს ორგანიზატორული ნიჭი აღმოაჩნდა და ლტოლვილებს დიდი დახმარება გაუწია.

ზეინაბის კედიასთან ჩვენი პირველი შეხვედრა 2002 წელს ძმაზე, მიხეილ კედიაზე საუბრით დავიწყეთ: მას სიცოცხლეში უამრავი გულისტკენა და უმადურობა შეხვდა და არც სიკვდილის შემდეგ დაჰკლებია უსამართლობა. მისი სახელი სამშობლოში აიკრძალა, როგორც „ფაშისტის“, თუმცა არასოდეს ყოფილა ფაშისტური პარტიის წევრი. ემიგრაციაში გამოცემულ ნაშრომებში წარმოჩენილია მიხეილ კედიას ღვაწლი. მით უფრო დასაფასებელია ეს ღვაწლი, რომ მას საქმიანობა მოუწია ნაცისტურ გერმანიაში, სადაც არა მარტო ქართველთა, არამედ ყველა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ინტერესებს იცავდა. ის იყო მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის „საკავშირო შტაბის“ ხელმძღვანელი, ქართველთა წარმომადგენელი „კავკასიურ კომიტეტსა“ და „კავკასიურ საბჭოში“ (დაუშვილი 2002: 31-37).

როცა ქ-ნ ზეინაბს ვკითხე, რატომ არ სცადა მისმა ძმამ ომის შემდეგ თავის მართლება, მიპასუხა, რომ ომის დროს მან მრავალი ადამიანი გადაარჩინა და ომის შემდეგაც ბევრს პატრონობდა. მას კი გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდებით სასამართლომ სიკვდილი დაუსწრებლად მიუსაჯა. ადვოკატმა მეტრ დუდენმა, რომელმაც ბევრი

ქართველი გადაარჩინა სასჯელს, შვეიცარიაში მისწერა — უსათუოდ ჩამოდი, ახალ პროცესს დაენიშნავთ და გაგამართლებთო, მაგრამ მიშამ უარი თქვა: არ მინდა ის ხალხი ჩავყარო, ვინც ჩემზეა დამოკიდებული“. ქ-ნ ზეინაბის თქმით ის მთავრობის წევრებს და სხვებსაც გულისხმობდა ვინც შემდეგ არ ისურვა სიმართლის გამჟღავნება. ბევრმა, თავის გადაარჩენის მიზნით, ყველაფერი ჩემს ძმას გადააბრალა. ამან, რა თქმა უნდა, იმოქმედა მასზე და ჯანმრთელობა შეერყა, რამაც თვითმკვლევლობამდე მიიყვანა. იყო ვერსია, რომ მან თავი კი არ მოიკლა, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტებმა მოკლეს. ქ-ნ ზეინაბმა უარყო ეს ვერსია. ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ რა გაგვარჩემებდა? „სიკვდილის წინ წერილი დატოვა, რომ თავს იკლავდა. მისი ქალიშვილი დიკა ქვემოთ იდგა, როცა მამამისი ფანჯრიდან გადმოვარდა. მძიმე იყო მისი ცხოვრების ბოლო წლები — ძალიან ეძნელებოდა იმისი შეგუება, რომ თავის დროზე მნიშვნელოვანი ფიგურა, მერე აღარაფერს წარმოადგენდა. დაავადმყოფდა, ძლივს მოძრაობდა, თან განიცდიდა ამდენი ხალხის დაღუპვას, თავს იდანაშაულებდა. ამასთან, ვისაც სიკეთე გაუკეთა, აღარავინ დაუფასა, როცა გაუჭირდა, არავინ დახმარებია — არც ქართველები და არც ებრაელები. ავადმყოფობა, სტრესი, სამშობლოს სევდა — ყველაფერ ამას ველარ გაუძლო“... ქ-ნ ზეინაბმა ისიც გვიამბო — როგორ მოხვდა გერმანელთა ყურადღების არეში მიხეილ კედია მეორე მსოფლიო ომის წინ, რაც შემდეგ მათთან თანამშრომლობაში გადაიზარდა. ამის გამო კი დიდი ხნის განმავლობაში „მოლაღატისა“ და „ფამისტის“ იარლიყი ვერ მოიშორა. „15 წლისა ვიყავი, როდესაც ომის წინ მიშას გერმანელებმა მოაკითხეს, როგორც გერმანიაში განათლებამიღებულს, და სპირიდონ კედიასთან მიყვანა სთხოვეს. მაგრამ გერმანელებს სპირიდონი არ მოეწონათ. არ ვიცი, რატომ. მერე უთხრეს: „თქვენ უნდა იყოთო“.

ჰანს რაუპახი წერდა, რომ საფრანგეთის ოკუპაციის დროს მას პარიზში რუსეთიდან წამოსულ ემიგრანტებზე ზრუნვა ევალებოდა. მაშინ გაუცნია მიხეილ კედია, როგორც ქართული კოლონიის ნდობით აღჭურვილი პირი, გამორჩეული იმით, რომ უპარტიო იყო და ყველა გაჭირვებულზე თანაბრად ზრუნავდა. იგი დაეხმარა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობისათვის გერმანული უშიშროების მიერ დაპატიმრებულ თანამემამულეებს. მან გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ქართველი მაჰმადიანები ეთნიკურად ქართველები იყვნენ და ისინი დეპორტაციისაგან იხსნა. გერმანელებმა ირწმუნეს მისი შეთხზული მითი, რომ ქართველი ებრაელებიც ეთნიკურად ქართველები არიან, ხოლო რწმენით — მოსეს რჯულის მიმდევარნი. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წევრებისა და გერმანელთა ნდობით აღჭურვილი მ. კედიას მიერ გაკეთებული ყალბი საბუთებით 1.000-ზე მეტი ქართველი და ევროპელი ებრაელი სიკვდილს გადაარჩინეს. გივი გაბლიანმა

გამოაქვეყნა კედისადმი პარიზის დიდი რაბინის ვაისის და ებრაული კულტურის ასოციაციის პრეზიდენტის მოსერის წერილობითი მადლობა. ქ-ნ ზეინაბმა გვითხრა, რომ თავის დროზე უთხოვიათ გივი გაბლიანისათვის, მიეცა მათთვის არქივები იმ დოკუმენტები, რომლებიც კედისა დამსახურებას ქართველთა და ებრაელთა დაცვა-გადარჩენის საქმეში დაასაბუთებდა და რომელთა ნაწილიც ამერიკაში გამოაქვეყნა. ეს დოკუმენტები ჩვენშიც გამოქვეყნდა გაბლიანის მოგონებათა ქართული თარგმანში (გაბლიანი 2000: 267-274).

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მიხეილ კედისა შესახებ, რომელიც ქ-ნმა ზეინაბმა ბოლო შეხვედრისას გაგვაცნო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილის, იოსებ ელიგულაშვილის ვაჟს უთქვამს, რომ იერუსალიმში არის კედელი, რომელზეც აღბეჭდილია ყველა, ვინც ებრაელები გადაარჩინა. მათ შორის არის მიშას სახელიცო. ეს ინფორმაცია უნდა შემომხმდეს, მართლა არის თუ არა იქ მიხეილ კედისა სახელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მიხეილ კედისა რეაბილიტაციისათვის და ჩვენთვის — ქართველებისათვის.

საინტერესოა თავად ზეინაბ კედისა მოგონება პარიზის ოკუპაციაზე. „როცა გერმანელები შემოვიდნენ პარიზში, ცრემლები წამსკდა, წარმოვიდგინე ჩემი სამშობლო, რუსის ჯარი რომ შემოესია... მიკვირდა, ფრანგი ქალები რომ გერმანელებს ეხვეოდნენ. 1941 წელს გერმანიამ საბჭოთა კავშირს ომი რომ გამოუცხადა, გერმანელებზე აზრი შემეცვალა. ვიფიქრე, საქართველოს მარტო ეს უშველიდა. ერთმანეთს ვეხვეოდით და ვულოცავდით — ახლა კი დავბრუნდებით საქართველოშიო. კარგად მახსოვს ბატალიონ „თამარ I“ გამგზავრება მატარებლით. გვეუბნებოდნენ: „ერთ კვირაში გნახავთ თბილისში“. ასე სწამდათ. ერთხელ ლევანს შევხვდი, ვხედავ მთელი ახალგაზრდობა მიდის, ლევანი კი — არა. მაშინ დაქორწინებული ჯერ არ ვიყავით, მე კი ყოველთვის პირდაპირი თქმა ვიცოდი და ვუთხარი: „ლევან, რა გინდა აქ, რატომ შენც არ მიდიხარ-მეთქი“. ის კი გერმანელების წინააღმდეგი გახლდათ. არადა, მართალი ყოფილა! ჩემს ძმასაც არ ემხრობოდა, მაგრამ როცა შვეიცარიაში შეხვდა და ესაუბრა, მითხრა: „მართლაც დიდი პატრიოტი ყოფილაო“.

ზეინაბ კედისა რძალი და ოთარ ზურაბიშვილის მეუღლე მეორე თაობის ბელგიელი ემიგრანტის, დარეჯან ბერეკაშვილის ბაბუა დავით ბერეკაშვილი საქართველოში სამთო ინჟინერი იყო. მამა — გაიოზ ბერეკაშვილიც თბილისში დაიბადა. 1921 წელს 4 წლისა იყო, როცა ბერეკაშვილების ოჯახი ემიგრაციაში, ბელგიაში წავიდა. დავითი ბელგისის მაღაროებში ღამე მუშაობდა, რომ სწავლის ფული გადაეხადა. ომი რომ დაიწყო 22 წლის გაიოზი ბელგიურ კავალერიაში მსახურობდა. იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემდეგ, როცა გაიგო, რომ გერმანელები საქართველოს გასანთავისუფ-

ლებლად ქართულ ლეგიონს ქმნიდნენ, თვითონაც ლეგიონში ოფიცრად ჩაენერა. „მამა ბუნებით მხიარული და თბილი კაცი იყო, ხალისიანი და მოქიფე. ამიტომ ლეგიონში ახალგაზრდებს მალე დაუახლოვდა. გერმანელები თარჯიმნებს ეძებდნენ. მამა კი გერმანულად თავისუფლად ლაპარაკობდა. იმ ახალგაზრდებმა გერმანული არ იცოდნენ და სთხოვეს ყოფილიყო მათი თარჯიმანი. „ბიჭებო, მე ქართული კარგად რომ არ ვიციო“, „არა უშავს, ჩვენ დაგეხმარებით“. გახდა თარჯიმანი. ბევრ ანეგდოტურ ამბავს ყვებოდა. ერთხელ ტანკი მოდის. უნდა გადასცეს გერმანელთა ბრძანება, რომ ტანკი მოდის და მოემზადონ, მაგრამ არ იცის, ქართულად ტანკი როგორაა. ბოლოს მოიფიქრა და უთხრა: „ბიჭებო, რკინის ურემი მოდისო“. „გასაგებია, ბატონო გაიოზ, გასაგებიაო“, — გამხიარულდნენ ბიჭები. როცა გერმანია დამარცხდა, ბელგიის ციხეში ჩასვეს, როგორც მოლაღატე, და სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ერთმა ბელგიელმა გენერალმა გადაარჩინა — ბელგიურ ჯარში ყოფნისას გაიოზი მას გადაეფარა და სიკვდილისგან იხსნა, ის გენერალი სამხედრო პროკურორი აღმოჩნდა და სწორედ იმან გადაარჩინა სასჯელს“. ეს ეპიზოდები გაიოზ ბერეკაშვილს შეტანილი აქვს ფრანგულად დაწერილი თხზულებაში, ესაა მხატვრული ნაწარმოების ფორმითაა დაწერილი მემუარები. კარგი იქნებოდა ეს თხზულება ქართულად თარგმნილი საქართველოში გამოქვეყნებულიყო. შალვა ნებიერიძე ყველაზე უმცროსი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთაგან. მან საქართველო 1924 წლის სექტემბერში, აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, მეთაურთან და სხვა შეფიცულებთან ერთად დატოვა. ლტოლვილები თურქეთიდან საფრანგეთში გაემგზავრნენ. შეფიცულები რომ არ დაფანტულყვნენ, ქაქუცამ პარიზის ახლოს, ვირფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველანი ერთად დასახლდნენ. 1931 წელს შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით დაარსდა დრამატული წრე, შემდეგ — მუდმივი დასი. დასმა რამდენიმე ქართული პიესა წარმოადგინა — აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“, დავით ერისთავის „სამშობლო“, სანდრო შანშიაშვილის „ლატავრა“ და სხვა. სპექტაკლების გარდა იმართებოდა დრამატული საზოგადოების საღამოები, რომლებშიც თითქმის მთელი პარიზული ემიგრაცია იღებდა მონაწილეობას (დაუშვილი 2012: 54).

შალვა ნებიერიძის ქალიშვილს, საფრანგეთში დაბადებულ, გერმანიაში გაზრდილ, ომის შემდეგ რეპატრიანტთა სიაში ძალით ჩაწერილ და საბჭოთა კავშირში ჩამოყვანილ ქალბატონ ნელის ყოფილი ემიგრანტის ფრიად რთული და მძიმე ცხოვრება ჰქონდა. ვინაიდან შალვა იყო პირველი შეფიცული, რომელიც დაქორწინდა, პირველი შვილი ქაქუცას უნდა მოენათლა, მაგრამ იგი ნელის დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა, ამიტომ 1930 წლის 12 აგვისტოს დაბადებული ნელი მიხეილ



კედიამ მონათლა. ნელი და მისი ძმა გივი ფრანგულ სკოლაში სწავლობდნენ, მაგრამ ოჯახში ქართულად საუბრობდნენ. სხვა ბავშვებთან ერთად დამატებით შოთა ნიკოლაძე ასწავლიდა ქართულს. პატარები იყვნენ მშობლები რომ გაიყარნენ. კარგად ახსოვს შაბათ-კვირას მამასთან როგორ იყრიდნენ თავს შეფიცულები და საქართველოზე ლაპარაკობდნენ. „რადიოში ქართულ სიმღერებს რომ დაიჭერდნენ, უნდა გენახათ ამხელა კაცებს როგორ ჩამოსდიოდათ ცრემლები. მამა და ბადურაშვილი კარგად მღეროდნენ, ხშირად ჩუმად აყვებოდნენ. ამდენი ლაპარაკით საქართველო ჩვენ იდეალურ ქვეყნად გვესახებოდა. 1940 წელს მამა გერმანიაში, მიხეილ კედიასთან, ქართულ ლეგიონში ჩასაწერად წავიდა. 1941 წელს ჩამოვიდა და ჩვენც წაგვიყვანა შტეტინში, სადაც დესანტისათვის პარაშუტისტებს ამზადებდნენ. მამაც მათ შორის იმყოფებოდა. 1942 წლის ზამთარში მამა მატარებელზე გავაცილეთ, გვითხრა „საქართველოში მივდივართ — უნდა გავათავისუფლოთ, მერე ჩამოვალ და თქვენც წაგიყვანთ“. მერე აღარ გვინახავს. არც ვიცოდით, რომ დაიღუპა — აქ, საქართველოში მეგულებოდა. 1974 წელს პირველად რომ ჩავედი საფრანგეთში, მხოლოდ მაშინ გავიგე მისი დაღუპვა. იდა კვინიტაძის ოჯახში ვიყავით და იქ მითხრა ლულუ კერესელიძემ, რომ სამნი გადაუსხამთ პარაშუტებით. მამა ჰაერშივე მოუკლავთ, 2 — ციმბირში გაუგზავნიათ. ერთი ლულუს ძმა, მათე კერესელიძე, ყოფილა“ (დაუშვილი 2006: 26-28).

საქართველოში დღეს ბევრი იცნობს უხუცესს ქართველ ემიგრანტს პეტრე ხვედელიძეს მრავალრიცხოვანი სტატიებით, გადაცემებითა თუ ინტერნეტის მასალებით, განსაკუთრებით 2 შესანიშნავი წიგნით, რომლებშიც ლევან ზურაბიშვილის და რეზო გაბაშვილის წერილებია თავმოყრილი.

პეტრე ხვედელიძე მეორე ტალღის ემიგრანტია. ის 1941 წლის 12 ივლისს ბესარაბიაში ჩავარდა ტყვედ და შემდეგ ემიგრაციაში დარჩა.

ომის დასაწყისში გერმანიის სარდლობამ საკუთარი ინიციატივით, ჰიტლერის ნებართვის გარეშე, დაიწყო მოხალისე საბჭოელების გამოყენება ჯერ სამეურნეო, შემდეგ სამხედრო საქმეში. ფრონტებზე ცოცხალ ძალაზე გაზრდილი მოთხოვნების გამო, დაიწყეს გერმანულ ჯარში მათი მიღება და პატარა „მოხალისეთა“ ნაწილების შედგენა. 1942 წლის გაზაფხულზე გერმანულ ჯარში 200.000 საბჭოთა „მოხალისე“ იყო. ემიგრანტ პოლიტიკურ მოღვაწეთა ჩარევის შემდეგ შეიქმნა ეროვნული ბატალიონები. ეს არ იყო მხოლოდ თავის გადარჩენის გზა. გერმანულ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილისა და მათთან დაახლოებულ ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა გეგმით, ბატალიონები გერმანულ ჯარს.

პეტრე ხვედელიძე რუმინეთიდან ავსტრიაში გადაიყვანეს, 9 თვის შემდეგ კი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და ბრანდერბურგის სასწავ-

ლო პოლკში ჩანერეს. 1942 წლის ზაფხულში კავკასიის მისადგომებთან დაიჭრა. სავლელ საავადმყოფოდან მიუნხენის ლაზარეთში გადაგზავნეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ბრანდენბურგის მთავარ სადგომში არჩევანი შესთავაზეს — სამოქალაქო ცხოვრებას დაბრუნება, ეროვნული ლეგიონში ან საბრძოლო „ესესში“ ჩანერა. პეტრე თანამებრძოლებთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში, ტულუზის მახლობლად კასტრში დისლოცირებულ ქართულ ლეგიონში გადავიდა.

1944 წლის 6 ივნისს მეორე ფრონტი გაიხსნა. ბევრი გერმანელი დარწმუნდა, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო. მათ კავკასიური ნაწილების მოშორება გადაწყვიტეს. დივიზიის მეთაურს ავსტრიელ პოლკოვნიკ მახტსს სძულდა ჰიტლერი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტრეს უფროსი ძმის თანაკლასელ პოლკოვნიკ ვლადიმერ შარაბიძესთან. მახტსმა ფარული მოლაპარაკება გამართა დეგოლისტებთან, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები და გერმანელები დეგოლის ჯარის ნაწილებისთვის მიეერთებიან. ამით ის ქართველებთან ერთად გერმანელების გადარჩენასაც ცდილობდა. ქართველთა ერთი ნაწილი კვლავ „კომუნისტობას“ დაუბრუნდა და ფრანგ პარტიზანებთან შეერთება გადაწყვიტა, რათა ამ გზით დაეღწიათ თავი სტალინის რისხვისათვის. ამან ქართველთა შორის სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. მახტსის დახმარებით შარაბიძემ მოახერხა ქართველთა უმტკივნეულო განიარაღება. მათ შესთავაზეს საბჭოელებთან გადასვლა ან დარჩენა პარიზში მყოფი დევნილი მთავრობის დახმარებით.

ტყვეობის შემდეგ პეტრეს სამშობლოში დაბრუნება აღარც უფიქრია, ამიტომ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ჩაენერა. თუმცა ელიზბარ მაყაშვილთან ერთად ისეთ ნაწილში მოხვდა, სადაც თავს რაიმე დანაშაულის გამო აფარებდნენ. როცა გაიგო, რომ ხელმძღვანელი ესპანელი კომუნისტი იყო, უარი განაცხადა და ქართველებს სთხოვა, ნამდვილ უცხოურ ლეგიონში მიეყვანათ. ის მოძებნა საფრანგეთის გმირის დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვრის ქვრივმა ირინე დადიანმა. პეტრემ ბოდიში მოუხადა, რომ მისი ქმარი გერმანელებთან ბრძოლაში დაიღუპა, თვითონ კი გერმანელთა მხარეს იბრძოდა და იმ ქართველების სია მიაწოდა, რომლებსაც მართლა უნდოდათ დასავლეთში დარჩენა.

იმ დროს უცხოური ლეგიონის პოლკებს მეტროპოლიებში განთავსება ეკრძალებოდათ, ისინი კოლონიებში უნდა ყოფილიყვნენ, პეტრე ხვედელიძე აფრიკაში პოლკოვნიკ ლამბერის მექანიზებულ კავალერიის პოლკში, ყოფილი იუნკერის ალექსანდრე ჯინჭარაძის ესკადრონში ჩარიცხეს. მისი ნაწილი ალჟირის ჩრდილო-დასავლეთით, პატარა ქალაქ სიდი-ბელ-აბესში იდგა. კონტრაქტზე ხელის მოწერამდე ლეგიონერებს ექვსი თვე ყაზარმის დატოვება ეკრძალებოდათ. ეს-



კადრონში მანქანის მართვას ასწავლიდნენ და დღეები მეტად უფერულად მიდიოდა, თუმცა კი ფეხბურთის თამაშით მისი ცხოვრება ცოტა გახალისდა. ომის დამთავრებიდან რამდენიმე კვირაში საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პირველი ცხენოსანი პოლკი ყაზარმაში დაბრუნდა. პეტრეს მანქანის მართვა უკვე კარგად ჰქონდა ათვისებული და ყოფილმა იუნკერმა, მაიორმა ვანო ვაჩნაძემ მძღოლად აიყვანა. იმ პერიოდში დაუმეგობრდა ლევან ზურაბიშვილის ოჯახს და სხვა ქართველ ემიგრანტებს. ლეგიონში გახდა უნტერ-ოფიცერი, სერჟანტი, ინსტრუქტაჟს უტარებდა ახალგაზრდებს. ორჯერ წავიდა ვიეტნამის ომში, რათა კომუნისტთა წინააღმდეგ არა მხოლოდ ელაპარაკა, არამედ ებრძოლა კიდეც. დაიჭრა და 3 წელი მკურნალობდა.

მეორე მსოფლიო ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქართული ემიგრაციას ევროპაში. ომამდე არსებული პოლიტიკური ორგანიზაციები ან დაიშალა, ან ძველი სტატუსი და გავლენა დაკარგა. განსაკუთრებით ეჭვით ეყვრობოდნენ გერმანიის მხარეს მებრძოლ ქართველებს. საბჭოთა მხარის მოთხოვნით, საფრანგეთისა და იტალიის სოციალისტურმა მთავრობებმა მათ არამარტო ყოფილი ტყვეები გადასცეს, არამედ ძველი ემიგრანტების დაპატიმრებაც დაიწყეს. ბევრმა ევროპა დატოვა და ამერიკას შეაფარა თავი, სადაც 1950-იან წლებში ქართული ემიგრაცია ძალიან გააქტიურდა. ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. 1957 წელს 39 წლის პეტრე ხვედელიძე ამერიკაში გადასახლდა. 10 წელი ცხოვრობდა ნიუ-იორკში, 1967 წელს ვაშინგტონში გადავიდა და „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში დაიწყო მუშაობა. მხოლოდ 2004 წელს ჩამოვიდა სამშობლოში. კი და-ძმები ცოცხლები უკვე აღარ დახვდნენ და მასპინძლობა მათმა შვილებმა გაუწიეს.

პეტრე ხვედელიძე მთელი ცხოვრება დიდი რუდუნებით ინახავდა ყველა წერილს, დოკუმენტს, მოგონებას. პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისი ბიბლიოთეკა მოამზადა საქართველოში გამოსაგზავნად. ციცინო ჯერვალიძის დახმარებით ორი წიგნი შეადგინა „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“, რომლებშიც ლევან ზურაბიშვილის (ჯერვალიძე, 2010) და რევაზ გაბაშვილის წერილებია შესული (ჯერვალიძე, 2013).

94 წლის პეტრე ხვედელიძე ან „ძია პეტრე“, როგორც მას სიყვარულით უწოდებენ, დღესაც პრინციპული და ენერგიულია, შესანიშნავად ანალიზებს საქართველოს დღევანდელობას, რაც კარგად ჩანს „ამერიკის ხმის“ მიერ მომზადებულ მის ორ ინტერვიუში, არ ივინყებს თავის მეგობრებს, ხშირად ეხმარება მათ, მონაწილეობს ვაშინგტონის ქართული სათვისტომოსა და მრევლის ცხოვრებაში. რაც მთავარია, განაგრძობს გამოსაცემად მომდევნო წიგნების მომზადებას და წერს მემუარებს, რომლებშიც ალბათ ის ეპიზოდებიც შევა, რომელიც 2004 წელს, თბილისში ყოფნის დროს ჩამანერინა...

## დამოწმებანი:

**ბერეჟიანი 1986:** ბერეჟიანი შ. როგორ შეიქმნა „თამარ მეორე“. „გუმბაგი“, №7, 1986.

**გაბლიანი 2000:** გაბლიანი გაბლიანი გ. ჩემი მოგონებანი. ტ II. ქუთაისი: 2000.

**დაუშვილი... 2000:** დაუშვილი რ., ბერეჟიანი შ. „თეთრი გიორგი“ მეორე მსოფლიო ომში. „ომეგა“, № 3, 2000.

**დაუშვილი 2002:** დაუშვილი რ. მიხეილ კედია — ქართველთა ინტერესების დამცველი. „კავკასიის მაცნე“, № 6, 2002

**დაუშვილი 2006:** დაუშვილი რ. ნელი ნებეირიძე — უმცროსი შეფიცულის ქალიშვილი. „ჩვენი მწერლობა“, 18 VIII, №17, 2006.

**დაუშვილი 2012:** დაუშვილი რ. *FAMUS GEORGIANS შალვა ნებეირიძე — ყველაზე უმცროსი შეფიცული*. გაზ. „Prime Time“, №13, 3 IV, 2012.

**ჯერვალიძე 2010:** ჯერვალიძე ც. პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით. თბ.: 2010.

## EKA VARDOSHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Grigol Robakidze's Thoughts About Georgian Classic Writers of the 19<sup>th</sup> Century**

Grigol Robakidze devoted many literary-critical letters to the Georgian classic writers of the 19<sup>th</sup> century. In 1908, in the newspaper “Faskunji” was published his letter “Ilia and Akaki”. For Georgian literature this is a classic example of seeing and evaluation of Akaki Tsereteli and Ilia Chavchavadze.

In 1930, in the newspaper “Georgian Literature” was published the second letter with the same title.

The letter “Vazha’s Engadi” was written in Geneva in 1961. In the letter he reviews Vazha Pshavela’s creativity. It’s important the fact that writer’s dependence while being in emigration does not change toward Georgian classic writers and their importance.

**Key words:** *Robakidze Georgian Classic Writers*

## ეკა ვარდოშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტურ ნააზრევში

1906 წელს ლაიპციგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ორი წლით საზღვარგარეთ რჩება. 1908 წელს იგი ბრუნდება სამშობლოში და ერთვება ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამავე წელს გაზეთ „ფასკუნჯში“ ქვეყნდება მისი წერილი „აკაკი და ილია“, სადაც იგი აღნიშნავს: „აკაკისა და ილიას დაპირისპირება მეტად ძნელია. მათი მხატვრული ბუნება სულ სხვა და სხვაა. აკაკი მსუბუქია, ილია — მძიმე. აკაკი დაჰქროლავს; ილია მძიმედ მიიმართვის. აკაკი სჩქევს; ილია დუღს, აკაკი ჰქმნის და არ ცდილობს; ილია ცდილობს და ჰქმნის. აკაკიმ არ იცის და სთხზავს, ილია სთხზავს და იცის. აკაკი შეჰქმნის და მიზანს მერე იხილავს; ილია ჯერ მიზანს ხედავს და მერე შეჰქმნის. აკაკი უფრო ბუნებრივია; ილია უფრო „ხელოვნურია“ იქ, სადაც აკაკი სულს შეუბერავს და ნააქცევს, ილიას ძლიერი მოქნევა სჭირდება“ (რობაქიძე 1991:10). ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის ეს არის აკაკისა და ილიას დანახვისა და შეფასების კლასიკური ნიმუში.

გრიგოლ რობაქიძე ქართველი ერის ისტორიაში უდიდეს როლს ანიჭებდა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებს, მათ ღვანლსა და შემოქმედებას. აკაკი წერეთლის სამოქალაქო პანაშვიდზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი აღნიშნავს: „მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში ქაოსის ბრძოლა იმართება. პატარა გონება, რომლისათვის ისტორიაში ყოველი შემთხვევითი და წარმავალია; დიდი გონება, რომლისათვის ისტორიაში ყველაფერს აზრი აქვს... ლოგოსი — გენიის სათავე... და გენია ამოტეხს ხოლმე იქაც კი, საცა ფერფლის მეტი არა დარჩენილა-რა... და ამოხეთქა ქართველთა გენიამ: მისი ნატეხები: ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და აკაკი, რომლის ხსოვნას ჩვენ დღეს აქ ვეზიარებით... ამ ვაჟთა შემოქმედებამ სძლია ქაოსი — და დაფერფლილი, დანაცრული საქართველოსაგან კვლავ იშვა ყვავილოვანი საქართველო, არსებობის „აზრით“ ავისილი“ (რობაქიძე 1991:17). რობაქიძე თავის წერილებში ეხება ასევე XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსთა შემოქმედების სალიტერატურო ენის საკითხებსაც: „აკაკიმ ენა გაამარტივა. მისცა მას სიმსუბუქე და სისხარტე. დაუახლოვა ხალხურ თქმას (მხოლოდ არა დამახინჯებულს).

ნიკო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის ლექსურ ენას ემჩნევა ეკლესიური დახერგვა სიტყვის. აკაკიმ განმინდა

ქართული ენა ამ ხერგებისაგან. მას ეხმარებოდნენ: რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე (თუმცა ამ უკანასკნელმა სხვა „სიმძიმე“ შემოიღო, მაგრამ სრულიად გამართლებული)“ (რობაქიძე 1991:58-59).

ურთიერ არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ რობაქიძე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდა აკაკი წერეთლის, როგორც პიროვნების, ისე შემოქმედის მიმართ. 1915 წელს აკაკის გარდაცვალების გამო დაწერილ წერილში ვკითხულობთ: „ღმერთებმა მიაფრქვიეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე. გვაროვნობა, სიმდიდრე... ჭემმარიტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა“. მუზა მისი ნაზი იყო მსუბუქფერთოვანი და არ იცოდა მან, რა არის ძაღლობა, — რადგან ფრიად ძლიერად იყო იგი ფრთასხმული შთაგონების მრავალფეროვან ალით... რუსთაველის შემდგომ ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია; აკაკი, როგორც მგოსანი რუსთაველის მოციქულია“ (რობაქიძე 1991:13,15).

1930 წელს იგი აკაკის შესახებ წერს: „მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა.

ეს იყო საქართველო. მასთან ერთად რუსთაველი. საქართველოსადმი იგი ისე იყო განწყობილი, როგორც მიცკევიჩი, სლოვაკი და ვისპიანსკი პოლონეთისადმი“ (რობაქიძე 1991:56).

ჩვენთვის საყურადღებოა ასევე წერილი „აკაკის ქნარი“, რომელიც 1916 წელს დაისტამბა. წერილში რობაქიძე ძირითადად ეხება აკაკის პოეზიის საკითხებს, საუბრობს პოეტური ინდივიდუალობის შესახებ. ავლებს პარალელს აკაკისა და პუშკინის პოეტურ ბუნებას შორის. „აკაკის მგოსნური ბუნება პუშკინისას გვაგონებს: აკაკიც მქნელია ქართული სიტყვის; აკაკიც ცინცხალია და პირველყოფილი... მაგრამ აქ თავდება მზგავსება და იწყება სხვაობა...

პუშკინი მაშინ მოველინა რუსეთს, როცა რუსეთის სიცოცხლემ დილის რიჟრაჟს მიაღწია; აკაკი საქართველოში იშვა მაშინ, როცა ქართველობა საღამოს ბინდით იყო მოცული; პუშკინის ჩანგი შვებულხენაა; აკაკის ჰანგი ნაღველი და კაემანი; — პუშკინი მღერის და ლხინობს; აკაკი მოსთქვამს და სტირის; — პუშკინის მუზა ლაღობს, ნავარდობს, მრავალფეროვანია; აკაკის მუზას ღიმღის დროს სევდა ეკვრება, ნაღვლობს, ერთფეროვანია. პუშკინის ბუნებაში შეცნობილი და შეუცნობელი ჰარმონიულად შესხეულებული არიან; აკაკის ბუნებაში შეუცნობელი სჭარბობს შეცნობილსა და ჰარმონია ირღვევა“ (რობაქიძე 1991:27-29).

1930 წელს ჟურნალში „ქართული მწერლობა“ ქვეყნდება რობაქიძის მეორე წერილი სათაურით „აკაკი და ილია“, სადაც ავტორი შენიშნავს: „ალბათ ეს პარალელი მუდმივ დარჩება ქართულ ლიტერატურაში. კიდევ უფრო — ჭირვეული დაეჭვება. რომელი უფრო მაღლა

დგას? აკაკი და ილია ტყუპებია, რომლებიც დასცილდნენ ერთიმეორეს, მაგრამ „ტოლები“ დარჩნენ მაინც. რუსეთშიაც ასე ხდება, როცა ადარებენ ერთმანეთს ტოლსტოისა და დოსტოევსკის“ (რობაქიძე 1991:60). საფიქრებელია, რომ ავტორი ვერც ერთ მათგანს ვერ ანიჭებს უპირატესობას.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ასევე მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველ მწერალთა და კრიტიკოსთა დამოკიდებულება აკაკისა და ილიასადმი. კიტა აბაშიძე წერილში „ილია და აკაკი“ აღნიშნავს: „ქართველი ერის ტრაგედიულ ცხოვრებაში ილიას ნიჭი მამაკაცური ნიჭია, ძლიერი, სასტიკი, მეხთა-მტეხი, „მრისხანე და შეუპოვარი“, როგორც მიქელანჯელოსი და ფიდიასისა, ბაირონისა, კორნელისა და გოეთესი.

აკაკის ნიჭი — ქალწულებრივი ნიჭია, „ბედნიერი ნიჭი“, — როგორც ილია ამბობს; ნიჭი ნაზი და ნარნარი, მსუბუქი და მომხიბვლელი — ვით ნიჭი პრაქსიტელისა და რაფაელისა, რასინისა, შელისა და შილერისა.

ვინ გაბედავს და ვინ იტყვის. ამ გენიოსთა შორის რომელი უფრო რჩეულია აპოლონის მიერ, უფრო სათნოა მისთვის?

ერს მათთვის საუკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩენილი მის გულში, და არასოდეს სასწორო არც ერთისაკენ არ გადაიხრის“ (აბაშიძე 1971:524).

ემიგრაციაში ყოფნის დროსაც გრიგოლ რობაქიძემ არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი მიუძღვნა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებს. მათ შორის გამოირჩევა 1961 წელს ჟენევაში დაწერილი წერილი „ვაჟას ენგადი“, რომლის ქვესათაური ასეთია — ბარათი სამშობლოსადმი. ვაჟას ენგადის გრ. რობაქიძისეული განმარტება ამგვარია: „შინა-სახე“. სხვა ხალხებს ამ ცნების გამოსათქმელად ორი სიტყვა ჭირდებათ. ქართველები კი ერთი სიტყვით გამოვთქვამთ მას: „ხატი“. ბარში „ხატი“ ნიშნავს სათაყვანო სურათს რომელიმე წმინდანისა. გარნა „მთაში“ ჯერაც არ დაუკარგავს მას პირვანდელი მნიშვნელობა: მითიური. იქ „ხატი“ სახელია სალოცავის. ხშირად მის მაგიერ „ჯვარიც“ იხმარება“ (რობაქიძე 1996:167). ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ემიგრაციაში ყოფნისას მწერლის დამოკიდებულება ქართველი კლასიკოსებისა და მათი მნიშვნელობისადმი არ იცვლება. წერილში იგი ძირითადად მიმოიხილავს ვაჟა ფშაველას შემოქმედებას, თუმცა, არაერთხელ ეხება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურულ ქმნილებებსაც. გრიგოლ რობაქიძე ამავე წერილში იხსენებს პირადი ურთიერთობის ფაქტებსაც აკაკისა და ვაჟა-ფშაველასთან.

წერილს გრიგოლ რობაქიძე 1908 წლის ზაფხულის გახსენებით იწყებს, როდესაც უცხოეთიდან ახალდაბრუნებულმა „ნიშადურის“ რედაქციაში ვალერიან გუნია მოინახულა. სწორედ აქ შეხვდა იგი პირველად ვაჟა-ფშაველას. „საუბარმა ერთ ხტილში ფილოსოფიური ხასი-

ათი მიიღო. ალბათ ჩემგან. ვაჟა გამომყვა. გამიკვირდა, რომ გამომყვა. ხოლო ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ერთ ხვეულში მოსაზრებისა ჰეგელის „ლოგიკა“ იმონმა. კამათს სიცხარე დაეტყო. „წავლაპარაკდით“ კიდევ. ალბათ ჩემ სახეზე სიკუშტემ ირიბულად გაიელვა. ვალერიანისათვის ეთქვა შემდგომ ვაჟას: ბოდიში მომიხადე იმ ყმანვილთან, მგონი ვაწყენინე, ცოტა ნაღვინები ვიყავიო“ (რობაქიძე 1996:158).

1909 წელს რობაქიძე ქართულ თეატრში კითხულობს ლექციას ვაჟა-ფშაველაზე. „ლექცია ავაგე უმთავრესად „გველის მჭამელის“ გარჩევაზე. რასაკვირველია, ვაჟას ლირიკასაც შევებე. ვაჟას კულტი ჩემი იმ ლექციითგან იწყება. ამას არავინ ახსენებს. „იქ“ არ ახსენებენ, რადგან ჩემ სახელს „ვერ“ ახსენებენ. რატომ ვერ ახსენებენ — ამას ახსნა არ უნდა“ (რობაქიძე 1996:161-162). პირველად გრ. რობაქიძემ კიტა აბაშიძისაგან შეიტყო ვაჟას „ერთი შესანიშნავი და მეტად საცნაური“ პოემის შესახებ. პოემამ გარკვეული კვალი დატოვა მწერლის შემოქმედებაში.

აქვე უნდა გავიხსენოთ 1949 წელს გრიგოლ რობაქიძის მიერ შეწვევაში დაწერილი წერილი „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“. „ვაჟას პოეზია, როგორც ყოველი ნამდვილი პოეზია, „სიმბოლურია“, თუმცა თვითონ იგი „სიმბოლისტი“ არ ყოფილა. აქა მოქცეული სხვაობა „სიმბოლურისა“ და „სიმბოლისტურისა“. ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმით, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“ (რობაქიძე 1996:79, 81).

ავტორი ასევე საუბრობს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებზე „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. „მარტოდ-მარტოდ ეს შაირი რომ შეექმნა ვაჟას — იგი მაინც ვაჟა იქნებოდა. ვისაც ჰსურს ჩასწვდეს ვაჟას პოეზიას ფსკერამდე, მან გამოსავალი მუხლად „ფშაველი ჯარისკაცის წერილი უნდა აიღოს“ (რობაქიძე 1996:171).

წერილში „ვაჟას ენგადი“ რობაქიძე აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობას 50 წლისთავის აღნიშვნის შესახებაც საუბრობს. იხსენებს ერთ ფაქტს, როდესაც ზეიმის წინ გუბერნატორმა ქართულ ენაზე აკაკიზე ლექციის წაკითხვის ნება არ დართო. საკითხი მხოლოდ გენერალ გიორგი ყაზბეგის ჩარევის შემდეგ მოგვარდა. წერილში იგი პარალელს ავლებს აკაკისა და ვაჟას შორის. „ხალხურია ვაჟა — ხალხურია აკაკი. განსხვავება. ვაჟას პოეზია მაშინაც ხალხურია, როცა იგი პიროვნულიცაა — აკაკის პოეზია პიროვნულია მაშინაც, როცა იგი ხალხურიცაა. პირველი ხალხური შობილია. მეორე ხალხურ-ქცეული“ (რობაქიძე 1996:171).

წერილი „სხვადასხვა“ დათარიღებული არ არის. წერილში ავტორი საუბრობს აკაკის შაირზე. „აკაკის შაირი საერთოდ მარტივია, მსუბუქი და გულში მხვედრი“ (რობაქიძე 1996:254). საილუსტრაციოდ

მოყავს ლექსი „მუშური“ აქვე იხსენებს აკაკის პროზაულ ნაწარმოებს „ჩემი თავგადასავალი“. ნაწარმოებიდან მოყვანილი ეპიზოდების საფუძველზე ცდილობს ახსნას აკაკის დედის შინაგანი ბუნება.

წერილს ამთავრებს ილია ჭავჭავაძის მოთხრობით „უცნაური ამბავი“. ურიგო არ იქნება თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ მოთხრობა „უცნაური ამბავი“, საკმაოდ მცირე ზომისაა, იგი პირველად ჟურნალ „მოამბეში“ 1894 წელს დაიბეჭდა, იანვრის თვის პირველ ნომერში. ტექსტის ბოლოს ილიას მინაწერი იკითხება „შემდეგი იქნება“, თუმცა, ილიას ეს ნაწარმოები აღარ დაუსრულებია, ამიტომ იგი დაუმთავრებელ მოთხრობათა რიგს განეკუთვნება. გამოქვეყნებისთანავე მოთხრობას არა ერთმა მკვლევარმა დაუთმო ყურადღება.

მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი სოლომანია, რომელსაც საკმაოდ კარგი განათლება აქვს მიღებული, მაგრამ იგი თავის სოფელში მამისეულ სახლში ცხოვრობს, წარსულის მოგონებებით სულდგმულობს. ეს მიწურია მისთვის მთელი სამყარო. ამიტომ უძნელდება თავად ამირინდო დებედაძის ერთადერთი ვაჟის პატარა პატიკოს აღზრდაზე დათანხმდეს, თან გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც აღმზრდელს აკისრია. თუმცა, პატიკოს უჩვეულოდ ფაქიზი ბუნება თავიდანვე მიიზიდავს მას. გრიგოლ რობაქიძე წერილში აღნიშნავს, „სოფლის მწერალს სოლომონს, ილიას დაუმთავრებელ მოთხრობაში „უცნაური ამბავი“ გამოყვანილს, შემდეგი ნაფიქრი აქვს უბის წიგნაკში ჩაწერილი: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდან გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლია სიბრაღულისა, მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშ-ცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას დასაბამად, სათავედ სიბრაღულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდევ; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმიდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ“.

დავტოვოთ განზე საკითხი: მართალია თუ არა აქ ნამოყენებული დებულება. ეს ძალიან რთული საკითხია. უდაოა აი რა: გონი ილიასი ღრმად წვდება აქ ფესვებს ყოფის, ძალიან ღრმად. აქვე სჩანს. ცხადდება უთქმელად, ილიას ნათელი გული: ეგ ზომ შემატკივარი მოყვანილი ადგილი გვიადვილებს სრულს გაგებას ილიას რთული მეობისა“ (რობაქიძე 1996:259).

თავადაც უსაზღვროდ ღრმა და რთული ლიტერატურული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას გრიგოლ რობაქიძემ, სადაც აზრი სიტყვის მიღმაა საძიებელი.



## დამოწმებანი:

**აბაშიძე 1971:** აბაშიძე კ. *ცხოვრება და ხელოვნება*. თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971.

**რობაქიძე 1991:** რობაქიძე გრ. *აკაკის ქნარი*. თბ.: „სამშობლო“, 1991.

**რობაქიძე 1996:** რობაქიძე გრ. *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. თბ.: შპს „ჯეკ-სერვისი“, 1996.

## MARIAM KARBELASHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### Viktor Nozadze about the Legal Assessment of “The Man in the Panther’s Skin” Key Collision

Viktor Nozadze is the brilliant representative of emigrant Rustaveli Studies. At present the subject of our interest is his small article entitled “*Slay the bridegroom stealthily*” (1966).

The main sophism in the literary criticism of the official soviet Rustaveli Studies is the excuse and substantiation of the murder accomplished by Tariel in the context of socialist realism. This new interpretation was shared by the legal scholar.

Victor Nozadze’s article is full of sharp polemical tone against the conclusion of legal scholar, goes beyond the literary criticism and by means of its essence exposes the immoral character of Soviet justice.

**Key words:** *Rustaveli’s poem, Key collision, Interpretations by legal scholar and Victor Nozadze.*

## მარიამ კარბელაშვილი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ვიკტორ ნოზაძე ვეფხისტყაოსნის საკვანძო კოლიზიის იურიდიული შფასების შესახებ

XX საუკუნეში გარკვეულ ისტორიულ ვითარებათა გამო რუს-თველოლოგიურ მეცნიერებაში სრულიად განსაკუთრებული და საყურადღებო ფენომენი შეიქმნა რუსთველოლოგიის ემიგრანტიული ფრთის სახით, რომლის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა ღვაწლის



სათანადო შესწავლა და ღირსებისამებს შეფასება რუსთველოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა და საპატიო მოვალეობა.

ვიკტორ ნოზაძე ემიგრანტული რუსთველოლოგიის უბრწყინვალესი წარმომადგენელია, რომლის ფუნდამენტურმა ნაშრომებმა დიდი ხანია მოიპოვეს აღიარება; მისი თავდადებული მსახურება რუსთველოლოგიური მეცნიერების მიმართ ალტაცებისა და მონინების გრძნობებს აღძრავს, მისი ღვაწლი განუზომელია და მთლიანობაში მისი დიდი მეცნიერული მემკვიდრეობის რეალური შეფასება მომავლის საქმეა — იმ მემკვიდრეობისა, რომელიც მისი მაღალი პიროვნული ღირებულებებით არის აღბეჭდილი.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ვიკტორ ნოზაძის ერთი მცირე საჟურნალო სტატია „მიპარვით მოკალი სასიძო“, გამოქვეყნებული ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“ რუსთაველის მეორე იუბილეს დროს (ნოზაძე 1966: 116-118), რომელიც სცილდება ლიტერატურისმცოდნეობის ფარგლებს, მძაფრი პოლემიკური ტონით არის დამუხტული და თავისი არსით საბჭოური სამართალწარმოების ამორალური სისტემის წინააღმდეგაა მიმართული.

სტატია „მიპარვით მოკლა სასიძო“ ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ კოლიზიას — ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ეპიზოდს და მის იურიდიულ შეფასებას, რომელმაც რუსთაველის მეორე იუბილეს დროს — 1966 წელს და მომდევნო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, ხოლო შემდგომში „მართალი სამართლის“ პრობლემის კონტექსტში ხანგრძლივი კამათის საგნად იქცა.

უნდა ითქვას, რომ ამ სპეციფიკური ტერმინის — „მართალი სამართლის“ — მნიშვნელობის დადგენისთვის, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ნესტანი და ტარიელი ხვარაზმშას შვილის მოპარვით მოკვლის გადანყვეტილების მიღებისას (კარბელაშვილი 1987: 261-276), გადამწყვეტი აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“ (ჯავახიშვილი 1928: 93).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვეფხისტყაოსანმა სხვადასხვა ასპექტით სპეციალისტ სამართალმცოდნეთა ყურადღება დიდი ხანია მიიპყრო (ჯ. ბაქრაძე, ი. სურგულაძე, ვ. აბაშმაძე, მ. კეკელია), რაც სავსებით ბუნებრივია ისეთი რანგის ნაწარმოებებისთვის, როგორიც რუსთაველის პოემა; პარალელისთვის შეიძლება დავასახელოთ შექსპირი, რომლის შემოქმედებას არაერთი იურიდიული ხასიათის გამოკვლევა მიეძღვნა. რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის აღნიშნულ კოლიზიას, უნდა ითქვას, რომ მის სამართლებრივ განსჯას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ასახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწარბში ჩანართ-დანართის სახით (კარბელაშვილი 2011: 32-47), სადაც სკურპულოზური სამართლებრივი გამოძიების საფუძველზე გამოტანილია ერთადერთი მართებული დასკვნა: ხვარაზმშას შვილი უდანაშაულოა, ტარიელს ბრალად ედება

უდანაშაულო ადამიანის მოკვლა. ასეთი იყო ტარიელის მოქმედების ტრადიციული შეფასება 1937 წელს „ტარიელის რეაბილიტაციის“ თეორიის შექმნამდე, რომელიც ოფიციალურ საბჭოთა რუსთველოლოგიას დაედო საფუძვლად.

ვიკტორ ნოზაძის ამ პატარა სტატიაში, რომელიც სულ ორგვერდნახევარს შეიცავს, თანამედროვე რუსთველოლოგიის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა აღძრული და გადანყვეტილი.

ვიკტორ ნოძაძის მიერ სტატიის დაწერა განპირობებულია სწავლული სამართალმცოდნის ვახტანგ აბაშმაძის სტატიით „შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები“, რომელიც 1966 წელს ჟურნალ „მნათობის“ იანვრის ნომერში გამოქვეყნდა (აბაშმაძე 1966: 158-161) (მივაქციოთ ყურადღება საინტერესო დეტალებს: ერთი მხრივ, თუ როგორი ერთგული მეგობრები ჰყავდა ნოძაძეს საქართველოში, რომელნიც გასაგებ სირთულეთა მიუხედავად ოპერატიულად აწვდიდნენ მას ახათახალ ლიტერატურას, ხოლო მეორე მხრივ — როგორი ყურადღებით ეცნობოდა იგი ამ მასალას და როგორი ოპერატიულობით რეაგირებდა მათზე).

ვ. ნოზაძე განიხილავს ვ. აბაშმაძის სტატიაში აღძრულია ისეთი იურიდიული კატეგორიის პრობლემა, როგორიცაა **ბრალის** ცნება და მკვეთრად გამოხატული, მძაფრი, უკომპრომისო პოლემიკის ხასიათი აქვს დემოკრატიული საზოგადოებისთვის იმანენტური მენტალობის მატარებელ პიროვნებისა საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელ მენტალობასთან. ვ. ნოზაძეს ყურადღება მიუპყრია ვ. აბაშმაძის შემდეგ დებულებას: „დახასიათებული იდეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობისას რუსთაველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას... ბრალისა და სამართლიანობის (კანონების) მიხედვით... ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარებისას პოემის მთავარი გმირების იურიდიულ შეფასებას საფუძვლად უდევს ბრალის გაგება“, რის გამოც სავსებით გასაგები აღშფოთებით შენიშნავს: „სად, რომელ ქვეყანაში (და ისიც „იდეალური საზოგადოებრივი ურთიერთობის არსებობისას“), რომელ ჩამორჩენილ, თუ ჩამოურჩენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა“? რომელ ხალხში და რომელ ქვეყანაში ბრალს არ დასდებდნენ, დანაშაულის ჩადენას არ დააბრალებდნენ და კაცს პასუხისმგებლობას არ მოსთხოვდნენ?!? ბრალის დადება რომ არ არსებულებოდა, მაშინ არავის დასჭირდებოდა ნაგულისხმევ დამნაშავეთა გამოტყვისათვის მრავალ-მრავალი სატანჯი იარაღისა და საშუალობის გამოგონება! ყველგან ბრალის გამოძიების ამგვარი სახე არსებობდა და დღესაც არსებობს სხვა, უფრო ღმობიერ საშუალებათა ძალით“, რასაც მოსდევს საბჭოთა რეჟიმის მამხილებელი მძიმე განაჩენი: „ხოლო ბედ-

ნიერ სოციალისტურ ქვეყანაში არსებობდა გამოსატყეხად არა-ადამიანური სიმკაცრე, სისტიკე, მგვემელობა, წვალება, დაუზოგველობა, ჯალათობა, მხეცობა, კეფის გახეთქა ტყვიით და კიდევ რამდენი რამ... გაუგონარი” (ნოზაძე 1966: 116).

ამის შემდეგ ვ. ნოზაძის ყურადღება მიმართულია იმ შეფასებისადმი, რომელიც ვ. აბაშმაძემ მისცა რუსთაველის დამოკიდებულებას ნესტანისა და ტარიელის მიმართ: „ბ-ნ აბაშმაძეს ჰგონია: „რუსთაველი მთლიანად თანაუგრძნობს ნესტანსა და ტარიელს და სამართლიანად თვლის მათ მოქმედებას, მიმართულს ხვარაზმშას შვილისადმი“-ო, ესე იგი: მის მოკვლასო!“ ვ. ნოზაძისთვის სრულიად მიუღებელია საკითხის ამგვარი გადაწყვეტა: „ბ-ნ აბაშმაძეს ჰგონია: რუსთაველს ტარიელისა და ნესტანის მოქმედება სამართლის ნორმების დარღვევად არ მიაჩნიაო, კიდევ მეტი: მორალურ ნორმებსაც არ არღვევსო და ამას „ვეფხისტყაოსანი ცხადყოფს“-ო; კიდევ უფრო მეტი: ასეთ მკვლელობას რუსთაველი მისაბამ მაგალითად თვლის და მათი საქციელით აღფრთოვანებული აყალიბებს ფეოდალური ეპოქისთვის სრულიად ახალი, პროგრესული შინაარსის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“..., რასაც მოსდევს ვ. ნოზაძის აღშფოთების გამომხატველი ფინალური ფრაზა: „გაგიგონიათ, ბატონებო, ასეთი რამ?!“ (ვ. ნოზაძე 1966: 116).

სტატიაში წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით ვ. ნოზაძეს გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრება ინდოეთში ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით: მკვლევარის აზრით, „ნესტანი არის ფარსადან მეფის ასული და მისი ტახტის მემკვიდრე“, ხოლო ტარიელი — სარიდან მეფის შვილი და ფარსადან მეფის აღზრდილი, ნაშვილები, რომელიც „არც ერთი უფლებით, ფეოდალური თუ არა ფეოდალური წესით... არ არის ფარსადანის კანონიერი მემკვიდრე“. ვ. ნოზაძის სუბიექტური მოსაზრებით, ტარიელის უფლება ინდოეთის ტახტზე „გამოიგონა ნესტანმა, რათა მკვლელობა დაესაბუთებინა“ და საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ „ეს არის სიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილი მკვლელობა..., რადგან ეს სასიძო ნესტანისა და ტარიელის ცოლქმრობას ძირს უთხრის, მარხავს“. ვ. ნოზაძის ამ დებულების თანახმად გამოდის ჩვენთვის საინტერესო დასკვნა, თუ რა უნარის ნაწარმოებად განიხილავს იგი ვეფხისტყაოსანს: რადგან ხვარაზმშას შვილის მკვლელობას მკვლევარი სიყვარულის მოტივით განმარტავს, იგულისხმება, რომ ვეფხისტყაოსანს საგმირო-სამიჯნურო (და არა ფილოსოფიური) რომანის კატეგორიას აკუთვნებს.

ვ. ნოზაძეს პუნქტობრივად, გარკვევით აქვს ჩამოყალიბებული თავისი დასკვნები: „ტარიელს არავითარი კანონიერი უფლება ტახტზე არა ჰქონია; ტახტის კანონიერი მემკვიდრე არის ნესტანი; დიდი შეც-

დომა იმაზე ლაპარაკი, თითქოს ფარსადანი ნესტანის გათხოვებით და ზედსიძის მოყვანით ტარიელის სატახტო უფლებებს არღვევს“, ხოლო რაც შეეხება ვ. აბაშმაძის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ფარსადანი არღვევს „სასახლეში გაბატონებულ ფეოდალური არისტოკრატის მალალ ზნეობრივ ნორმებს“, ვ. ნოზაძე კატეგორიულად უარყოფს მათ არსებობას: „ასეთი „მაღალი ზნეობრივი ნორმები“ ვეფხისტყაოსანში არ მოიპოვება და რასაც აქ იგი, ავტორი [ვ. აბაშმაძე — მ.კ.] რუსთაველს მიანერს, ეს არის მხოლოდ მისი საკუთარი ფანტაზია და მეტი არაფერი!“ (ნოზაძე 1966: 117).

ვ. ნოზაძე სვამს კითხვებს: „რა დააშავა ხვარაზმშას ვაჟმა? რა ბრალი ედება მას? რა შეცოდება მიუძღვის მას?“ და თავადვე აძლევს კონკრეტულ და ზუსტ პასუხს: „არც იურიდიული, არც ზნეობრივი ბრალი ხვარაზმშას ვაჟს არ შიძლება დაედოს. ეს იქნებოდა ყოველგვარი სიმართლის და სამართლიანობის შელახვა“ (ნოზაძე 1966: 117). ამ საკითხის გადწვევტაში ვ. ნოზაძე კვლავ ერთგულია თავისი დასკვნისა, რომ ხვარაზმშას შვილის მოკვლა „მართალი სამართალი“ კი არა, „სისხლის სამართლის დანაშაულია“, რომელიც სიყვარულის გამო ჩადენილიო, როგორც „ვნებით ბოროტმოქმედება“, რაც ადრე „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველებაში“ აქვს გამოთქმული (ნოზაძე 1958: 217-218).

უურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. აბაშმაძეს წამოყენებული აქვს დებულება, რომ ხვარაზმშას შვილი დამნაშავეა, რამდენადაც, მისი აზრით, „ხვარაზმშას შვილის მოქმედება ანტიზნეობრივია, იგი ფეხქვეშ თელავს ფეოდალური არისტოკრატის მალალ ზნეობრივ ნორმებს“, რაც კონკრეტულად თურმე იმაში მდგომარეობს, რომ „იგი ამცირებს ნესტანის ღირსებასა და თავმოყვარეობას. ხვარაზმშას შვილს გადანყვეტილი აქვს ცოლად შეირთოს ნესტანი, რომელსაც პირადად არ იცნობს და არც უცდია გაეგო ამ უკანასკნელის აზრი ქორწინების თაობაზე. ხვარაზმშას შვილი, როგორც ჩანს, ფაქიზი გრძნობების მქონე ნესტანს დიდი სახელმწიფო პოლიტიკის უბრალო დანამატად თვლის, და, სწორედ ამიტომ, ხვარაზმშას შვილისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას. რა თქმა უნდა, ამით ხვარაზმშას შვილის მოქმედება ობიექტურად ნესტანის ღირსების შემლახავია, იგი ანტიზნეობრივი და დასაგმობია“ (აბაშმაძე 1966: 158-159).

ვ. ნოზაძე უმკაცრესაც აკრიტიკებს ამ მართლაც სრულიად უსაფუძვლო დებულებას: „აი, ბატონო, თურმე რატომ განიზრახა ნესტანმა და რატომ შეასრულა ტარიელმა ხვარაზმშას შვილის მკვლელობა და ეს მე არ მომიგონია, ბ-ნი ვ. აბაშმაძე ამბობს: „როგორც პოემის შინაარსი გვაფიქრებინებს, ხვარაზმშას შვილი ბრალის მქონეა, მისი მოქმედება

ბრალს შეიცავს და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს“-ო!... ვიტყვი მხოლოდ ერთს: ვაი იმ სამართალს და სამართლიანობას...” (ნოზაძე 1966: 118).

ვიკტორ ნოზაძის დასკვნით, ხვარაზმშას შვილს არავითარი ბრალი არ ედება; ტარიელმა ჩაიდინა მკვლელობა, მას ბრალი ედება მკვლელობისა, განზრახ მკვლელობისა; ეს მკვლელობა მოამზადა ნესტანმა; ეს მკვლელობა გამოწვეულია განსაზღვრული მიზეზით სიყვარულის ნიადაგზე (ნოზაძე 1966: 118).

\* \* \*

ვიკტორ ნოზაძის ამ სტატიასთან დაკავშირებით აუცილებელია შემდეგი შენიშვნის გაკეთება, რადგან ისმის კითხვა: რატომ გახდა საჭირო იურისტის მიერ იურიდიული თვალსაზრისით ხვარაზმშას შვილისთვის არარსებული ბრალის გამოგონება? პასუხს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ვპოულობთ: „როგორ უნდა შევაფასოთ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ფაქტი? — ნერს ალ. ბარამიძე — ჩვენ ყოველთვის იმ აზრს ვადექით, რომ ხვარაზმშაძის შვილი იყო „პერსონალურად უზაკველი“, „პირადად უდანაშაულო“. ამასთან იმასაც ვამბობდით, რომ „პირადად უდანაშაულო ხვარაზმშაძის ძეს იყენებდნენ იარაღად უსამართლო გარიგებისთვის. ამიტომ აუცილებელი გახდა მისი ჩამოშორება. ამ შემთხვევაში რუსთველს გამონახული აქვს შესანიშნავი აფორიზმი — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (ბარამიძე 1980: 97). ვ. აბაშმაძემ სავსებით გაიზიარა „ტარიელის რეაბილიტაციის“ თეორია, შექმნილი სოცრეალიზმის თეორიის კონტექსტში 1937 წელს (ბარამაძე 1938), სადაც ტარიელის მიერ ჩადენილი მკვლელობა პატრიოტული მიზნით არის გამართლებული, მაგრამ იურისტისთვის სავსებით ცხადია, რომ უდანაშაულო, ბრალის არმქონე პიროვნების მკვლელობა ნებისმიერ შემთხვევაში დანაშაულია: „უდანაშაულო კაცის მიმართ სიკვდილის განაჩენის გამოტანა — სავსებით ლოგიკურად მსჯელობს ვ. აბაშმაძე — რაგინდ „კონკრეტულ სიტუაციაზე ღრმად დაკვირვებით“ უნდა მოხდეს იგი, კაცთმოძულეობასა და ძალადობაზე დამყარებული უსამართლობა და ეს არ შეიძლება იყოს „მართალი სამართალი“ (აბაშმაძე 1971: 194), და სწორედ ამიტომ — მკვლელობის იურიდიული გამართლებისთვის გახდა საჭირო მსხვერპლისთვის არარსებული ბრალის გამოძებნა. როგორც დიდი ხნის წინ აღვნიშნე, „ხვარაზმშას შვილის მკვლელობა სამართალმცოდნეებმაც „მართალ სამართლად“ მიიჩნიეს და იმის სერიოზული გამოძიება დაიწყეს, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ისტორიულად და იურიდიულად ეს „მართალი სამართალი“, რომლითაც მოქმედებენ ნესტანი და ტარიელი და რომელიც თურმე ამართლებს უდანაშაულო ადამიანის მკვლელო-

ბას... შედეგი უკიდურესად დამაფიქრებელი აღმოჩნდა არა იმდენად ფილოლოგიური (რაც თავისთავად მოსალოდნელი იყო), რამდენადაც პროფესიულ-ეთიკური თვალსაზრისით: მსჯელობასა და დასკვნაში იურიდიული მიუდგომლობისთვის შეუთავსებელმა კომპრომისმა და კონფორმიზმმა იმდენად იჩინა თავი, რომ „პატრიოტიზმით“ მოტივირებული თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობითი კვალიფიკაცია უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული, რის საფუძველზეც ხვარაზმშას შვილისთვის მსჯავრი ცასუს-ის გარჩევამდე იქნა გამოტანილი, რისთვისაც იურიდიული პოზიციებიდან, საჭირო და აუცილებელი შეიქმნა უდანაშაულო ადამიანის ბრალეულად გამოცხადება: ბრალდებისთვის საჭირო არარსებული „ბრალიც“ გამოინახა და მსხვერპლის ვერაგულ მკვლელობაში თავად მსხვერპლი დაადანაშაულეს... სწორედ ამგვარი ვითარების გამო თქვა ვიკტორ ნოზაძემ მწარე სიტყვები: „ვאי იმ სამართალს...“ (ევდოშვილი 1991: 124).

### **დამონეშები:**

**აბაშმაძე 1966:** აბაშმაძე ვ. *შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები*. „მნათობი“, № 1, 1966.

**ბარამიძე 1938:** ბარამიძე ა. ტარიელი. // *რუსთაველის კრებული*. ტფილისი: 1938.

**ბარამიძე 1980:** ბარამიძე ა. მართალი სამართალი. // ა. ბარამიძე. *ძველი ქართული მწერლობის პრობლემები*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1980.

**ევდოშვილი 1991:** ევდოშვილი მ. (კარბელაშვილი მ.) „არ, უთქმელობა არ ვარგა...“. „ლაშარი“, № 2, 1991.

**კარბელაშვილი 1987:** კარბელაშვილი მ. ორი ბიბლიური პარალელი “ვეფხისტყაოსნის” ერთი ეპიზოდისათვის. // *ლიტერატურული ძიებანი*, შრომათა კრებული 1 (XVI), „მეცნიერება“, თბ.: 1987

**კარბელაშვილი 2011:** კარბელაშვილი მ. „ხვარაზმელთა ამბავი“: ვეფხისტყაოსნის ერთი კოლიზიის სამართლებრივი და ეთიკურ-მორალური შეფასება. // *ლიტერატურული ძიებანი*, XXXII, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011

**ნოზაძე 1966:** ნოზაძე ვ. *მიპარვით მოკალი სასიძო*. კავკასიონი, XI, KAVKASIONI, Recueil Littéraire (en giorgien), პარიზი: 1966)

**ნოზაძე 1958:** ნოზაძე ვ. *ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივ-მეცნიერებად*. სანტიაგო დე ჩილე, 1958

**ჯავახიშვილი 1928:** ჯავახიშვილი ი. *ქართული სამართლის ისტორია*. წიგნი პირველი. ტფილისი 1928

**E.N. KORNILOVA**

*Russia, Moscow*

*MSU, faculty of Journalism*

**Swiss Works by Hermann Hesse:  
Spiritual Life of Germany on the Pages of Intellectual Prose  
and Literary Criticism of the German's Exile**

Hermann Hesse get living in Switzerland from 1912. Nevertheless, his soul are torn to the north, to Germany. The XX century for Germany – time cruel and bitter. Hesse is incessantly included in painful fight of the best part of the German intellectual elite for preservation of one of the greatest European cultures. Traces of this fight it is simple to find and in his journalism and in its correspondence. They are documents of the major period of the European history - fight against fascism, totalitarianism and militarism.

*Keywords: Hermann Hesse, journalism, pacifism, liberalism, consciousness.*

**ЕЛЕНА НИКОЛАЕВНА КОРНИЛОВА**

*Россия, Москва*

*МГУ, журфак*

**Швейцарские штудии Германа Гессе:  
духовная жизнь Германии на страницах интеллектуальной  
прозы и литературной критики германского изгнанника**

*«я всегда обращаюсь лишь к отдельному человеку и к его совести»*

*Из письма Германа Гессе господину А. Шт.,*

*Югендбург Фройсбург, Зауэрланд, 1932*

Имя Германа Гессе широко известно во всем мире, прежде всего как имя автора великолепной интеллектуальной немецкой прозы, Нобелевского лауреата, создателя романа «Игра в бисер». Однако Гессе был и поэтом, и художником, и мемуаристом, и глубоким, оригинальным публицистом. Именно этот человек высказывал уже начиная с 1914 года те мысли, которые и сегодня в Европе звучат как сугубо либеральные, гуманистические, идеи оригинально мыслящего человека, видевшего в окружающих не толпу, а «мыслящий тростник», множество индивидуальностей, наделенных персональными талантами и психологическими особенностями. Именно поэтому в мемуарах, личной переписке и публичных выступлениях Гессе мы сегодня обнаруживаем множество размышлений, которые беззастенчи-



во растаскивали почти весь XX век политики, идеологи, философы, журналисты, короче, интеллектуалы, желавшие блеснуть оригинальностью и либерализмом взглядов. Мы не будем называть их имена, но каждый, кто знакомится с размышлениями Гессе, собранными в книге «Письма по кругу» (М., 1987 г.) сможет узнать подлинный источник этих столь широко растиражированных идей.

А начиналось все с истории мальчика из высококонравленной пасторской семьи, который рос как тепличное растение в атмосфере любви и ласки. Его окружали старинные книги, прекрасная музыка, истории миссионерских странствий в экзотические страны... И вдруг неожиданно для близких, он бежит из школы, впадает в депрессию, намеревается покончить с собой. Прежде столь ясно прочерченный путь служителя церкви вдруг становится обрывистым, извилистым, крутым. Единственной отдушиной остается для него высокое искусство и собственное творчество. Так складывается личность художника, который никогда не станет ходить проторенными тропами, будет балансировать на грани сумасшествия и маргинальности, но не предаст своих высоких гуманистических идеалов ни под угрозой отщепенства и проклятия, ни под угрозой нищеты и одиночества. Собственно, уже в романе 1927 г. «Степной волк» Гессе довольно точно воссоздаст собственный психологический автопортрет, который вдруг окажется настолько верно выражающим тенденции эпохи, что превратиться в архетип, в платоновско-юнггианский первообраз извечной борьбы художника с манящей его комфортом и умиротворенность бюргерской средой.

Эта краеугольная тема немецкой романтической литературы, поклонником и ценителем которой до конца дней оставался Гессе, приобретает у него резкие и крайне болезненные, гротескные черты, и это связано не столько с личностью писателя, сколько с веком, в котором он живет.

«Мне на шею бросается век-волкодав...» писал современник Гессе О.Мандельштам. Отсчет нового страшного века европейцы ведут от начала первой мировой войны, столетие которой уже сегодня начали широко отмечать на Западе. Именно в годы охватившей Европу войны расцветает талант Гессе-публициста.

Уже в ноябре 1914 г. в письме к Альфреду Шленкеру (Берн, 10 ноября 1914) Гессе называет войну и связанную с ней пропагандистскую истерию, развернутую в разных европейских государствах, «великим психозом» (Гессе, 1987: 37). Несколько позднее, в переписке с Ромен Ролланом (письмо от 28 февраля 1915) он не может не сожалеть о безрассудной ненависти, которая разделяет сегодня мыслящих людей в наднациональных вопросах (Гессе, 1987:48). Ура-патриотическая кампания в Германии, которой легко поддаются молодые немцы (см. романы Ремарка и др.) совершенно не затрагивает Гессе, остающегося подданным рейха, поскольку его имя было



внесено в гражданские списки Вюртемберга, и имеющего достаточную писательскую славу, а также читательскую аудиторию в Германии. Напротив, этой националистической истерии он противопоставляет личный взгляд.

Откроем «Краткое жизнеописание» (1925), в котором Гессе объясняет, как сформировалась его столь уникальная для времени войны позиция: *«Не могу забыть один маленький случай из первого года войны. Я зашел в большой госпиталь, сляясь на правах добровольца отыскать для себя какое-то осмысленное место в изменившемся мире, что тогда еще казалось мне возможным. В этой больнице для раненых я познакомился с почтенной старой девой, которая прежде вела состоятельное приватное существование, а теперь исполняла обязанности сиделки в госпитале. Она с трогательным энтузиазмом поведала мне о радости и гордости, которые она испытывает при мысли о том, что ей дано было дожить до этой великой эпохи. Я нашел такие чувства понятными, ибо для подобной дамы нужна была война, чтобы превратить ее праздное и сосредоточенное на себе стародевическое существование в жизнь деятельную и сколько-нибудь ценную. Но когда она делилась со мной своим счастьем в коридоре, наполненном перевязанными и увечными солдатами, по пути из одной палаты с ампутированными и умирающими в другую такую же палату, сердце перевернулось во мне. Я, безусловно, понимал энтузиазм этой тетушки, но я не мог его разделить, не мог его одобрить. Если на каждые десять раненых приходилось по одной такой восторженной сиделке, остается признать, что счастье этих дам было оплачено чересчур дорого»* (Гессе Г. 1987: 26).

Буквально в несколько штрихов писатель создает портрет престарелой фройляйн, чей высокий пафос и восторг вызваны убожеством и ограниченностью сытой бургерской полудремы, в которой она провела большую часть своей никчемной жизни. На волне общего энтузиазма и победных реляций эта дама испытывает сильный эмоциональный взлет и экзальтированную любовь к фатерлянду, не замечая, что ее душевный подъем оплачен горами трупов молодых, недавно еще вполне здоровых мужчин. Даже обрубки истерзанного мяса в госпитале, которые она теперь принимает за героев, не убеждают ее в античеловечности политики ее страны.

Кстати, о солдатах, Гессе также вопреки всеобщим убеждениям замечает, что они вовсе не герои, заслуживающие восхищения, а несчастные страдалцы, которые только и достойны жалости. Они просто *«бедняги, занятные на бойню»* (Гессе Г. 1987: 62)

Другой стороной происходящих в Европе исторических событий Гессе видит рост пугающей ненависти между народами Европы и как следствие этого процесса – гибель культуры. В статье *«Друзья, не надо этих звуков!»* писатель откровенно признается: *«Я немец, и все мои симпатии на стороне Германии»* (Гессе Г. 1987: 34). Но дальнейшие его рассуждения в корне

противоречат официальной германской идеологии и даже общественному мнению времен первой мировой войны: *«В последнее время обращают на себя внимание прискорбные симптомы пагубного смятения мысли. Мы слышим об отмене немецких патентов в России, о бойкоте немецкой музыки во Франции, о таком же бойкоте творений духа «враждебных» народов в Германии*

*Выиграет что-нибудь Германия, запретив у себя распространение английских и французских книг? Станет ли мир хоть чуточку лучше, если французский писатель начнет осыпать противника площадной бранью и разжигать в войсках звериную ярость?*

*Все эти проявления ненависти – от нагло распространяемых «слухов» до подстрекательских статей, от бойкота «враждебного» искусства до хулы и поношений в адрес целых народов – основываются на скудоумии, на лени мысли, которую легко простить солдату на фронте, но которая не к лицу рассудительному рабочему или труженнику на ниве искусства». Своим собратьям по перу писатель ставит в пример Гете, который во время оккупации Германии войсками Наполеона не испытал ни унижения национального самосознания, трагически переживаемого романтика, ни псевдо-патриотического подъема, приведшего к крайностям национализма. Как настоящий олимпиец он принимал у себя Наполеона, ощущая собственное родство с этим великим человеком.*

Как истинный наследник самого смысла деятельности Веймарского классика, Гессе мечтает о возрождении царства духа, чтобы *«люди снова научились понимать и ценить друг друга, учиться друг у друга»* (Гессе Г. 1987: 36) *«Пусть эта злополучная война заставит нас глубже, чем когда бы то ни было, почувствовать, что любовь выше ненависти, понимание выше озлобленности, мир благороднее войны»* – таким трогательным призывам, христианским по форме, гуманистическим по сути, завершает свою статью 1914 г. Герман Гессе (Гессе Г. 1987: 37).

В самый разгар войны этот тихий, интеллигентный голос Гессе был все же услышан по ту сторону линии фронта. Швейцарский эмигрант неожиданно нашел союзника и друга в лица известного французского писателя Романа Роллана. Вскоре откликнулся Стефан Цвейг и еще несколько крупных писателей, противников общеевропейской бойни. Все они отлично понимали то, о чем писал Гессе в обращении к государственному министру: *«Никому больше, никому, кроме крошечной кучки больных фанатиков или бессовестных преступников, война совсем не нужна»* (Гессе Г. 1987:53). Это было *«братство духа»*, и, само собой разумеется, образ мыслей поддерживавших базельского эмигранта был *«прямо противоположен образу мыслей политиков, генералов и «вождей»»*.

Рассказывая о своем понимании мыслей и чувств, объединивших противников войны, Гессе значительно позднее скажет в письме молодому немцу» следующее: *«Хотя наше анонимное братство тоже знает немало примеров героизма и ставит его очень высоко, но оно ценит лишь тех, кто сам умирает за свою веру, а не заставляет умирать за нее других. То, что Иисус именуется «царствием божьим», а китайцы называют «дао», – это вовсе не отечество, которому нужно служить за счет других отечеств; это предчувствие целостности мира, со всеми его противоречиями, предчувствие скрытого единства жизни как таковой. Это предчувствие, или идея, выражено во многих книгах, где ему воздается должное, и у него много имен, одно из которых – «бог»»* (Гессе Г. 1987: 137 – 138).

Другому корреспонденту, господину А. Шт., Югендбург Фройсбург, Заурланд (1932), Гессе ответит менее эстетски, просто и доступно: *«Объединяет меня с Роменом Ролланом и разделяет нас обоих с большинством немецкой молодежи наше полное неприятие всякого рода национализма, который мы распознали еще в военные годы как архаическую сентиментальность и величайшую опасность для современного мира. Страна, в которой три четверти молодежи присягают на верность Гитлеру и его дурацким фразам, практически закрыта для нас и нашего прямого влияния, хотя, конечно, время может и здесь многое изменить. Подобно тому, как Ромен Роллан обращает свой антинационализм преимущественно против своих французских земляков, за которых он чувствует себя в некотором роде ответственным, так и я питаю особую вражду и отвращение к национализму в его нынешней немецкой форме. Отказ от всякой ответственности за войну, перекладывание вины за положение в стране на «врагов» и на Версаль – все это создает, по-моему, в Германии атмосферу политической глупости, лживости и незрелости и будет немало способствовать возникновению новой войны»* (Гессе Г. 1987: 143-144).

В рецензии на книгу своего французского единомышленника А. Барбюса, Гессе утверждает, что война не может быть справедливой, а в письме Людвигу Финку (Берн, 10 апреля 1919) он пишет *«вина никогда не бывает односторонней, как не была она таковой и в этой войне, ее следует возложить на обе стороны»* (Гессе Г. 1987: 77).

Убежденность в собственной правоте и правоте своих единомышленников позволяет Гессе обращаться и к государственным деятелям рейха. Положение эмигранта дает писателю возможность откровенно высказывать свою позицию и в открытой полемике с государственными служащими самого высокого ранга, в которых он видит простых обывателей, опасаящихся за свою карьеру. Вот, что написано в открытом письме «Государственному министру»: *если бы Вы имели хоть немного мужества, «Вы первым среди правительственных деятелей прокляли бы эту злосчастную войну, первым*

*среди облеченных ответственностью выговорили бы то, что втайне уже чувствуют все: что полгода или один месяц войны стоят дороже всей возможной выгоды от нее. Мы тогда вовек не забыли бы Вашего имени, господин министр, и человечество оценило бы Ваше деяние выше, нежели дела всех, кто когда-либо вел и выигрывал войны»* (Гессе Г. 1987: 51).

Ответа не последовало, и тогда писатель создает несколько замечательных антивоенных агитационных плакатов – «Наступит ли мир?» (1917) и «Война и мир» (1918). В обеих статьях Гессе использует превосходную риторику мастера слова, но его риторика контрастно отличается от официальной риторики рейха не только по смыслу, но и по форме, поскольку писатель обращается не к массе, а к каждой отдельной личности, к конкретному «человеку разумному». Заключение мира, которого так желает любой нормальный человек, *«Мешают наша общая инертность и трусость, наше собственное упрямство и неразумие... Это возможно лишь потому, что где-то в глубине души мы тайно одобряем и терпим войну, ибо мы то и дело приносим в жертву все, что знает наш ум, наша душа, и во имя господне позволяем бессмысленной войне катить дальше»*. Его полемические выпады против оппонентов поражают новизной метафор: *«... как только где-нибудь в мире попробует высунуться мирная травинка, ее тотчас придавит военный сапог с каблуком, подбитым звездами!»* (Гессе Г. 1987: 54). Его не смущает, что призывы к миру разделяют в современной Европе только социалисты или русские, совершившие большевистский переворот: *«Изумленно, с сильно бьющимся сердцем наблюдали мы, как русские положили оружие и заявили о своем стремлении к миру. Не было народа, которого бы не захватило это чудесное зрелище, у которого оно не взволновало бы сердце и совесть! Но в следующий же миг оказались отброшены обязательства, налагаемые такими чувствами. Каждый политик в мире всей душой за революцию, за разум, за то, чтобы отложить оружие – но только у врага, не у себя! Если взяться всерьез, мы можем покончить с войной. Русские вновь дали нам урок древний, религиозный, святой, они показали, как уязвим даже самый могучий. Почему никто за ними не последовал?.. Сейчас, когда мы все по макушку измараны кровью, не время думать о мелком национальном тщеславии!»* (Гессе Г. 1987: 55). Удивительная смелость и убежденность в правоте собственной позиции сквозят в каждом слове статьи «Война и мир» (1918), сквозь которую проходит евангельский рефрен «Не убий!».

Наконец, испробовав многие средства, писатель обращается к сатире. Он создает с помощью гротеска замечательные публицистические антиутопии, очень близкие по смыслу к романам Оруэлла «1984» и «О дивный новый мир» О. Хаксли. Например, в публикации «Если война продлится еще два года» (1917) читатель попадает в 1920 год, и становится свидетелем

диалогов автора, известного писателя, который выступает здесь под своим псевдонимом Синклер и чиновников рейха. Диалоги настолько абсурдны, что предшественником Гессе на этой ниве может быть назван только Кафка. Происходящее напоминает страшный сон. Рассказчика задерживают на улице по абсурдному обвинению – у него нет документов, начинают мытарить по кабинетам полицейских начальников, отбирают обувь, потому что она является кожаной, а кожу гражданским носить не положено. Наконец, в кабинете чиновника высокого ранга происходит диалог:

*« – Вы поставили себя в прескверное положение, – начал он. – Вы остановились в этом городе, не имея при себе документа на право существования. Да будет вам известно, что это тягчайше карается.*

*Я слегка поклонился.*

*– С вашего разрешения, – сказал я, – у меня есть одна-единственная просьба. Я окончательно убедился, что не созрел для нынешней ситуации и что мое положение будет становиться лишь все более затруднительным. Что, если бы вы приговорили меня к смерти? Я был бы за это весьма признателен!*

*Высокий чиновник сочувственно посмотрел мне в глаза.*

*– Понимаю, – сказал он мягко. – Но так каждый бы захотел. Для этого случая вам надо сначала запастись разрешением на смерть. Но есть ли у вас на это деньги? Разрешение стоит четыре тысячи гульденов.*

*– Нет, такой суммы у меня нет. Но я бы отдал все, что имею. После всего, что я видел, мне очень хочется умереть.*

*Он как-то странно усмехнулся.*

*– Охотно в это верю, тем более что вы не единственный. Но со смертью дело обстоит не так просто. Вы, дорогой мой, принадлежите государству, и государство распоряжается вашей жизнью. Следовало бы это знать...» (Гессе Г. 1987: 58).*

С каждым новым поворотом разговора гротескность происходящего только усиливается. Наконец, подследственный задает может быть краеугольный вопрос: почему и зачем люди все это терпят? Ответ повергает рассказчика в отчаяние: *«...война – вот единственное, что у нас еще есть! Удовольствия и личные занятия, честолюбие, алчность, любовь, духовная деятельность – всего этого больше не существует. Война – только ей одной мы обязаны тем, что в мире есть еще что-то похожее на порядок, закон, мысль и дух. Неужели вы этого не видите?»* Что может сделать мыслящий человек в такой ситуации? Он растворяется в ночи или, как в другом анти-тоталитарном гротеске Гессе, просит тюремщиков подождать, уменьшается в размерах, садится в нарисованный им самим на стене поезд, который скрывается в таком же нарисованном тоннеле.

Разумеется, эти выступления в прессе не могли остаться незамеченными, и против живущего в эмиграции Гессе началась компания ненависти и травли. Он сам рассказал об этом в «Кратком жизнеописании» 1925 г. так:

*«Нет, я не мог разделять радости по случаю «великой эпохи», и так случилось, что я с самого начала горько страдал от войны и год за годом из последних сил защищался от несчастья, нагрянувшего, по видимости, извне, как гром с ясного неба, между тем как вокруг все на свете вели себя так, как если бы именно это несчастье наполняло их бодрым энтузиазмом. И когда я вдобавок читал газетные статьи поэтов, где говорилось о благах войны, и призывы профессоров, и все боевые стихотворения, рожденные в уютных кабинетах прославленных авторов, мне становилось еще тошнее.*

*В 1915 году у меня вырвалось однажды печатное признание в этих чувствах, а в придачу слово сожаления о том, что так называемые люди духа тоже не способны ни на что другое, кроме как на проповедь ненависти, распространение лжи, восхваление великой беды. Последствием этой жалобы, высказанной довольно робко, было то, что я был провозглашен в прессе моего отечества изменником и предателем – переживание, имевшее для меня новизну, ибо, несмотря на многочисленные столкновения с прессой, я до того ни разу не испытал, что же чувствует тот, кого оплевывает сплоченное большинство. Статья с вышеупомянутым обвинением \* была перепечатана двадцатью газетами и журналами моей отчизны, между тем как из всех моих друзей, которых у меня было в журнальном мире, по видимости, немало, лишь двое отважились за меня вступить. Старые друзья оповещали меня, что они вскормили у своего сердца змею и что сердце это впрямь бьется только для кайзера и для нашей державы, но не для такого выродка, как я. Ругательные письма от неизвестных лиц поступали во множестве, и книготорговцы ставили меня в известность, что автор, имеющий столь предосудительные взгляды, для них не существует...» (Гессе Г. 1987: 26).*

Действительно, в публицистике Гессе присутствуют несколько материалов, в которых он дает отповедь своим обидчикам, людям ограниченным, ничуть не сомневающимся в истинности того, что слышат ежедневно от официальных лиц. Вот, например, ответ одному из молодых людей, защищающих идеи пангерманизма и милитаризма. Этот юноша – студент из Галле, интеллигент!, и он не одинок. Этот германофил «вместе со значительным числом своих единомышленников весьма недоволен мною, – пересказывает Гессе обвинения своего корреспондента, – он упрекает меня в тяжком пренебрежении долгом, ... он вместе со своими друзьями глубоко презирает меня, ... для него и его товарищей я мертв и погребен, ... могу лишь служить посмешищем для них и т. д. Несколько фраз, наиболее характерных, привожу доподлинно: «Ваше искусство – это неврастеничес-

кое, сладострастное копание в красоте, влекущая сирена над дымящимися немецкими могилами, все еще разверстыми. Мы ненавидим такого поэта, хотя бы он предлагал нам и еще вдесятеро более совершенное искусство, если оно мужчин обращает в женщин, равняет нас с прочими и превращает в интернационалистов и пацифистов. Мы немцы и хотим навсегда остаться ими. Мы – молодость Шиллера и Фихте, и Канта, и Бетховена, и Рихарда Вагнера – да, да, прежде всего Рихарда Вагнера\*, чей трепетный порыв мы полюбили навеки. Мы вправе требовать, чтобы наши немецкие поэты (а если они понабрались иностранщины, так пусть убираются подбру-поздорову!) встряхнули наш дремлющий народ, чтобы они снова вели его в зачарованные сады немецкого идеализма, немецкой веры и немецкой верности!»

Далее следует эмоциональный комментарий Гессе: «Он вычитал кое-где у меня нечто показавшееся ему неврастеническим, болезненным, или «ненемецким», или «отдающим иностранщиной» – но для него оказалось недостаточным просто отложить книгу и более не обращаться к данному поэту, нет, он что-то почувал в этом поэте, какой-то яд, соблазн, нечто от иностранщины и интернационального чувства, просто человеческое, возвышающееся над отдельными нациями, нечто источающее соблазн, против которого следует тем более непримиримо бороться и истребить его на корню!

Итак, по мнению наших студентов, поэт не есть личность, создающая нечто ей необходимое – и тем более совершенное и ценное, чем точнее и безошибочное воплощено и представлено ее существо, ее сознание, ее истина; напротив, поэт – своего рода действующее лицо, коему студенты должны указать, как следует поступать и говорить. Да ведь поэт способен обороняться, если какой-то тевтонский студентик примется звякать своим клинком! Мальчик, ты выдал себя с головой! (Гессе Г. 1987: 84-85).

А вот другой пример «писем ненависти», из другого времени – уже не первая мировая, а приход к власти Гитлера, но упреки все те же, и боль не меньшая:

*«Госпоже Берте Марквальдер\*, Баден. Осень 1933 или 1934*

*Вы говорите, что я всегда был «среди врагов Германии!» Но почему? Потому лишь, что я нередко выступал против политики Германии? Но у народа есть не только его политика, у народа есть его душа, культура, ландшафт, язык, история и воспоминания, его наследие в области духа и искусства. Со всем этим я, с тех пор как живу на свете, связан самым непосредственным образом всем трудом своей жизни и как поэт, и как критик. Уже много лет едва ли не половина моей работы состоит в чтении и в ответе на письма, которые я получаю из Германии, главным образом от молодых людей, которые обращаются ко мне со своими бедами и надежда-*



ми, идеалами и сомнениями. Стоило ли мне делать всю эту, часто такую ответственную и изнурительную работу, чтобы в конечном итоге на меня теперь смотрели как на «врага Германии»? Но ведь это и в самом деле не так. И если я порицаю порой, как, впрочем, и Вы сами, иные неслыханно жестокие и дурацкие акции нынешнего режима (я делал это уже перед войной, при кайзере), то это происходит вовсе не из вражды, но из любви.» (Гессе Г. 1987:150).

Особенно угнетает писателя мысль о том, что его считают изменником и предателем Германии люди, почитающие себя «героями-идеологами», связанными с литературой и интеллектуальным трудом. В романе «Степной волк» присутствует крайне эмоциональная сцена встречи с подобным образованным невеждой, не дающем себе труда думать самостоятельно: «В руках у профессора была газета, подписчиком которой он состоял, орган милитаристской, подстрекавшей к войне партии, и, пожав мне руку, он кивнул на газету и сказал, что в ней есть статья об одном моем однофамильце, публицисте Галлере, – это, видно, какой-то безродный негодяй, он потешался над кайзером и выразил мнение, что его родина виновата в развязывании войны ничуть не меньше, чем вражеские страны. Ну и тип, наверно! Но теперь он получил отповедь, редакция лихо отчитала этого прохвоста, заклеила позором.» (Гессе Г., 2001: 497)

Конфликт разрешается тем же вечером и не в пользу Гарри Галлера, которого будто нарочно подталкивают к самоубийству, поскольку обывателям нестерпима сама идея инакомыслия, но герой все же дает отповедь своему гонителю: «Далее, чтобы внести полную ясность и хотя бы уйти не лжецом, я должен заявить уважаемому хозяину, что он меня сегодня очень обидел. Он стал на глупую, тупоумную, достойную какого-нибудь праздного офицера. Но не ученого позицию реакционной газетки в отношении взглядов Галлера. А этот Галлер, этот «тип», этот безродный прохвост не кто иной, как я сам, и дела нашей страны и всего мира обстояли бы лучше, если бы хоть те немногие, кто способен думать, взяли сторону разума и любви к миру, вместо того, чтобы слепо, исступленно стремиться к новой войне. Так-то, и честь имею» (Гессе Г., 2001: 499)

Как видно по тону изложения, писатель тяжело переживает травлю и гонения на него как на художника и на человека. И когда он вопрошает свой внутренний голос, рефлектирующее сознание ставит ему не менее тяжелое упреки, чем его недоброжелатели: «Однако на сей раз я не избежал суда над собой. Прошло немного времени, и мне пришлось отыскать вину, причину моих мук, уже не вокруг себя, но в себе самом. Ибо одно я понимал ясно: корить весь мир за его безумие и бездушие – да на это не имеет права никто из людей и никто из богов, и я меньше всех. Значит, во мне самом должен был обретаться какой-то беспорядок, раз я вступил в конфликт со



*всеобщим ходом мироздания*». И не стоит упрекать Гессе в слабости – только сильный человек способен заглянуть в бездну собственной души и признать себе во всех своих деяниях как перед богом. Его слабость – иллюзия. Он всегда помнит, что *«только герой обретает мужество следовать своей судьбе»*. (Гессе Г. 1987: 62), а он ей следует до конца, потому что не предаёт ни своих идей, ни своих друзей, и может опираясь только на собственное самосознание отречься от арийского происхождения (В немецкую инстанцию, потребовавшую от Германа Гессе свидетельство об арийском происхождении. 15 марта 1935 (Гессе Г. 1987: 160), и от звания академика в Берлине (Томасу Манну, Мюнхен, Баден, начало декабря 1931 ((Гессе Г. 1987: 125), способен предвидеть запрет собственных книг в Германии (Д-ру Эдуарду Корроди, Цюрих, 12 февраля 1936 (Гессе Г. 1987:125), потерять источники существования... Он способен делать это, потому что он, как сказано в одном из очерков, «своенравен», а следовательно *«подчиняется другому закону, единственному непреложно святому, тому закону, что заключен в самом человеке, – «своему нраву»*)» (Гессе Г. 1987:63).

Нет, Гессе не фанатик, и не жертва, он любит и ценит жизнь. Но он не признает односторонности, ограниченности. *«Нетерпимым, по-моему, надо быть только по отношению к самому себе, а не к другим»*, писал он в письме Людвигу Финку (Берн, 10 апреля 1919) (Гессе Г. 1987:77).

Его творческая честь, его доблесть художника подпитываются из внутреннего источника – того, что он более всего ценил в Достоевском и Кафке, – «магического» мышления (Гессе Г. 1987:75), подсознательного и бессознательного. Он прозревал тайну этого источника, он высказал мысли, сходные с представлениями современного психоанализа.

*«В мире Демианов и Степных волков осуществимых идеалов нет. Каждый идеал там – не приказ, а всего лишь попытка бескорыстно служить святости жизни в формах, которые мы с самого начала признаем несовершенными и нуждающимися в вечном обновлении»* – признавался он в одном из писем другу Томасу Манну (Шантарелла в Энгадине, 20 февраля 1931). (Гессе Г. 1987:125).

## ЛИТЕРАТУРА

Гессе 1987: Гессе Г. *Письма по кругу*. М.: 1987.

Гессе 2001: Гессе Г. *Избранное*. СПб., 2001.

## GOCHA KUCHUKHIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### From the History of Radio Liberty

The memoir book – “From Reference Notebook” written by Georgian émigré writer, doctor of philosophy Ilia Kuchukhidze was issued in Munich in 1985.

From mentioned book it is seen that in two viewpoints were formulated, – according to the one, national issues had to be put on the foreground, according to another priority was given to the social issues.

By the efforts of those men who supported the putting of national issues to the fore finally won the idea that propaganda had to be carried out under the national mark, though, naturally, not less attention had to be paid to the social issues, as directly related to the national problems and generally man’s life.

**Key words:** *radio Liberty, Ilia Kuchukhidze*

## გოჩა კუჭუხიძე

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### რადიო „თავისუფლების“ ისტორიიდან

ქართველი ემიგრანტი მწერლისა და პუბლიცისტის, ფილოსოფიის დოქტორის — ილია კუჭუხიძის (1901-1992; — ნაშრომები საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაზე, მოთხრობები, ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს მინდია ლაშაურის, ლაშა ეგრისელის, ი. დურუჯელის, იმერიძისა და სხვა ლიტერატურული ფსევდონიმებით... ბიოგრაფიული ცნობები იხ. — შარაძე 1991: 586-594) მოგონებების წიგნში — „სამაგიდო რვეულიდან“, ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში მომხდარ მრავალ ფაქტს შორის, მოთხრობილია რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დაარსებისა და მისი შემდგომი პერიოდის ისტორია. ავტორი, თითქმის, ორმოცი წელი თვითონ მოღვაწეობდა ხსენებულ რადიოში, იყო ლიტერატურული მიმომხილველი, რედაქციის მდივანი... ეხმაურებოდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, საქართველოს საბჭოთა და ადრეული ისტორიის საკითხებს, უძღვებოდა რუბრიკას — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“... გადაცემები, ძირითადად, ალექო ლორიას ფსევდონიმით მიჰყავდა... იგი თვითმხილველი იყო რადიო „თავი-

სუფლები“ ქართული რედაქციის ისტორიისა, ამდენად, ხსენებული მემუარები ამ რედაქციისა და, საერთოდ, ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიის შესასწავლად, ვფიქრობთ, დიდ ყურადღებას იმსახურებს. წიგნი მცირე ტირაჟით არის გამოცემული, საქართველოში არ დაბეჭდილა და ეს გარემოებაც არის მიზეზი, რის გამოც საზოგადოებისათვის მისი გაცნობა მივიჩნიეთ საჭიროდ.

საბჭოთა პერიოდში რადიო „თავისუფლები“ ქართულ გადაცემებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებას, საერთოდ, ეროვნულ კულტურას, მისი გადარჩენის პრობლემებს ეხებოდა. გადაცემები ეძღვნებოდა საქართველოს ისტორიას, ქრისტიანული კულტურის საკითხებს, რაც იმისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველ ხალხში პატრიოტული გრძნობები არ შესუსტებულიყო. ცხადია, მრავლად იყო გადაცემა, რომელშიც სოციალური საკითხები განიხილებოდა, თუმცა, უმთავრესი ადგილი მაინც ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობას ეთმობოდა. აშშ-ში, კერძოდ, — ვაშინგტონში, არსებულ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში უფრო მეტად სოციალური პრობლემები იყო წინ წამოწეული, პროპაგანდა უფრო სოციალურ ჭრილში წარმართებოდა...

იღია კუჭუხიძის დასახელებული წიგნიდან ჩანს, რომ რადიო „თავისუფლები“ ქართულ რედაქციაში ჩამოყალიბებულა ორი შეხედულება, — ერთის მიხედვით, გადაცემებში ეროვნული პრობლემები უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული, მეორის თანახმად, — სოციალური. იმ მოღვაწეთა ძალისხმევით, რომლებიც ეროვნული პრობლემების წინ წამოწევას უჭერდნენ მხარს, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა აზრმა, რომ პროპაგანდა, ძირითადად, ეროვნული ნიშნით წარმართულიყო, თუმცა, ცხადია, სოციალურ საკითხებს, როგორც ეროვნულ პრობლემებთან და, საერთოდ, ადამიანის ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებულს, არანაკლები ყურადღება უნდა დათმობოდა. წიგნიდან საკმაოდ კარგად ჩანს, თუ ვინ იყვნენ ის პიროვნებები, ვინც ეროვნული პრობლემებზე მსჯელობას უჭერდნენ მხარს და ვისმა ძალისხმევამაც გაამარჯვებინა ეროვნულ იდეოლოგიას ამ რედაქციაში... ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის, ძირითადად, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, ეკლესიის ისტორიის საკითხებზე საუბრით ცდილობდნენ, მკაცრი შეფასება ეძლეოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების ფაქტებს, იმგვარ მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკას, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

წიგნის ავტორის ცნობით, ქართული რედაქციის დაარსებას ემიგრაციის ქართული კომიტეტი ჩაუდგა სათავეში. იგი ასახელებს: რაჟდენ არსენიძეს, ნოე ცინცაძეს, სანდრო კორძაიას, გრიგოლ ურატა-

ძეს, ნიკო ურუშაძეს, დავით სალირაშვილს და სხვებს... განსაკუთრებით ნოე ცინცაძის როლს გამოყოფს.

როგორც მოგონებებიდან ირკვევა, რადიო „თავისუფლების“ დაარსების სათავეებთან მყოფი რუსული კომიტეტი ცდილობდა, რომ თავის გავლენაში მოექცია ქართული რედაქცია. ავტორის თანახმად, — რუსულ ემიგრაციასთან მორიგება ძნელი იყო. ისინი რალაც „თვით-გამორკვევის“ ნიადაგზე იდგნენ. ნოე ცინცაძე ურყევი არგუმენტებით უმტკიცებდა, — „მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და იგი ცნო იურიდიულად საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს, რომელ თვითგამორკვევაზე შეიძლება ლაპარაკი, ქართველი ერი დიდი ხანია გამორკვეულიაო“ (კუჭუხიძე 1985: 263; მწერლობა 2008: 58; — რადიო „თავისუფლების“ შესახებ მოგონებები შემოკლებული და რედაქტირებული სახით გამოქვეყნებულია ჟურნალში — „ქართული მწერლობა“; მიუნხენში 1985 წელს დაბეჭდილი წიგნი ძალიან მცირე ტირაჟისაა, ამიტომ ციტირებისას ხსენებულ ჟურნალსაც დავიმონ-მებთ). ავტორი ასეთ შემთხვევას იგონებს, — „მახსოვს, მე და სანდრო კორძაია შევესწარი, თუ როგორ იბრძოდა ნოე ცინცაძე ქართველი ერის უფლებებისთვის. ერთხელ სხდომიდან გაბრაზებული გამოვარდა, დაგვინახა თუ არა, შემოგვძახა: — წამოდითო! გამოედევნენ რუსები და სხდომაზე მის დაბრუნებას ითხოვდნენ. რუსის ემიგრაციამ კარგად იცოდა, რომ, თუ ნოე ცინცაძესთან შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა, ამერიკულ კომიტეტთან მუშაობა შეუძლებელი გახდებოდა. ნოე ცინცაძეს დიდ ანგარიშს უწევდნენ“ (იხ. კუჭუხიძე 1985: 263; მწერლობა 2008: 58).

ქართველ ემიგრანტთა ძალისხმევით მოხერხდა, რომ რადიო „თავისუფლება“ რუსული კომიტეტისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულიყო. ავტორი წერს: „რადიო „თავისუფლება“ 1953 წელს ჩამოყალიბდა და გადაცემები იმავე წლის 1 მარტს დაიწყო. ქართულ ენაზე გადაცემები კი 1953 წლის 17 მარტს დავიწყეთ“ (კუჭუხიძე 1985: 264; მწერლობა 2008: 58). შემდეგ წიგნში ვკითხულობთ: „პირველად ქართული რედაქცია შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: რაჟდენ არსენიძე, დავით ურატაძე და ილია კუჭუხიძე. ეს სამი პირია ქართული რედაქციის ფუძემდებელი. შემდეგ მოემატნენ: ნიკო იმნაიშვილი, ინასარიძე კარლო, ვალიკო ინკირველი, იოსებ ჟორჟოლიანი, შალვა კალანდაძე, დავით პეკურიძე, გულნარა პატარიძე, მათე კერესელიძე, ობოლაძე მარინე...“ (კუჭუხიძე 1985: 265; მწერლობა 2008: 58).

როგორც ავტორი აღნიშნავს, რედაქციის თანამშრომელთა უმეტესობა ან მენშევიკი იყო, ან — მენშევიკური პარტიის მომხრე. „ეს ქართული რედაქცია თავისი შემდაგენლობით ნამდვილი მენშევიკური იყო“ — წერს იგი (კუჭუხიძე 1985: 265; მწერლობა 2008: 58). თვითონ

სოციალ-ფედერალისტურ პარტიას წარმოადგენდა. „მე რედაქციაში სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა ნიკო ურუშაძემ და აკაკი პაპავამ მიმავლინეს. ამავდროულად პარტიის ბიურომ დამნიშნა პარტიის წარმომადგენლად მიუნხენში, ვიყავი აღჭურვილი სათანადო მანდატით“ — აღნიშნავს ილია კუჭუხიძე (კუჭუხიძე 1985: 277; მწერლობა 2008: 59). იგი თბილად მოიხსენიებს არაერთ იმ ადამიანს, რომელიც მენშევიკი იყო, მაგრამ მაინც ეროვნულ პოზიციებზე დადგა. ამ კონტექსტში ახსენებს დავით ურატაძეს, ნიკო და მოსე იმნაიშვილებს, სიყვარულითა და პატივისცემით არის მოხსენიებული რაჟდენ არსენიძე. წიგნიდან ჩანს, რომ ილია კუჭუხიძესა და რაჟდენ არსენიძეს მსოფლმხედველობრივ საკითხებთან დაკავშირებით უთანხმოება ჰქონიათ, მაგრამ ჩანს ისიც, რომ მათ შორის თბილი და მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება იყო (კუჭუხიძე 1985: 277-279; მწერლობა 2008: 60)...

როგორც ვხედავთ, ქართულმა ემიგრაციამ, მიუხედავად იმისა, რომ მის შემადგენლობაში, ძირითადად, მენშევიკები იყვნენ, რუსული გავლენის ფაქტი არ დაუშვა. მაგრამ ირკვევა, რომ გავლენის მოპოვების მცდელობა შემდგომშიც ყოფილა. მოგონებებში ვკითხულობთ:

11. «Загробное благополучие связывалось первоначально не с нравственными качествами, а с отправлением заупокойного культа и правильным поступлением на гробничный алтарь жертвенных даров. (...) впоследствии (...) нравственному элементу стала угрожать серьезная опасность со стороны магии» (Тураев 1922: 24). «И в усте самого умершего влагались формулы, которые он должен был правильно произносить, чтобы, отражая своих многочисленных загробных врагов, которые были и у Осириса (...) достигать вечных блаженных обителей» (Тураев 1922: 25). «Сборники этих формул росли непомерно; один из подних памятников этой традиции – “Книга мертвых”» (Тураев 1922: 25). «Кроме тела и души, (...) он [человек] обладал еще духом, силой, или может быть “образом”, тенью, особенно же “Ка” – олицетворением жизненной силы, может быть гением-хранителем или, как полагал Масперо – просто двойником, рождающимся вместе со своим носителем» (Тураев 1922: 28). «О душе заботились боги – она отходила на небо. (...) Заупокойные жертвоприношения имели ввиду “Ка”, что же касается тела, оно “отдавалось Анубису” для бальзамирования и погребения» (Тураев 1922: 28). Путешествовал(а/о) «Ка».

12. «Началась полоса приезжих “оттуда”. Интеллигенты, профессиональные спекулянты... вероятно, есть и провокаторы... Полные залы эмигрантов собираются их слушать. Ничего нового. Все тот же ужас: произвол и террор власти, недоедание, нищета, бесправие. Духовное и физическое уничтожение нации. Но, слушая эти потрясающие рассказы, больший ужас испытываешь не от них, а от слушателей. (...)» (Георгиевский 1934).



13. Соответствующий советский нормативный акт это, вероятно, Постановление ЦИК и СНК СССР от 21 марта 1928 года «о вывозе, ввозе, пересылке и переводе за границу и из-за границы валютных и фондовых ценностей».

14. «Романтика “Третьей Империи”, “Возрожденного Рима”, “Пан-Европы”, наконец, “Мировой, пролетарской”... разжигает массы, а вовсе не теории Ницше, Маккиавелли, Карла Маркса... Русское Зарубежье, – миллионная масса. Какая же романтика может увлечь эту массу? (...) Мы уже можем назвать имена, нам принадлежащие, зовущие к борьбе и победе: [Морис] Конради, [Борис] Коверда, [Юрий] Петерс, [Александр] Сольский, [Дмитрий] Мономахов, [Иуда] Штерн... Но их мало. Романтики они не создадут. России нужны не только люди, умеющие претворять слово в дело, но и согласованность помыслов и организованность действий этих людей. И лишь тогда создастся и новая романтика, – романтика национально-революционной борьбы, которая облегчит совершение подвигов и достижение побед. (...)».

15. «Письма в редакцию»: «Мы, русские эмигранты, протестуем против избияния красными бандами мирного населения в Трехречьи», *письма сливенской и петричской колоний*, по поводу событий в поселке Усть Уровск в Манчжурии.

16. «На советско-финляндской границе»: «В результате длительных наблюдений финляндской сысской полицией обнаружен на Карельском перешейке тайный коммунистический этап, служивший для отправки из Финляндии в СССР и обратно агентов коминтерна, коммунистической литературы и денежных средств. / Пока задержано 19 человек, среди них несколько женщин».

#### ЛИТЕРАТУРА:

**Аверинцев 2006:** *Аверинцев С. Эсхатология. София-Логос. Словарь. Киев, 2006, 512-521.*

**Андреев б.г.:** *Андреев Л. Елеазар. Собрание сочинений. Lib.Ru/Классика [библиотека Максима Мошкова]. [online]: [http://az.lib.ru/a/andreev\\_l\\_n/text\\_0360.shtml](http://az.lib.ru/a/andreev_l_n/text_0360.shtml)*

**Бицилли 1928:** *П. Бицилли. «О деловом объединении русской эмиграции. I.».* *Голос, № 2, 18 дек. 1928, с. 1*

**Бурдийо 2004:** *Бурдийо П. Правилата на изкуството. София, 2004. [Перевод с франц., ориг изд. 1992, 1998]*

**Георгиевский 1934:** *Георгиевский М. «Лик эмиграции». За Россию, № 29, июль 1934, с. 1*

**Евангелие от Иоанна:** *От Иоанна святое благовествование. (По Синодальному переводу изданному в 1876 г.). [online]: [http://ru.wikisource.org/wiki/От\\_Иоанна\\_святое\\_благовествование](http://ru.wikisource.org/wiki/От_Иоанна_святое_благовествование)*

**Люцканов 2012а:** *Голос. Русев, Р. и др. (ред.). Периодика на руската емиграция в България (1920-1943). София, 2012, 112-146.*

**Люцканов 2012б:** *Голос труда. Русев, Р. и др. (ред.). Периодика на руската емиграция в България (1920-1943). София, 2012, 190-215.*

**Люцканов 2012в:** *Труд. Русев, Р. и др. (ред.). Периодика на руската емиграция в България (1920-1943). София, 2012, 711-721.*



**Околосмертные переживания:** *Околосмертные переживания*. Википедия. [online]: [http://ru.wikipedia.org/wiki/Околосмертные\\_переживания](http://ru.wikipedia.org/wiki/Околосмертные_переживания)

**Платон б.г.:** Платон. *Государство*. Диалоги. [online]: <http://i-text.narod.ru/lib/platon.html>, по изданию: *Собр. соч.*, Москва, Мысль, 1990-1994.

**Побег:** б.н. «Побег из СССР». [online]: <http://mgsupgs.livejournal.com/674435.html>.

**Тураев 1922:** Тураев Б. *Древний Египет*. Петроград, 1922.

**Тэрнер 1983:** Тэрнер В. *Символ и ритуал*. Москва, 1983.

**Afterlife:** *Afterlife*. Wikipedia. [online]: <http://en.wikipedia.org/wiki/Afterlife>

**Book of the Death:** *Book of the Dead*. Wikipedia. [online]: [http://en.wikipedia.org/wiki/Book\\_of\\_the\\_Dead](http://en.wikipedia.org/wiki/Book_of_the_Dead)

**Intermediate state:** *Intermediate state*. Wikipedia. [online]: [http://en.wikipedia.org/wiki/Intermediate\\_state](http://en.wikipedia.org/wiki/Intermediate_state)

**Liminality:** *Liminality*. Wikipedia. [online]: <http://en.wikipedia.org/wiki/Liminality>

**Raeff 1990:** Raeff, M. *Russia Abroad: a cultural history of Russian emigration, 1919-1939*. New York, 1990.

## DAREJAN MENABDE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Study of Georgian Literature of the 5<sup>th</sup>-11<sup>th</sup> Centuries in the Émigré Kartvelology**

Georgian scholars living in emigration since the twenties of the 20<sup>th</sup> century devoted special attention to the issues of Georgian historical past and dissemination of Christianity, translation and publication of the 5<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries texts into foreign languages. Particular attention was paid to the study of old Georgian ecclesiastic literature, translation of Kartvelological scholarly literature. The works of emigrant writers were printed in Georgian and European languages. Georgian literature of the 5<sup>th</sup>-11<sup>th</sup> centuries was properly presented in editions of the history of Georgian literature printed in emigration.

**Key words:** *Émigré Kartvelology, translations, editions.*

## დარეჯან მინაზღა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევა ემიგრანტულ ქართველოლოგიაში

მიმართვაში „უცხოეთის ქართველებისადმი“ მიხეილ (მიხაკო) ნერეთელი წერდა: „ემიგრაციის ჩვეულებრივი ბედი გადაგვარება და გაქრობა რამდენიმე შთამომავლობის შემდეგ. ძვირად მოიძებნება ისეთი ემიგრაცია, რომელსაც დიდი დროის განმავლობაში შემოუნახავს ეროვნება, ენა, სარწმუნოება. ერი კი მისგან დაშორებულ ემიგრანტთა ცხოვრებას შემდეგ იმდენად ანიჭებს მნიშვნელობას, რამდენადაც მათი მოქმედება უცხოეთში სასარგებლო ყოფილა ან პოლიტიკურად, ან კულტურულად, ან სხვა მხრივ... [ბევრი ემიგრანტი] არა თუ არ სწყდებოდა სამშობლოს გულით, სულით, გონებით, არამედ თავისი მოქმედებით, დაუღალავი ღვაწლით ათასი ჭირის დათმობით საქართველოს შველოდა პოლიტიკურად, ან მას უქმნიდა ან უძღვნიდა ისეთ კულტურულ ღირებულებათ, რომელთა შექმნა ცუდ პირობათა გამო თვით საქართველოშიც ძნელი იყო და რომელთაც დღესაც აფასებს მადლიერი სამშობლო“ (ნერეთელი 1950: 2).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ისტორიული კატაკლიზმების გამო იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდა დიდი ნაწილი ქართველი მოღვაწეებისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს, რომ „მათი მოქმედება უცხოეთში სასარგებლო ყოფილიყო“ სამშობლოსათვის და ყველანაირად შეეცადნენ, მიეპყროთ მსოფლიოს ინტელექტუალური წრეების ყურადღება ქართული კულტურისათვის და საქართველო წარედგინათ როგორც ზოგადად დასავლურქრისტიანული და, კერძოდ, ევროპული კულტურულ-სააზროვნო სივრცის ორგანული ნაწილი.

ნაციონალურ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ემიგრანტი მწერლები, მთარგმნელები, მეცნიერები თუ პუბლიცისტები, — ახდენდნენ რა ადაპტირებას ახალ საზოგადოებრივ გარემოსთან, — შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ნაციონალური ენა და იდენტობა, ამასთან, არ გაენწყვიტათ კავშირი საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებთან, მათ შორის, ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებასთან. ნიშანდობლივია, რომ ემიგრაციაში თავდაპირველად სწორედ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთები, შეიქმნა პუბლიცისტური თუ სამეცნიერო ლიტერატურა. გეოგრაფიულ ლოკაციას არ მოუხდენია არსებითი ხასიათის გავლენა

ნაციონალურ იდენტობაზე. თავისდათავად ეს პროცესი სხვადასხვაგვარად წარმართა მწერლებისა და მეცნიერებისათვის. თუ მწერალი ძირითადად თვითგამოხატვის ფორმის ძიებაში იყო, ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ცდილობდა პირადი ემიგრაცია ქართული ლიტერატურის საერთაშორისო არენაზე გატანისათვის გამოეყენებინა.

ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების მიზნით იყო განპირობებული ისიც, რომ ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასა და წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას ეხება ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, თეოლოგის, ისტორიკოსისა და ფილოლოგის მიქელ თარხნიშვილის (1897-1958) მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო მწერლობის ისტორიის შესწავლას.

თავის გამოკვლევებში მ. თარხნიშვილი ცდილობდა ევროპელი მეცნიერებისა და, საერთოდ, დაინტერესებული მკითხველისათვის გაეცნო საქართველოს ეკლესია, კულტურა, ისტორია და ლიტერატურა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომი „Das Christentum in Georgien“ („ქრისტიანობა საქართველოში“) (თარხნიშვილი 1936), რომელშიც მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის განვითარების გზა. წერილში წარმოჩენილია წმინდა ნინოს ისტორიული როლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში და მისი ადგილი ჩვენს ისტორიაში. მ. თარხნიშვილი იქვე აღნიშნავდა, რომ „...ღვთივკურთხეული მოღვაწეობის შემდეგ წმ. ნინო გარდაიცვალა ქალაქ ბოდბეში, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც იგი ქრისტეს სჯულს ქადაგებდა, და იქვე იქნა დაკრძალული. მის საფლავს დღემდე დიდ პატივს სცემენ. ქართულმა ეკლესიამ წმ. ნინოს მიაკუთვნა საპატიო სახელი „მოციქულთა სწორი“. მის ხსენებას დღესასწაულობენ 14 იანვარს. ღვთისადმი და თავისი ხალხისადმი მხურვალე სიყვარულის ნიშნად წმ. ნინომ დაგვიტოვა წმინდა ჯვარი, რომელსაც დღესაც თაყვანს სცემენ მორწმუნენი თბილისის საკათედრო ტაძარში“ (თარხნიშვილი 1994: 33).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. თარხნიშვილის ნაშრომები „წმინდა ნინოს ლეგენდა და ქართული ეროვნული შეგნების ისტორია“ (1940) და „წმინდა ნინო, ქართლის განმანათლებელი“ (1953), რომლებშიც მკვლევარმა არაერთი საინტერესო საკითხი წამოჭრა.

წერილში „Die Legende der heiligen Nino und die Geschichte des georgischen Nationalbewußtseins“ („წმინდა ნინოს ლეგენდა და ქართული ეროვნული შეგნების ისტორია“) (თარხნიშვილი 1940: 40-75; თარხნიშ-

ვილი 1994: 104-132), განიხილავს რა ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს წმინდა ნინოს შესახებ, ავტორი ასკვნის, რომ წმინდა ნინო ისტორიული პიროვნებაა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობები სინამდვილეს შეესაბამება. მ. თარხნიშვილის სიტყვით, „ნინოს ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ერის ბედთან. ძველმა წარმართულმა შეხედულებამ, რომლის მიხედვითაც მონისა და ქალის მნიშვნელობა დამდაბლებული იყო, ნინო რალაც დროის განმავლობაში უკანა პლანზე გადასწია, მაგრამ გამოღვიძებულმა რელიგიურ-ეროვნულმა თვითშეგნებამ, რომელმაც ქრისტიანულ მოძღვრებაში ადამიანთა თანასწორობისა და ქალის ღირსებისათვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰპოვა, იგი კვლავ დაგვიბრუნა და მასთან ერთად XII ს-ის „ოქროს ხანა“ გვაჩუქა“ (თარხნიშვილი 1994: 132). იქვე მკვლევარი განიხილავს ნ. მარის, ს. კაკაბაძის, ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და პ. პეტერსის ცალკეულ მოსაზრებებს და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.

ნაშრომში „Die heilige Nino, Bekehrerin von Georgien“ („წმინდა ნინო — ქართლის განმანათლებელი“) (თარხნიშვილი 1953: 572-581; თარხნიშვილი 1994: 299-308) მ. თარხნიშვილი უპირისპირდება სომეხ მეცნიერს ნ. აკინიანს, რომელსაც ტენდენციური მოსაზრებები ჰქონდა ქართლის გაქრისტიანებასა და წმინდა ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

1951 წელს „კათოლიკური ენციკლოპედიის“ მე-6 ტომში გამოქვეყნდა მიქელ თარხნიშვილის სტატია „საქართველო“ (თარხნიშვილი 1951: 64-79; 1994: 227-249). სტატიაში ცალკე თავადაა გამოყოფილი ქართული ლიტერატურა (III თ.), რომელშიც ავტორმა გამოთქვა კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება ქართლის მოქცევისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობის თაობაზე: „VIII ს-ეს განეკუთვნება „კოლაელ ყრმათა წამება“, „წმ. აბო თბილელის წამება“ და, საგარაუდოა, ლეონტი მროველის ისტორიული ნაწარმოებიც, რომელშიც შედის მეფეთა ცხოვრება და ქართლის მოქცევა. მოქცევის იდეა უნდა მიეკუთვნებოდეს დიაკვან გრიგოლს, რომელიც VII ს-მდე ცხოვრობდა. სხვადასხვა ვარიანტით შემოგვრჩა ლეგენდა წმ. ნინოს შესახებ“ (თარხნიშვილი 1994: 235).

1958 წელს მიუნხენში ქართულ ენაზე გამოვიდა მინდია ლაშაურის (1901-1992) წიგნაკი „წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობს როლი საქართველოში“ (ლაშაური 1958), რომელშიც ივ. ჯავახიშვილის, დ. ბაქრაძის, პ. ინგოროყვას, ლ. მელიქსეთ-ბეგის, მიხ. ნერეთლისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე შესწავლილია წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლისა და მისიონერული მოღვაწეობის საკითხები. ნაშრომს ახლავს ვრცელი რეზიუმე გერმანულ ენაზე: „Die heilige Nino, die Erleuchterin der Georgier und die Rolle des Christentums in Georgien“ (ლაშაური 1958: 31-32).

საფრანგეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას განსაკუთრებით შეუწყო ხელი კალისტრატე და ნინო სალიების მიერ

დაარსებულმა ქართველოლოგიურმა ჟურნალმა „ბედი ქართლისა“ („Revue de Kartvelologie“), რომელშიც არაერთი სტატია გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

1966 წელს ამ ჟურნალში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ნინო სალიას (1898-1992) სტატია „Notice sur la conversion de la Géorgie par sainte Nino“ („შენიშვნები წმ. ნინოს მიერ საქართველოს მოქცევის შესახებ“) (სალია 1966: 52-64). საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიას ნ. სალია იწყებს ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ღვაწლის აღნიშვნით, შემდეგ კი ეხება წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას, მსჯელობს რუფინუსის ნაშრომის შესახებ, განიხილავს ბიზანტიურ, არაბულ, სირიულ და კოპტურ წყაროებში დაცულ ცნობებს და აზუსტებს ცალკეულ დეტალებს, ეხება მოსე ხორენელისა და აგათანგელოზის გადმოცემებს და ასკვნის, რომ სომხური წყაროების მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება. ნაშრომის ბოლოს მკვლევარი გვთავაზობს საკუთარ დასკვნებს. მისი აზრით, საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ტყვე ქალმა წმინდა ნინომ, სავარაუდოდ კაპადოკიიდან, მირიანის მეფობის დროს, 352 წელს, ნინო იხსენიება რომაულ მარტიროლოგიაში წმ. კრეტიენის სახელით.

2000 წელს რომის პაპის, წმ. ანტონის, სახელობის უნივერსიტეტის — „ანტონიანუმი“ — გამომცემლობამ გ. შურღაიას რედაქციით იტალიურ და ფრანგულ ენებზე გამოსცა კრებული: „SANTA NINO E LA GEORGIA. Storia e spiritualita cristiana nel Paese del Vello d'oro“ („წმინდა ნინო და საქართველო: ოქროს საწმისის ქვეყნის ისტორია და სულიერი კულტურა“) (ყაუხჩიშვილი 2000). კრებულში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ისტორიულ-ლიტერატურულ და ფილოლოგიურ საკითხებს ეხება.

ბერგამოს უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო ყაუხჩიშვილის, სტატიაში „Santa Nino e la donna nel mondo bizantino“ („წმინდა ნინო და ქალი ბიზანტიაში“) (ყაუხჩიშვილი 2000: 51-60) წარმოჩენილია საქართველოს განმანათლებლის ლიტერატურული სახის ტიპოლოგიური მიმართება შუა საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურის ისეთ პერსონაჟ ქალებთან, როგორებიც იყვნენ ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელის და მაკრინა (IV ს.), კონსტანტინოპოლელი დიაკონი ოლიმპიადა (IV ს.), რომის იმპერიის დიდი პოლიტიკური მოღვაწე გალა პლაჩიდა (IV-V სს.), იმპერატორ თეოდოსი II-ის და პულქერია (V ს.) და მეუღაბნოე მონაზონი მელანია (IV-V სს.).

ემიგრანტულ ქართველოლოგიაში ყურადღება ეთმობოდა V-XI საუკუნეების ტექსტების თარგმნასა და გამოცემას უცხოურ ენებზე.

მ. თარხნიშვილის მონაწილეობით გერმანულ ენაზე გამოიცა კიდევ ერთი წიგნი — „ნინო მოციქული“. წიგნის გამომცემელი იყო ნიკოლოზ

ჯანელიძე (1921-1993), მ. თარხნიშვილის ერთ-ერთი მოწაფე, შემდგომში ჰამბურგისა და კილის უნივერსიტეტების ლექტორი. ნ. ჯანელიძემ ჰამბურგის ახლოს, ქალაქ იტცუპოეში, დააარსა გამომცემლობა „საქართველო“ („გეორგიუმ ფერლაგ „საქართველო“), სადაც არაერთი ქართული წიგნის თარგმანი დაიბეჭდა გერმანულ ენაზე („ქართული ზღაპრები“, 1974; „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული პროზაული გარდათქმა — ლ. პეპე-გეგელაშვილთან ერთად, 1984 და სხვ.) ამ გამომცემლობაში 1961 წელს გერმანულ ენაზე დაიბეჭდა წიგნი „Die Apostolin Nino“ („ნინო მოციქული“) (ჯანელიძე 1961: 53), რომელსაც, როგორც გ. შარაძე წერს, საფუძვლად დაედო „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“ (შარაძე 1991: 485). აი, რას იუწყებოდა „კავკასიონში“ გამოქვეყნებული მოკლე ანოტაცია გერმანული გამოცემის შესახებ: „ყველა წიგნს თავისი დანიშნულება აქვს. ნიკოლოზ ჯანელიძეს განუზრახავს და განუხორციელებია კიდევ გერმანელებისათვის მიენოდებია ნიმუში იმისა, თუ საქართველო დასავლეთის კულტურასთან როგორ იყო გადაბმული, და კერძოდ, ქრისტიანობის მეოხებით“ (კავკასიონი 1964: 140). ნ. ჯანელიძის მიერ გამოცემული წიგნაკის შედარებამ „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებთან დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული თარგმანის საფუძველია XIII საუკუნის უცნობი ავტორისეული რედაქცია წმინდა ნინოს „ცხოვრებისა“.

საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა ვახტანგ ციციშვილმა (1892-1964) განავითარა ბარონ დე ბაის თვალსაზრისი წმინდა ნინოსა და წმინდა კრეტიენის იგივეობის შესახებ. მანვე ჟურნალ „კავკასიონში“ გამოაქვეყნა წერილი „წმიდა ნინო — წმიდა კრეტიენ“ (კავკასიონი 1964). წერილის ავტორის სიტყვით, 1807 წელს საფრანგეთში შექმნილა „დედაკაცთა რელიგიური კონგრეგაცია, რომელსაც დაერქვა აგრეთვე სახელად „წმიდა ნინო — სანკტა ნინა“... დასახელებულ კონგრეგაციას აქვს ხატი წმიდა კრეტიენ-ნინოსი, რომლის სურათებს იგი ფართოდ ავრცელებს და კანადაში კიდევ მის პატარა, ლამაზ ქანდაკებებსაც ამზადებენ“ (ჯვარი ვაზისა 1989: 64).

ცოტა ხანში ფრანგულ ენაზე გამოვიდა წიგნი წმინდა ნინოს შესახებ. 1964 წელს, ჟენევაში, ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, დამოუკიდებლობის დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა, მუდმივმა წარმომადგენელმა შვეიცარიაში ხარიტონ შავიშვილმა (1886-1975) გამოაქვეყნა წიგნაკი „წმინდა ნინო, პირველი მოციქული ქალი“, რომლის დაბეჭდვას „კავკასიონში“ გამოეხმაურა ვიქტორ ნოზაძე (კავკასიონი 1967: 173-174).

სერგი წულაძემ (1916-1977) ფრანგულ ენაზე თარგმნა „შუშანიკის ნამება“. თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1978 წელს ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ („ზედი ქართლისა“) ოცდამეთექვსმეტე ტომში

სათაურით: „Traduction du martyr de sainte Chouchanik, du V<sup>e</sup> siècle, premier monument de la littérature géorgienne“ (წულაძე 1978: 56-68). თარგმანს წამძღვარებული აქვს ნ. სალიას წინათქმა, რომელშიც ავტორი მკითხველს წარუდგენს ს. წულაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის თარგმანებს. იქვე დაბეჭდილია გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ წულაძისეული თარგმანიც. „შუშანიკის წამების“ ს. წულაძისეულ თარგმანს საქართველოში სათანადო გამოხმაურებაც მოჰყვა. ს. თურნავას დაკვირვებით: „სერგი წულაძის ფრანგული თარგმანი შესრულებულია პროფ. ილია აბულაძის 1938 წლის გამოცემის საფუძველზე. ქართული ტექსტის თარგმანთან შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ მთარგმნელი ამჟღავნებს ძველი ქართული ენის კარგ ცოდნას, შენარჩუნებული აქვს ავტორისეული განწყობილება, ითვალისწინებს ორგინალის ენასა და სტილს... კარგი საქმე გაკეთდა ს. წულაძის თარგმანის გამოქვეყნებით — ფრანგულენოვანი სამყარო ახლოს გაეცნო ქართული მწერლობის ამ უბრწყინვალეს ძეგლს“ (თურნავა 1979).

აღნიშნული თარგმანი ხელახლა გამოიცა 1983 წელს თბილისში, ის შევიდა „შუშანიკის წამების“ საიუბილეო გამოცემაში. ს. წულაძის თარგმანს ახლავს წინათქმა (წულაძე 1983: 227-232) და გაფორმებულია თ. მირზაშვილის ილუსტრაციებით, თარგმანის სათაურია: „Le Martyre de la Sainte Reine Chouchanik“ (წულაძე 1983: 233-265), შედგება ოცი თავისაგან, ახლავს მცირე კომენტარები.

ემიგრანტულ ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის კვლევას (მ.თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. და ნ. სალიები, აღ. მანველიშვილი), ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას (მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, კ. სალია). ემიგრანტ მეცნიერთა ნაშრომები იბეჭდებოდა ქართულ და ევროპულ ენებზე (მ. თარხნიშვილისა გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ ენებზე; კ. და ნ. სალიებისა — ფრანგულად; აღ. მანველიშვილისა — ფრანგულად, იტალიურად). V-XI საუკუნეების ქართული მწერლობა სათანადოდ იყო წარმოდგენილი ემიგრაციაში დაბეჭდილ ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემებში: მ. თარხნიშვილი, ი. ასფალგი. ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია (გერმანულ ენაზე. ვატიკანი. 1955); გრ. ფერაძე. ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში (ინგლისურ ენაზე. 1928; მთარგმნელმა ნაწილობრივ გადააკეთა კ. კეკელიძის „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“); კ. სალია. „ქართული ლიტერატურა“ (ფრანგულ ენაზე. პარიზი. 1964, 1972); დ. ჯაფარიძე. ქართული ლიტერატურა (ფრანგულ ენაზე. პარიზი. 1955); აღ. მანველიშვილი. ძველი ქართული მწერლობა (აშშ. სან-ფრანცისკო. 1987)].



V-XI საუკუნეების, — და საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის, — კვლევასა და პოპულარიზაციას ხელი შეუწყო საზღვარგარეთ გამოცემულმა ქართველოლოგიურმა ჟურნალებმა [„გეორგიკა“. ლონდონი, 1-5, 1935-1937. დააარსეს ა. გუგუშვილმა და უ. ალენმა; „ბედი ქართლისა“. პარიზი. დააარსეს კ. და ნ. სალიებმა; თავდაპირველად გამოდიოდა ქართულად (1948-1956); შემდეგ ფრანგულად (1957-1984); „რევიუ დეზ ეტიუდ ჟორჟიენ ე კოკაზიენ“. პარიზი. 1985-1995. ხელმძღვანელი გ.შარაშიძე; „გეორგიკა“. იენა. 1978-დან. დააარსა ჰაინც ფენრიხმა)] და გამომცემლობებმა („ამირანი“, ციურიხი; „საქართველო“, itceho).

სწორედ ემიგრანტ მეცნიერთა ღვაწლით იყო, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დანიშნურდა საზღვარგარეთული ქართველოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტ მკვლევართა დამსახურება ზოგადად ქართული მწერლობის და, კერძოდ, V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის წინაშე ერთმნიშვნელოვნად დასაფასებელია, ვფიქრობთ, დროა ამ პროდუქციის თავმოყრის (ბევრ მათგანზე ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება), სისტემატიზაციის, კრიტიკული შესწავლის და მიუკერძოებელი შეფასებისა, რათა ემიგრანტ მეცნიერთა ნააზრევი სრულფასოვნად ჩაერთოს V-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის კვლევის თანამედროვე პროცესებში.

## დამონებიანი:

**თარხნიშვილი 1936:** Tarnishvili M. *Das Christentum in Georgien*. Der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart. 1. 1936. Munchen, NN1, 2.

**თარხნიშვილი 1940:** Tarnishvili M. *Die Legende der heiligen Nino und die Geschichte des georgischen Nationalbewußtseins*. Byzantinische Zeitschrift. 40. 1940.

**თარხნიშვილი 1951:** Tarnishvili M. *Georgia*. Enciclopedia Cattolica. Firenze. 6. Città del Vaticano: 1951.

**თარხნიშვილი 1953:** Tarnishvili M. *Die heilige Nino, Bekehrerin von Georgien*. Analeeta Ordinis Sancti Basili Magni. Rom: 1953.

**თარხნიშვილი 1994:** თარხნიშვილი მ. *წერილები*. სერია: ქართული ეკლესიის ისტორია (მასალები და გამოკვლევები). კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო თ. ჭუმბურიძემ. I. თბ.: „კანდელი“, 1994.

**თურნავა 1979:** თურნავა ს. „შუმანიკის წამება“ ფრანგულად. „ნიგნის სამყარო“, 27.VI.1979, №12.

**კავკასიონი 1964:** „კავკასიონი“ IX. პარიზი: 1964.

**კავკასიონი 1967:** „კავკასიონი“ XII. პარიზი: 1967.

**ლაშაური 1958:** ლაშაური მ. *წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში*. მიუნხენი: 1958.

**სალია 1966:** Salia N. *Notice sur la conversion de la Géorgie par sainte Nino*: Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie. vol. XXI-XXII. Paris: 1966.



**შარაძე 1991:** შარაძე გ. *უცხოეთის ცის ქვეშ*. I, თბ.: „მერანი“, 1991.

**ყაუხჩიშვილი 2000:** *Santa Nino e la donna nel mondo bizantino*. `SANTA NINO E LA GEORGIA. Storia e spiritualita cristiana nel Paese del Vello d'oro“ [„წმინდა ნინო და საქართველო: ოქროს სანმისის ქვეყნის ისტორია და სულიერი კულტურა“. I საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები. გ. შურღაიას რედაქციით. რომი, 30 იანვარი, 1999 წ. (სერია: შუა საუკუნეები, 4). რომი: „ანტონიანუმი“, 2000].

**წერეთელი 1950:** წერეთელი მ. *უცხოეთის ქართველებისადმი*. „ბედი ქართლისა“, 1950, № 7.

**წულაძე 1978:** Tsouladzé S. *Traduction du martyre de sainte Chouchanik, du V<sup>e</sup> siècle, premier monument de la littérature géorgienne* “Bedi Kartlisa”. XXXVI. Paris: 1978.

**წულაძე 1983:** *Le Martyre de la Sainte Reine Chuchanik*, Traduit par S. Tsouladzé. // იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება. შემდგენელი და რედაქტორი ო. ეგაძე. თბ.: „ხელოვნება“. 1983.

**ჯანელიძე 1961:** *Die Apostelin Nino*. Eine georgische Legendengestalt. Herausgegeben von Nikolos Dschanelidse. Itzehoe in Hollstein. 1961.

**ჯვარი ვაზისა 1989:** „*ჯვარი ვაზისა*“, № 3, 1989.

## KETEVAN MAMASAKHLISI

*Georgia, Tbilisi*

*Tbilisi Spiritual Academy and Seminary*

### **Information about the Monastic Centers of Tao Klarjeti Preserved in the Archive Materials of St. Ekvtime Takaishvili**

The personal archive fund of St. Ekvtime Takaishvili is distinguished by a large variety of materials. It consists of five parts and one of them deals with creative works.

On one hand, the given materials guide us in following the path of St. Gregory of Khandzta, whereas on the other hand it makes us become partakers of the thoughts of St. Ekvtime.

**Key words:** *St. Ekvtime Takaishvili, St. Gregory of Khandzta, Tao Klarjeti*

## ქეთევან გამასახლისი

საქართველო, თბილისი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

### ნმ. ექვთიმე თაყაიშვილის საარქივო მასშალებში დაცული ცნობები ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კერების შესახებ

ნმ. ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედება სიძველეთა შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ესაა წყაროთმცოდნეობის, ეპიგრაფიკის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა თუ საქართველოს ისტორიის შესახებ დაუნჯებული ცოდნის კრებული, რომელიც უმეგზურებს ამ საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს. მიხეილ (მიხაკო) წერეთლის თქმით, „ექვთიმე სპეციალობით არც არქეოლოგი იყო, არც ხელოვნებათა დოქტორი, არც ისტორიკოსი, არც ქართული ფილოლოგიის სწავლული, მაგრამ იგი ამავე დროს ერთიც იყო, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. სიდიდე მისი სულისა სწორედ აქ არის, — მან თავისი ერის სამსახურისათვის ეს მეცნიერებანი თვით შეისწავლა. იგი იყო „მოხალისე“, „მოყვარული“, მაგრამ ნამდვილი ბატონი საქართველოს კვლევის ფართონიადაგზედ... იგი იყო განმგრძობი დიმიტრი ბაქრაძის, თავისი უფროსი თანამედროვის, თ. ჟორდანიასა და სხვათა ღვაწლისა, რომელთაც იგივე მიზანი ხელმძღვანელობდა მათი უანგარო, დაულალავი და ხანგრძლივი შრომის დროს“ (მწერეთელი 1954:8).

ნმ. ექვთიმეს მოღვაწეობის განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს ისიც, რომ ის იყო არა მარტო თეორიულად მოაზროვნე მკვლევარი, არამედ ამასთანავე პრაქტიკულად მოქმედიც. არქეოლოგებთან, ეთნოგრაფებთან, ფილოლოგებთან თუ მეცნიერების სხვა დარგების წრემომადგენლებთან უშუალო კავშირმა და ურთიერთთანამშრომლობამ მას თვალსაწიერი უფრო მეტად გაუფართოვა და იგი ერთდროულად მეცნიერების სხვადასხვა უბანზე ამუშავა.

ე. თაყაიშვილმა 1889 წლიდან 1921 წლამდე იმოგზაურა და შეისწავლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, წარწერები და ჯერ კიდევ ადგილზე დაცული ხელნაწერები. ასეთ საქმიანობას ის განსაკუთრებული ძალისხმევით დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ შეუდგა, როცა დაინახა, რომ ამ ძეგლებს სხვა გულშემატიკვარი და მკვლევარი აღარ ჰყავდათ და განადგურების საფრთხე ემუქრებოდათ. „თუ ძეგლი პირველად მის მიერ არის მიკვლეული და შესწავლილი (ასეთები კი ათეულობით შემატა მან მეცნიერებას), მას უფრო დანვრილებით ახასიათებს, ადგილს უძებნის წინამორბედთა

მიერ ზოგადად მოხაზულ კლასიფიკაციის სქემაში; ათარიღებს, ხშირად წარმატებით ცდილობს მშენებელთა ვინაობის დადგენას; თუ ძველი უკვე შესწავლილი და გამოქვეყნებულია, ფიზიკლად აჯერებს და ამონ-მებს აღწერილობას, წარწერათა ამოკითხვას; როცა საჭიროა, დაუ-რიდებლივ უსწორებს ძველ ავტორებს და ამრიგად ახალ სიმაღლეზე აღჰყავს ძველთა შესწავლის მეცნიერული დონე, განსაკუთრებით 1900-იანი წლების შემდგომ“ (ლომთაძე 2011:27).

წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა სამგზის იმოგზაურა „თურქეთის სა-ქართველოდ“ წოდებულ საქართველოს სამხრეთ ნაწილში, დამოუკიდებ-ლად თუ ექსპედიციის მონაწილეებთან ერთად მოინახულა და აღწერა ამ მხარის ეკლესია-მონასტრები თუ სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები, მათი თანმხლები წარწერები. ამასთან მან მოიძია თითქმის ყველა ლიტ-ერატურული თუ ისტორიული მასალა, ამ მხარეში მოღვაწე ისტორიულ პირებს თუ თავად ძეგლებს რომ ეხებოდა და ახლებურად განავრცო. ამ უმდიდრეს მასალათაგან ბევრი რამ გამოიცა, ბევრი კი დღემდე ელოდება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის მემკვიდრეობა 2120 საარ-ქივო ერთეულს მოიცავს. მისი პირადი ფონდი მასალათა მრავალფერ-ოვნებით გამოირჩევა. ის ხუთი ნაწილისგან შედგება. ამათგან ერთ-ერთი შემოქმედებით მასალებს მოიცავს. აღნიშნული შრომები შესრულე-ბულია სხვადასხვა ხელით, რომელთაგან ზოგს ავტოგრაფული ღირე-ბულება გააჩნია.

წმ. ექვთიმე თაყაიშვილის საარქივო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი ტაო-კლარჯეთის თემას ეხება. ამათგან ჩვენი ყურადღება სამმა მათგანმა მიიპყრო. პირველი მათგანს (№ 663) ეწოდება „ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მი-მოხილვა“, რომლის ნაწილი, აღწერილობის თანახმად, გადაწერილია ნ.ლოლობერიძის ხელით (კელენჯერიძე 1972: 125). ამავე ტექსტის ნაბეჭდ ვარიანტს ახლავს ე. თაყაიშვილს ხელით რუსულ ენაზე შეს-რულებული სხვადასხვა შინაარსის სქოლიოები, სადაც მკვლევარი ძალზე საინტერესო ცნობებს გვანვდის ტაო-კლარჯეთის ისტორიასა თუ ეთნოგრაფიაზე. აღნიშნული ტექსტი ჩვენს ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ მისი პირველი ცხრამეტი ფურცელი წარმოადგენს წმ. ექვთიმეს ავტოგრაფს.

№ 469 საარქივო მასალაში დაცული ცნობები თავიდან ბოლომდე წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას მოიცავს. მკვლევარი-მოგზაური ამ წმინდა მამის ცხოვრების გადმოცემისას ადგილ-ადგილ უთითებს გვერდებს. ის ასევე ტექსტის ზოგიერთ ადგილას საინტერესო და საყურადღებო კომენტარებს ურთავს წმ. გრიგოლ ხანძთელზე, მის მოწაფეებსა თუ იმ ისტორიულ პირებზე, რომლების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ..

„გრიგოლ ხანძთელი ხანძთისა და შატბერდისა მაშენებელი“, — ასე უწოდებს აღნიშნულ დოკუმენტს წმ. ექვთიმე თაყაიშვილი. ეს დოკუმენტი უთარილოა და შედგება 16 ფურცლისგან. დასაწყისში მითითებულია წმ. გრიგოლის დაბადებისა და გარდაცვალების წლები (დაიბადა 759, გარდაიცვალა 861 წ.).

უშუალოდ „ცხოვრების“ თხრობას ექვთიმე თაყაიშვილი იწყებს იმ მონაკვეთიდან, სადაც საუბარია წმინდანის ბავშვობაზე: „გრიგოლი იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა...“

ე. თაყაიშვილი დროდადრო უთითებს თხზულებიდან მოხმობილ გვერდებს. მითითება კი ხდება ძველი პაგინაციით, ანუ ასოებით. მაგ. გვ. ია მოგვითხრობს მარტვილთა და ბერ-მონაზონთა ღვაწლის შემსგავსებულობაზე. არის ისეთი შემთხვევები, როცა გვერდების დანომრვა ხდება ახალი პაგინაციით, ანუ რიცხვებით. გვხვდება ერთსა და იმავე ადგილას ორგვარი პაგინაციის შემთხვევებიც, თუმცა ისინი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ. იმ ადგილას, სადაც საუბარია გრიგოლისა და აშოტის პირველ შეხვედრაზე, მითითებულია გვ. ივ და იქვე 19. ანდა როცა გრიგოლთან გაგზავნილი კაცი აშოტის წინაშე აქებს ხანძთის ბუნებას, აქაც დანომრვა ორგვარია (გვ. იზ და 45).

იშხანზე საუბრისას ე. თაყაიშვილი მიანიშნებს მის პირველ მაშენებელზე: „დანგრეულნი შენობანი ნერსე კათალიკოსისა“.

საზოგადოდ, ე. თაყაიშვილის ენა მარტივია და უბრალო. იგი საუბრის დროს ხშირად იყენებს დიალექტურ მეტყველებას, როგორცაა: ნავიდენ, მოვიდენ და ა.შ.

კონკრეტულ ისტორიულ პირებზე საუბრისას ე. თაყაიშვილი აზუსტებს მათ ვინაობას. ასე, მაგალითად, აფხაზთა მეფე დემეტრეს შესახებ იგი დამატებით ცნობებს გვანდის და იქვე მისი ცხოვრებამოღვაწეობის წლებსაც უთითებს: „ეს დემეტრე აფხაზთა მეფე უნდა იყოს დემეტრე II (815-854).“

ძალზედ საინტერესოა მკვლევრის მითითება დედათა მეორე მონასტრის წარმოშობაზე. კერძოდ, როცა თხრობა ეხება დედა ფებრონიას დამკვიდრებას მერეს მონასტერში — „და დაემკვიდა მერეს შინა“, — ე. თაყაიშვილი იქვე ასკვნის: „ესე იგი გაჩნთა მეორე დედათა მონასტერი მერეს“.

ე. თაყაიშვილი ზოგჯერ მისეულ განმარტებას ურთავს ტექსტის ამა თუ იმ სიტყვასა თუ ფრაზას. მაგ. არსენის შემონაზვნებაზე საუბრისას: „არსენის ჩააცვეს მოწესეთა სამოსი“, — იქვე დაურთავს ასეთ განმარტებას: „ე.ი. საბერო ჩოხა“.

ე. თაყაიშვილის კომენტარი ახლავს ტექსტის იმ მონაკვეთს, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ მოილოცეს გროგოლის წინამძღოლობით ბაგრატიონებმა ეკლესია-მონასტრები და „მრავალი შესანიშნავი შეს-

წირეს ხელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან“. მკვლევარი იქვე განმარტავს სიტყვა „ერის“ მნიშვნელობას: „ყოველმან ლაშქარმან“.

წმ. ექვთიმე ღვთისკაცი წმ. გრიგოლის ცხოვრების ტექსტს ზოგჯერ ზედმინვნით გადმოსცემს, ზოგჯერ კი მის ცალკეულ მონაკვეთს პერიპრაზის სახით გვთავაზობს.

ძალზედ საინტერესოა აღნიშნული დოკუმენტი ამა თუ იმ თარიღის მითითების თვალსაზრისითაც. აღნიშნულ თარიღებს ე. თაყაიშვილი, ძირითადად, აშიაზე ურთავს იმ მონაკვეთის გასწვრივ, სადაც რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პირზეა საუბარი. მაგ. ბაგრატ კურაპალატთან მითითებულია +876 წელი, გუარამთან — +882 წ.

როცა საუბარი შატბერდის მშენებლობას ეხება, ე. თაყაიშვილი გვაუწყებს შემდეგს: „პიროველი მონასტერი შატბერდს ააშენა გრიგოლიმ ბაგრატ კურაპალატის შემწეობით(826-876)“. მსგავსი სახის შენიშვნები ხელნაწერის სხვ ადგილებშიც გვხვდება.

მკვლევრის ძალზე საინტერესო მსჯელობა ახლავს აშოტ კუხის (ერისთავთ ერისთავი) პიროვნებაზე საუბარს. საამისოდ მოხმობილია სათანადო ისტორიული მასალები. კერძოდ, შესაბამის ადგილას, აშიაზე, სპეციალური ნიშნით + მითითებულია შემდეგი განმარტება მკვლევრისა: „სუმბატის ისტორიით გურგენის ძე არა სჩანს აშოტ. გურგენის ძმა იყო აშოტ კეკელაჲ. ხოლო შეიძლება გურგენის შვილი იყო აშოტ კუხი, ერისთავთ ერისთავი, რომელიც გარდაიცვალა 915 წელს“. ტექსტის ცოტა ქვემოთ წერია: „დაჯდა ერისთავთ ერისთავად ძმისწული აშოტისი გურგენ და მან განასრულა ახალი ეკლესია ხანძთისა და მასთან ერთად ყოველთა დიდებულთა ხელმწიფეთა და აზნაურთა“. ტექსტის გასწვრივ, აშიაზე, სპეციალური მინიშნებით ვკითხულობთ: +) ნუთუ ეს გურგენი აშოტ კუხის ძმისწულია (916-941)?“. როგორც მოტანილი მაგალითიდან ჩანს, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოსაზრების სიტყვიერად გამოხატვას ამა თუ იმ პიროვნებასთან თუ მოვლენასთან დაკავშირებით ძალზე თხილად ცდილობს. იგი ხშირად სვამს კითხვის ნიშანს, ანდა ვარაუდის დონეზე გვანვდის.

მოცემულ დოკუმენტში ე. თაყაიშვილი ზოგჯერ საკუთარ, ზოგჯერ კი უკვე ცნობილ კომენტარებს ურთავს ამა თუ იმ მონაკვეთს „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისას“. მაგ. აწჩის საეპისკოპოსოზე საუბრისას აშიაზე მიაწინებებს: „აწჩის მნიშვნელობა“.

რაც შეეხება „სანელინდო იადგარს“, მასზეზე საუბრისას ე. თაყაიშვილი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ იგი გ. მერჩულის დროს ისევ ხანძთაში ყოფილა დაცული. მსგავსი ტიპის კომენტარები ზოგჯერ უშუალოდ ტექსტიცაა ჩართული.

ტექსტი სრულდება გრიგოლის მონაფეებზე: არსენზე, ეფრემზე, ეპიფანესა და იაკობ მძნაძორელზე საუბრით. მათ შესახებ თხრობა ძალზე დაკუმშულია. კერძოდ, მკვლევარი-მოგზაური წმ. გრიგოლის ცხოვრების ამსახველ ტექსტზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ „არსე-

ნიმ აკურთხა ძველი ეკლესია ხანძთისა, როცა გრიგოლი გარდაიცვალა 861წ; დაესწრო მის დასაფლავებას. 27 წელი იყო მცხეთის კათალიკოსად.

ეგრემი იყო აწყურის ეპისკოპოზი. მის დრომდე მირონი მოქონდენ იერუსალიმიდან. მან დააწესა მირონის კურთხევა საქართველოში. ის იყო ეპისკოპოზი 40 წელს და გარდაიცვალა ღრმა სიბერეში.

დიდი ეპიფანე სასწაულთმოქმედი იყო. მიძნაძორში იყო გამოჩენილი ბერი იაკობი“.

თავიდან ბოლომდე წმ. ექვთიმე თაყაიშვილის ავტოგრაფია მესამე დოკუმენტი (ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი 468): „ათორეტი კლარჯეთისა უდაბნონი“, რომელიც ამ მხარეში ეკლესია-მონასტრების წარმოშობასა და მათ დამაარსებლებზე მოგვითხრობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმ. ექვთიმემ სამგზის იმოგზაურა ამ მხარეში. საკუთარი თვალით ნახა თითქმის ყველა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი, რომელთა შესახებ მოგვიანებით გულისტკივილით აღნიშნა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვის. პირადად ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევს ამ საქმეს“.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ საარქივო დოკუმენტში (№ 468) წმ. ექვთიმე კლარჯეთის უდაბნოს მონასტრებზე საუბარს ქრონოლოგიურად ალაგებს და პირველად ოპიზის მონასტრზე მოგვითხრობს. მისი უწყებით, აღნიშნული მონასტერი უკვე VIII ს-ის ნახევარში ყოფილა ქართველთა მონასტერი. იგი „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „წმინდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით ასახელებს ოპიზის პირველ მაშენებლებს: ამონას, ანდრიას, პეტრეს და მაკარის.

ამავე ტექსტში საუბარია ორ წარწერაზე, რომელიც ოპიზაშია დაცული. ორივე მათგანში მოხსენიებულია აშოტ კურაპალატი. ამათგან პირველში, აშოტი მოხსენიებულია როგორც ოპიზის მეორედ მაშენებელი, ხოლო მეორეში, როგორც ტაძრის ამგებელი. აშოტის თანმხლები ფრესკული წარწერის თანახმად, ის (აშოტი) ყოფილა „მეორედ მაშენებელი ოპიზისა და წმიდისა ამის საყდრისა“. აღნიშნულ წარწერასთან დაკავშირებით მოჰყავს ექვთიმე თაყაიშვილს ნიკო მარის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეს წარწერა და, საზოგადოდ, ოპიზის ფრესკები XII-XIII სს. უნდა ეკუთვოდნენ. აშოტის დროს უნდა აგებულიყო ბაზილიკური ტიპის ტაძარი, რომელიც მოგვიანებით გუმბათიან ეკლესიად გადაუკეთებიათ.

ოპიზის მონასტრის მეორე წარწერა შესრულებულია სატრაპეზოს ერთ-ერთ თაღზე: „ესე მე აშოტმან დ წელსა გაავაშენებინე ანუ [გავაკეთებინე]“. ექვთიმე თაყაიშვილის მიხედვით, დ. ბაქრაძემ მოტანილი ზმნა ნაიკითხა, როგორც „ავაგე“. ნ. მარს აღნიშნული ფრესკა ვედარ

უნახავს, თუმცა, წმ. ექვთიმე თაყაიშვილის უწყებით, ზემოთ მოყვანილი წარწერა დღესაც დაცულია.

ოპიზის შემდგომ წმ. ექვთიმე საუბრობს ანჩაზე, რომელიც მის დროს სრულიად დანგრეული ყოფილა. ის აქვე საინტერესო ცნობებს გვანდის ანჩის ხატის შესახებ, რომელიც ამ ტაძრიდან გადაუტანიათ თბილისში. ექვთიმე ასახელებს მის მომჭედლებს: იოანე ანჩელ რკინაელს, ბექას და მის ცოლს, მარინეს, სახელებს, აგრეთვე, მათ შვილებს: მანდატურთუხუცეს სარგისს, ყვარყვარესა და შალვას, რომლებიც მოხსენიებული ყოფილან წარწერაში.

მკვლევარ-მოგზაურის თანახმად, ანჩის ხატი იოანე ანჩელ რკინაელს თამარ მეფის ბრძანებით მოუჭედავს. მისივე უწყებით, ანჩის ხატი მოგვიანებით შეუქმნია კათალიკოს დომენტი III-ს. ექვთიმესავე უწყებით, „თამარის დროს ანჩაში ყოფილა მთავარეპისკოპოსი თეოდორე, რომელიც ყოფილა ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი“.

აღნიშნულ დოკუმენტს აშიაზე დართული აქვს მკვლევარ-მოგზაურის შენიშვნა: „ამის დროს (იგულისხმება თეოდორე. ქ.მ.) სოფრომ მწიგნობარმა იყიდა სახარება წყაროსთავის და შესწირა ანჩის ღვთაების ხატს. ყდა ამისი გაუკეთებია ბექა ოპიზარს. ბექას მიერ არის გაკეთებული ყდები სახარებათა წყაროსთავისა, ბერთისა და უბისისა, ანჩის ხატი ტფილისისა.

წმ. ექვთიმესავე უწყებით, წყაროსთავის სახარება გადანერილია იოანე ლუკარელიძის (ეს უკანასკნელი სიტყვა დოკუმენტში ძალზე ცუდად იკითხება. ქ.მ.) მიერ, იოანე მტბევარის ბრძანებით, 1190 წელს. ამასვე 1161 წ. ახლო ხანში პავლე მტბევარის ბრძანებით, გადაუნერია ტბეთის სახარება“.

ამავე დოკუმენტში წმ. ექვთიმე ღვთისკაცი საუბრობს ხანძთაზე. მისი აზრით, ხანძთა დღევანდელი ნუკას საყდარია, თუმცა დღევანდელ მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმება ამგვარ იგივეობრივობას. ხანძთის ლოკალიზაციის ადგილად მათ განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

აღნიშნულ დოკუმენტში ე. თაყაიშვილის თხრობა ზედმინვნით მისდევს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტს, ის დაწვრილებით გადმოგვცემს ხანძთის ტაძრის შენების ისტორიას, ჩამოთვლის მის მაშენებლებს: წმ. გრიგოლ ხანძთელს, გაბრიელ დაფანჩულს, აშოტ კუხს, ამონას და ბოლოს, გურგენ ერისთავთ ერისთავს (+914წ.), რომლის დროსაც განსრულდა ახალი ეკლესიის შენება. ე. თაყაიშვილის თანახმად, აშოტ კუხი ხანძთაში ყოფილა დასაფლავებული. მისივე უწყებით, „ყველა ეკლესია ხანძთაში სიონურის გეგმისა არის. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება დაწვრილებით მოგვითხრობს ხანძთის ეკლესიათა შენების ამბავს“.

იმავე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, საუბრობს წმ. ექვთიმე თაყაიშვილი შატბერდის ტაძარსა და მის მაშენებელზე,



ბაგრატ კურაპალატზე (826-876), ასევე მის მეორედ მაშენებელზე, სოფრონ შატბერდელზე. მას ტაძრის საბოლოო განსრულების თარიღი (X ს-ის შემდგომ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შექმნის თარიღიდან (951 წ.) გამოჰყავს.

მოგზაური-მკვლევარი ასევე გვანჯდის საინტერესო ცნობებს ბერთას ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ. მისი უწყებით, ამ ეკლესიის მახლობლად ყოფილა პარეხი, სადაც მოღვაწეობდა მიქაელ პარეხელი, შემდგომ კი — ბასილი. ცნობა მიქაელ პარეხელის წარმომავლობის შესახებ მას ალბუღი აქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, რადგან „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ არსად არ უთითებს მის წარმომავლობას“ (კ.კეკელიძე 1980: 148). მსგავსად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა, აღნიშნულ დოკუმენტშიც მიქაელ პარეხელის შესახებ ვკითხულობთ: „ესე იყო შავშეთის ქვეყნისაგან, სოფლიდან ნორგალი-სა. მიძნადორას მონაზონ იქმნა და პარეხს დაემკვიდრა“.

მკვლევარ-მოგზაურის მიერ მოტანილი ცნობები ნაშრომში აღწერილი ტაძრების შესახებ ერთგვარი გზამკვლევა მათი გეორაფიული ადგილის ლოკალიზაციისათვის. მაგალითად, მიძნადორზე საუბრისას წმ. ექვთიმე ღვთისკაცი გვეუბნება, რომ ამ ტაძრის სახელწოდება სომხური სიტყვიდან მოდის და ქართულად შუახვეს ნიშნავს. მისსავე უწყებით, ეს მონასტერი აგებულია მერეს, პორტის, ხანძთისა და წყაროსათვის მონასტრებს შორის. ეს ეკლესია, როგორც ჩანს, ჯვარგუმბათოვანი ყოფილა, რომელსაც ჰქონია დიდი სატრაპეზო და სენაკები ძმათათვის. აღნიშნული მონასტერი ე. თაყაიშვილის დროსვე ცუდად ყოფილა შემონახული.

საარქივო ცნობების თანახმად, გაპარტახებული და სრულიად შემოძარცვული დახვდომია წმ. ექვთიმე ღვთისკაცს ჯმერკის ღვთისმშობლის ეკლესიაც, რომელიც იმერხევის პირზე, ჯმერკისხევში ყოფილა აგებული. მისი უწყებით, საკუთხევის ნაწილი სამეკვდერიანი უნდა ყოფილიყო.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ეყრდნობა წყაროსათვის, გუნათლეს, მერეს და ბარეთელთას შენების ისტორიაც. ამათგან ექვთიმე მერეს და გუნათლეს, მსგავსად 469 საარქივო მასალაში დაცული ცნობისა, მოიხსენიებს როგორც დედათა ორ მონასტერს. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ გუნათლე ანუ გუნათლის ვანის მდებარეობა გამორკვეული არ არის.

ე. თაყაიშვილის 468 საარქივო მასალის თანახმად, გაბრიელ დაფანჩულის მიერ გუნათლის მონასტრის დაარსების შემდეგ „მოიწია სამცხით სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფებრონია, დაემკვიდრა მერეს. ამ რიგათ გაჩნთა მეორე დედათა მონასტერი“. წმ. გრიგოლის ცხოვრებაზევე დაყრდნობით, წმ. ექვთიმე თაყაიშვილი ახსნას უძებნის იმ მიზეზსაც, თუ რატომ ინიშნებოდა მერეს დედათა მონასტრის წინამძღვრად ხანძთელი მღვდელი. „ფებრონია და გრიგოლ



ხანძთელი მეგობარ იყვნენ ფრიად და ხუცესი მერისაჲ ხანძთით ინიშნებოდა“.

მკვლევარი-მოგზაური მერეს ადგილ-მდებარეობასაც გვაუწყებს, მისი უწყებით, „მერე მიძნადორის მახლობლად მდებარეობს“.

წმ. ექვთიმესავე უწყებით, წყაროსთავის მაშენებელი ილარიონი „ემდგომ მცხეთის კათალიკოსი იყო“. ეს ეკლესიაც ჯვარგუმბათოვანი ყოფილა. მოგზაურობის დროს მას ამ ადგილას უნახავს მშვენივრად დაცული სატრაპეზო და დიდი შენობები.

რაც შეეხება ბარეთელთას, 468 საარქივო მასალაში მის მაშენებლად მოხსენიებულია წმ. გრიგოლის მონაფე ზაქარია.

აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია ასევე მოგვიანო ხანის ტაძრებზე: დოლისყანაზე, ტბეთზე, სვეტსა და ბერთაზე. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით წმ. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ეპოქასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულმა ტაძრებმა მიიპყრო, რათა ერთხელ კიდევ გაცოცხლებულიყო ის ეპოქა, როცა ეს უდიდესი მამა და საქართველოს ეკლესიის მნათობი მოღვაწეობდა.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო ფართო პროფილის ქართველოლოგი. შეუფასებელია მისი ღვაწლი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შეკრების, დაცვისა და მეცნიერულად აღწერის მხრივ. მის მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალები დღემდე არ კარგავს თავის დანიშნულებას და ერთნაირად საყურადღებოა როგორც ფილოლოგებისათვის, ისე ისტორიკოსებისა, ეთნოლოგებისა თუ უბრალოდ აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული მკითხველისათვის. მისმა „აღწერილობამ“ თავისი მიზანი შეასრულა და იგი სცილდება აღწერილობათა ჩვეულებრივ ფარგლებს (ბარამიძე 1968: 8).

წმ. ექვთიმე თაყაიშვილის საარქივო მასალებში დაცული დოკუმენტები, ვფიქრობთ, ერთი მხრივ, გვინინამძღვრებს წმ. გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე სვლისას და, მეორე მხრივ, ჩვენი დროის მეჭურჭლეთუხუცესის, წმ. ექვთიმე ღვთისკაცის ნაფიქრალის თანაზიარსაც გაგვხდის.

### **ღამონიშნები:**

**ბარამიძე 1968:** ბარამიძე ა. ექვთიმე თაყაიშვილი. *რჩეული ნაშრომები*. ნაწილი 1. მასალები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ა. ბარამიძემ. თბ.: „მეცნიერება“, 1968.

**კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია* (V-XVIII სს.). თბ.: „მეცნიერება“, 1980.

**კელენჯერიძე 1972:** კელენჯერიძე ე. *აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი: აღწერილობა*. თბ.: „მეცნიერება“, 1972.

**ლომთაძე 2011:** ლომთაძე გ. *ექვთიმე თაყაიშვილი დიდი ქართველები*. თბ.: „საქპრესა“, 2011.

**წერეთელი 1954:** წერეთელი მ. *ექვთიმე თაყაიშვილი*. „ბედი ქართლისა“, №16, პარიზი: 1954.

**IRINA NATSVLISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**“History with Accents in Literary Discourse”**

(according to T.Papava’s literary portraits)

According to the genre Tamar Papava’s cycle of essays are historical and literary portraits with peculiarities of artistic structure typologically characteristic to them. The author skillfully matches specially obtained documentary materials to literary-analytical discourse which with an impressive figurative system excite specific emotions in the reader. The author’s aim is to highlight significant accents for the present by means of history reconstruction with retrospective vision of the past.

T.Papava focuses her attention on some important nuances. These “Portraits” as a part of Georgian emigrant literature, literary discourse marked with the stamp of an acute national feeling which against the background of the past experience serves the future of the nation.

*Key words: portraits, literary discourse, history reconstruction.*

**ირინა ნაცვლიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

**ისტორია აქცენტებით ლიტერატურულ დისკურსში**

**(თ. პაპავას ლიტერატურული პორტრეტების მიხედვით)**

ქართველი ხალხისთვის ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ემიგრაცია ისტორიული ზედის სამწუხარო ნაწილად იქცა, XX საუკუნის 20-იანი წლების ახალმა ქართულმა სინამდვილემ კი კიდევ ერთხელ და არანაკლები სიმწვავეთ წარმოაჩინა მისი აუცილებლობა. ხანმოკლე, სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის დატოვება, პოლიტიკოსების გარდა, ინტელიგენციის ნაწილსაც მოუხდა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ეროვნულ ღირებულებათა გადაფასება და ბოლშევიკურ რეჟიმთან უპირობო შეგუება. თუმცა, სხვა სივრცეშიც, მძიმე პირობებში, ქართველები ტრადიციულად ინარჩუნებდნენ და უფროხილდებოდნენ ენას, კულტურას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ თუ ისტორიულ იდეალებს და კიდევ უფრო მეტადაც აღვივებდნენ მათ, რათა უცხო

ქვეყნებში გაურკვეველი ვადით შეხიზნულებს და მათ შთამომავლებს ახალ გარემოში არ დაეკარგათ სამშობლოს სსოვნა და ადეკვატურად გაეცნობიერებინათ საკუთარი მოვალეობა. სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი თამარ პაპავას ნარკვევთა ციკლი, რომელიც 1937-1956 წლებში რამდენიმე წიგნად გამოიცა პარიზსა და ბუენოს-აირესში („დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ — 1937 წ. პარიზი, 1951-1953 წწ-ში ბუენოს-აირესში ამ წიგნის მეორე ნაწილად მოაზრებული სამი ნარკვევი („დარეჯან დედოფალი“, „იმერეთის დედოფალი მარიამ“ და „გურია და დედოფალი სოფიო“) და ციკლის უკანასკნელი ნაწილი, აკაკი პაპავას თანაავტორობით — „მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველო-სი“, ბუენოს-აირესი, 1956).

უანობრივად ეს ნარკვევები ისტორიულ-ლიტერატურული პორტრეტებია, ტიპოლოგიურად მათთვის დამახასიათებელი მხატვრული სტრუქტურის თავისებურებებით. მათი კომპოზიცია თავისუფალია, თუმცა ეყრდნობა სინამდვილეს და არა გამონაგონს. ავტორი საგანგებოდ მოძიებულ დოკუმენტურ მასალებს ოსტატურად უხამებს ლიტერატურულ-ანალიტიკურ დისკურსს, რომელიც შთამბეჭდავი სახეობრივი სისტემით განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს მკითხველში. ავტორის მიზანიც ეს არის — ნარსულის რეტროსპექტული ხედვით, ისტორიის რეკონსტრუქციით თავისი თანამედროვეებისთვის მნიშვნელოვანი აქცენტები გამოკვეთოს.

შემთხვევითი არ არის, რომ ყველა პორტრეტი რუსეთის მიმართ „ამაყ მკერდ ქვეშ მალაღიზიდაგუბებულ“ ქართველ ქალებს წარმოაჩენს (იქნებთან ესენი მეფე ერეკლეს მეუღლე, ქალ-რძალნი და შვილიშვილები თუ დასავლეთ საქართველოს ბატონიშვილები და წარჩინებული ბანოვანნი) და იმ „შავი“ ეპოქის ჩარჩოში თავსდება, რომელიც რუსული იმპერიალისტური აგრესიის შედეგად საქართველოში XIX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო და დაუცხრომელი წინააღმდეგობის თანხლებით თითქმის ნახევარ საუკუნეს გასტანა. ამდენად, პერსონაჟთა ამ მშვენიერი გალერეით თ. პაპავა თითქოს თავს უყრის უკანასკნელ წარმომადგენლებს იმ ქართველ ქალთა კრებულისას, რომლებმაც, პირველი წიგნის წინასიტყვაობის ავტორის, ექვთიმე თაყაიშვილის, თქმით, განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართულ ისტორიაში, თუმცა ეს როლი მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე შეინარჩუნეს ( პაპავა 1990: 8). როგორც ჩანს, ნ. ბარათაშვილივით ისიც ფიქრობს, რომ „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!“ (ბარათაშვილი 1968: 150 ). უდავოდ, „ექსორიაქმნილი“ თუ „ნებაყოფლობით“ ემიგრაციაში მყოფი დიდებული ქართველი ბა-

\* ერთგან თ. პაპავა აღნიშნავს: „...საუკეთესო ნაწილი და აქტიური წევრნი მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრებისა, თვითონ სტოვებდენ საქართველოს და დედოფალთან და ბატონიშვილებთან ერთად „ნებაყოფლობით“ ექსორიაში მიდიოდენ...

ნოვენების მაგალითით საუკუნის შემდეგ მათი ბედის მოზიარე შთამომავლების გენეტიკური იმპულსების გამოღვიძება იყო კიდევ თ. პაპავას მხატვრული ჩანაფიქრის ერთი ნაწილი, მაგრამ, ვფიქრობთ, „პორტრეტების“ ავტორის მიზანი გაცილებით მასშტაბურია. აქცენტები, რომელთაც ის ისტორიის კონტექსტში სვამს, მის თანამედროვე სრულიად ქართულ საზოგადოებას მიემართება. ახალი დროის მოვლენებიც ხომ იმ ეპოქის ლოგიკური გაგრძელება იყო, როცა „ჩრდილოეთიდან მონოლილმა ღრუბელმა“ (პაპავა 1990:25) დააბნელა ქართული სახელმწიფოსა და ქართველი კაცის ღირსება. მართალია, სხვადასხვა მიზეზთა გამო ვითარება ზოგჯერ შეუძლებელს ხდის „ბრძოლის ყიფინაზე გადასვლას“ (პაპავა 1990: 15) თუ „აჯანყების დროშის აფრიალებას“ (პაპავა 1990: 15), მაგრამ მთავარია, „ერთის ნუთითაც“ არ შეურიგდე „საქართველოზე უცხო ძალის გაბატონებას და ამ მოპატიჟებულ სტუმარს, რომელსაც ერთმორწმუნე პატარა ხალხისათვის რაინდული მფარველობა უნდა გაენია და რომელმაც ნამდვილად მისი სახლი მთლად მიისაკუთრა“ (პაპავა 1990: 15).

თ. პაპავას ლიტერატურულ პორტრეტებში მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება „დიდი რუსეთის „რაინდობის“ ილუზიებით ჰყრობის“ (პაპავა 1990: 17) ტრაგიკული შედეგები და იმპერიის რეალური პოლიტიკის „თეთრ პარიკებისა და უფრო თეთრ პუდრის ქვეშ“ დაფარული ნამდვილი სახე (პაპავა 1990: 16), რომელსაც „პირმოთნეობა და დაფარული ზრახვა... ახსიათებდა“ (პაპავა 1990: 16). მარიამ დედოფლის შესახებ თხრობისას რუს ისტორიკოსთა წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1783 წელს, ტრაქტატის დადებისას, იგრძნობოდა, რომ „კასპიის ზღვიდან მონოლილ რუსეთის ძალას საქართველო დასაყრდენ ძალად ეჭირვებოდა; რომ რუსეთს „ქრისტიანობის დაცვა“ საქართველოში განმტკიცებისათვის ჰქონდა მოტანილი, რათა აქედან სპარსეთის გზით მდიდარ ინდოეთში შეჭრილიყო და ამ სავაჭრო გზას მტკიცედ დაპატრონებოდა... ეს იყო ოცნება, რომელსაც დიდი ხანია უკვე ელოლიავებოდა ჯერ კიდევ პოტიომკინის დროს რუსეთის ჯარი“ (პაპავა 1989: 13). ნელ-ნელა იმპერიას მაღა კიდევ უფრო მოემატა და როგორც თ. პაპავა წერს: „მრავალ საუკუნეთა მანძილზე სათაყვანებელი ემბლემა: ივერთა ჯვარი ვაზ“ მისთვის „მარტო გარეგნული საფარი იყო, რათა ეს უძველესი სახელმწიფო ყველა მისი ჯვრებით და ხატებით დიდი რუსეთის პროვინციად გარდაექცია. და თუ მას ვინმე მოაგონებდა ამ მასპინძლის მოპატიჟების „ქრონიკებს“, კახური ღვინით გალემილი რუსის მოხელე თავისებურად შეუკურთხებდა გულუბრ-

---

ამათ არ სურდათ ერის ბელადების დატოვება და რუსეთის წინაშეც მარტო ეს საშუალება დარჩენოდათ პროტესტის გამოსახატავად: — თქვენ მიერ „დახსნილ, გაბედნიერებულ“ საქართველოში ყოფნას, გვირჩევნია ჩვენს გადასახლებულ ბატონებს თან ვეახლოთ...“ (პაპავა 1990: 28).

ყვილო მასპინძელს და ვაზის ჯვრის ხსოვნის აღმოსაგდებად ხმლით გადაუჩეხდა მწვანე ზვრებს“ (პაპავა 1990: 45).

თ. პაპავას მიერ ასე ემოციურად წარმოსახულ ტრაგიკულ რეალობას ნებით თუ უნებლიეთ, რა თქმა უნდა, ქართველებმაც შეაშველეს ხელი. ამ მხრივ ლიტერატურულ პორტრეტებში აქცენტები მიმართულია არაერთი საგულისხმო ფაქტისკენ, იქნება ეს ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, ზედმეტი გახსნილობა და მიამიტობა დიპლომატიური მიმონერისას თუ კიდევ უფრო დამღუპველი — ქვეყნის „პოლიტიკური სხეულის დაქუცმაცება“, როცა „ცალკეული პროვინციები... აღარაფრად სცნობდნენ ცენტრალურ მმართველობას და მეფის ავტორიტეტს“ (პაპავა 1989: 22) და ბრძოლა ტახტისთვის, რომელიც გაიმართა სამეფო ოჯახში ორ ფრთას შორის; ერთ მათგანს სათავეში დარეჯან დედოფალი ედგა, რომელიც თავისი ვაჟის, იულონის, გამეფების მცდელობით უპირისპირდებოდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიციულ პრინციპს და, შესაბამისად, გიორგი მეფის ვაჟს, დავით ბატონიშვილს. რა იყო ყეშმარიტი მიზეზი ამ ბრძოლისა — მეფის გვირგვინი თუ პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, რომელსაც დარეჯან დედოფლის ფრთა ისევ ძველი, ნაცადი მტრის, მაჰმადიანი მეზობლის სასარგებლოდ აკეთებდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარმა ვითარებამ, როგორც სხვა დროს, აძვერდაც ჩიხში შეიყვანა ქართული სახელმწიფო, საიდანაც გამოსვლა დასუსტებულ ქვეყანასა და ხელისუფლებას, ფაქტობრივად, უკვე აღარ შეეძლო.

თ. პაპავა ცხადად მიანიშნებს ქართული დიპლომატიის სისუსტესა და ქართველ ელჩთა თუ საგანგებო წარგზავნილთა მიამიტობაზე: „...ჭავჭავაძე, ფავლენიშვილი და ავალიშვილი, მძიმე ღრამოტანი აქეთიქით რო დაჰქონდათ, სრულებით ვერ ამჩნევდნენ, რომ იმათ თვალის ასახვევად დაატარებდნენ და წყალობათა ნამდვილი ღრამოტები კი კნორრინგს პირდაპირ მისდიოდა „ლინიაზე“ და კოვალენსკის ტფილისის სასახლის კარზე, საცა ის მოუთმენლად ელოდა მეფე გიორგის მე-13-ის სიკვდილს“ (პაპავა 1990: 16). ამას დაერთო ზოგიერთი დიდებულისა თუ უშუალოდ სამეფო ოჯახის გარემოცვის ღალატი. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არაერთ ქართველს მოეძალა „ორდენების ბრჭყვიალებისა“ და „სახაზინო ხარჯზე“ შვილების აღზრდის (პაპავა 1990: 47) ხიბლი. თ. პაპავა რამდენიმე მათგანზე ამახვილებს ყურადღებას. მათ შორის არის, მაგ., მირმანოზ ერისთავი, რომელიც რუსეთს მოკავშირედ ჰყავდა მთიულეთის აჯანყების დროს, აგრეთვე — დიმიტრი ორბელიანი, რუსი ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილ „პატაკებში“ „სვოლოჩებს“ რომ უწოდებდა ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგულებს და დაუნდობლად დევნიდა მათ. რენეგატმა ქართველებმა ჩაუგდეს ხელში რუსებს იმერეთისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე

მტკიცე ბასტიონი — „მოდინახეს“ ციხეც, რომელსაც შეუპოვრად იცავდა ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე — ეკატერინე აბაშიძე; „პორტრეტების“ ავტორი აღნიშნავს: „...გრიგოლ წერეთელი... ყოველნაირ დახმარებას უწევდა მაიორ პრიზილევსკის რაზმს, რომელსაც „მოდინახე“-ს სარდალი ქალი უნდა დაემორჩილებინა... მაგრამ ყველაზე მეტი უნარი ეკატერინეს დაყოლიების საქმეში და საერთოდ „მოდი-ნახე“-ს უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებისათვის გამოიჩინა თავ. გიორგი ამილახვარმა, რომელიც ტორმასოვმა დიდის ნდობით აღჭურვილი, ელიზბარ ერისთავთან და ზაალ ამირეჯიბთან ქართლიდან იმერეთში გადმოგზავნა იქაურ ურჩ თავად-აზნაურთა „მოსაქცევად“ (პაპავა 1990: 154). ამასთანავე, „...ალექ. ბატონიშვილის ხმალი ქსნის ერისთავებმა გადაამტკვრიეს და თან მისი მარჯვენა ხელი: იულონი და ფარნაოზ ბატონიშვილები შეკოჭილნი ღენერალ ციციანოვს მიჰგვარეს...“ (პაპავა 1990: 95). ეს ის ციციანოვია, რომელმაც ყველაზე დიდი როლი შეასრულა „საქართველოს განგვირგინებაში“. ამ კაცმა, „სახელოვანის ქართულის გვართ და გარუსებულის ბუნებით“ (პაპავა 1989: 2) „რკინის ხელით დაიწყო საქართველოს სხეულის დაშლა“ (პაპავა 1990 : 25). „ვინ იცის — შესძლებდა უმისოდ რუსეთი მოტყუებული საქართველოს მტკიცედ დანარჩუნებას? — გვგონია, რომ ვერა“- აღნიშნავს თ. პაპავა (პაპავა 1990: 28). მას, როგორც იმავე იმპერიალისტური ძალის მიერ ახალ ეპოქაში ემიგრანტად ქცეულს, თითქოს არც უყვირს, რომ ეს „ციციანოვი რუსეთმა ჩვენს საამაყო და წმინდათა-წმინდა ისტორიულ სიონში დაჰფლო რუსულის ძეგლით და რუსულის წარწერით... და რუსეთი არ გაანითლა ამ ამბავმა“ (პაპავა 1990: 28).

ლიტერატურულ პორტრეტებში თ. პაპავა ახალ ეპოქასა და ვითარებაში ერის ისტორიული მესხიერებისათვის კიდევ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოსწევს საფიქრალად და განსასჯელად, მაგ., საქართველოს სომხების არაადეკვატურ, მოღალატურ ქმედებებს ქვეყნისთვის ამ საბედისწერო, „მწუხრის“ უამს. როგორც მარიამ დედოფლის შესახებ ნარკვევშია აღნიშნული, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის მეფობაში „სომხობა, არღუთაშვილის და ბებუთაშვილის ირგვლივ დარაზმული, რუსეთს აგულიანებდა“ (პაპავა 1989: 64), ხოლო ავადსახსენებელ 1801-ში „თბილისის სომხობამ შეუდარებელის ზეიმით, სრულიად სომხეთის კათალიკოსის, იოსებ არღუთინსკის მეთაურობით (74 მღვდლით, 8 არქიმანდრიტით და უამრავ სომხობის თანა დასწრებით), საქართველოს უძველეს სახელმწიფოს მოსპობის გამო დიდი პარაკლისი გარდაიხადა...“ (პაპავა 1989: 80). რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მათ საკუთარი ინტერესი ამოძრავებდათ, რასაც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ასე სიამოვნებით წაახალისებდა რუსეთის ვერაგი იმპერია. პეტერბურგი ჯერ კიდევ 1799 წელს საგანგებო ინსტრუქციით ავალებდა მინისტრ კოვალენსკის, რომ „განსაკუთრებული მზრუნველობა



გამოეჩინა სომხობისადმი, და საქართველოში მათი კოლონიზაციისათვის ყოველგვარად შეეწყო ხელი“ (პაპავა 1989: 84), თუმცა, ნარკვევშივე ვკითხულობთ: „... სამართლიანობა მოითხოვს... აღვნიშნოთ, რომ იმ ერთგულების ტრადიციას, რასაც სომხის ერი საქართველოს ტახტისადმი ძველადვე იჩენდა, მომხრენი ჯერ კიდევ არ გამოლეოდენ“ (პაპავა 1989: 80).

თ. პაპავას ლიტერატურულ პორტრეტებში ცხადად არის ნაჩვენები ისიც, თუ როგორ მოსპო და დაანგრია რუსულმა პოლიტიკამ არა მხოლოდ ქართული სახელმწიფო, არამედ ტრადიციული ქართული ფასეულობებიც: „ინყებოდა ფულის ბატონობის ხანა, ჰქვებოდა რაინდობის ეპოქა და მასთან გადაბმული ძველი კეთილდღეობა“ (პაპავა 1989: 117). რუსის „... მოხელეებმა ქვეყანა საკუთარ „ვოტჩინად“ ჩასთვალეს და ფაქტიურად დაიმკვიდრეს განუსაზღვრელი უფლება ხალხზე და მის ქონებაზე“ (პაპავა 1989: 119). „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაიქსაქსა და დაჩიავდა... რუსეთის ორი-სამი ათეული წლის ბატონობამ დაარბია და გაანიავა ქართული კერა; აბუჩად აიგდო საუკუნოებით დაგროვილი კულტურული და ნივთიერი დოვლათი საქართველოსი და უნიჭო და უვიცა რუს მოხელეთა საჯიჯგნად გახადა მისი ეროვნული სხეული“ (პაპავა 1990: 81).

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის კვალობაზე, ცხადია, რომ ემიგრანტი ავტორის ლიტერატურული პორტრეტების ანალიტიკურ თუ ემოციურ დისკურსს ძირითადად განაპირობებს „მაღალი ზიზლი“ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის მიმართ, რომელსაც თ. პაპავას ნიგნების გამოცემის დროისათვის უკვე საუკუნე-ნახევარი დაუწოდებლად ატარებდა ეს ქვეყანა საქართველოში. სიძულვილი რუსეთის მიმართ და წარსულის მოვლენათა ანალიზი თ. პაპავას ერთგვარად თითქოს XIX საუკუნის იმ ქართველ მამულიშვილთა მხარეს აყენებს, რომლებიც მაჰმადიან მეზობლებთან „ლოიალურ განწყობილების დაცვით და მათ ინტერესთა წინააღმდეგობაზე მუდმივი თამაშით“ (პაპავა 1990: 19) ახერხებდნენ ერის სუვერენიტეტის შენარჩუნებას. ვინ იცის, იქნებ XX საუკუნის დიქტატორული რეჟიმის გადმოსახედიდან ეს გზა უფრო სასურველად მოჩანდა?! ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ნარკვევთა დიდი ნაწილი სწორედ 30-იან წლებში იწერებოდა, როცა საქართველოში მთელი სისასტიკით მძვინვარებდა ბოლშევიკური რეპრესიები.

სამწუხაროდ, თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც პატარა საქართველოს მსოფლიოს დიდ „მოთამაშეთა“ გარემოცვაში კვლავ „ბუნვის ხიდებით“ უწევს სიარული. „სამყარო სკოლაა, ისტორია კი — პედაგოგიური პროცესი“. ამ პროცესში მოკრძალებით „პატარა ჩარჩოებში“ ჩასმული ლიტერატურული პორტრეტების პერსონაჟთა „აჩრდილები“, თ. პაპავას მხატვრული ჩანაფიქრით, „ბრწყინვალე ანდერძით გვევლინებიან“ (პაპავა 1989: 2).

## დამოწმებანი:

**ბარათაშვილი 1968:** ბარათაშვილი ნ. *თხზულებანი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1968.

**პაპავა... 1989:** პაპავა თ., პაპავა ა. *მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1989.

**პაპავა 1990:** პაპავა თ. *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში*. თბ.: საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1990.

## NESTAN RATIANI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### V. Nozadze's Research an Rethinking the Word "Peri" in Rustaveli's Poem

In his fundamental monograph V. Nozadze notices that despite of acknowledged opinion that the word "peri" (sc. color) describes actual color the term also has several meanings and it needs to be explained. According to the findings of V. Nozadze in this article I will focus on and explain philosophical meaning of above-mentioned word in the third line of the first stanza of Rustaveli's poem and suggest re-reading of the first stanza of the poem in the context of Aristotle's "Metaphysics". In my opinion certain aspects of Aristotelian philosophy, especially discourse about potentiality and actuality is manifested in the poem.

**Key words:** V. Nozadze, "peri" (sc. color), "The Man in the Panther's Skin"

## ნესტან რატიანი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“ და სიტყვა „ფერის“ ხელახალი გააზრებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ცოდნის გადაცემის გზაზე ენა რომ ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია, ამაზე დიდი ხანია, რაც აღარავინ დაობს. თუმცა, ისევე როგორც ცოდნის მიღების სხვა იარაღებს, ენის არასწორად გამოყენებასაც შეუძლია, შეცდომაში შეიყვანოს დიალოგის მონაწილენი. ამიტომაც



არის, რომ, მნიშვნელოვანი აზრის გადმოცემისას, ყველა წარმოთქმულ თუ დაწერილ სიტყვას ასეთი რუდუნებით ვარჩევთ, რადგან ვიცით, რომ არასწორად გამოყენებული სიტყვა არასწორად გადმოსცემს ჩვენს აზრს და მსმენელიცა და მკითხველიც განსხვავებულად გაიგებს სათქმელს. ამგვარი დაკვირვებები გახდა იმის საწინდარი, რომ მეცნიერები უძველესი დროიდან იკვლევდნენ ენას, როგორც ცოდნის გადაცემის ერთ-ერთ იარაღს. საბოლოოდ კი ისინი ერთ რამეზე შეთანხმდნენ, თუკი ორი ან მეტი ადამიანი ფლობს საერთო ენას და ეს ჯგუფი მას კომუნიკაციის საშუალებად იყენებს, ჯგუფის წევრებს შორის დიალოგი არ შედეგება, თუკი ისინი რამდენიმე წესს არ დაიცავენ. მაშინაც კი, როცა სიტყვებს სწორად გამოიყენებენ, ამ წესების დაცვის გარეშე ისინი მიიღებენ „არა-ენას“ და მათ შორის კომუნიკაცია არ შედეგება. ენისა (language) და „არა-ენის“ (non-language) განსხვავებებზე საუბრისას მკვლევარები სამ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს გამოყოფენ. ეს განმასხვავებელი ნიშნები ენის მახასიათებლებიცაა, შესაბამისად, ენის სამ მახასიათებლად შემდეგი ნიშნები ითვლება: 1. ნებისმიერი ენა მართულია გარკვეული წესებით (rule-governed), ე. ი. ნებისმიერი ენა ექვემდებარება რაღაც გრამატიკულ ნორმებს; 2. ნებისმიერი ენა არის მოფიქრებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ — წინასწარგანზრახული (intended); 3. ნებისმიერი ენა არ იკეტება უკვე არსებულ სისტემაში და როგორც ყველანაირი ცოცხალი ორგანიზმი, ისიც ცვილებებისადმი არის მიღრეკილი (open-ended), სხვაგვარად ენა „მოკვდება“. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ იმისათვის რომ მთხრობელმა მსმენელს სათქმელი გააგებინოს ისე, როგორც ეს მას სურს, მან წინასწარ უნდა იცოდეს, რისი გაგებინება უნდა, შესაბამისად, თუკი მე თქვენ ავეჯზე გელაპარაკებით, ხილის ჩამოთვლას და ცხოველთა დაახელებას არ დავინყებ, არამედ ავეჯთან დაკავშირებული ლექსიკით ვისარგებლებ. თანაც ამ სიტყვებს ლექსიკონში მითითებული საწყისი ფორმით კი არ ვიხმარ, არამედ შევათანხმებ მათ გარკვეული წესების მიხედვით ერთმანეთთან, ფორმებს ერთმანეთს შევუწყობ. თუკი აზრის უკეთ გადმოცემა მომთხოვს, შეიძლება, რაღაც წესები დავარღვიო კიდევ და ახალი, თუნდაც იმ მომენტში საჭირო, ერთჯერადი წესი შემოვიტანო ან რაღაც ახალი ლექსიკური ერთეული შევქმნა, რომელიც ან დამკვიდრდება ენაში ან — არა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ ამ სამი მახასიათებლის დაცვით და გათვალისწინებით შევძლებთ, მე და თქვენ, მთხრობელმა და მსმენელმა ერთმანეთს გავუგოთ.

განსაკუთრებით რთულად მაშინაა საქმე, როდესაც საქმე თარგმანს ეხება. როგორც ვიცით, ხშირ შემთხვევაში მთარგმნელი ცდილობს, რომ აზრი გადაიტანოს ზუსტად, ხოლო დედანში არსებული მხატვრული საშუალებები შეუსაბამოს მეორე ენაში არსებულ მხატვრულ საშუ-

ალებებს. ვერავინ გადაიტანს ზუსტად იდიომებს, სლენგს და სხვა მხატვრულ საშუალებებს მეორე ენაში. ხშირად პოეტები არღვევენ ენობრივ ნორმებს, ლექსის მუსიკალურობის გაძლიერების მიზნით დროებით ივიწყებენ გრამატიკას, და ჩვენც, მკითხველები მათ ვპატიობთ იმას, რასაც სხვას ჩვეულებრივ მეტყველებაში შეცდომად ჩავუთვლიდით. ასეთი, ზოგჯერ მცირე და ზოგჯერ დიდი, შეცდომები მრავლად მოიპოვება ნებისმიერი ერის პოეზიაში, თითქმის ყველა პოეტის ქმნილებაში. მაგრამ ასეთი, ზოგჯერ მცირე და ზოგჯერ დიდი, შეცდომების თარგმნა და გადატანა მეორე ენაზე არ ხერხდება, რადგან შეცდომის გადატანით ვერ ვიღებთ ადეკვატურ მხატვრულ ეფექტს, ისეთს, როგორც დედანშია. არადა, ასეთი შეცდომის უგულებელყოფით, მეორე ენაზე ტექსტის გადატანისას, მთელი ის ხიბლი იკარგება, რასაც ორიგინალში წაკითხვა აღგვიძრავს ხოლმე.

ასეთი გრძელი შესავალი იმის გამო დამჭირდა, რომ სწორად აღიქვათ ჩემი ერთი ექსპერიმენტი, რომელსზედაც ახლა ვიამბობთ. რამდენიმე ზაფხულია, რაც თბილისში ჩამოდის პროფესორთა და სტუდენტთა მცირე ჯგუფი სეინტ ჯონს კოლეჯიდან და ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთან ერთად სემინარებს ატარებს. სეინტ ჯონს კოლეჯი ორიენტირებულია დიადი წიგნების კითხვაზე. ოთხი წლის მანძილზე სტუდენტები კითხულობენ უშუალოდ ტექსტებს და ასე სწავლობენ სხვადასხვა საგანს. მაგალითად, მათემატიკის კლასში ევკლიდეს ეცნობიან, ასტრონომიის კლასში — პტოლემეოსს, ფიზიკაში — პასკალს, ბიოლოგიაში — დარვინს, ფილოსოფიაში — პლატონს და ა. შ. მათი სახელმძღვანელოები უშუალოდ ავტორის ტექსტებია. ამგვარი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ პროფესორებიც (სეინტ ჯონსში მათ ტუტორები ჰქვიათ) და სტუდენტებიც თითქმის თანაბარ მდგომარეობაში არიან და მათ საერთო მასწავლებელი — ავტორი — ჰყავთ. ასეთ დროს ენას და თარგმანს ძალიან დიდი მნიშვნელობა ეკისრება და სტუდენტებსაც მუდმივად უხდებათ დედანში ჩახედვა, რათა გაარკვიონ, ხომ არ დაიკარგა სათქმელი ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანისას.

ერთ-ერთ ზაფხულს ამ ჯგუფთან ერთად სემინარებზე გადავწყვიტეთ „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ამ სემინარებმა ძალიან ბევრ კითხვაზე დამაფიქრა, როცა მეგონა, რომ სიტყვების მნიშვნელობაც და სტრიქონების/სტროფების შინაარსიც კარგად მესმოდა, თარგმნისას ხშირად ვრწმუნდებოდი, რომ ასე კარგადაც არ მქონია საქმე და მეც უცხოელების მსგავსად თავიდან მიხდებოდა მრავალ საკითხზე დაფიქრება და რალაცების გადააზრება. მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი ასეთი საკითხი პროლოგის პირველივე სტრიქონში აღმოჩნდა. მაშინ, როცა მეგონა, რომ ეს სტრიქონი არაჩვეუ-

ლებრივად მესმოდა და მის გასაგებად არანაირ სირთულეს არ წავეწყდებოდი, ყველაფერი საპირისპიროდ აღმოჩნდა. ასეთი სტრიქონები პროლოგში მრავლად იყო, მაგრამ ახლა სწორედ ამ სტრიქონზე და პროლოგის პირველი სტროფის ნაკითხვის ჩემულ გაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შევეხები, რადგან ყველაფერი ამით არ დასრულდა და ამ ამბავს გაგრძელება ჰქონდა.

იმავე წელს სპონტანურად (ვგულისხმობ იმას, რომ გამოცდის დღეს სტუდენტების თვალწინ მივიღე ეს გადაწყვეტილება) გადავწყვიტე, რომ ძველ ბერძნულ ენაში გამოცდა სტუდენტებისათვის განსხვავებულად ჩამეტარებინა. ვინაიდან ჩემი სტუდენტები, რომლებიც ძველ ბერძნულ ენას სწავლობენ, ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას მეტნაკლებად კარგად ფლობენ, სათარგმნად შევარჩიე „ფეფხისტყაოსნის“ პირველი ორი სტროფი. საქმე ისაა, რომ ვვარაუდობდი, რომ თარგმანისას მთელი სირთულე იქნებოდა „ეიდოს“-ისა და „მორფე“-ს სწორად გამოყენება ბერძნულ ენაზე. ამ შემთხვევაში სტუდენტებს რამდენიმე ფილოსოფოსიც უნდა გახსენებოდათ და რუსთველიც კარგად უნდა გაეაზრებინათ. სხვა სირთულეს ვერ ვხედავდი, რადგან ამ ორ სტროფში გამოყენებული ყველა სიტყვა მათთვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო და ლექსიკონით სარგებლობაც შეეძლოთ, ხოლო თარგმანის მხატვრულ მხარეს მე ყურადღებას არ მივაქცევდი და ამის გამო სტუდენტს ქულას ნამდვილად არ დავაკლებდი. დროის გაყვანის მიზნით, მეც ჩავერთე თარგმანის პროცესში და იქვე შევუდექი სტროფების თარგმნას. ჩემდა გასაოცრად, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუკი რუსთველთან არისტოტელეს მოძღვრების ყველაზე უფრო ლაკონიურ გადმოცემას წავეწყდებოდი. და, რაც მთავარია, ჩემთვის გასაგები გახდა ყველა სიტყვის ადგილი პირველ სტრიქონში, ის, რასაც მანამდე ვერ ვხვდებოდი ტექსტის ინგლისურად თარგმნის დროს სეინთ ჯონსელების სემინარზე. აქვე ვიტყვი, რომ მე არანაირი წინასწარი განზრახვა არ მქონია, რუსთველის ტექსტში არისტოტელე მეძებნა, ამდენად, მიკერძოებული არ ვიყავი და ძალით არ ვეცადე, სიტყვებისთვის ადგილი შემეცვალა, რომ ჩემთვის სასურველი შედეგი მიმეღო. უბრალოდ, დავფიქრდი, ხომ არ შეიძლებოდა, რომ გრამატიკას (გრამატიკული წესების გამოდევნებას) შეცდომაში შევეყვანე და აქამდე არასწორად წამეკითხა ეს სტრიქონი. ამიტომაც, მინდა, რომ ეს ჩემი „აღმოჩენა“ თქვენც გაგიზიაროთ. თუმცა ძალიან კარგად მესმის, რომ შეიძლება, ვცდებოდე და გრამატიკულად ყველაფერი რიგზე იყოს და ამ სტრიქონში არ იყოს არისტოტელეს მოძღვრება. მოცემული სტატიის ფარგლებში შევეცდები, გავაგრძელო და განვაკითხოთ ეს მოსაზრება და შემოგთავაზოთ რუსთველის პირველი სტროფის ნაკითხვა არისტოტელესეულ კონტექსტში. ჩემი დაკვირვებით,

თუკი ჩავატარებთ მცირე ექსპერიმენტს და თუნდაც ნაუცბათევად ვთარგმნით „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ადგილს ძველ ბერძნულ ენაზე, თვალწინ გადაგვეშლება ბერძნული ფილოსოფიის ღრმა ცოდნა და ეს მომენტი საშუალებას მოგვცემს, თამამად განვაცხადოთ, რომ ავტორი იმ პოპულარული დისკურსის მონაწილეა, რომელიც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთში, ხოლო შემდგომ, ჯერ ჯვაროსნებისა და შემდეგ თომა აქვინელის დამსახურებით, ევროპაშიც გახდა პოპულარული. ესაა არისტოტელეს მოძღვრება, რომელიც, ჩემი აზრით, პოემის პირველივე სტროფში ლაკონიურადაა გადმოცემული.

არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ (ისევე როგორც „ფიზიკაში“, „ეთიკაში“ და სხვა შრომებში) ორ საინტერესო ცნებას, „დინამისს“ და „ენერგიას“, და მათ განმარტებას ვხვდებით. ეს ორივე ტერმინი საუკუნეების მანძილზე ინტერპრეტაციის საგნად გადაიქცა. ხშირად ეს ორი სიტყვა ესმით, როგორც ერთმანეთის ანტონიმები და, შესაძლოა, ამასაც გამოეწვია ტექსტის განსხვავებული ნაკითხვები. ბერძნული ენიდან ეს ტერმინები ლათინურად ითარგმნება როგორც „პოტენცია“ და „აქტუალიტას“, თუმცა არც მათი ლათინურ ენაზე თარგმნა აადვილებს ქართველი მკითხველისთვის შინაარსის გაგებას. საქმე ისაა, რომ იმის გამო, რომ ბერძნული ტერმინები აქტიურად გამოიყენა ფიზიკამ, დღეს უკვე გადაიფარა მათი (ამ ტერმინების) ძირეული მნიშვნელობა და დღეს ეს სიტყვები უკვე იმგვარად აღარ გვესმის. შესაბამისად, ჩვენ, დღევანდელ მკითხველს, ფიზიკიდან გამომდინარე, არც „დინამისის“, ანუ ძალის და არც ენერგიის მნიშვნელობა ისე აღარ გვესმის, როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა. საქმე სულ სხვაგვარადაა, როდესაც არისტოტელეს გასაგებად ქართული ტერმინებით კი არა, ლათინური ტერმინებით ვსარგებლობთ. აი მაშინ ბევრად უფრო კარგად გვესმის, რა არის საგნის პოტენცია ან აქტუალური საგანი. ჩვენ უფრო გვიადვილდება არისტოტელეს აღქმა, როდესაც ვსაუბრობთ საგნის პოტენციაზე (ანუ ვიყენებთ ლათინურ ტერმინს) და არა საგნის დინამისზე (ვიყენებთ ბერძნულ ტერმინს) ან ძალაზე (ვიყენებთ ქართულ ტერმინს), ასევე, გვიადვილდება არისტოტელეს გაგება, როდესაც ვსაუბრობთ საგნის აქტუალობაზე (ვიყენებთ ლათინურ ტერმინს) და არა ენერგიაზე (ვიყენებთ ბერძნულ ტერმინს). ვიმეორებ, რომ გაუგებრობას ფიზიკის ტერმინებში აღრევა იწვევს. ისე უნდა ითქვას, რომ თავად არისტოტელეც აღნიშნავდა, რომ ბევრად უკეთ გასაგებია ეს ტერმინები, როდესაც კონკრეტულ მაგალითებს განვიხილავთ და არა მაშინ, როდესაც დეფინიციის დადგენას შევეცდებით. არისტოტელესთვის დინამისი (ბერძნულად)/ძალა (ქართულად)/პოტენცია (ლათინურად) არის სუსტი და ძლიერი. სუსტი ძალა ისეთ ვითარებას ასახავს, როდესაც რაღაც შეიძლება ან გამოვლინდეს

ან არა. მაგ. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ის, რაც დადის ან ლაპარაკობს, ოღონდ ეს საქმე კარგად არ გამოდის, არ ლაპარაკობს ან არ დადის, ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუსტ ძალასთან, სუსტ დინამისტან, სუსტ პოტენციასთან. ხოლო ძლიერი პოტენცია ისაა, რომელიც სრულად, მთელი თავისი ბუნებით ვლინდება. როდესაც საგანთა ბუნებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მათ ფორმას, მოხაზულობას, გარეგნობას, თუმცა ეს ყველაფერი საგანში მანამდეც (ე. ი. იქამდე, სანამ შეიძენდა ამ ფორმას) იყო წარმოდგენილი, ანუ, სანამ მიაღწევდა ამ ფორმას. მაგრამ საგნები მაშინ წარმოჩნდებიან სრულად, როგორც ნამდვილი საგნები, როცა ისინი „სრულ სამუშაო პროცესში“ არიან. შესაბამისად, ეს უკვე ის ეტაპია, როდესაც საგანი მთელი თავისი ენერგიით ანუ აქტიულობით ვლინდება. არისტოტელე ამგვარ გამოვლინებას აღნიშნავს ტერმინით „ენერგია“ და „ენტელექტია“, თუმცა ერთიც და მეორეც ერთმანეთს ფარავს. „ენერგია“ ზმნური ფორმიდან „ერგო“ მომდინარეობს, ხოლო ეს ზმნა ითარგმნება როგორც „მუშაობა“. შესაბამისად, მკვლევართა მოსაზრებით, „ენერგია“ უნდა ითარგმნოს როგორც მუშაობის პროცესში მყოფი; ხოლო „ენტელექტია“ შედგება ფუძისგან „ენტელეს“, რაც სრულს, ბოლომდე გამოვლენილს ნიშნავს და „ეხენ“, რაც „ქონა-ყოლა“-ს აღნიშნავს. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრების მიხედვით, ეს ზმნა იმგვარი მნიშვნელობით უნდა ვთარგმნოთ, როდესაც რაღაც ისეთ მდგომარეობაშია, რომ მასზე ვაგრძელებთ ძალისხმევას, რომ იმავე მდგომარეობაში შევინარჩუნოთ. შესაბამისად, ერთ-ერთი შემოთავაზება და ჩემთვის მისაღები საქსისეული თარგმანი ასეთია: “being at work staying complete” ან “staying the same, being at end”. „ენტელექტიას“ ეტიმოლოგია გვიჩვენებს, რომ ესაა სრულყოფილება, მაშინ, როდესაც ნებისმიერი საგნის არსებობის ბოლო ეტაპი დგება, შესაბამისად, ნებისმიერი საქმის დაგვირგვინება არის „ენერგია“, ანუ “being at work”. ენტელექტია არის განგრძობითი ენერგია, როდესაც რაღაც სრულად „მუშაობს“ ანუ ვლინდება. არისტოტელეს მიხედვით, ნებისმიერი საგანი, რომელიც ახლა არსებობს და არა პოტენციურად, არის მუშაობის პროცესში, ე. ი. ენერგიაში და ყველა მათგანის ტენდენციაა, რომ მიაღწიოს თავის სრულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გამოვლინებას. ენერგია ფართოვდება ენტელექტიამდე, იმიტომ რომ ის ხდის საგანს იმად, რაც ის სინამდვილეში არის, თავისთავად ენტელექტია ც ფართოვდება ენერგიაზე იმიტომ, რომ ესაა სრულყოფილება ან დასასრული, რომელიც მხოლოდ მასშია შესაბამისი აქტივობის დროს. პოტენციის გარდაქმნა ენერგიად ხდება ან ბუნებით, ანუ საგანს ის თანდაყოლილი აქვს ან გარეშე ფაქტორის ზემოქმედებით. ამ გარეშე ფაქტორს არისტოტელე „კინესის“-ს უწოდებს, რაც ფიზიკაში განიმარტება როგორც პოტენციურის როგორც ასეთის „ენტელექტია“, ე. ი.

ძალის სრულად ამუშავება. მაგალითისთვის (ნებისმიერ ცნობარში ეს მაგალითია მოტანილი) რომ ავიღოთ აგური, მას შეიძლება სხვადასხვა პოტენციალი ჰქონდეს, ერთია, რომ ის აშენდეს, მეორეა, რომ ის სხვა დანიშნულებით იქნას გამოყენებული. თუკი აგურისგან სახლი აშენდება, მაშინ გამოვლინდება აშენების პოტენციალი, ანუ პოტენციალი არა სახლია, არამედ აშენება (მეტაფიზიკა, XI, 1066ა).

რამდენადაც ვნახეთ, არისტოტელესთან რამდენიმე ძირეული ტერმინი იკვეთება, სუსტი და ძლიერი ძალა/დინამისი/პოტენცია და ენერგია, ე. ი. ამ ძალის გამოვლინება. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში პირველივე სტრიქონში ვხვდებით სიტყვებს ძალას და ძლიერს. საინტერესოა ისიც, რომ შემოქმედი განუსაზღვრელი ნაცვალსახელითაა მოხსენიებული: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა“, შესაბამისად, თუკი ამ სტრიქონს არისტოტელეს მოძღვრების კონტექსტში წავიკითხავთ, გამოვა, რომ შემოქმედმა შექმნა სამყარო ძლიერი პოტენციით. ძლიერ პოტენციას კი აქვს უნარი, რომ გამოვლინდეს სრულად. მაგრამ იქ, სადაც საუბარია არისტოტელესეულ პოტენციაზე, აუცილებლად უნდა იყოს ნახსენები ენერგიაც, ანუ აქტუალიტას, ანუ გამოვლინება. თუკი რუსთველი იზიარებს არისტოტელეს მოძღვრებას და გადმოაქვს არისტოტელესეული ტერმინები, მაშინ საინტერესოა, რას უწოდებს იგი ენერგიას. ჩემი აზრით, ეს ტერმინი გვხვდება მესამე სტრიქონში შემდეგი სახით: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“. ამდენად, ეს სტრიქონები ასე განიმარტება: შემოქმედმა შექმნა სამყარო მთელი თავისი ძლიერი პოტენციით, ხოლო ადამიანებს მისცა ქვეყანა უთვალავი ფერთ/ენერგიით/აქტუალიტასით. შესაბამისად, სამყაროში არსებობს ძლიერი ძალა/დინამისი/პოტენცია, რომელიც ჯერ სრულად არ გამოვლინებულა, ხოლო ქვეყანა ადამიანებს მისცა უკვე უთვალავი გამოვლენილი საგნით ანუ ფერთ. საინტერესოა, როგორ განმარტავენ ქართველი მკვლევარები სიტყვა „ფერს“ „ვეფხისტყაოსანში“.

ვიქტორ ნოზაძემ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში შემოგვთავაზა რა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის შედეგებითი მეთოდი, საფუძვლიანად შეისწავლა სხვადასხვა ავტორის მხატვრული თუ ფილოსოფიური ნააზრევი და სცადა გაერკვია, რამდენად იცნობდა და ავითარებდა შესაბამის მოსაზრებებს რუსთველი თავის გენიალურ ქმნილებაში. ჩემი მიზანი არაა იმის გარკვევა, თუ რამ უბიძგა მეცნიერს აერჩია ისეთი მეთოდი, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებდა ქართველთა ამბიციას იმის შესახებ, რომ საქართველო სრულად იყო ჩართული მსოფლიო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ დინებებში, არა მარტო ითვისებდა და ამუშავებდა საუკეთესო ნააზრევს, არამედ საკუთარი წვლილიც შეჰქონდა ამ პროცესებში. ჩემი მიზანია, დავერდნო რა ვიქტორ ნო-



ზადის დაკვირვებას, ახლებურად გავიაზრო და ავხსნა სიტყვა „ფერის“ გამოყენების რუსთველისეული არეალი „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში. ვიქტორ ნოზაძე სწორად შენიშნავს, რომ მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა (რაც აისახა კიდევ დიდებული ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებაში), თითქოს ფერით აღინიშნება ცალკეული ფერი და არა განყენებითი, ცნებითი სახელი, ამ სიტყვას სხვა რამდენიმე მნიშვნელობაც აქვს და მისი ახსნა არც ისე იოლია. სრულებით ვიზიარებ მეცნიერის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სიტყვა „ფერი“ დატვირთულია ლინგვისტური, ფილოსოფიური, ფიზიოლოგიური, ესთეტიკური, სოციალური, მხატვრული კონოტაციებით და ამის გარდა საგნისა და მოვლენის სხვადასხვაობასა და მსგავსობასაც გამოხატავს (ნოზაძე: 58). განსაკუთრებით საინტერესოა ნოზაძის შენიშვნა, რომ ფერისა და თვალის ურთიერთობა პირველადია (ნოზაძე 2001: 19), თუმცა საინტერესოა დაკვირვებაა, რომ სიტყვა „ფერი“ გამოხატავს არსს, არსებას და მიმოიხილავს ზოგიერთ ძველ დროში გავრცელებულ მოძღვრებას: ფილოსოფოს პითაგორასათვის და პითაგორიანთათვის, ფერი იყო საგნის კუთვნილება, თვით საგნის საკუთრება, მისი არსი. ამგვარადვე ფიქრობდნენ სტოელები და არაბულ ფილოსოფიაში — ნაზამ და ჰიშამ ამავე შეხედულების იყვნენ, და ამტკიცებდნენ, რომ ფერი, გემო და სუნი არსებანი არიანო. ქართულ ენაში სწორედ ამგვარი მნიშვნელობისაა „ფერი“. უცნაური სიტყვა „არაფერი“, „ყველაფერი“, „სხვაფერი“, „ამფერი“ და სხვა. ქართული სიტყვა „არაფერი“ გერმანულად არის „ნიჰტს“, განყენებითი მნიშვნელობით — „დას ნიჰტს“, ან „დას ნიჰტზაინ“; ფრანგულად — „რიან“ და განყენებით — „ნეან“; ინგლისურად — „ნათინგ“ და „ნონ ეგზისტენს“ ანუ არ-არსებობა. მამასადაამე, ყველა ეს ცნება „არარსებობა“, ქართულში არის „არა-ფერი“, „არა-რა“, არამყოფობა, ნული. და ბოლოს, ასკვნის, რომ ქართული „ფერი“ არის არსი, არსება, თვით საგანი, მოვლენა. ამავე მნიშვნელობით დაძებნილი აქვს „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვის რამდენიმე ვარიანტი (ნოზაძე 2001: 57)

მაგრამ ამჯერად შევჩერდები და გავაანალიზებ სიტყვა „ფერის“ მხოლოდ ფილოსოფიურ მნიშვნელობას. მიმაჩნია, რომ ფერი რუსთველთან აღნიშნავს გამოვლინებას, ენერგიას. ამაზე კი, როგორც ვიქტორ ნოზაძე შენიშნავს, ქართულ ენაში დაცული სხვა სიტყვებიც მიუთითებს, „არაფერი“ ნიშნავს იმას, რომ გამოვლინება არაა მიღწეული, ენერგია არ მუშაობს და პოტენციის სახითაა მოცემული, ხოლო ყველაფერი საგნის სრულად გამოვლენაზე მიუთითებს, ე. ი. ძალის/პოტენციის სრულ ამუშავებაზე.

თუკი რუსთველის პოემის პირველი სტროფის ჩემეული წაკითხვა სწორია და ტექსტის ეს მონაკვეთი არისტოტელეს კონტექსტში უნდა

გავიაზროთ, მაშინ გამოდის, რომ “რომელმან” კი არ შექმნა ძლიერი ძალით სამყარო, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომელმან სამყარო შექმნა ძლიერი ძალით, ე. ი. ძლიერი ძალა სამყაროს და არა შემოქმედის კუთვნილებაა. ამ ორ ნაკითხვაში კი სწორედაც რომ რუსთველისეული შეხედულება იკვეთება, იმის მიხედვით, თუ რომელ ნაკითხვას მივანიჭებთ უპირატესობას. თუკი ძლიერი ძალა შემოქმედს ეკუთვნის, მაშინ, ჩემი აზრით, ამ ადგილის ბერძნულად ან ლათინურად გადატანისას, იკვეთება მოსაზრება, რომ შემოქმედი პოტენციით მოქმედებს, თანაც მას ძლიერი პოტენციის გარდა სუსტი პოტენციაც უნდა გააჩნდეს, რაც თეოლოგიურად მიუღებელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მე არისტოტელესეულ კონტექსტში ნაკითხვას ვანიჭებ უპირატესობას და პირველი სტროფი ისე მესმის, როგორც ეს მანამდე განვმარტე. ასეა თუ ისე, დავარღვევთ ენის გრამატიკის კანონებს და ნავიკითხავთ არისტოტელესეულ კონტექსტში თუ დავარღვევთ არისტოტელეს მოძღვრებას და ნავიკითხავთ გრამატიკულად სწორად, მკითხველის არჩევანია.

#### **დამოწმებანი:**

**არისტოტელე:** <http://classics.mit.edu/Aristotle/metaphysics.html>.

**ნოზაძე 2001:** ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსანის“ განკითხვანი. *ფერთამეტყველე*-ბა. თბ.: 2001: „სადარა“, 2001. <http://classics.mit.edu/Aristotle/metaphysics.html>

#### **FIKRET RZAYEV**

*Azerbaijan, Baku*

*Baku State University*

### **The Russian Classical Literature as Viewed by the Exile Writers**

The Russian writers in exile, beyond their own works, were paying a serious attention to the issues related to various aspects of literary creation and literary process. In their articles and essays, and in numerous interviews they were not analyzing the contemporary literature exclusively but the classical works of the Russian and world literature as well.

The Russian classical literature appears in a different angle when viewed by the writers in exile, which only widens our perceptions of both the literary process and critical activities of the émigré writers.

**Key words:** *exile writers, The Russian classical literature.*



**Ф.Ч.РЗАЕВ**

*Азербайджан, Баку*

*Филиал МГУ им. М.В.Ломоносова в г.Баку*

## **Русская классика в оценке писателей-эмигрантов**

Наследие русского зарубежья в последние годы привлекает пристальное внимание в современном литературоведении, однако интерес исследователей более всего сосредоточен на изучении художественного творчества писателей-эмигрантов. Жанр литературной критики в этом плане до сих пор остается неизученным. И это несмотря на то, что многие исследователи именно критику считали наиболее сильной в литературе эмиграции. По мнению одного из исследователей, «самое интересное, что дала эмигрантская литература – это ее творческие комментарии к старой русской литературе» (Ивак 1954:8). Такого же мнения придерживался и Г.П.Струве: «Едва ли не самым ценным вкладом зарубежных писателей в общую сокровищницу русской литературы должны будут быть признаны разные формы нехудожественной формы – критика, эссеистика, философская проза, высокая публицистика и мемуарная литература» (Струве 1984:371) С этим мнением соглашались многие исследователи (Фостер 1972:43).

Среди многообразного литературно-критического наследия русского зарубежья особый интерес представляют публикации известных писателей-эмигрантов. Русские писатели-эмигранты, помимо собственно художественного творчества, уделяли достаточно серьезное внимание вопросам, связанным с различными аспектами литературного творчества, литературного процесса. При этом в статьях литературоведческого характера, литературных эссе и очерках, многочисленных интервью они обращались не только к современной литературе, но и к творчеству классиков русской и мировой литературы. Среди писателей-эмигрантов, безусловно, к творчеству русских классиков чаще всего обращались те, кто выступал с лекциями в известных американских и европейских университетах, выступал с докладами на различных научных конференциях. В частности, в американских университетах в качестве лекторов выступали такие яркие представители эмигрантской литературы, как В.Набоков, И.Бродский и др.

По нашему мнению, в литературно-критическом наследии писателей-эмигрантов можно выделить три важнейших аспекта: популяризация русской литературы, научно-критическая интерпретация художественных произведений и «писательское» восприятие творчества другого литератора. Каждый из указанных аспектов находит отражение в публикациях писателей-эмигрантов, при этом порой они настолько переплетаются друг с другом, что трудно в некоторых случаях выделить приоритетность одного из

них. Особый интерес представляет тот факт, что литературная критика русского зарубежья, в том числе творчество писателей-эмигрантов, не только были свободны от идеологических запретов советской критики и литературоведения, но и в определенной степени противостояли чрезмерно идеологизированным концепциям и оценкам, популярным в СССР, часто противопоставляя совершенно иные подходы и характеристики. Именно поэтому взгляды писателей-эмигрантов на русскую классику представляют большой научный интерес.

Учитывая ограниченные рамки настоящей работы, мы обратимся к публикациям лишь некоторых писателей-эмигрантов, в которых можно обнаружить наиболее типичные особенности «писательского» подхода к оценке творчества классиков русской литературы. Среди них, безусловно, выделяются работы В.Набокова и И.Бродского.

В.Набоков является автором ряда известных публикаций, в которых содержится оригинальный подход к изучению и оценке творчества русских классиков. Среди них следует отметить в первую очередь «Лекции по русской литературе», «Лекции по зарубежной литературе» и «Комментарии к роману А.С.Пушкина «Евгений Онегин». Лекции В.Набокова были изданы в России в двух сборниках – «Лекции по русской литературе. Чехов, Достоевский, Гоголь, Горький, Тургенев» и «Лекции по зарубежной литературе». Подход В.Набокова к анализу творчества классиков русской и мировой литературы представляет большой интерес с литературоведческой точки зрения, так как наглядно демонстрирует совершенно иную позицию, свободную от стереотипов и штампов литературоведения советского периода. Литературоведческие исследования писателя, написанные им в качестве лекций для студентов американских университетов, столь же самоценные творения, как и его выдающиеся прозаические произведения.

Своеобразие подхода В.Набокова к творчеству классиков русской литературы Пушкина, Гоголя, Тургенева, Достоевского, Л.Толстого, Чехова, М.Горького наиболее полно проявилось в «Лекциях по русской литературе». В небольшом по объему предисловии к этой книге Ив.Толстой сформулировал мысль, очень важную для понимания литературных взглядов В.Набокова, его подхода к оценке творчества русских классиков: «Набоков ценит в чужом литературном наследии лишь то, что пестует в своем собственном – силу и непосредственность чувства, повествовательную опытность, когда «лучшие слова в лучшем порядке» передают заданную мысль кратчайшим образом, авторскую освобожденность от обязательств даже перед «звездным небом над нами и нравственным законом внутри нас» (Набоков 1999:9). Действительно, слова Ив.Толстого дают возможность понять принципы отбора не только писательских имен, но и произведений того или иного писателя. Так, например, Ив.Толстой объясняет отношение Набокова

к творчеству Л.Толстого: «У Льва Толстого лектор Набоков отвергает морализаторскую «Войну и мир» как «литературу Больших Идей» и предпочитает более домашнюю «Анну Каренину» с «Иваном Ильичом» (Набоков 1999:10). Отмеченные Ив. Толстым особенности творчества Набокова позволяют сделать вывод о том, что в целом писательский подход отличается от профессионального научного подхода тем, что критики-литературоведы, как правило, рассматривают факты и явления как часть литературного процесса эпохи или творчества отдельного писателя с точки зрения выявления тех или иных закономерностей, общих и индивидуальных особенностей и пр. Писательский же подход к оценке творчества литераторов в этом плане более свободный и базируется чаще всего на литературных вкусах самого писателя.

«Лекции по русской литературе» В.Набокова начинаются с раздела «Писатели, цензура и читатели в России». Предварение разделов, посвященных творчеству классиков русской литературы, подобной статьей имеет принципиальное значение. Сравнивая развитие русской и западноевропейских литератур, Набоков отметил: *«Одного 19 в. оказалось достаточно, чтобы страна почти без всякой литературной традиции создала литературу, которая по своим художественным достоинствам, по своему мировому влиянию, по всему, кроме объема, сравнялась с английской и французской, хотя эти страны начали производить свои шедевры значительно раньше»* (Набоков 1999:14). Причину поразительного всплеска эстетических ценностей в России писатель связывает с невероятной скоростью духовного роста России в XIX веке, которая достигла в это время уровня старой европейской культуры. Традиционное советское литературоведение никогда не могло бы согласиться с утверждением В.Набокова об отсутствии литературной традиции («...почти без всякой литературной традиции...») в истории русской литературы XIX века. Возможно, слова Набокова в этом смысле слишком категоричны, однако требования, которые предъявляет писатель к художественной литературе, к ее эстетическому уровню, оправдывают его позицию по отношению ко всей русской литературе предшествующего периода.

Оригинальные взгляды В.Набокова содержатся в разделах, посвященных анализу творчества классиков русской литературы. В первую очередь, необходимо отметить, что в отличие от представителей научного литературоведения писатель уделяет большое внимание описанию событий из жизни русских литераторов. На наш взгляд, Набоков стремится найти в биографиях писателей объяснение многих фактов, событий, описанных в анализируемых художественных произведениях классиков, а также раскрыть природу новаторских творческих находок, мастерство художественных приемов. В этом смысле характерно даже название первой статьи в «Лекциях по русской литературе», посвященной творчеству Н.В.Гоголя: «Его смерть и его

молодость». Кстати, можно ли было встретить в трудах советских литературоведов публикации с подобным названием? Вряд ли.

В статье о Гоголе В.Набоков обращается к анализу произведений «Ревизор» (раздел под названием «Государственный призрак»), «Мертвые души» («Наш господин Чичиков»), «Шинель» («Апофеоз личины»). В начале анализа пьесы «Ревизор» Набоков высказывает мысль, которая полностью противопоставлена основной характеристике этого произведения в работах советских литературоведов. Он отмечает, что после первой постановки комедии на театральной сцене *«... пьесу Гоголя общественные умы неправильно поняли как социальный протест, и в 50-х и 60-х гг. она породила не только кипящий поток литературы, обличавшей коррупцию и прочие социальные пороки, но и разгул литературной критики, отказывавшей в звании писателя всякому, кто не посвятил своего романа или рассказа бичеванию околоточного или помещика, который сечет своих мужиков»* (Набоков 1999:56). И в дальнейшем при анализе «Ревизора» Набоков, в отличие от советских литературоведов, уделяет внимание вопросам, которые практически не затрагивались в советском гоголеведении. Так, например, писатель подробно останавливается на внесценических персонажах пьесы, отмечая, что использование этого «банального» приема в драматургии Гоголя существенно отличается от традиций русской и мировой литературы. Широко известные слова о том, что если в первом действии на стене висит охотничье ружье, в последнем оно непременно должно выстрелить, не соответствуют художественным принципам Гоголя. *«Ружья Гоголя, пишет Набоков, \_ висят в воздухе и не стреляют; надо сказать, что обаяние его намеков и состоит в том, что они никак не материализуются»* (Набоков 1999:61). Набоков приводит ряд примеров из текста «Ревизора». Так, например, обращаясь к образу судебного заседателя, о котором упоминает в разговоре городничий, Набоков пишет: *«Мы никогда больше не услышим об этом злосчастном заседателе, но вот он перед нами как живой, причудливое вонючее существо из тех «Богом обиженных», до которых так жаден Гоголь»* (Набоков 1999:61). Набоков-писатель обращает внимание, в первую очередь, на такие детали, такие «мелочи», которые не интересовали представителей традиционного литературоведения, ищущих в творчестве Гоголя лишь то, что работает на социальную критику. Поэтому вряд ли можно встретить в исследованиях прошлого века фамилии таких внесценических персонажей из пьесы «Ревизор», как помещики Чептович, Верховинский, полицейский Прохоров и др., лишь промелькнувших в устах действующих лиц, но привлечших внимание писателя Набокова. Мало того, Набоков отмечает особое мастерство Гоголя в том, что у него и новорожденный безымянный персонаж может вырасти и в секунду прожить целую жизнь: у трактирщика Власа «жена три недели назад тому родила, и такой прейбойкий мальчик, будет так же, как и отец, со-

держат трактир». Говоря о многочисленных внесценических второстепенных персонажах комедии, Набоков пишет: *«Потусторонний мир, который словно прорывается сквозь фон пьесы, и есть подлинное царство Гоголя. И поразительно, что все эти сестры, мужья и дети, чудачковатые учителя, отупевшие с перепою конторчики и полицейские, помещики, ... романтические офицеры, ... все эти создания, чья мельтешия создает самую плоть пьесы, не только не мешают тому, что театральные постановщики зовут действием, но явно придают пьесе чрезвычайную сценичность»* (Набоков 1999:66).

В статье о Гоголе писатель Набоков обращается также к миру вещей в произведениях русского классика. Он отмечает, что вещи в гоголевских произведениях призваны играть ничуть не меньшую роль, чем одушевленные лица. В качестве типичного примера использования вещи Набоков приводит описание городничего, который, облачившись в роскошный мундир, в рассеянности надевает на голову шляпную коробку. Набоков называет это чисто гоголевским символом обманного мира, где шляпы – это головы, шляпные коробки – шляпы, а расшитый золотом воротник – хребет человека.

Весь анализ пьесы «Ревизор» пронизан мыслью Набокова о том, что эта сновидческая пьеса была воспринята как сатира на подлинную жизнь в России. Писатель считает, что *«Пьесы Гоголя это поэзия в действии, а под поэзией я понимаю тайны иррационального, познаваемые при помощи рациональной речи. Истинная поэзия такого рода вызывает не смех и не слезы, а сияющую улыбку беспредельного удовлетворения, блаженное мурлыканье, и писатель может гордиться собой, если он способен вызвать у читателей, или, точнее говоря, у кого-то из своих читателей, такую улыбку и такое мурлыканье»* (Набоков 1999:68). Как видно из приведенных слов, Набоков обращает внимание на те стороны творчества Гоголя, которые не замечали советские исследователи-литературоведы. Таким же «писательским» подходом отличаются и материалы, отражающие взгляды Набокова на поэму «Мертвые души» и повесть «Шинель».

В «Лекциях по русской литературе» привлекают внимание и оригинальные оценки творчества других классиков русской литературы XIX века. Так, например, интересные суждения писателя содержатся в разделах, посвященных анализу произведений Ф.М.Достоевского, Л.Н.Толстого, А.П.Чехова, И.С.Тургенева, М.Горького.

В.Набоков в начале статьи о романе Л.Толстого «Анна Каренина» отметил: *«Толстой – непревзойденный русский прозаик. Оставляя в стороне его предшественников Пушкина и Лермонтова, всех великих русских писателей можно выстроить в такой последовательности: первый – Толстой, второй – Гоголь, третий – Чехов, четвертый – Тургенев. Похоже на выпускной*

*список, и разумеется, Достоевский и Салтыков-Щедрин со своими низкими оценками не получили бы у меня похвальных листов»* (Набоков 1999:221). На этой же странице книги в сносках Набоков высказал следующее: «Читая Тургенева, вы знаете, что это – Тургенев. Толстого вы читаете потому, что просто не можете остановиться». Набоков, вступая в спор с теми, кто считает главным в творчестве Л.Толстого его идеологические взгляды, отмечает, что только поначалу может показаться, что проза Толстого насквозь пронизана его учением. *«На самом же деле его проповедь, – пишет Набоков, – вялая и расплывчатая, не имела ничего общего с политикой, а творчество отличает такая могучая, хищная сила, оригинальность и общечеловеческий смысл, что оно попросту вытеснило его учение. В сущности, Толстого-мыслителя всегда занимали лишь две темы: Жизнь и Смерть. А этих тем не избежит ни один художник»* (Набоков 1999: 221).

Полемизировал с Ю.Мальцевым и Андрей Синявский. «Полнота правды, предлагаемая Ю.Мальцевым в виде пробного камня, не является единственным критерием художественного достоинства книги, – утверждал Андрей Донатович. – В нынешней русской словесности, подцензурной и бесцензурной, есть прекрасные вещи, значение которых далеко не покрывается полнотою высказанной в них правды. Например, роман «Путешествие дилетантов» Булата Окуджавы, или особенно меня поразившие своей стилистикой и архитектурой «Пушкинский дом» Андрея Битова и его «Похороны доктора» (Синявский 1982: 149). «Требовать же от писателя, живущего в Советском Союзе, чтобы он непременно вмешивался в политику и открыто противостоял государству, – настаивал А.Синявский – это, помимо прочего, безнравственно. Это всё равно, что заставлять человека идти в тюрьму или эмигрировать. Ни запрещать эмиграцию, ни требовать, чтобы все настоящие, честные писатели покинули Россию, – нельзя. И это не сулит ничего доброго русской литературе» (Синявский 1982: 150).

Переходя к разделам «Континента» «Критика и библиография», «Коротко о книгах», следует подчеркнуть, что они были исключительно информативны, давали представление как о книгах, появившихся в зарубежье, так и о лучших, наиболее заметных изданиях, вышедших в СССР. Среди постоянных авторов рубрики «Критика и библиография» находим В.Иверни, Н.Горбаневскую, Вас.Бетаки, С.Юрьенена, К.Померанцева и М.Муравник. Сейчас, в радикально изменившихся условиях, трудно до конца осознать, каким ценным источником информации для потенциальных читателей в России были два этих литературно-критических раздела журнала. Ведь они освещали содержание книг, относящихся ко всей гуманитарной сфере знаний: социология, история, литературоведение, теория культуры, искусствоведение. Русская культура XX века представала на страницах издания во всей полноте, без цензурных изъятий и искажений.

Творчество Юрия Любимова и театр на Таганке, музыкальное искусство Г.Вишневецкой и М.Ростроповича, судьба Марка Шагала и Дмитрия Шостаковича; развёрнутое интервью с Андреем Тарковским – и диалог Соломона Волкова с Иосифом Бродским; документальная книга врача-эмигранта А.Шварца о Михаиле Булгакове и неизвестные рассказы Даниила Хармса, присланные филологом Ильей Левиным, – всё это горячо интересовало редакцию и находило отражение в очередных номерах издания.

В.Максимов неоднократно говорил о том, что «Континент» должен быть сориентирован прежде всего на Россию. В 1981 году (к этому моменту за 6,5 лет издания вышли уже 27 номеров) в интервью «Русской мысли»

главный редактор настаивал: «Если журнал потеряет ориентир, который я называю Россией, он потеряет смысл своего существования», поскольку «... задумывался не только как журнал, но и как один из центров современной русской общественной мысли» (Максимов 1981 b: 12).

Следующим по значимости среди журналов «третьей волны» эмиграции заслуженно считается «Синтаксис» – издание нерегулярное, небольшого формата, выходившее с 1978 по 1995 год в Париже. Это был, как известно, частный журнал супругов Синявских (всего вышло 37 номеров), и даже типографский станок находился прямо у них дома. «Синтаксис» не мог позволить себе публикацию крупных прозаических произведений, здесь преобладали литературная критика, публицистика, полемика. Журнал привлекал к сотрудничеству авторов, стремившихся к обновлению формы, к постмодернистскому поиску: это З.Зиник, Э.Лимонов, Саша Соколов, Борис Хазанов, это литературная критика и эссеистика самого Андрея Синявского, Марии Розановой, Игоря Голомштока, Александра Жолковского. На страницах «Синтаксиса» также появлялись произведения, поступавшие из России по каналам самиздата, но это была по преимуществу публицистика.

«Континент» и «Синтаксис» довольно ожесточенно полемизировали друг с другом, взгляды их редакторов на современную общественную и литературную жизнь – как в СССР, так и в эмиграции – существенно расходились. Это было противостояние национально-почвеннической и либерально-демократической традиции в развитии русской общественной мысли. Живя в СССР, будущие эмигранты были едины в своей ненависти к коммунистической тирании, тотальной цензуре, отсутствию гражданских прав и свобод. Оказавшись на Западе, вчерашние русские диссиденты обнаружили серьёзные расхождения во взглядах на прошлое и будущее России. Раскол третьей эмиграции на два непримиримых лагеря был связан, в частности, с глубоким мировоззренческим конфликтом между А.Синявским и А.Солженицыным, чью позицию в целом поддерживал журнал «Континент» и лично В.Максимов. В № 14 и 15(1986) «Синтаксиса» центральное место было отведено полемическим статьям А.Синявского, направленным против А.Солженицына: «Солженицын как устроитель нового единомыслия» и «Диссидентство как личный опыт». В № 17 (1987) их дополняла статья «Чтение в сердцах», которую писатель посвятил анализу работы А.Солженицына «Колеблет твой треножник...» (в ней содержалась нелюбезная оценка книги А.Терца «Прогулки с Пушкиным»). Таким образом, «Синтаксис» открыто и убеждённо позиционировал себя как либерально-демократическое, плюралистическое издание, чужающееся любых форм теократии и авторитаризма. А.Синявский при каждом удобном случае – и устно, и печатно – вступал в публичную полемику с А.Солженицыным, отвергая идеологическую составляющую писательского творчества, отстаивая артистическое начало в искусстве, художественный поиск и эксперимент.

Следует подчеркнуть, однако, что полемизируя друг с другом, В.Максимов, супруги Синявские и А.Солженицын были твёрдо убеждены в том, что коммунистический режим в СССР неизбежно рухнет. В этом они совпадали. Их деятельность за рубежом в конечном итоге способствовала идеологическому раскрепощению русской литературы, критики и публицистики. Многие черты современной литературы постмодернистского направления впервые возникли в прозе и эссеистике русской эмиграции.

«Культурный расцвет Третьей волны, – подчеркивал А.Генис, – пришелся на 70-80-е годы и неслучайно совпал с самыми тусклыми, закатными или, как их потом назвали, застойными годами советской истории. Никогда еще различия между свободной и подцензурной литературой не были так наглядны. Если блестящая словесность Первой волны развивалась на фоне бесспорных художественных открытий внутри России, то достижения Третьей волны казались особенно яркими по сравнению с унылым культурным ландшафтом позднего СССР. Третья волна предоставила российской культуре убежище и полигон» (Генис 2010: 5).

Рассуждая сегодня о литературном процессе в России 1970-80-х годов, необходимо учитывать всю его сложность и многослойность. Помимо официально издававшейся собственно советской литературы, в СССР бурно развивалась неподцензурная словесность, а за его пределами – литература русского зарубежья. Роль и значение журналов русской эмиграции в этом многосоставном литературном процессе до сих пор плохо исследованы и, на наш взгляд, явно недооценены.

#### ЛИТЕРАТУРА:

**Генис 2010:** Генис, Александр. «Третья волна: примерка свободы». *Slavic Culture Studies*. 9 (2010): 4-5.

**Горбаневская 2007:** Горбаневская, Наталья. «Показать, каким был журнал на самом деле...». *Вопросы литературы*. 2(2007): 298-307.

**Лемхин 1995:** Лемхин, Михаил. «Памяти Владимира Максимова». *Русская мысль*. 6-12 апреля 1995: 17.

**Максимов 1981a:** Максимов, Владимир. «Памяти Юрия Трифонова». *Континент*. 28 (1981): 98.

**Максимов 1981b:** Максимов, Владимир. Интервью Владимиру Померанцеву. *Русская мысль*. 21-28 мая 1981: 12.

**Сахаров 1974:** Сахаров, Андрей. «Приветствие журналу «Континент». *Континент*. 1 (1974): 5.

**Синявский 1982:** Синявский, Андрей. «О критике». *Синтаксис*. 10 (1982): 149-150.

**Скарлыгина 2007:** Скарлыгина, Елена. «Неисследованный континент (о журнале «Континент») В.Максимова». *Общественные науки и современность*. 6 (2007): 168.

**Скарлыгина 2006:** Скарлыгина, Елена. «Из архива журнала «Континент». *Континент*. 129 (2006): 286.

**Солженицын 1974:** Солженицын, Александр. «Напутственное слово». *Континент*. 1(1974): 3.

**Шнеерсон 1981:** Шнеерсон, Мария. «Разрешенная правда». *Континент*. 28 (1981): 379.

**MARINE TURASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli institute of Georgian literature*

## **On History of the Emigrant Newspaper “Elada”\***

Migration is an important element of the globalization and the integration process in the modern world.

We paid our attention to the period of the past century from 90s up today when Georgia became an active member of the world migration as a result of the hard economical and political crisis challenged up by the collapse of the Soviet Union.

They have in Greece their small Georgia with the Georgian church, the cultural centre and the newspaper “Elada” which was founded by Georgian emigrant Ana Kurshavishvili in 2002.

Most of the authors of the newspaper are women; it is the best opportunity for them to reveal their emotion.

**Keywords:** Migration; Emigrant Newspaper; Greece; Oral History.

## **მარინე ტურაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ერთი ემიგრანტული გაზეთის — „ელადა“ — ისტორია\*\***

მიგრაცია თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. საქართველო არაერთხელ გამხდარა აღნიშნული პროცესების მონაწილე. ამჯერად ყურადღება გავამახვილეთ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე პერიოდზე, რადგან სწორედ ამ დროიდან

---

\* For the research is used the investigation of the “Fund Taso” Characteristics of Migration Processes between Georgia and Greece in the frames of the program Cooperation in the Black Sea Region in the Area of Migration between Countries of Origin, Transit and Destination supported by European Commission. Research was based on service contract with People’s Harmonious Development Society.

\*\* საკვლევ მასალად გამოყენებულია „ფონდი ტასო“-ს მიერ ჩატარებული კვლევა „საქართველოსა და საბერძნეთს შორის მიგრაციის თავისებურებები“, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის ფინანსურად მხარდაჭერილი პროექტის — “შავი ზღვის აუზში წარმოშობის, ტრანზიტისა და მიმღები ქვეყნების თანამშრომლობა მიგრაციის საკითხებში” — ფარგლებში, „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა საზოგადოებასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ხდება საქართველო მიგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე, რაც, სავარაუდოდ, საბჭოთა კავშირის სივრცის რღვევისას წარმოქმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით არის გამოწვეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მიგრაციული პროცესები საქართველოდან საბერძნეთში.

საქართველოსა და საბერძნეთს შორის შრომითი მიგრაციის თემის აქტუალობის საკითხებზე ექსპერტების, მიგრანტებისა და რემიგრანტების მოსაზრებები აბსოლუტირად ემთხვევა ერთმანეთს. ყველა მათგანი აღნიშნულ პროცესს აფასებს როგორც აქტუალურს, რადგან საქართველოსთვის საბერძნეთი შედარებით ადვილად მისაღწევი და მიმღები ქვეყანა აღმოჩნდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება (საქართველოსა ... 2010).

2009-2010 წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოდან წასულ მიგრანტთა რიცხვი, რის მიზეზადაც საქართველო-რუსეთის კონფლიქტი და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარობის გაუარესება სახელდება. ბოლო მონაცემებით საქართველოდან საბერძნეთში წასულია დაახლოებით 100 000-დან 150 000-მდე მოქალაქე, თუმცა, არაზუსტი სტატისტიკური მონაცემები ხელს უშლის მიგრაციული ტენდენციების განვითარების პროგნოზირებას. მიგრანტთა ზუსტი რიცხვის დადგენას ის გარემოებაც უშლის ხელს, რომ საქართველოს მოქალაქეები საკონსულოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ.

ექსპერტთა უმრავლესობა მიგრაციის მთავარ მიზეზად მიგრანტთა ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ სწრაფვას ასახელებენ.

მიგრანტებისთვის საბერძნეთის, როგორც მიმღები ქვეყნის, მიზიდველობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- შრომით ბაზარზე მუშახელის მოთხოვნილებით;
- სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით გადაადგილების შედარებით დაბალი ფასებით;
- განვითარებული სატრანსპორტო სტრუქტურით და საქართველოსა და საბერძნეთის გეოგრაფიული სიახლოვით;
- ერთიანი რელიგიური მრწამსით (მართლმადიდებლობით);
- კულტურული სიახლოვით;
- განვითარებული სოციალური ქსელით და ა. შ.

საბერძნეთში მყოფი ქართველი მიგრანტებისთვის დამახასიათებელია სოციალური კონტაქტები თანამემამულეებთან. მათი უმეტესობა ოჯახთან ან ახლო ნათესავებთან ერთად იმყოფება. ამგვარი სოციალური კავშირები მიგრანტებს დიდ დახმარებას უწევს, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე — ეკონომიურ.

მიგრანტები ერთმანეთს უმეტესად კვირა დღეს ხვდებიან იმ ადგილებში, სადაც ქართველები იყრიან ხოლმე თავს. ასეთი ადგილები უმეტესად ის სატრანსპორტო ფორმებია, რომლებიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის ტვირთების გადაზიდვით არიან დაკავებული. აქვე ხდება ამანათების, ახალი ამბების, გაზეთების მიღება და ფულის გაგზავნა. სატრანსპორტო ფორმების მომსახურება მიგრანტებს საშუალებას აძლევთ არ დაკარგონ საქართველოსთან სოციალური კავშირი. მათ ამ გზით შეუძლიათ გააგზავნონ ფული, ერთმანეთს ახალი ამბები გაუზიარონ და სხვა. სწორედ ამიტომ ითვლება სატრანსპორტო ფორმები მიგრანტების თავშეყრის მთავარ ადგილად.

ძირითადად მიგრანტთა უმრავლესობას შუახნის ქალები წარმოადგენენ, რომელთა თავდაუზოგავი შრომა საქართველოში სიღარიბის დაძლევაზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

თითოეულ ემიგრანტს საოცარი ნოსტალგია აწუხებს სამშობლოს, ქალქის, სოფლის, ახლობლების და ოჯახის მიმართ. თუმცა, მიიმე სამუშაო და საარსებო პურის შოვნის ყოველდღიური საზრუნავი მათ ამ გრძნობის დაძლევას აიძულებთ.

საბერძნეთში მყოფი ქართველები მიუხედავად იმისა, რომ საშუალება აქვთ გაეცნონ ქართულ მასმედიას, ნაკლებად ინფორმირებულნი არიან:

„აქ „ასავალ-დასავალს“ და „კვირის პალიტრას“ აქვს დიდი გასავალი და ყველაზე მეტად ეგ გაზეთები იყიდება და ჟურნალები ჩამოდის — „რეიტინგი“, „სარკე“. ეგ ჟურნალებიც კარგად იყიდება... მაგალითად, რელიგიური ჟურნალების რედაქტორები მირეკავენ, მიგზავნიან, რო საჩუქრებად დავურიგო აქ ქართველებს. იმ დღეს სამოცი ევრო გადავიხადე და ომონიაზე დავარიგე ის ჟურნალები. გამომიგზავნა კახაბერ ცინცაძემ — კანდელის რედაქტორმა და დავურიგე. უნდა იფიქროს მთავრობამ, რო მოდი, გავუგზავნოთ, იქაც გაიგონო! არ არიან დაინტერესებულები (ა. ყურშავიშვილი, 2010 წ., ჩამწერი — ა. ქიქოძე).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთში ქართული სათვისტომო ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათ იქ პატარა საქართველო აქვთ. კერძოდ, ეკლესია, კულტურის ცენტრი და მრავალპროფილური გაზეთი — „ელადა“.

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი „ელადა“ 2002 წლის დეკემბრიდან გამოდის. მისი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ანა ყურშავიშვილია. გაზეთი საინტერესო და მრავალფეროვანია. იგი ასახავს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, იმავდროულად კი ჩვენი თანამემამულეების ყოფას საბერძნეთში, მას ცალკე აქვს ლიტერატურული განყოფილება. 2013 წლის სექტემბერში გაზეთის 254-ე ნომერი გამოიცა.

ძალზედ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია უცხო ქვეყანაში გაზეთის შექმნა მშობლიურ ენაზე. ქალბატონმა ანამ საბერძნეთში მოღვაწეობისას შექმნა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ახალი ეპოქა, ახალი საფეხური. ოდითგანვე იქმნებოდა საქართველოდან შორს ქართული პოეზიისა და ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები. დღევანდელი ქართველი ემიგრანტების ღვაწლი კი ისტორიას გაზეთის ფურცლებიდან შემორჩება.

ქართულ-ბერძნულ პუბლიცისტიკურ სარბიელზე მრავალრუბრიანი გაზეთის — „ელადა“ რედაქტორი მტკივნეულად იხსენებს თითოეული ნომრის შექმნის ისტორიას. თავის 2009 წელს ჩანერილ ზეპირ ისტორიაში ღიად საუბრობს იმ რთულ გზაზე, რაც ემიგრაციაში გაზეთის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე გაიარა:

„ამ გაზეთის გამოშვებას როგორ ვახერხებ? — ძალიან ძნელად. ხელით ვწერ, მერე ვაგზავნი საქართველოში... აქ ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან ძვირი იყო. მერე საქართველოში ვგზავნი დამაკეტებულ ჩემს ხელნაწერს და იქ უშვებენ. ჩემ გარდა სხვა ავტორებიც არიან. მიგზავნიან წერილებს და სულ ხელით ვაკეთებ ყველაფერს“ (ა. ყურშავიშვილი, 2010 წ., ჩამწერი — ა. ქიქოძე).

აღნიშნულ გაზეთზე თავის ზეპირ ისტორიაში საუბრობს ქ-ნი რუსუდან ხურცილავაც:

„გაზეთი არის „ელადა“, ასეთი სახელწოდებით, რომელიც ქალბატონმა ანა ყურშავიშვილმა დაარსა (რ. ხურცილავა, 2010, ჩამწერი — მ. ტურაშვილი).

გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები უმეტესწილად ქალები არიან. თოთოეული მათგანისთვის გაზეთის ოცდაათი გვერდი არა მარტო საკუთარი განცდების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა:

„ყველა ემიგრანტი, ქალია თუ კაცია თავის გულისტკივილს წერს ამ გაზეთში და ვანვდით ქალბატონ ანას და გვიქვეყნებს გაზეთში: ზოგი — ლექსით, ზოგი — წერილით, ზოგი — ესე და ზოგი — ისე; და ე. ი. მასაზრდოვებელია ეს გაზეთი ემიგრანტებისთვის, წარმოიდგინეთ თქვენ...“ (რ. ხურცილავა, 2010, ჩამწერი — მ. ტურაშვილი).

არამედ ზოგიერთი მათგანისთვის ის ერთგვარი იმედიც კი გამხდარა:

„მე ათენთან მოცილებული ვარ და ყოველთვის ამ გაზეთს ვერ ვყიდულობ, ვერ ჩავდივარ ფიზიკურად, მაგრამ მე ისე მყავს ჩემები შესახლებული, რომ ყველა ნომერი მინდა მქონდეს. ჩანყობილი მაქვს ყველა „პაპაკაში“ და შენახული. იცი რა?! რაღაც იმ „პაპაკაში“ იმედს ვნახულობ, რომ ჩვენი გაზეთი დევს იქ. ჩვენ უყურნალ-გაზეთოდ არ შეგვიძლია. რომ წაიკითხავენ ათენელები, ყველას ვთხოვ, რომ ის მართალია ძველია, წინა ნომერია, მაგრამ ჩემთვის მაინც ახალია:

— არ გადამიყაროთ და გამომიგზავნეთ.



მეც არ ვყრი, გადავცემ სხვა ქართველს, ის კიდეც — სხვა ქართველს და აი ასე იმას ვშვრებით (რ. ხურცილავა, 2010, ჩამწერი — მ.ტურაშვილი).

გაზეთის ერთ-ერთი აქტიური ავტორი ასე იხსენებს პუბლიცისტიკასთან თავის პირველ შეხებას:

„პირველი წერილი ჩემი შვილების ჩამოყვანის გამოვაქვეყნე. გამე-საუბრა ქალბატონი ანა ყურშავიშვილი და ამ საუბრის შემდეგ ძალიან მთხოვა, რომ:

— დამინერე ერთი წერილიო.

მართალი გითხრათ, ძალიან ვიუხერხულე. ჩემი პირველი წერილი იყო ის გაზეთში და... მერე უკვე სამუშაოს მხრივ გამოვაქვეყნე: რა პირობებში ვცხოვრობდით, ჩემი აქ ჩამოსვლა, საბერძნეთში ცხოვრების თხუთმეტი წლის მერე ჩამოსვლა და აი ასეთ, ოჯახურ რალაცეებზე მაქვს წერილები დაწერილი. სხვათა შორის, რომ წაიკითხოთ, ცოტას ნაიტირებთ კიდეც (რ. ხურცილავა, 2010, ჩამწერი — მ. ტურაშვილი).

აღნიშნულ გაზეთში განსაკუთრებულად რთული წასაკითხია რედაქტორის გვერდი, სადაც ყველაზე მძიმე ისტორიები იყრის თავს, რომელსაც თავად ავტორიც კი საოცრად ემოცურად აღიქვამს და ქართველების ყოფას საბერძნეთში ომს ადარებს:

„აი, ჩვენი გაზეთი რომ წაიკითხოთ, მე მაქვს რუბრიკა „აქაც ომია, მხოლოდ ქართველები ვიხოცებით“. ... გაზეთის ყველა მეორე ნომერში წერია, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა. თითქმის ყველა ნომერში არის ის, რომ ან ვილაც მოკლეს, ან თავი მოიკლა, ან გადავარდა, ან დაიკარგა... (ა. ყურშავიშვილი, 2010 წ., ჩამწერი — ა. ქიქოძე).

ამრიგად, საქართველოდან საბერძნეთში შრომით მიგრაციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მის მთავარ დადებით მხარედ ფულადი გზავნილების დიდი მოცულობა მიიჩნევა, ხოლო უარყოფითად — ოჯახური და დემოგრაფიული პრობლემების გამწვავება.

გაზეთის — „ელადა“ — მეშვეობით საშუალება გვეძლევა გავეცნოთ არა მარტო ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას საბერძნეთში, არამედ, ღრმად ჩავიხედოთ თითოეული მოყვარული პუბლიცისტის გულში.

სამშობლოში დაბრუნების (რეემიგრაციის) სამი გზა არსებობს: ნებაყოფლობითი, იძულებითი და ე. წ. „თანმზღები“. ვიმედოვნებთ, რომ საბერძნეთში მყოფი გაზეთის თითოეული სტატიის ავტორი ქართველი ემიგრანტი დაბრუნდება სამშობლოში და აქ გააგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას.

## **დამოწმებანი:**

**მრავალენიკური... 2004:** მრავალენიკური საქართველო გასულ საუკუნეში. თბ.: „დიოგენე“, 2004.



**საქართველოსა... 2010:** საქართველოსა და საბერძნეთს შორის მიგრაციული თავისებურებები. თბ.: ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება & ფონდი ტასო, 2010.

**ყურშავიშვილი 2009:** ყურშავიშვილი, ქიქოძე ა. ინტერვიუ ანა ყურშავიშვილთან. 2009, საბერძნეთი, ქ. სალონიკი, აუდიო ჩანაწერი.

**ხურცილავა 2009:** ხურცილავა, ტურაშვილი მ. ინტერვიუ რუსუდან ხურცილავასთან. 2009, საქართველო, ქ. რუსთავი, ვიდეო ჩანაწერი.

## MANANA SHAMILISHVILI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Problem of Patriotism in Emigrant Publicism: according to “Qartuli Gazeti (Georgian Newspaper) (Berlin, 1916 – 1918)”**

“Qartuli Gazeti (Georgian Newspaper)” was being printed during 1916 – 1918 in Berlin. It was published by “Georgian national Europe committee party” and was created under the guidance of brothers Leo and George Kereselidze. The newspaper served for the criticism of Georgian cultural and political reality from the European point of view. This topic is interesting as it envisages Georgian emigrant journalism research and additionally as a reflection of literature processes.

**Key Words:** *Emigrant publicism, Qartuli Gazeti (Georgian Newspaper), Berlin, Patriotism.*

## მანანა შამილიშვილი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **პატრიოტიზმის პრობლემა ემიგრანტულ პუბლიცისტიკაში: „ქართული გაზეთის (ბერლინი, 1916-1918)“ მასალათა მიხედვით**

ზ. გიპიუსი 1928 წელს გაზეთში „Возрождение“ წერდა, რომ რუსული ემიგრაციის ყველა პერიოდული ორგანო პოლიტიკური მიზანდასახულობისა იყო: „აბა სხვაგვარად როგორ იქნებოდა: განა ემიგრაცია პირმშო არ გახლავთ პოლიტიკისა? თვით მისი არსებობა პოლიტიკით არაა განა განპირობებული?“ (გიპიუსი 1928: 2) რუსი სიმბოლისტი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ეს თვალსაზრისი სრულად შეგვიძლია

განვავრცოთ ქართულ ემიგრანტულ პრესაზეც. მართლაც, თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ქართული ემიგრაცია ძირითადად პოლიტიკური ნიშნით იყო გამორჩეული, განსხვავებით დღევანდელობისგან, როცა მან წმინდად სოციალური ხასიათი შეიძინა.

ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივი ცხოვრება აქტიური და სისხლსავსე იყო. იგი თავს უყრიდა განსხვავებულ თვალსაზრისებსა და პოლიტიკურ კონცეფციებს. მიუხედავად ამ იდეური არაერთგვაროვნებისა, ქვეყნის მოწყობაზე განსხვავებული შეხედულებებისა, ხშირად მწვავე და შეურიგებელი დაპირისპირებულობისა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ემიგრანტული ტალღის წარმომადგენელთა ძალისხმევა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის პატრიოტული სულისკვეთების ამალღებისკენ იყო მიმართული. ლიბერალებიცა და კონსერვატორებიც, რესპუბლიკელებიცა და მონარქისტებიც მკაფიოდ აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას და მას განსაზღვრავდნენ, როგორც პატრიოტულს.

იმთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუკი რუსული ემიგრაცია ძირითადად ანტისაბჭოურად განწყობილი, სხვაგვარად მოფიქრალი მწერლობის თავშესაფარი გახდა და მეტწილად ლიტერატურული ხასიათი მიიღო, რასაც ადასტურებს დიდი ხნის დამკვიდრებული ტერმინები: „რუსული ლიტერატურული ემიგრაცია“, „რუსული ლიტერატურული ბერლინი“, „ლიტერატურული პარიზი“, ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა მეტადრე პუბლიცისტური მიზანდასახულობით გამოირჩეოდა. ცხადია, მას არც სამწერლო გამოცდილება აკლდა, მაგრამ ქართული ემიგრანტული საზოგადოების წამყვანი ძალები უფრო აქტიურად მიმართავდნენ პუბლიცისტიკას, როგორც მასებთან კომუნიკაციის ეფექტიან საშუალებას. აქ ისტორიული პარალელიზმი შეიძლება მოვიხმოთ და მსგავსება დავინახოთ სამოციანელთა მოღვაწეობასთან. ისევე, როგორც მე-19 საუკუნის მწერლებმა ჟურნალისტიკაში საჭიროების გამო გადაინაცვლეს და უპირველეს ამოცანად ხალხთან დიალოგი, მათი ეროვნული გათვითცნობიერებისა და თვითმყოფადობისთვის ბრძოლა დაისახეს მიზნად, მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ემიგრაციაც სამოქმედოდ უპირატესად მედიაგზავნილს ირჩევს, რათა ფართო აუდიტორიამდე მიიტანოს სათქმელი და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეით გააერთიანოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები. რამდენად შედეგიანი იყო ეს მისწრაფება, საკამათო თემაა, რადგან ემიგრაციაშიც სასიცოცხლო ძალა და ენერჯია ხშირადერთურთთან ანგარიშისწორებასა და ვინროპარტიული ინტერესების დაცვას ხმარდებოდა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ვეცადეთ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა მრავალმხრივი მოღვაწეობა ერთი კონკრეტული

მედიასაშუალებების, 1916–1918 წ.წ. ბერლინში გამომავალი „ქართული გაზეთის“ მაგალითზე გვეჩვენებინა. რალა თქმა უნდა, დროის მცირე მონაკვეთში გამომავალი გაზეთის მიხედვით რთულია სრულად წარმოვადგინოთ იმდროინდელი ემიგრაციის მოღვაწეობის თავისებურებანი, მაგრამ ამ საინტერესო პერიოდული გამოცემის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ ემიგრანტთა საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ძირითადი ტენდენციები. ცალკეული პუბლიკაციების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა საკითხები განიხილებოდა რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ისევე, როგორც მოცემული პერიოდის ქართულ რეალობაში, ემიგრაციაშიც ვლინდება პოლიტიკური თვალსაზრისების დაშორებულობა, მათი დიფერენციაცია. აშკარაა ემიგრანტთა მხრიდან სამშობლოში მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის მომავალი განვითარების განსხვავებული ხედვა. იდეური დაპირისპირების აქტუალიზება სწორედ ემიგრანტული პერიოდული გამოცემების მეშვეობით ხდება.

სანამ უშუალოდ გაზეთის თავისებურებებს შევხებოდეთ, ვისაუბროთ იმ ატმოსფეროს შესახებაც, რომელიც მისი გამოცემის წლებში, ბერლინში სუფევდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში ვაიმარის რესპუბლიკის მთავარი ქალაქი ემიგრანტული ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად იყო ქცეული. განსაკუთრებით ეს 1920-იანი წლების დასაწყისზე ითქმის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმდროინდელ ბერლინს, პარიზის მსგავსად, რუსული ემიგრაციის დედაქალაქადაც მოიხსენიებდნენ. გასაკვირი არცაა, რადგან აქ გამოდიოდა მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი გაზეთები — პროსაბჭოურიდან დაწყებული, მონარქიულით დამთავრებული; მუშაობდა გამომცემლობები, ქვეყნდებოდა რუსული ლიტერატურის ისეთი ცნობილი წარმომადგენლების ნაწარმოებები, როგორცაა: ა. ტოლსტოი, ბ. პასტერნაკი, ა. ბელი, ვ. ხოდარევიჩი, ვ. შკლოვსკი, ვ. ნაბოკოვი (ვ. სირინი), მ. გორკი, ა. რემიზოვი, ფ. სტეპუნინი, გ. ივანოვი. ლიტერატორთა შორის ბერლინს სტუმრობდა: ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი, მ. ცვეტაევა, ბ. პილნიაკი.

„რუსული ბერლინის“ წყალობით დასავლეთ ევროპა ეცნობოდა მე-20 საუკუნის ხელოვნების ახალ მიმდინარეობებს — რუსულ ავანგარდიზმს, მოდერნიზმს მხატვრობაში; ლიტერატურათმცოდნეობაში — რუსულ ფორმალზმს, რომლის გავლენითაც საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურის შესწავლის არაერთ თეორიასა თუ ლიტერატურულ სკოლას, მათ შორის აღსანიშნავია: სტრუქტურალიზმი, ანგლო-ამერიკული „ახალი კრიტიკა“, ჰერმენევტიკა.

აღნიშნული პერიოდის ქართული ემიგრაციის ძალისხმევა, შესაძლოა, ასე შთამბეჭდავად და მრავალმხრივად არ გამოიყურება, მაგრამ

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ემიგრაციამ სულ სხვა მასშტაბი და განზომილება შეიძინა. იგი ძალზე გაძლიერდა.

კვლევისას ვხელმძღვანელობთ მედიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების დენიელ ჰალინისა და პაოლო მანჩინისეული თეორიით, რომელიც პოლარიზებული პლურალისტული მოდელის სახითაა წარმოდგენილი (ჰალინი.. 2010: 89 — 182) და რაც ზუსტად მიესადაგება ქართულ მედიაკლიმატსა და მისი განვითარების დინამიკას არა მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე, არამედ გასული ასწლეულის მთელი პირველი მეოთხედის მანძილზეც, ვიდრე პრესა მთლიანად საბჭოური იდეოლოგიის აპოლოგეტად და კომუნისტური რეჟიმის პროპაგანდისტ-აგიტატორად იქცეოდა. ესითქმის ემიგრაციაში გამოშვალ პრესაზეც, რომელიც ზედმინევით ასახავდა ქვეყანაში არსებულ რთულ პოლიტიკურ, სოციოკულტურულ ვითარებას.

მოცემული თეორიის არსი უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, განვმარტავთ, რას გულისხმობს იგი. ნაციონალური მედიასისტემების შედარებითი ანალიზის ცნობილმა სპეციალისტებმა — პაოლო მანჩინიმ და დენიელ ჰალინმა შეიმუშავეს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა მედიასისტემათა სამი სახეობა: ჩვენ მიერ ზემოხსენებული, პოლარიზებული პლურალისტული ანუ ხმელთაშუაზღვის სპირეთის მოდელი (საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, ესპანეთი); დემოკრატიული კორპორატივიზმის ანუ ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის მოდელი (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, გერმანია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვეცია, შვეიცარია) და ლიბერალიზმის ანუ ანგლოსაქსონური მოდელი (კანადა, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ). მედიასისტემების კლასიფიკაცია ავტორებმა შეიმუშავეს შემდეგი კრიტერიუმებით: ცალკეულ ქვეყნებში პრესის განვითარების თავისებურებანი, პოლიტიკური პარალელიზმი, ჟურნალისტური პროფესიონალიზმის დონე და სახელმწიფოს როლი ინფორმაციულ სისტემაში. თითოეული კრიტერიუმი მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის მედიის ფუნქციონირების თავისებურებათა გამოსავლენად. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკური პარალელიზმის პრინციპი, რომელიც მედიისა და პოლიტიკური სტრუქტურების ურთიერთკავშირის ხასიათსა და ხარისხს გულისხმობს; იგი საგულისხმო მარკერია იმის გამოსავლენად, თუ როგორ ასახავს ინფორმაციული სისტემა საზოგადოებაში არსებულ ძირითად პოლიტიკურ განსხვავებებს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კონცეფცია მეტწილად თანამედროვე პროცესებზეა ორიენტირებული და სხვადასხვა ქვეყანაში პოსტტოტალიტარული პერიოდის მედიაგარემოს ასახავს, ვთვლით, რომ ასეთივე წარმატებით შეგვიძლია განსხვავებული ეპოქის

მედიის თავისებურებების საკვლევადაც გამოვიყენოთ, მათ შორის, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც. განსახილველი ემიგრანტული პერიოდული გამოცემის საანალიზოდ შეგვიძლია მოვიხმოთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მოდელი, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში შესაძლებელია არსებობდეს პლურალისტული გარემო, იდეების მრავალგვარობა, რომელთაც მედია სრულად ასახავდეს და შესაბამისად, ფორუმსაც სთავაზობდეს საზოგადოებას, პოლიტიკურ პროცესებში მეტი ჩართულობისთვის, მაგრამ იდეურად მკვეთრად დაპირისპირებული ვითარება პოლარიზებულ მედიაგარემოს ქმნიდეს. ამ პირობებში თითოეული გავლენიანი მედიასაშუალება კონკრეტული პოლიტიკური ძალის პრომოუშენს ეწევა, ფაქტობრივად, ერთი რომელიმე იდეოლოგიის მსახურად გვევლინება (ევროპული მედია.. 2007: 27 – 33).

თუ გავიხსენებთ, რა ვითარება იყო ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის პირველი ორი ათწლეულის მანძილზე, ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სიტუაციას. ეროვნულ-დემოკრატიული პრესის მკვლევრის, მაგდა მემანიშვილის სამართლიანი შენიშვნით, 1900-1921 წლების მთავარი თანმდევი სირთულე ამ წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესების ჩახლართულობა და სწრაფი ცვლილება (მემანიშვილი 2011: 4). მსოფლიოში მოხდა ერთი დიდი ომი (პირველი მსოფლიო ომი), რუსეთში — ორი რევოლუცია; ამიერკავკასიაში — შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელიც შემდეგ სამ სხვადასხვა რესპუბლიკად დაიშალა, სამივე რესპუბლიკაში ხშირად ხდებოდა აჯანყებები, შეთქმულებები, პოლიტიკური გადატრიალებების მცდელობები. მეტიც, მათ შორის სამხედრო დაპირისპირებები, ომებიც კი შედგა, რაც საბოლოოდ, საბჭოთა რუსეთის მიერ სამივეს ოკუპაციით დასრულდა.

ამ პროცესების დროს ჩვენი ქვეყნა კარგავდა ტერიტორიებს. თუმცა იყო ტერიტორიების ხანმოკლე შემოერთების ფაქტებიც. მაგალითად, 1918 წელს ქართველმა გენერალმა მახინაშვილმა გაგრა, სოჭი და ტუაფსეც კი აიღო. მაგრამ დავკარგეთ ბათუმი და სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე საქართველოს რესპუბლიკა პოლიტიკურ კონტროლს ვერ ახორციელებდა.

ამასთან ერთად, XX საუკუნის დასაწყისი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის შექმნის, მათი დანაწევრებისა და ახალი პარტიების ჩამოყალიბების პერიოდია. იმ დროს საქართველოში გამოდიოდა ძირითადი სამი პოლიტიკური ძალის — სოციალ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა — ინტერესების გამტარებელი პერიოდული გამოცემები, ამას დამატებული სხვადასხვა ჯგუფებად დიფერენცირებული პოლიტიკური გაერთიანებების ჟურნალ-გაზეთები. ნათქვამი რომ გავამყაროთ, მოვიხმოთ სტატისტიკას.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის მკვლევარი შოთა გაგოშიძე 1900-1921 წლებში საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთე-

ბის საერთო რაოდენობად 471 (!) გამოცემას ასახელებს (გაგომიძე 2004: 3). მათ შორისაა — ლიტერატურული, დარგობრივი, რუსული და სხვადასხვანოვანი ჟურნალ-გაზეთები და, ცხადია, პარტიული პრესა.. ამ პროცესის პარალელურად იქმნებოდა, იხურებოდა და შემდგომ სხვა სახელებით ფუნქციონებოდა ახალ-ახალი პერიოდული გამოცემები. მათ უმრავლესობას ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ დროის აღნიშნული მონაკვეთის ქართული პრესის ისტორია ჯერჯერობით მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი. სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა აკრძალვამ ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის პროცესი საგრძნობლად შეაფერხა, ამიტომაც 1900-1921 წლების ქართული ბეჭდური გამოცემების შესწავლა თანამედროვე მეცნიერებისათვის დღესდღეობით დიდი გამოწვევაა. ამოცანას კიდევ უფრო აძნელებს ორი გარემოება. პირველი, როგორც უკვე ვთქვით, ამ პერიოდში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების მრავლიცხოვნობა-მრავალგვარობაა; მეორე კი — ეპოქის სირთულე.

„ქართული გაზეთის“ პირველი ნომერი 1916 წლის 28 მარტს, ბერლინში გამოვიდა. პირველივე ნომერში გამოქვეყნებული მეთაური წერილი — „რედაქციისაგან“ — ს გაზეთის მიზანდასახულობის შესახებ გვამცნობს. სარედაქციო გამოსვლაში ვკითხულობთ: „გერმანიაში და ავსტრიაში ბევრი ქართველი ტყვეა. უმეტესმა მათგანმა ქართულის მეტი არც ერთი ენა არ იცის. გარდა ამისა, ვერც გერმანული და ვერც რუსული გაზეთი „რუსსკაია იზვესტია“, რომელიც რუსი ტყვეებისთვის გამოდის, ვერ დააკმაყოფილებენ იმ ქართველ ტყვეთაც, ვინც რუსული ან გერმანული იციან, რადგან ამ რედაქციებს ქართული ენის უცოდინარობის გამო არ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ქართულ ცხოვრებას ქართულ ჟურნალ-გაზეთების საშუალებით და მიაწოდონ ჩვენს ტყვეებს მათი სამშობლოს ამბები. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვცეთ ქართულ ენაზე პერიოდული გაზეთი და შეძლებისდაგვარად ვემსახუროთ ქართველ ტყვეთა ინტერესებს“ (ქართული გაზეთი 1916: 1).

„საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის“ ბეჭდვითი ორგანო ომის შემდგომ პერიოდში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო, რომელსაც ევროპაშივე ათასობით ქართველი მკითხველი ჰყავდა. გაზეთი ერთგვარი ორიენტირის როლს ასრულებდა მათთვის, ვინც, სამშობლოსგან მოწყვეტილი, იქ მიმდინარე პროცესებში გარკვევას ცდილობდა. გაზეთის დამაარსებლები იყვნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრები, ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები.

დუშეთის ცნობილი საქმის გამო რუსეთის მთავრობისგან დევნილ-მა ლეო კერესელიძემ 1906 წელს საქართველო დატოვა და ჟენევაში

დაესახლა. მალე მისი ძმა, გიორგიც იძულებული გახდა იქ ჩასულიყო. ძმები კერესელიძეების ძირითადი ამოცანა უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა და ამ გზით საზოგადოებრივი აზრის შემზადება იყო.

უნდა ითქვას, რომ 1917 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით, გაზეთის რედაქტორი მითითებული არ არის, ხოლო 1917 წლის 23 დეკემბრიდან გამოცემის დახურვამდე (1918 წლის 12 დეკემბერი) გაზეთს ქართულ და გერმანულ ენაზე ხელს აწერს გიორგი კერესელიძე. გვხვდება ასევე რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც მის მიერ ეროვნული კომიტეტის წევრის სტატუსითაა ხელმოწერილი. ორიგინალურ პუბლიკაციათა მეტი ნაწილი, ძირითადად მეთაური წერილები, გამოქვეყნებულია ინიციალით „კ.“, რომელიც, გურამ შარაძის მოსაზრებით, ლეო კერესელიძეს ეკუთვნის (შარაძე 1991: 38). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ლეო კერესელიძეს შვეიცარიაში, ფრანგულ ენაზე გამოუცია ნიგნი „საქართველო და რუსეთის ბატონობა“, რომლის ნაწყვეტი გაზეთში 1918 წლის მე-14 ნომერში იბეჭდება. ამავე ფსევდონიმიტაა პასუხი გაცემული რედაქციაში რედაქტორის სახელზე შემოსულ წერილებზე, აგრეთვე, შემდეგ პუბლიკაციებზე: 1917 წლის 25-ე ნომერში დასტამბული „ქართული გაზეთის“ არსებობის წლის თავი,“ ხოლო 1918 წლის მე-10 ნომერში — „ქართული გაზეთის არსებობის ორი წლის თავი“. ეს წერილები მკითხველის წინაშე რედაქციის ერთგვარი ანგარიშია წლის მანძილზე განეული სამუშაოს შესახებ.

პუბლიკაციათა უმეტესი ნაწილი რედაქტორის კალამს ეკუთვნის. მათში ავტორი მიზნად ისახავს რუსეთის ასიმილანტური პოლიტიკის მხილებას. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, გიორგი კერესელიძე გვიამბობს: „ქართველი ერის დიდს უმეტესობას შეადგენს ქართველი გლეხი-მუშა. მე, მიუხედავად ჩემი აზნაურობისა, გლეხთა შორის გამიტარებია სკოლისაგან თავისუფალი დრო. თითქმის მათ შორის მიმღერია, მიცვლქია, მათთან ერთად მიღხენია სოფლის ღებინში, მიცეკვია. გლეხის ზღაპრებით დავმტკბარვარ. რომ წამოვიზარდე, მათი მუშაობა გამინანილებია, რამდენადაც ძალი შემწვედა: მიხნია, მიმკია, ძნა დამიდგია, გამიღენნია, გამინიავებია, ხვავი შემიკრებია, მათთან ბაასში გამიტარებია საღამოები, ნახირში ღამე გამითენებია და მათ გულის ნადებს მივწვდომივარ. გლეხის ცხოვრებას კარგად ვიცნობ. ჭირ-ვარამი ქართველი გლეხის ოჯახში ბევრი მინახავს და ღებნა კი იშვიათად“. მისი აზრით, „...ეს ყოველივე — შეურაცხყოფა, თავმოყვარეობის შეღახვა, სამშობლოს გაჩანაგება, რუსეთის იმპერიის „წყალობით“ გადახდენია თავს ქართველ ერს (ქართული გაზეთი 1917: 3).“ ავტორს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის აუცილებელ პირობად იმპერიის რღვევა მიაჩნდა.



გიორგი კერესელიძე, როგორც „ქართველი სულით და გულით“, როგორც გაზეთის სულისჩამდგმელი, პროპაგანდას ეწეოდა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, რათა დახმარებოდა „ჩვენს უბედო მოძმეებს,“ ცდილობდა გამოენასკვა „განყვეტილი თოკი, რომელიც მათ აკავშირებდა საკუთარ ერთან“. მისი სურვილი ქართველების გაერთიანება იყო, საერთო მიზნის მისაღწევად. ამიტომ იმედის თვალთ შეჰყურებდა საკაცობრიო ომს, რომელიც, მისი რწმენით, საბოლოოდ დაამარცხებდა თვითმპყრობლურ რუსეთს. სასურველი შედეგით ომის დასრულების შემთხვევაში კი, ტყვეებს სამშობლოს წინაშეთავიანთ მოვალეობას შეახსენებდა, მოქმედებისკენ მოუწოდებდა, ბრძოლის სურვილს უსაკეცებდა, ბედს რომ არ დამორჩილებოდნენ. გიორგი კერესელიძე საქართველოში არც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაბრუნებულა — ემიგრანტული ცხოვრების დარჩენილი წლები მან გერმანიასა და საფრანგეთში გაატარა. იგი 1960 წელს, პარიზში გარდაიცვალა. ლეო კერესელიძე ძმაზე გაცილებით ადრე, 1943 წელს, ინგლის-ამერიკის საჰაერო იერიშისას, ბერლინში დაიღუპა.

გაზეთი ძირითადად ე.წ. „დაიჯესტური“ პრინციპით ხელმძღვანელობს. ორიგინალურ მასალასთან ერთად, გამოცემის ფურცლებზე უხვადაა წარმოდგენილი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან გადმობეჭდილი პუბლიკაციები. ამ გზით შერჩეული ინფორმაციული და ანალიტიკური მასალა, ლიტერატურული ჟურნალიზმის ნიმუშები, პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ასახავს. კონკრეტული კონცეფციით მოწოდებული პუბლიცისტური და მხატვრული პროდუქციით „ქართული გაზეთი“ დიდ დახმარებას უწევდა ქართველ ტყვეებს მათი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. „საქართველო“, „სამშობლო“, „მეგობარი“, თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, „თანამედროვე აზრი“, „ალიონი“ — ეს იმ ჟურნალ-გაზეთების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მასალასაც „ქართული გაზეთი“ საკუთარ ფურცლებზე პერიოდულადათავსებდა. ამ წერილებში თვალნათლივაა გადმოცემული ის მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში საქართველოში შეიქმნა, რაც არა მხოლოდ საერთაშორისო პროცესების, არამედ ეროვნულ პოლიტიკურ ძალთა შორის იდეური და პირისპირების შედეგი იყო. ეს ყოველივე დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, აფერხებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ცხადია, ევროპაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესები ქართულ რეალობაშიც პოვებდა ასახვას.

ამ მძიმე ვითარების არსში წვდომისა და მისი მართებული შეფასებისთვის, სწორი დასკვნების გამოსატანად პერიოდული გამოცემა



საჭირობოროტო თემატიკის შემცველ ანალიტიკური სტატიებს სთავაზობს მკითხველს. გაზეთის თითქმის ყველა მეთაური წერილი კონკრეტული პრობლემის ანალიზს შეიცავს — იქნება ეს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხები. ასე მაგალითად: „ვინ არის ჩვენი მტერი“ (1916, № 11), „რაშია ჩვენი ხსნა“ (1917, № 28), „ავტონომია თუ დამოუკიდებლობა“ (1917, № 37), „კიდევ რუსები“ (1918, № 3), და ა.შ. ყველა ეს სტატია ხელმონერილია იმავე „კ“ ინიციალით., მხოლოდ სტატიას „რას უნდა ვესწრაფოდეთ“ (1918, № 8) ხელს ვინმე „ვ-რ“ აწერს.

იდეური დაპირისპირება ახალი თემა არ იყო ქართულ ჟურნალისტიკაში და „ქართული გაზეთიც“ არაერთგზის უბრუნდება ამ პრობლემას. რა თქმა უნდა, თავისუფალი და დამოუკიდებელი გამოცემა მიუკერძოებელიც უნდა ყოფილიყო და ახერხებდა კიდევ ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას. თუმცა, ზოგჯერ მაინც იგრძნობა ეროვნულ-დემოკრატიული იდეალებისადმი სიმპათია(დავითაია 2006: 12).

„ქართული გაზეთი“ სისტემატურად აქვეყნებდა მასალებს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე პროცესების შესახებ. ასახავდა ყველაფერს, რაც „სამუსლიმანო“ საქართველოს ირგვლივ ხდებოდა. ეს პუბლიკაციები შეიძლება „აჭარის საკითხის“ სახელდებით გავაერთიანოთ. მათ შორის საგულისხმოა: „აჭარის აოხრება“ (1916, № 2), „მაჰმადიანი ქართველების დღე“ (1916, № 2), „მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენელი თბილისში“ (1916, № 4), „აჭარის ამბები“ (1916, №6), „სტუმრად აჭარლებთან“ (1917, № 23). ამ წერილებში აღწერილია ომის შედეგად გაპარტახებული აჭარის მოსახლეობის გაუსაძლისი მდგომარეობა, კვლავაც დადასტურებულია უტყუარი ჭეშმარიტება, რომ საქართველოს ამ უძველესი კუთხის ერთადერთი ხსნა მხოლოდ სამშობლოსთან ერთიანობაშია.

ჩვენ მიერ განხილული პერიოდული გამოცემა ყურადღებას იპყრობს მასალათა სიუხვითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.მათი ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ რედაქციის მიზნებსა და ამოცანებზე. პუბლიკაციათა უმეტესობა პრობლემური სტატიის ფორმას განეკუთვნება. გვხვდება ლიტერატურული ჟურნალიზმის ნიმუშებიც. განსჯის სიღრმეებით გამოირჩევა შემდეგი ანალიტიკური წერილები: „საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა (1917, № 30), „ჩვენი ძველი მწერლობა“ (1918, № 7), „ეროვნულ ძალთა ერთობა“ (1916, №7); „ქართველების ეროვნული მოვალეობა“ (1916, № 6) და სხვ.

პუბლიცისტური მასალის გვერდით ქართული მწერლობის არაერთი შესანიშნავი ნიმუშიც იბეჭდება. მაგალითად: ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, „გუთნის დედა“, „კაცია ადამიანი?!“, აკაკი წერეთლის „სიზმარი“, „დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს“,

„ავადმყოფი“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, ვაჟა-ფშაველას „პატარა ბიძინა მერკვილაძეს“, ბაჩანას „იროდიონ ევდომვილის გარდაცვალების გამო“, ეგნატე ნინოშვილის „განკარგულება“, შიო მღვიმელის — „ია“, „ვაჟკაცს“, იოსებ გრიშაშვილის „სამშობლოს ნანგრევებში“ და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ „ქართული გაზეთი“ ე.წ. პოლიტიკური პატრიოტიზმის კონცეფციის გამომხატველია; აქვს კონკრეტული მიზანი, მსჯელობს ქართული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. თუმცა, ასევე აშკარაა თავისებური „რომანტიკული“ პატრიოტიზმის გავლენაც, რაც სამშობლოზე მიჯაჭვულობით, მისი აპოლოგიითაა გაცხადებული. აქვე შეგვიძლია შემოვიტანოთ განსაზღვრება „ტყვეთა პატრიოტიზმი,“ რომელიც უცხოებაში თავისუფლებანართმეულთა მიერ სამშობლოს წარმოდგენას ეფუძნება.

ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ გაზეთმა დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა ტყვეთა შორის. ამას ადასტურებდა მრავალრიცხოვანი მადლობის წერილები, რომლებიც რედაქციას სისტემატურად მოსდიოდა. გამორჩეულთ აქვეყნებდა კიდეც. რედაქტორი ერთგან წერდა: „ქართულ გაზეთს“ შეუძლიან ამყაად სთქვას: „მე ვარ დედა უცხოეთში ლტოლვილ ქართველ ტყვეთა ოჯახისა.“ მართლაც, გაზეთმა, რომელმაც ტყვეთა ნუგეშისცემის რთული მისია იტვირთა, წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და ქართული ემიგრანტული წარსულის განუყოფელ ნაწილად იქცა.

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1916–1918 წლებში, ბერლინში გამომავალი „ქართული ეროვნული პარტიის ევროპის კომიტეტის“ ბექდური ორგანო „ქართული გაზეთი“ ქართველ ემიგრანტთა იდეურ — პატრიოტული მემკვიდრეობის მემატანედ გვევლინება; წარმოაჩენს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ასევე ქართული რეალობიდან გამომდინარე. გაზეთის თვალთახედვის არეში ექცევა ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საჭირობოროტო პრობლემები.

გაზეთის მიზანდასახულობა ქართველ ტყვეთა შორის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებასა და სამშობლოში არსებული ვითარების შესახებ მათ ინფორმირებაში გამოიხატებოდა. მართალია, მეტწილად გამოცემა ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი პუბლიკაციების გამოქვეყნებით გადიოდა ფონს, მაგრამ სარედაქციო პოლიტიკა, მესვეურთა პოზიცია სწორედ მასალათა შერჩევაში ვლინდებოდა. გაზეთის კონცეფციას ნათლად წარმოაჩენდა დასტამბული პროდუქციის პატრიოტული, აშკარად ანტირუსული, კონტრპროპაგანდისტული ხასიათი.

„ქართული გაზეთის“ კიდეც ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი ზეპარტიულობაა. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემის ფურ-

ცლებზე აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა შიდაპარტიულ დაპირისპირებასა და პოლიტიკურ თვალსაზრისთა დაშორებულულობაზე, იგი ცდილობს, შეინარჩუნოს მიუმხრობელი პოზიცია, რადგან ქვეყნის პრობლემების უმთავრეს მიზეზს სწორედ პარტიულ დაქსაქსულობაში ხედავს. ეს პრინციპულობა კარგად ჩანს ზოგადად „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოღვაწეობიდანაც. ნათქვამი კალისტრატე სალიას მოგონებიდან ერთი კონკრეტული ფაქტითაც შეგვიძლია დავადასტუროთ. კომიტეტს სტოკჰოლმის საერთაშორისო კონფერენციაზე მიხაკო წერეთელი გაუგზავნია დელეგატად. მისთვის პარტიული კუთვნილება რომ უკითხავთ, მიუგია: არც სოციალ-დემოკრატი ვარ, არც სოციალ-ფედერალისტი, მე ქართველი ნაციონალისტი ვარო (ბედი ქართლისა 1962: 17-30). ამ პოზიციაზე იდგა „ქართული გაზეთიც.“

მთლიანობაში, გაზეთი ევროპული გადმოსახედიდან ქართული პოლიტიკური რეალობის კრიტიკულ აღქმას ემსახურება. აქვს კონკრეტული მიზანი — ტყვეობაში მყოფი თანამოძმეების გამხსნევა, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისკენ მონოდება; მსჯელობს ქართული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. „ქართული გაზეთი“ უდავოდ საინტერესო და აქტუალური პრობლემატიკის შემცველი პერიოდული გამოცემაა, რომელიც საგულისხმო მასალას გვანვდის ქართული ემიგრაციის პატრიოტული მოღვაწეობის შესახებ, გვეხმარება წარსულის სურათის აღდგენასა და მის ობიექტურ შეფასებაში.

## **დამოწმებანი:**

**ბედი ქართლისა 1962:** „ბედი ქართლისა“. № 39-40, 1962.

**გაგოშიძე 2004:** გაგოშიძე შ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები)*. ნაკვეთი I. თბ.: 2004.

**გაბიუსი 1928:** Гиппиус З. *Положение литературной критики*. „Возрождение“, Париж: 24 мая, 1928.

**დავითაია 2006:** დავითაია ხ. „ქართული გაზეთი (ბერლინი, 1916–1918 წ.წ.)“. // *ჟურნალისტური ძიებანი*. ტ. IX. თბ.: „უნივერსალი“, 2006.

**ევროპული მედია... 2007:** *European Media Governance National and Regional Dimensions*. Introductions by McQuail, Hallin, Mancini, Papathanassopoulos, Weibull and Jakubowicz. Edited by Georgios Terzis, Bristol, UK, 2007.

**მემანიშვილი 2011:** მემანიშვილი მ. *სადისერტაციო ნაშრომი — ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „საქართველო“ — 1915-21 წ.წ.* (აფხაზეთის, საინგილოსა და სამაჩაბლოს პრობლემატიკა). ნაშრომი დაცულია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე, ფილოსოფიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.: 2011.

**შარაძე 1991:** შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. თბ.: 1991.

**ქართული გაზეთი 1916:** ქართული გაზეთი. № 1, ბერლინი: 1916.

**ქართული გაზეთი 1917:** ქართული გაზეთი, № 40, ბერლინი: 1917.

**ჰალინი... 2004:** Hallin C. D., and Mancini, P. Comparing Media Systems; *Three Models of Media and Politics*. Cambridge: Cambridge University Press, 2004. (<http://www.scribd.com/doc/66177162/Comparing-Media-Systems-Daniel-Hallin>)

## KETEVAN SHENGELIA

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### Meaning of Symbolic Icon According to Grigol Robakidze's Play Lamara

The first third of 20<sup>th</sup> century of Georgian literature is focused on renewing national problems. This has its own reasons from which the most important is conspiracy and defeat in 1924 and consequent depression of society. As Grigol Robakidze describes, he devotes poem "Lamara" to Georgian's defeat. We tried to represent what connection can exist between Gr. Robakidze's symbol and Georgian tragedy.

According to analyses of this writing we concluded following presumable "formula": Lamara – Georgia – the whole world.

**Key words:** *Grigol Robakidze, "Lamara", symbolic icons.*

## ქეთევან შენგელია

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### სიმბოლური ხატის ფუნქცია გრიგოლ რობაქიძის პასტორალის „ლამარას“ მიხედვით

XX საუკუნის პირველი მესამედი ქართულ მწერლობაში გამოირჩევა ეროვნული პრობლემათიკის განახლებული აქტივიზირებით. ამას თავისი მიზეზები გააჩნია; მათ შორის ყველაზე ნიშანდობლივია 1924 წლის შეთქმულების მარცხი და ამით გამოწვეული საზოგადოებრივი დეპრესიის ახალი ტალღა. სწორედ ამას მიეძღვნა პასტორალი — „ლამარა“.

გრიგოლ რობაქიძე აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციამდელი საქართველოს ლიტერატურულ პროცესებში, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამ პროცესის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო და სათანადო აღიარებითაც სარგებლობდა. საინტერესოა მისი დრამატურგიის, ერთ-ერთი ცენტრალური სახის — ლამარას — მხატვრული და სიმბოლური პარადიგმატიკის ანალიზი ქართული მწერლობის განვითარების ძირითად ტენდენციებთან მიმართებით.

მწერალი საკუთარი შემოქმედების მწვერვალად „ლამარას“ მიიჩნევდა და თავადვე აფასებს: „მე არ მეგულება სხვა დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც „ლამარასავით“ მისტერიაში გადადიოდა. ვეძებ მის მსგავს, ვერ მომიწახავს. ვიმეორებ „ლამარა“ ერთადერთი დრამა მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც თითქოს უმჩნევად გადადის მისტერიაში. ამით აიხსნება ის ფანტასტიკური გამარჯვება მისი, რომლისდაგვარი არ რგუნებია არც ერთ პიესას არც საქართველოში, არც რუსეთში და არც სხვაგან. ვგულისხმობ, სულ სხვა ჯურის გამარჯვებას, ვიდრე ანშლაგურს — უკანასკნელი ოშვიათი არაა.“ (რობაქიძე 1996: 25). მოვიგონოთ ამ ნაწარმოების შექმნის ისტორია: 1924 წელს მარჯანიშვილი თავისი დასით ზაფხულს მანგლისში ატარებდა და ისვენებდა. გრიგოლ რობაქიძე სტუმრობდა მათ. ერთ საღამოს მწერალს ვაჟას „გველისმჭამელი“ გატაცებით ნაუკითხავს და შეუთავაზებია კოტე მარჯანიშვილისათვის:

— „რა იქნებოდა ეს პოემა გასცენიურდებოდეს?

— გასცენიურება არა! რა იქნებოდა შენ თვითონ გაშალო ეს მითური გადმოცემა ღრმად ჰა?“ — უპასუხნია მარჯანიშვილს (რობაქიძე 1996: 24).

„იმპულსი კოტეს მიერ მოცემული აინთო ჩემში“ — იხსენებს გრიგოლ რობაქიძე — „ლამარა ვიხილე ერთს უეცარ გაელვებაში... „ლამარა“ შთამესახა, შემოქმედება ამგვარი შთასახვითგან იწყება.. თვენახევარიც არ გასულა, კალამს მოვიკიდე ხელი“ (რობაქიძე 1996: 191). ასე დაიწერა ლამარა.

ბუნებრივია, რომ პერსონაჟი, რომლის სახელიც მწერალმა ნაწარმოების სახელწოდებად აირჩია, მისი იდეური მრწამსის გამოხატვის (თუ, სიტყვასი გააცხადების) ცენტრალურ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ. ლამარას მხატვრული სახის ანალიზში, „ვითარცა წვეთში ისახება მთელი ბუნება ზღვისა“ — ისე ისახება გრიგოლ რობაქიძის მწერლური კრედო.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართული მწერლობა(როგორც ოდითგან სჩვეოდა) კვლავ „სისხლიანი ანგლოსის“ ქარიშხლიან ბარიკადებზე დგას და ეროვნული „ჩაკლული სულის“ ალორძინებას ცდილობს. ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლის ავანგარდში დგას მწერალთა ახალგაზრდა თაობა გრიგოლ რობაქიძის თაოსნობით და ახალი მხატვრული სახეების ძიების, ახალ ფორმათა ძერწვის გზაზე

ხელახლა აბამს(მიუხედავად წარსულთან ლიტერატურული დაპირისპირებისა) კლასიკური ქართული მწერლობის ეროვნულ ტრადიციებთან ომებისა და რევოლუციის მიერ ჩანყვეტილ ძაფებს. ბუნებრივია, რომ მათი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, ვაჟა-ფშაველა უნდა მოქცეულიყო. ამ მიზეზთაგან საფიქრებელია, ყოველი მათგანი ბოლომდე გააზრებულიც არ ჰქონდათ ახალ ესთეტიურ კრედოთა მადიებელსა და „ბესიკის ბაღში ბოდლერის შხამიან ყვავილთა“ გადმორგვის მონადინე ქართველ მწერალებს. მიუხედავად ამისა, ყველაზე მძლავრი ძარღვი მუდამ ფეთქავდა თითოეული მათგანის მაჯაზე: საქართველო — აი, რა იყო უპირველესი!

ცისფერყანწელთა თვალსაზრისით, „მითოსური მანტიით შებურული“ ვაჟა-ფშაველა ყველაზე უკეთ ესადაგებოდა წარმართულ წარსულში მიმართულ პოეტურ მზერას; ოღონდ დიდი პოეტის ნააზრევში საგრძნობია ქრისტიანული რელიგიის მოზღვავება, მითოსიც მხოლოდ პოეტური ძვირფასი თვლების საბადოდ აქვს გამოყენებული, ხოლო რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძეს, ის როგორც სიმბოლისტი, იდეურად საპირისპირო პოზიციას იჭერს.

ლიტერატურათმცოდნეობის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ „შეიძლება მწერალი სულაც არ მისდევდეს მეორე მწერალს, არ იზიარებდეს მისი განსახიერების პრინციპებს, ან უპირისპირდებოდეს კიდეც მას, მაგრამ ამას სწორედ მისი გავლენით აკეთებდეს, ამოსავალი მისთვის შეიძლება ეს ავტორი იყოს“ (კიკნაძე 1978: 46). ფიქრობთ, აქ სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საყურადღებოა ამ ნაწარმოებთა იდეური მსგავსება-განსხვავებები, ოღონდ, ამ საკითხზე მსჯელობა ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. გრ. რობაქიძე თავად მოგვახსენებს ამის შესახებ და მიიჩნევს, რომ მითიურმა არსმა მოითხოვა „ლამარას“ და „გველისმჭამელის“ ერთი-მეორესადმი შეპირისპირება.

„გველისმჭამელის“ შექმნისას ვაჟა-ფშაველას ძირითადად ყურადღება გადააქვს გმირის ხასიათზე, მის ტრავმდიაზე, გრიგოლ რობაქიძემ კი, ეს უჩვეულო გმირი უცვლელი თვისებით შემოიყვანა ნაწარმოებში. მინდია „გველისმჭამელში“ გველის ხორცის მიღების შემდეგ „გამეცნიერდება“, ხოლო „ლამარაში“, რასაც მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, ჩიტის გულის მოყვარეობის გამო. მთავარი ის კი არ არის ბუნების რომელ „კომპონენტთან“ შეხების გამო მიეცა გმირს ეს „ძალა“, მთავარია რომ გრ. რობაქიძე მის ერთ-ერთ მთავარ და სხვათაგან სრულიად განსხვავებულ გმირს ისეთივე თვისების მქონეს გვთვაზობს, როგორიც არის „გველისმჭამელის“ მინდია — ბუნების მცნობი, მკურნალი, ლმობიერი და მგრძნობიარე. მათი მისნობა შორს არის შავბნელი გრძნეულებისაგან. პირიქით, სიკეთის მთესველია ორივე; სწორედ ამ გმირის „ძალის“ თვისებაა აქ უჩვეულო. სწორედ ამან დააინტერესა გრ.რობაქიძე.

ვაჟკაცობა და იმედროულად გულჩვილობა ორივე გმირისათვის არის დამახასიათებელი. გრ. რობაქიძის აზრით, „გველისმჭამელში“ მინდიას თვითმკვლევლობა უბედურების ტოლფასია, ხოლო „ლამარას“ გმირი მინდია კი თავშენიერვის უნარით არის დაჯილდოვებული. ჩვენი მოსაზრებით, „გველისმჭამელის“-ეული მინდია რომ თავს იკლავს, ეს არ გამორიცხავს გმირის თავგანწირვის უნარს. როცა მინდია უარს აცხადებს ყოფითი პირობების შექმნა-გაუმჯობესებაზე, არ ჭრის ხეს, არ ხოცავს ნადირს, მზადაა უანგაროდ დაეხმაროს და უმკურნალოს დაზარალებულს, ესაა სწორედ თავშენიერვა და ეს თავშენიერვა გმირის ბუნებრივი მდგომარეობაა, მეტიც — მისი სულიერი მოთხოვნილებაა. აფექტში ადამიანის მიერ თავგანწირვა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე განონასწორებულ მდგომარეობაში თავშენიერვის წესად მიღება; ვფიქრობთ, რომ არც „გველისმჭამელისეული“ მინდიას თავგამეტება და თვითმკვლევლობის მიზნით მტრის გარემოცვაში შეჭრა გამორიცხავს ბოლომდე გმირის თავშენიერვის უნარს:

„კაცო რად იკლავ ძალად თავს/ძალად სიკვდილი გნადიან?  
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში/ხომ ხედავ რასაც სჩადიან?!..“  
(ვაჟა-ფშაველა 1961: 183)

„ლამარასეული“ მინდიაც წარბმეუხრელად ელის სიკვდილს იჩოს-გან. სურს თავი შესწიროს სიყვარულს და ამით მშვიდობა ჩამოაგდოს ორ ხალხს შორის. ე.ი. თავშენიერვის უნარი ორივე გმირისათვის არის დამახასიათებელი. „გველისმჭამელში“ მინდია, რომელიც საზოგადოებისაგან თანაგრძნობას თხოულობს, საკუთარ ოჯახში ხვდება წინააღმდეგობას. საზოგადოებრივი უჯრედი — ყოფითი ზრუნვის საგანი, ღუპავს მას შეუგნებლად. ცოლი — მზია ვერ „ულრმავდება“ გმირის ბუნებას. მინდიას, რომელზედაც გადმოსულია ღვთიური მაღლი ბუნებისა, ხელს აალებინებს მთავარ ფუნქციაზე და გმირის მიერ პირველი შეცდომის შემდეგ ხდება მისი პიროვნული ნგრევა. „გველისმჭამელში“ მინდია ვერ გადაარჩენს საკუთარ ხალხს. „ლამარაში“ მინდია ვერ გადაარჩენს საყვარელ ქალს. „გველისმჭამელის“ მინდია ფუნქციადაკარგულია და თავს იკლავს, ხოლო „ლამარას“, ფიზიკურად გადარჩენილი, გმირიც სათაყვანებელი პიროვნების დაკარგვის შემდეგ, ფუნქციადაკარგული რჩება და სავარაუდოა უბედურებამდე ისიც მივიდეს; ის ხომ ლამარას გამო პერიოდულად კარგავს „მისნურ“ ნიჭს. გმირის ძალის წართმევა და დაბრუნება კი ლამარას სიყვარულთან არის დაკავშირებული, როცა რაიბული ეკითხება მინდიას, როდის წაერთვა ძალა. მინდია პასუხობს:

„პირველხან, მგონი ქავთართან — ლამარა რო მაიტაცეს  
რაიბულ: ცოდნა თუ მთლად დაჰკარგე?!  
მინდია: დრო და დრო ისევ მამდის“.  
(რობაქიძე 1926: 188)



ბოლოს, ლამარას გამო თავგანწირვა უბრუნებს გმირის „ძალას“ როცა ლამარას მოიტაცებენ, მინდია უნარს კარგავს. რა დაემართება მის „ძალას“ ლამარას სიკვდილის შემდეგ? სავარაუდოა, რომ ის მის სიყვარულთან ერთად მოკვდება და მინდია აქაც ფუნქციადაკარგული დარჩება.

საინტერესოდ გვეჩვენება გრიგოლ რობაქიძის პასტორალის ცენტრალური სახის — ლამარას — მხატვრული და სიმბოლური პარადიგმატიკის ანალიზიც „გველისმჭამელის“ მზიასთან მიმართებით. ბუნებრივია, რომ პერსონაჟი, რომლის სახელიც მწერალმა პიესის სახელწოდებად აირჩია, მისი იდეური მრწამსის გამოხატვის ცენტრალურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ.

მაინც ვინ არის ლამარა? ის ხალხის რჩეულის რჩეულია, ე.ი. მთელი სამყაროს სიყვარულის ცენტრია; ამის სიმბოლოდ მწერლის მიერ არჩეულია ქალი და არა სხვა „რამ“. ქალი — კულტი ქართული ცნობიერებისა. ბიბლიური ევას მსგავსად „გველისმჭამელშიც“ და აქაც ქალი ღუპავს მინდიას. მან ვერ დააფასა ღვთიური მადლით ნიშანდებული ადამიანი და სთხოვს მას მოტაცებას ანუ ძალადობას, რაც მინდიას პიროვნებისათვის სრულიად უცხოა. ლამარა აღმოჩნდება თორღვას ხელში, ღუპავს მინდიასაც და თავსაც. ვფიქრობთ გარკვეული მიმართება მყარდება ამ ორ ქალს შორის. ერთი მზია, თავისი მიუხვედრელობით ხდება გმირის ტრაგედიის დასაწყისის მიზეზი, ხოლო მეორე — ლამარა — თავის გაუკვევლობით, შინაგანი გაორებით, და მერყევი ბუნებით.

„გველისმჭამელში“ ვხედავთ სამშობლოსა და სამყაროსათვის არსებობის და თავგანწირვის იდეას. მთავარი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია. ვფიქრობთ, ეს იდეა ამოძრავებდა გრიგოლ რობაქიძესაც „ლამარას“ შექმნისას.

„გველისმჭამელისეულ“ მინდიას მთელი სამყარო გულით უყვარს, დაუკონკრეტებლად. „ლამარაში“ სამყაროს აღქმის ცენტრი ქალის სიყვარულშია გასხივოსნებული. თუ შეიძლება ასე ითქვას, ლამარას ხელშია მინდიას „მისწერი“ ძალა. ლამარა, უნებურად, თავისი უსუსურობის გამო, ჰარმონიის დამანგრეველიც კი ხდება ის ღუპავს მინდიას: ლამარა ვერ ხედავს, ვერ აცნობიერებს გმირის ფუნქციას, რომლისთვისაც ლამარას სიყვარული „მისწერი ნიჭის“ ენერგიაა...

როცა ავტორი „ლამარაზე“ მსჯელობს, მოიგონებს წარმართ ქალღმერთს, რომელსაც ერქვა ლაგმარი; მოიგონებს სვანთა სალოცავსაც „ლამარიას“ (ნიშნავს წმ. მარიამს). ე.ი. ნაწარმოების გმირის სახელის შერჩევასაც ავტორს სურს დაგვანახოს, რომ შემთხვევითობა სრულიად გამორიცხებულია. ამით ის მნიშვნელოვან მინიშნებას გვაძლევს. ეს სიმბოლური სახელი არის ქართული წიაღიდან მოძიებული და დამკვიდრებული მწერლის მიერ და შესაბამისად, შინაარსობლივი დატვირთ-

ვაც დიდი აქვს. გრიგოლ რობაქიძის სიმბოლოს ახასიათებს მთასავით პირველყოფილება, სილამაზე და სილალე. „ლამარაში“ სამშობლო მოიაზრება, ამიტომაც ხდება მის გარშემო მოქმედება. მინდიანსაირ პიროვნებას უნდა შეჰყვარებოდა ყველასაგან გამორჩეული, ძვირფასი „რამ“ (სამშობლოზე ძვირფასი კი არაფერია), აქ ეს „რამ“ მატერიალიზებული „ლამარაში“ და მთელი სამყაროს იერსახე აქვს.

„ზეპიროვნულ არსში სიმბოლო და მითოსი თავისთავადია, იშვიათ სიძნელეს აქ ადგილი არა აქვს. პიროვნულ არსში კი მათი წარმოშობა ძნელი რამაა. ავიღოთ სიმბოლო, ვთქვათ პოეტმა მიაგნო სიმბოლოს საგნისა. აძლიერებს იგი „სიმბოლოს“ — მაშინ „საგანი იჩქმალება. ხანდახან მხოლოდ ჰქრება და სიმბოლო გამოდის უხორცო და უსისხლო“ (ეს საფრთხე თან სდევს სიმბოლურ პოეზიას). გაშლის პოეტი „საგანს“ და „სიმბოლოს“ თანაბარი სიძლიერით, ხოლო ისე, საგანი იქაა და სიმბოლო „აქ“, „სიმბოლო გამოდის როგორც „ილუსტრაცია“ (ეს საფრთხე კიდევ უფრო საზიანო, თან სდევს ყოველგვარ პოეზიას...). ხელოვანის საქმეა სძლიოს ეს ორმაგი სიძნელე. თუ შეძლო მან საგანში ხილული და საგნისგან გამოყვანილი „სიმბოლო“ უკუაბრუნა საგნისაკენ და კვლავ „საგანად“ აქცია იგი, მაშინ ავტორი გამარჯვებული გამოდის... (რობაქიძე 1996: 63). „საგნის“ ქცევა „სიმბოლოდ“ ძალიან ძნელია. კიდევ უფრო ძნელია „ამბავის“ ვლინება „მითოსად“ (რობაქიძე 1996: 85). ავტორმა ლამარაში შესანიშნავად მოახერხა ეს. ნაწარმოების მთავარი გმირი, რომელიც სიმბოლოდ არის ქცეული, „ამბის“ მოქმედ პიროვნებად წარმოგვიდგინა.

სიმბოლოში შეიძლება რამოდენიმე რამ ერთად მოიაზრებოდეს; შეიძლება კონკრეტული საგნის ან მოვლენის ნაცვლად იგულისხმებოდეს ზოგადი — თუნდაც ავტორის ემოცია ან დამოკიდებულება მოვლენის მიმართ; სიმბოლოში შეიძლება იგულისხმებოდეს „რაიმე“ მშვენიერი, ამაღლებული და რაც უფრო ძნელი დასარქმევია მოვლენისათვის სახელი, ვფიქრობთ, მით უფრო მოსახერხებელია სიმბოლოს გამოყენება.

ნაწარმოებში ვხედავთ ლამარას გაიგივებას სამშობლოსთან და მერე მთელ სამყაროსთან. დამაჯერებლობისათვის ვეყრდნობით ავტორის სიტყვებს: „დავუბრუნდეთ ლამარას, თვენახევარიც არ გასულა მისი შთასახვითგან — კალამს მოვკიდე ხელი... ამის მიზეზი შესაძლოა ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა იყო. საქართველო ემზადებოდა ამბოხებისათვის... სასტიკად უარყოფდი ამ ნაბიჯს... მოხდა ამბოხება, გათავდა მარცხით... ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნულ მოვინდომე „ლამარა“ უმაღლეს მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა“ (რობაქიძე 1996: 191).

ყოველი შემოქმედი თავის ეპოქის შვილია. გრ.რობაკიძემ თავისი პიესით უპასუხა იმ დროისათვის საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამ დროს კი მისთვის ძვირფასი „რამ“ — სამშობლო გასაჭირში იმყოფებოდა. ასე რომ, ვიღებთ ასეთ „ფორმულას“, ლამარა — საქართველო — მთელი სამყარო.

### **დაბრუნება:**

**ვაჟა-ფშაველა 1961:** ვაჟა-ფშაველა. *ხუტომეული*. ტ II, თბ.: 1961.

**კიკნაძე 1978:** კიკნაძე გრ. ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები. თბ.: 1978.

**რობაკიძე 1926:** რობაკიძე გრ. *დრამები*. „ლონდა, მალშტრემ, ლამარა“. თბ.: 1926.

**რობაკიძე 1996:** რობაკიძე გრ. *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. თბ.: 1996.

## **EKA CHKHEIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustavli Institute of Georgian Literature*

### **Grigol Robakidze about the Essence of Bolshevism (according to the interview of Kale Salia)**

In 1953 February 2, K. Salia interviewed G.Robakidze for the magazine “Bedi Qartlisa”. After the interview K. Salia wrote: “I have read plethora of researches about bolshevism, I have thought the matter for many times, but I have never come across such characterization and acknowledgment of the bolshevism system“. G.Robakidze expressed and showed the deep analysis of the system...

What did K.Salia mean by using expression “controversial soul of soviet individual”? According to G.Robakidze the soul of the soviet individual was among the demon’s pincers and thus it looked like the figure 8; the one half of the figure is the element of bolshevism and the second half is human one.

**Key words:** *acknowledgment, bolshevism, controversial, characterization.*

## ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### გრიგოლ რობაქიძე ბოლშევიზმის არსის შესახებ

1953 წლის 2 თებერვალს კალისტრატე სალიამ გრიგოლ რობაქიძისაგან აიღო ინტერვიუ ჟურნალისტის „ბედი ქართლისა“. ინტერვიუს დასრულების შემდეგ კ. სალია წერდა: „ბევრი გამოკვლევები წამიკითხავს ბოლშევიზმზე, ბევრი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და გაგება, როგორც ბ. გრიგოლისგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. ღრმა ანალიზით გადამიშალა მან ქვეყნილი შინაარსი ბოლშევისტური სისტემისა და თანვე უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე სული საბჭოური ადამიანისა“ (რობაქიძე 2012გ: 378).

ამ ინტერვიუმდე 20 წლით ადრე გერმანიაში, იენაში, გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული“, რომელშიც ავტორმა აჩვენა ის, რასაც კალისტრატე სალია უწოდებდა „ქვეყნილი შინაარსის ბოლშევისტური სისტემისა“ (რობაქიძე 2012გ: 378). ამ რომანში გრიგოლ რობაქიძემ მხატვრული თვალსაზრისით ძალზე შთაბეჭდავად ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი: ბოლშევიკური პოლიტიკური სისტემა ებრძვის არა განსხვავებულ აზრს, არა ანტიმარქსისტულ იდეოლოგიას და ცალკეულ პიროვნებებს, არამედ საერთოდ ადამიანის სულს! ბოლშევიზმი (მარქსიზმის ეს უკიდურესად ვულგარული ფორმა) ებრძვის თავად ღმერთს — სიცოცხლის სანყისსა და მიზანს, ადამიანური ცხოვრების არსს, ღვთიურ ელემენტს ადამიანის არსებაში — თავისუფლებისმოყვარე სულს. ამდენად, რომანის იდეური, მსოფლმხედველობრივი „ხტილი“ (თავად ავტორის ტერმინს რომ მივმართოთ) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს, სიკეთესა და ბოროტებას, დემონურსა და ღვთიურს შორის. როგორც ჩანს, სწორედ ამ დაპირისპირების გამოსაკვეთად სჭირდება ავტორს თამუზისა და იშთარის მითის თავისებური ტრანსფორმაცია. თამუზი რომანში თამაზ ენგურია, იშთარი კი მისი შეყვარებული — ნატა. თამაზი რომ გპუ-ს ხელში ჩავარდება (რაც მეტაფორულად ქვესკნელში ჩასვლად შეიძლება იქნეს გააზრებული), ნატა თითქოს აცნობიერებს თავის მძიმე ხვედრს: უნდა ეწამოს, რომ სიყვარულის ღირსი გახდეს, თავის თავზე უნდა აიღოს მრავალი უბედურება, რომ მიჯნური გამოიხსნას: „იშთარად უნდა ქცეულიყო, ყველა საბურველი ჩამოეხსნა, გაშიშვლებულიყო, დამდაბლებულიყო, მრავალი ავადმყოფობა აეღო თავზე, რათა ბნელეთიდან გამოეხსნა მიჯნური“ (რობაქიძე 2012ა: 587).

გრიგოლ რობაქიძისათვის დამახასიათებელია აზროვნება და მსჯელობა გარკვეული მითოლოგიებით — ის ყოფითში, ჩვეულებრივში, მუდმივად ეძებს ღვთაებრივ მნიშვნელობას და ყოველგვარ გასაჭირში განგების ნებას ხედავს. ამიტომაც მისთვის თვით გპუ-ს ბნელი ჯურღმულებიც კი ღვთისგან მოვლენილი გასაჭირია, რომელსაც ადამიანმა უნდა გაუძლოს, რათა თავის თავში აღმოაჩინოს ღმერთი (სწორედ გპუ-ს ბნელ კედლებზე წერია მთავარი კითხვა საბჭოთა რეალობისა: „სად ხარ, ღმერთო?“); რომანის ფინალში კი ისმის იმ სულის ხმა, რომელიც ვერ ჩაკლეს ბოლშევიკებმა: „შენ ხარ! შენ ხარ! შენ ხარ!“ (რობაქიძე 2012ა: 610).

ასე მთავრდებოდა რომანი, რომელიც მწერალმა 1933 წელს გამოაქვეყნა, მაგრამ 20 წლის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში კი გრიგოლ რობაქიძის ოპტიმიზმი ნაკლებად იგრძნობა — იგი კალისტრატე სალიას ესაუბრებოდა „წინააღმდეგობებით სავსე სულზე საბჭოური ადამიანისა“ (რობაქიძე 2012გ: 378). ამ შემთხვევაში გრიგოლ რობაქიძე უკვე არა საკუთარი ფანტაზიით შექმნილი მწერლის, არამედ რეალურად არსებული ქართველი მწერლების ზნეობასა და მორალს ეხება. ხელოვანის ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი სიცოცხლის ბოლომდე ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი იყო გრიგოლ რობაქიძისთვის.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ბოლშევიზმის დემონურ მარნუხებში მოქცეული ადამიანის სული გრაფიკულად წააგავს ციფრს — 8, რადგან: „ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორ ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს — გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას“. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ადამიანის ღვთიური არსიც (მისი სულის გაურყვნელი ნაწილიც) და მისივე სულის ბოლშევიზმის მიერ გახრწნილი ნაწილიც ვერ იქცევა (თუ ისევ გრაფიკულად გამოვსახავთ) წრედ — 0-ად. იქ მაინც რჩება 8-ის მეორე ნახევარი, როგორც საბჭოთა სინამდვილეში ადამიანის გაორებული შინაგანი სამყაროს ნათელი დადასტურება.

თავისი დებულების დასასაბუთებლად გრიგოლ რობაქიძე იმონებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“. მწერალი აქებს რომანის მხატვრულ ღირსებებს და აკრიტიკებს მის იდეოლოგიურ მხარეს, კონკრეტულად კი იმ ეპიზოდს, როდესაც ქართველ მეფეს (და ეს ხდება შუა საუკუნეებში!) აზრად მოუვა, რომ ხატი და ჯვარი გამოიყენოს მკვლევლობის იარაღად. გრიგოლ რობაქიძის აზრით, „შინაგანი მიმართება ამ ადგილისა აშკარაა: 1. მეფე „გაბითურებულია“ — რაა ის მეფე, რომელიც მონინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთს საშუალებას მიმართავს? 2. „გაბითურებულია“ ხატიც — რაა ის

სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ. ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს, ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში“.

ამ საკითხს გრიგოლ რობაქიძე შეეხო ჯერ კიდევ 1944 წელს დაწერილ წერილში „სულის დაშლა“, სადაც წერდა: „შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმაღლეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში. ხოლო აქ მალულად, თითქოს სუნთქვით, თვითონ „ხელმწიფების“ იდეაც არის „გაკანრული“, ის იდეა რომლითაც გამართულია „ცხოვრებაი ქართლისა“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; თავი და თავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტი ცხოველი“ საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლო ერთ გორაკზე, რომელსაც „მოგვთაის“ უხმობდნენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდნენ; მცხეთის გვერდით ეგულვებოდათ კარდჷუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული მეოთხე საუკუნის დამდეგს; აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავის თმები მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში, მცხეთა უძველესი დედა-ქალაქი იყო საქართველოსი; მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავარნი. არ არის შემთხვევითი ამბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტი ცხოველი“ დაერქვა; გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ „სვეტის“ გარდამქმნელი ძალა, „გასაგნდა“, როგორც სასწაულთმოქმედი ხატი, და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განზე დავტოვოთ — ეს „შეგინება“ ფსიქოლოგიურად მაინც ქერძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლავისა შეუძლია მოსწამლოს მთელი წყარო“.

ამ სიტყვების შემდეგ კი გრიგოლ რობაქიძე მისთვის ჩვეული კატეგორიულობით აკეთებს მეტად მკაცრ დასკვნას: „აი სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმოზა“, იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთს დროს მისტიკოსად და მორწმუნედ სთვლიდა თავის თავს!. ამ „დათმოზით“ მან მოსწამლა არა მხოლოდ თავისი ნიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმოზას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავი და თავი აქ ესაა“.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, მთავარი უბედურება კონსტანტინე გამსახურდიას ტექსტში ხატის საკრალურობის შელახვაა, რადგან „სვეტი ცხოველი საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის“. ბოლშევიზმთან შერიგებული ქართველი ინტელიგენციის ამგვარ „დათმოზაში“ ხედავს გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა ადამიანის ფსიქიკის მთავარ თავისებურებას. მა-

გრამ რამდენად სამართლიანი იყო ამგვარი კატეგორიულობა ტოტალიტარული რეჟიმის ტყვეობაში აღმოჩენილ მწერალთა მიმართ, გრიგოლ რობაქიძემ საკუთარ თავზე იწვნია: მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მან გამოსცა ორი საბედისწერო წიგნი ფაშისტი დიქტატორების სადიდებლად — „ჰიტლერი. უცხო პოეტის მიერ დანახული კონტურები“ და „მუსოლინი. ამომავალი მზე“. ეს „დათმობა“ ევროპულმა ინტელექტუალურმა ელიტამ მას არ აპატია და ქართველი მწერალი (რომელსაც მანამდე დიდ პატივს სცემდნენ) სრულ იზოლაციაში მოექცა.

აკაკი ბაქრაძე წერდა: „მე-20 ასწლეულის პირველ ნახევარში სოციალიზმის თეორიამ სამი ურჩხული დაბადა — რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი. მართალია, მათ შორის სერიოზული სხვაობაა, მაგრამ სამივე სოციალიზმის შვილია. ხასიათით და თვისებებით განსხვავებულნი, მაგრამ მაინც შვილები“ (ბაქრაძე 1999: 183). არც ლენინი, არც მუსოლინი და არც ჰიტლერი არ დაუხასიათებია გრიგოლ რობაქიძეს, როგორც აჰრიმანული ძალა. ასეთად მან მხოლოდ სტალინი გაიაზრა, ევროპული ფაშიზმისა და ნაციზმის ლიდერებს კი აღფრთოვანებული წიგნები უძღვნა. „სტალინის ჰოროსკოპის“ ავტორისაგან ასეთი გულუბრყვილობა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს მისი „დათმობის“ პოლიტიკური მოტივი — ეს იგივეა, რამაც შალვა მალლაკელიძე გერმანული არმიის გენერლად აქცია, მაგრამ მხოლოდ ესაა და მეტი არაფერი? აკაკი ბაქრაძე კიდევ ერთ საგულისხმო ვერსიას გვთავაზობს:

„ჰიტლერმა და მუსოლინიმ თავიანთი ერების ძალას მოუყარეს თავი და შეაგროვეს, სტალინმა კი პროლეტარიატის ძალა აკრიფა. პროლეტარიატი ინტერნაციონალური მოვლენა იყო. ჰიტლერისა და მუსოლინისაგან განსხვავებით, სტალინი უნდა განდგომოდა თავის ხალხს. ეს ლენინსაც არ გაუკეთებია. ლენინი განსახიერება იყო რუსულ-მონღოლური ძალის („გველის პერანგი“) და არა მხოლოდ პროლეტარიატის. ამან გამოიწვია ის, რომ, „როცა რევოლუცია ძალმოსილებად იქცა, ის (სტალინი — ა. ბ.) უკვე აღარ იყო ადამიანი. ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი“ (ბაქრაძე 1999: 202).

ამდენად, სტალინის დემონიზაცია (სხვა დიქტატორების განდიდების პარალელურად) იმან განაპირობა, რომ თავისი არსით იგი არ იყო ეროვნული მოვლენა. „ჩაკლულ სულში“ გრიგოლ რობაქიძე წერდა: „სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა“ (რობაქიძე 2012ა: 566). აი სწორედ ამიტომ დაუწუნა მან გიორგი ლეონიძეს ცნობილი პოემა, თუმცა ნაწარმოების მხატვრული ღირსებები აქაც ისევე აღნიშნა, როგორც „დიდოსტატის“ შემთხვევაში. „აიღეთ გიორგი ლეონიძის პოემა სტალინზე! ეს პოემა მონონებულია არა მარტო ბოლშევიკთა მიერ! შეკითხვა მართებულია.



ეს პოემაც, რომელიც დაუჯილდოებიათ კიდეც, წავიკითხე. „შინაგანი დათმობა“ ამ პოემაშიც სჩანს, ხოლო იგი ოსტატურად არის დაფარული. დააკვირდით ნამდვილი პოეტური ადგილები ამ პოემისა გვხვდებიან არა იქ, საცა პოეტი სტალინის სახავს, არამედ იმ „გარმოს“ აღწერაში, საცა უკანასკნელი დაიბადა და გაიზარდა: იგი პოეტურად სახურ გარემოში „არ არის სხეობით“ შეზრდილი. მოახდინეთ შემდეგი ცდა: აიღეთ რომელიმე სხვა ისტორიული პიროვნება, თუ გინდ გიორგი სააკაძე, „ჩასვით“ იგი ამ „გარემოში“ — დაინახავთ: პოემა ოდნავადაც არ შეიცვლება. რაც თვითონ სტალინზეა აქ ნათქვამი, პოეტურობის მხრივ უბრალო რეტორიული ხოტბაა და სხვა არაფერი. ნუთუ ეს ვერ შეამჩიეს? საკვირველია“ (რობაქიძე 2012ბ: 108). „ჩაკლული სულის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა, ამ წიგნით გამოვააპკარავე ბოლშევიზმის დემონური ფესვები და ვინინანარმეტყველე 1937 წლის რეპრესიებიო. იგი ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ საქართველოში დარჩენილი მწერლები ამ დემონურ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ, მისი ევროპელი მეგობრები კი ვერ შეეგუენ გრიგოლ რობაქიძის „დათმობას“ ნაციონალ-სოციალიზმის წინაშე და სრული მარტოობისთვის განირეს იგი.

ასე რომ, ერთნაირად ტრაგიკული იყო ქართველი მწერლების ბედი (საქართველოშიცა და ემიგრაციაშიც), რადგან სამინელი იყო თავად ის ეპოქა, რომელშიც ხელოვნებას იდეოლოგიური მიზნებისთვის იყენებდნენ.

## **დამოწმებანი:**

**ბაქრაძე 1999:** ბაქრაძე ა. *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი*. თბ.: „ლომისი“, 1999.

**რობაქიძე 2012ა:** რობაქიძე გრ. პოეზია, პროზა, ჩაკლული სული (თარგმნა ალ. კარტოზიამ) // რობაქიძე გრ. *ნაწერები*, წიგნი I. თბ.: „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012.

**რობაქიძე 2012ბ:** რობაქიძე გრ. ბარათები ბოდენის ტბიდან (სულის დაშლა) // რობაქიძე გრ. *ნაწერები*. წიგნი IV. თბ.: „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012.

**რობაქიძე 2012გ:** რობაქიძე გრ. ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან // რობაქიძე გრ. *ნაწერები*. წიგნი V. თბ.: „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012.

**MAIA TSERTSVADZE**

*Georgia, Tbilisi*

## **Cosmographical Views of Rustaveli on the Book of Lado Beliaшvili “Secrets of Rustaveli and Dante”**

Lado Beliaшvili (1906-1961) fled his homeland in 1926 and died tragically in France. His book “Secrets of Rustaveli and Dante”, dedicated to the cosmography of Rustaveli, was published in Paris in 1956. The author proves, that poet of genius himself was astronomer and described astral phenomena in his “The Knight in the Panther’s Skin” in detail and accurately. In the article on the basis of the analysis of the work of Beliaшvili becomes obvious, that the author is the predecessor of rustvelologists, investigating cosmology of Rustaveli and his book deserves worthy place in the history of Georgian emigration and culture.

*Key words: cosmography of Rustaveli, history of Georgian emigration, rustvellology.*

### **მაია ცერცვაძე**

*საქართველო, თბილისი*

## **რუსთაველის კოსმოგრაფიული შეხედულებები ლადო ბელიაშვილის წიგნის „რუსთაველის და დანტეს იღუმალი“ მიხედვით**

ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილის უმცროს ძმას, ემიგრანტ ვლადიმერ (ლადო) ბელიაშვილს (1906-1961) ნაკლებად იცნობენ თავის სამშობლოში. იგი ჭიათურაში სამთო საქმის ტექნიკოსისა და მწერლის იონა ბელიაშვილის (1879-1924) (ფსევდ.: „იონა თლუღელი“, „ჭიათურელი ეშმაკი“, „ბელი“) ოჯახში 1906 წლის 27 დეკემბერს დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1926 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, მაგრამ მალევე გაერიდა კომუნისტურ რეჟიმს და საზღვარგარეთ გაიპარა — ამ საქმეში განაფული კაცის დახმარებით ღამით გადაკვეთა საქართველო-თურქეთის საზღვარი. თურქეთიდან ლ. ბელიაშვილი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც ჯერ მარსელში, შემდეგ პარიზში დასახლდა. ნივთიერი სახსრების უქონლობის გამო მან ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება, მხოლოდ ფრანგული ენის კურსები დაამთავრა და სრულყოფილად დაეუფლა ფრანგულს.

მისი ძმისშვილის, ქალბატონ მანანა ბელიაშვილის განცხადებით „ის მთელი სიცოცხლე მუშაობდა მშენებელ მუშად, შრომობდა რთულ

უბნებზე, დიდ სიმაღლეებზე. ეს მას საშუალებას აძლევდა წელიწადში ემუშავა მხოლოდ ექვსი თვე, დანარჩენ დროს კი თავისთვის საინტერესო და სასურველ საქმიანობას ეწეოდა. ლადომ თვითგანვითარებას მიჰყო ხელი, მწერლობაში სცადა თავისი ნიჭი, მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, ნარკვევი, თეთრი ლექსი... მან დაწერა და თავისი ხარჯით დასტამბა პარიზში წიგნი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“, სადაც რუსთაველის ასტრონომიული შეხედულებებია განხილული. ლადოს მრავალმხრივი ინტერესები გაუჩნდა. მაგრამ მისი ნიჭი ვერ განვითარდა სათანადოდ. მძიმე იყო მისი ცხოვრება: უსახლკარობა, სამუშაოს ძებნაში ადგილიდან ადგილზე ხეტიალი, მარტოობა, მძიმე ფიზიკური შრომა, რომელიც მას სულიერად არ აკმაყოფილებდა, და ბოლოს ნოსტალგია... სამშობლოსთან კავშირი თითქმის განწყვეტილი იყო. დროდადრო დედას უგზავნიდა მოკლე ბარათებს“ (ბელიაშვილი 2001: 123-128).

1960 წელს ლადო ინახულა მისმა ძმამ, მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა, რომელიც კინემატოგრაფისტთა საკავშირო დელეგაციასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალი გზად პარიზში გაჩერდა. მათ დრამატული შეხვედრა ჰქონდათ. ლადო ბელიაშვილს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და არც უშუალო მემკვიდრე დარჩენია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან საბჭოთა მთავრობისაგან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა და პასუხის მოლოდინში 1961 წლის 1 აპრილს ტრაგიკულად აღესრულა — მაღალი ხარაჩოდან ჩამოვარდნილი სასიკვდილოდ დაშავდა და საავადმყოფოში გადაყვანილი რამდენიმე საათში გარდაიცვალა. მას უჭირისუფლეს საფრანგეთში მყოფმა ქართველებმა და დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. „რაც შეიძლება კარგად დავასაფლავეთ და მივაბარეთ უცხოეთის მიწას ჩვენი საყვარელი და ძვირფასი ძმა ვალოდია უდროვით დაკარგული და სრულიათ შემთხვევით“ — სწერდა ემიგრანტი მიხეილ ჩუბინიძე აკაკი ბელიაშვილს.

ლ. ბელიაშვილის ნეკროლოგი დაიბეჭდა პარიზში გამომავალ გაზეთში „ჩვენი დროშა“ („Notre Drapeau“), სადაც ის დახასიათებულია, როგორც: „განსაკუთრებული შრომისმოყვარე, დინჯი, წყნარი და სამეგობრო“, რომელმაც „ყველას პატივისცემა დაიმსახურა“. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ლ. ბელიაშვილი „თავისუფალ დროს ანდომებდა ლიტერატურულ მუშაობას და შესძლო კიდევ საკუთარი სამშალებით გამოეცა შრომა „ვეფხისტყაოსანზე“ (ჩვენი დროშა (Notre Drapeau) 1961:). მის ლიტერატურულ საქმიანობაზე სწერდა აგრეთვე ვაშინგტონიდან გამომგზავნილ 1961 წლის 16 მაისის წერილში თავის დას მერის აკაკი ბელიაშვილის ცოლისდა, ემიგრანტი პოეტიკიორგი გამყრელიძე (ფსევდ.: „ზოდელი“) (1904-1974): „ისე კი აკაკიმ უნდა ეძიოს და იპოვნოს მისი ნაწერები ყველა. მას აქვს დაწერილი ორი წიგნი ქართულად რუსთაველზე და დანტეზე, რომელიც ალბათ თქვენც იცით. ამას გარ-

და რამდენიმე მეცნიერულ-მეტაფიზიკური ნააზრევი: სახელმწიფოზე და რაღაც ფილოსოფიაზე. ამას გარდა აქვს დაწერილი მრავალი თეორიული ლექსი, შესანიშნავი გრძნობებით გამსჭვალული (ერთი ასეთი მან მე გამომიგზავნა და დაუბეჭდე „კრებულში“) და კიდევ სხვა მრავალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურის ისტორიაზე ნაწერები. რასაც ზევით ვწერ, ეს მე ვალოდიამ მომწერა თვითონ თავის წერილებში და ეცადოს აკაკი რომ ეს მისი ნაწერები არ დაიკარგოს“. ლ. ბელიაშვილის ხელნაწერები აკ. ბელიაშვილმა სამშობლოში წამოიღო ძმის ტრაგიკული დაღუპვიდან რამდენიმე თვეში, როცა სექტემბერში მისი საფლავის მოსახილველად პარიზს ეწვია (თევზაძე 1980: 22-23).

1956 წელს პარიზში გამოცემული ლადო ბელიაშვილის წიგნი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ (სიტყვა პირველი) (Les Secrets de Roustaveli et de Dante Alighieri. Premier discours) რუსთაველის კოსმოგრაფიულ შეხედულებებს (სამყაროს აგებულება, მზის სისტემა, პლანეტების მოძრაობა, მათი გამომწვევი მიზეზები...) ეძღვნება. მის გამოცემამდე ლ. ბელიაშვილმა აღნიშნულ საკითხებზე პირველი საჯარო მოხსენება 1953 წელს „სოსიეტე-დე-სავანის“ დარბაზში, მეორე კი — 1954 წელს ლასკასის დარბაზში გააკეთა. სულ განზრახული ჰქონდა ოთხი მოხსენების გაკეთება და ოთხ წიგნად გამოცემა, რაც აღარ დასცალდა. ლ. ბელიაშვილის წიგნს გამოეხმაურნენ როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში.

„დიდი ხანი არ არის, რაც ემიგრაციაში გამოვიდა პატარა ტანისა, მაგრამ საყურადღებო შრომა ლადო ბელიაშვილისა: „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“. ავტორი არის ძმა დიდად ნიჭიერი მწერლის აკაკი ბელიაშვილისა, რომლის კალამს ეკუთვნის რომანები: „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“. ლადო ბელიაშვილი შეეხო „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის ასტრონომიულ აზროვნებას, მის მომზადებას ასტრონომიაში. ამ მხრივ ლ. ბელიაშვილის შრომა რუსთველოლოგიაში ახლის მთქმელად გვევლინება“ (გამყრელიძე 1957: 28).

გამოჩენილი რუსთველოლოგის გ. იმედაშვილის დიდ გაბედულებას უნდა მიეწეროს ემიგრანტი მკვლევარის წიგნის ანოტაციის შეტანა 1957 წელს საქართველოში გამოცემულ „რუსთველოლოგიური ლიტერატურის“ პირველ ტომში. გასაგები მიზეზების გამო ანოტაციაში მეტწილად აქცენტირებულია წიგნის უარყოფითი მხარეები და ნაკლებლოვანება, რომელიც ნაშრომს, ბუნებრივია, გააჩნია და რასაც თავად მისი ავტორიც აღნიშნავს: „საუბედუროთ, მე სამშობლოს მოკლებული ვარ და არა მძევს საშუალება რუსთაველის ეპოქა დეტალურათ შევისწავლო, დარწმუნებული ვარ ეს თემაც უკეთ იქნება შესწავლილი და განათებული. მე არც მწერალი ვარ და არც ასტრონომი, ამიტომ ბევრი რამ დამრჩა ვეფხისტყაოსანში გაურკვეველი“ (ბელიაშვილი 1953: 36).

\* ლაპარაკია ლ. ბელიაშვილის ლექსზე „მერცხლის სიკვდილი“.

აქვე უნდა ითქვას, რომ იმის გამო, რომ წიგნი ძნელად ხელმისაწვდომი შეიქნა მისი ავტორის სამშობლოში, რუსთველოლოგებს და სხვა დაინტერესებულ პირთ უმთავრესად ამ ანოტაციის წყალობით ეძლეოდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ლ. ბელიაშვილის ნაზრევს — რუსთაველის კოსმოგრაფიული შეხედულებების მისეულ წანაკითხებს.

აკაკი ბელიაშვილის ძმისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიური ლიტერატურის“ ზემოაღნიშნული ტომის გამოცემისთანავე იგი მას ლ. ბელიაშვილისათვის გაუგზავნია „შენმა წიგნმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ხელიდან ხელში გადადის. საინტერესო მიგნება გაქვს, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად კ. კეკელიძე) ცოტა კრიტიკულად შეხვდა შენს წიგნს... გიგზავნი ახლად გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, რომელიც წარმოადგენს ხელნაწერთა სრულ ტექსტს ჩანართი ადგილებით და გაგრძელებებით. ვფიქრობ, რომ შენთვის იგი ძალზე საინტერესო და საჭირო წიგნია. გიგზავნი აგრეთვე საგანგებო კრებულს რუსთველოლოგიური ლიტერატურის შესახებ, სადაც შენი წიგნის მოკლე შინაარსიც არის შეტანილი. მე მგონია, ეს წიგნი გამოგადგება“.

ლ. ბელიაშვილის ნაშრომს იმონებებს მეცნიერი ტ. აბზიანიძე 1961 წელს რუსულად გამოცემულ თავის წიგნში (აბზიანიძე 1961: 33).

ლ. ბელიაშვილს მისი ნაშრომის გამოქვეყნებიდან ორ ათეულზე მეტი წლის შემდეგ გაკვრით ახსენებს პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, რუსთაველის კოსმოლოგიის აღიარებული მკვლევარი გიორგი თევზაძე (1914-1988) (რატიანი 2008: 3) თავისი მონოგრაფიის „რუსთაველის კოსმოლოგია“ პირველ (თევზაძე 1979: 37) და მეორე (თევზაძე 1979: 57) გამოცემებში. ბევრ საკითხში მათი დასკვნები ემთხვევა ერთმანეთს, ორივე ამტკიცებს, რომ რუსთაველმა სწორად იცოდა მთვარის, მზის და პლანეტების ხილული მოძრაობა, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის ბუნიობა და სხვა, რომ გენიალურმა პოეტმა არა მარტო იცოდა ეს ყველაფერი, არამედ თავად იყო ასტრონომი და მკვლევარი-მეცნიერი. ობიექტურ მიზეზთა გამო ლადო ბელიაშვილის ეს დამსახურება, ჩვენი ღრმა რწმენით, არასათანადოდაა ასახული და გაშუქებული რუსთველოლოგიაში, რაზეც წერდა ემიგრანტული პრესაც. მხედველობაში გვაქვს ქართული პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ემიგრაციის ერთ-ერთი წარმომადგენლის, პოეტისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის (1917-1993) რეცენზია გ. თევზაძის ნაშრომზე, დაბეჭდილი ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში“ (წერეთელი 1980: 16-18). რეცენზიის ავტორი მეცნიერული ეთიკის უგულვებელყოფას საყვედურობს გიორგი თევზაძეს და მიიჩნევს, რომ მას უნდა „მოეხსენებია ამ დარგში მისი წინამორბედის დამსახურება და აღენიშნა ის ნაკლებიც, რომლებიც ბელიაშვილის „რუსთაველის და

დანტეს იდუმალს“ შეიძლება ახასიათებდეს“. გიორგი წერეთელი სინანულს გამოთქვამს ასევე გ. თევზაძის ნაშრომის რეცენზენტების მიმართ და სვამს რიტორიკულ კითხვას: „მაშ როგორ ავხსნათ მათი ასეთი სიჩუმე? ნუთუ იმის გამო, რომ ავტორი სამშობლოდან დევნილი, უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტი იყო“?!

რუსთაველის კოსმოგრაფიულ შეხედულებებთან ერთად ლ. ბელიაშვილი თავის ნაშრომში ეხება პოემისა და მისი ავტორის ბიოგრაფიის ცალკეულ საკითხებსაც, ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიას, ფერთა სიმბოლიკას, აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ დიდ მნიშვნელობას ქართული ენისა და საქართველოს ისტორიისათვის, გვანდის ასევე ცნობას იმის შესახებ, თითქოს მისი საფრანგეთში ყოფნის დროს გაყიდულა „ვეფხისტყაოსნის“ მეთხუთმეტე საუკუნის ხელნაწერი, რომელიც ლონდონის წიგნსაცავშია დაცული.

საკითხის დიდი მოცულობისა და სირთულის გამო ერთ მოხსენებაში შეუძლებელია საფუძვლიანად გადმოიცეს ლ. ბელიაშვილის მთელი ნააზრევი. იგი შემდგომ კვლევა-ძიებასა და კრიტიკულ და შედარებით ანალიზს საჭიროებს, მით უფრო, რომ ბოლოდროინდელ რუსთველოლოგიურ გამოკვლევებს შორის გვხვდება ბელიაშვილის წიგნში განხილული საკითხებისა და „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების ნაწილის განსხვავებული საყურადღებო ინტერპრეტაციებიც (რატიანი 2008: 197-206). ამიტომ ჩვენი მოხსენების მიზანი განვსაზღვრეთ ოდენ ავტორის დაბრუნებით სამეცნიერო-სალიტერატურო მიმოქცევაში, წიგნის მნიშვნელობის წარმოჩენითა და მისი ძირითადი დებულებების ზოგადი განხილვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის რუსთაველის კოსმოგრაფიული შეხედულებების ლ. ბელიაშვილისეული საგულისხმო წინაპირობები, რომლებიც, ჩვენი აზრით, უმთავრესად განაპირობებს კიდევ წიგნის მნიშვნელობას. ამასთან ყურადღებას ვამახვილებთ და სანიმუშოდ მოგვყავს პოემის ის სტროფები, რომლებშიც ხატოვანი ენით პოეტი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ და ზუსტად გამოხატავს ამა თუ იმ ასტრონომიულ მოვლენას. ვინაიდან საფრანგეთში დასტამბული განსახილველი ნაშრომი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათის შეცდომების სიუხვით გამოირჩევა, პოემის ადგილებს ვიმონუმებთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი, საქართველოში 1951 წელს გამოცემული აღ. ბარამიდის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძისეული რედაქციით.

ლ. ბელიაშვილის წიგნის ძირითადი დებულებები, რომელთა დასაბუთებას ავტორი „ცდილობს ვეფხისტყაოსნის ასტრალურ გამოთქმათა, სიტყვათა და პოეტურ შედარებათა ანალიზითა და გაგებით, მათთან დაკავშირებული ქართული ისტორიისა, რელიგიის, მითოლოგიის, ფოლკლორის საკითხების განხილვითა და და მსოფლიო კულტურის, განსაკუთრებით ასტრონომიული ცოდნის პრობლემატიკაში ექსკურსებით“ (იმედაშვილი 1957: 893), შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**1. რუსთაველი მზეს სამყაროს ცენტრად მიიჩნევს სამი საუკუნით ადრე  
6. კოპერნიკამდე (1473-1543):** „ამ თემაზე პირველ თავში განვიზრახე მომეხდინა შედარება რუსთაველისა და კოპერნიკის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ განმემატა თუ რა სცოდნია რუსთაველს 300 წლით ადრე კოპერნიკზე და რა არ სცოდნია კოპერნიკს 300 წლის შემდეგ რუსთაველისა, მხოლოდ ერთ პატარა საკითხში, რომელსაც უწოდებენ ასტრონომიას და კოსმოგრაფიას“ (ბელიაშვილი 1956: 5). **პოეტი იცნობს და იზიარებს ანტიკური ხანის მეცნიერთა, პითაგორასა (580-500 ძვ.წ.) და მისი სკოლის ჰელიოცენტრულ კონცეფციას, რომელიც მის დროს ოფიციალურად არ იყო აღიარებული. მისი შეხედულებით, მზე ყველაზე დიდი და მძლავრი სხეულია, იზიდავს და თავის ირგვლივ აბრუნებს პლანეტებს, ამასთან ერთადერთი მნათი სხეულია მზის სისტემაში, მხოლოდ ის ანათებს სამყაროს და მის სხეულებს, მზეს აქვს ლაქები;**

„სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა“.  
(რუსთაველი 1951: 59).

„ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან“.  
(რუსთაველი 1951: 149).

„მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად“.  
(რუსთაველი 1951: 220)

„კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა, მით გამორჩილობს ზეციერი მნათობია რაცა სადა“.  
(რუსთაველი 1951: 29).

„მიმავალი ცას შესტირის, ეუბნების, ეტყვის მზესა:  
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“.  
(რუსთაველი 1951: 195).

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად, ვის გამორჩილებენ ციერნი, ერთის იოტის წამისად“.  
(რუსთაველი 1951: 171).

„მანდა მოვა, მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობლად“.  
(რუსთაველი 1951: 290).

„მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან, დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი კრთებიან“.  
(რუსთაველი 1951: 201).



„მოსთქვამს და იტყვის: „ვა, მზეო, შენი ადგილი ჩრდილდების, შენ მოგვეშორე, დაღამდა, ჩემთვის აღარა დილდების, მე მანდით მესვრის ისარსა, ერთიცა არ ამცილდების“.  
(ბელიაშვილი 1956: 23).

„მას ჰგვანდეს, თუცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა“.  
(რუსთაველი 1951: 301).

ლ. ბელიაშვილის თქმით „ასე ლამაზად ვერც ღმერთი დახატავს სამყაროს და ისიც ხუთი სიტყვით. მართლაც რომ სამყაროს მზე უზის შუა და მას გარშემო უვლიან მნათობნი, რომელნიც მისთვის მთვარენია“ (ბელიაშვილი 1956: 24). აქ „მთვარეს“ მკვლევარი დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ანალოგიით მზის თანამგზავრად, ანუ პლანეტად კითხულობს, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვები და მართებულია — მთვარედ დღესაც ხშირად იხსენიებენ სხვა პლანეტათა თანამგზავრებს.

## **2. მთვარე მოძრაობს დედამიწის ირგვლივ და მისი ფაზებით განპირობებულია მთვარის კლება და გავსება;**

„მო, მთვარეო, შემიბრაღე, ვილვეი და შენებრ ვმჭლდები, მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები“.  
(რუსთაველი 1951: 196).

„მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორეება განანათლებს, რა ეახლოს, შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს“.  
(რუსთაველი 1951: 170).

„ავთანდილ ა გალეული შესაყრელად მთვარე მზისად“.  
(რუსთაველი 1951: 302).

## **3. დედამიწა (ლ. ბელიაშვილის განმარტებით „სოფელი“) ბრუნავს თავისა ღერძისა და მზის ირგვლივ, რაც დღე-ღამისა და სეზონთა მონაცვლეობას განაპირობებს, მზის ბრუნვის გამო კი ის სამმაგ სპირალურ მოძრაობას ასრულებს;**

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“.  
(რუსთაველი 1951: 194).

„თვე ერთისა მოშორეება მზე ზამთარსა გაგვიმცივნებს“.  
(რუსთაველი 1951: 195).

„მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა“.  
(რუსთაველი 1951: 164).

„ან შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა:  
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა.  
ვერ დამშრეტ, შენცა დაინვი სოფლისა ქმნისა წესითა.  
ნადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სითა“.  
(რუსთაველი 1951: 189).

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,  
ნამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!  
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი,  
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი“.  
(რუსთაველი 1951: 334).

„იტყოდეს: მზესა მოვშორდით, მო, თვალი მივსცნეთ წუხილსა“!  
(რუსთაველი 1951: 207).

„ვა, სოფელო, უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!“  
(რუსთაველი 1951: 110).

#### **4. მთვარე და ვენერა (ცისკრის ვარსკვლავი) პერიოდულად შეუთანას- ნორდება ერთმანეთს და ერთად ნათობენ;**

„მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა,  
ორნივე სწორად ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა;  
არა თუ გულით მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა“.  
(რუსთაველი 1951: 313).

#### **5. მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის გამო მზე თავისი ხილული (წარმოსახვითი) წრებრუნვით გაივლის ზოდიაქოს სარტყლის თანა- ვარსკვლავედებს, სხვადასხვა თანავარსკვლავედში ყოფნის დროს მას აქვს განსხვავებული მხურვალება და შუქი.**

„ამის მეტსა არას გნუკევე: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა  
აქა ქვაბსავ მომნახვიდე მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;  
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,  
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძალლი ყეფსა“.  
(რუსთაველი 1951: 190).

„მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“.  
(რუსთაველი 1951: 266).

„ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“.  
(რუსთაველი 1951: 241).

„ვის შვენის ლომსა ხმარება შუბისა ფარ შიმშერისა  
მეფისა მზის თამარისა, ლანვ-ბადახშ თმა-გიშერისა“.  
(რუსთაველი 1951: 3).

„მას ავთანდილ თაყვანი-სცა, ლომთა-ლომმან მზეთა-მზესა“.  
(რუსთაველი 1951: 141).

ლ. ბელიაშვილის შრომის ზემოთმოყვანილი დებულებების საფუძველზე თვალსაჩინო ხდება, რომ იგი რუსთაველის ასტრონომიული ცოდნისა და შეხედულებების ერთი პირველ მკვლევართაგანი და ამ საკითხზე მომუშავე რუსთაველოლოგების წინამორბედაა, ხოლო მისი ნაშრომი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ქართული ემიგრაციისა და კულტურის ისტორიაში კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ღირსია.

ლ. ბელიაშვილის წიგნს „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ სათანადო მნიშვნელობა აქვს რუსთაველოლოგიის ისტორიოგრაფიისა და კოსმოლოგიისათვის. იგი „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი პირველი საყურადღებო ცდაა. ნაშრომის ავტორის ზოგიერთი დასკვნა საკვებით ემთხვევა წიგნის გამოცემიდან ოცდახუთი წლის შემდეგ ამ საკითხის აღიარებული მკვლევარის პროფესორ გ. თევზაძის მიერ საქართველოში გამოქვეყნებული მონოგრაფიის „რუსთაველის კოსმოლოგია“ დასკვნებს. კერძოდ, ლ. ბელიაშვილი მიიჩნევს, რომ „რუსთაველს არა მარტო სხვისაგან უსწავლია ასტრონომია, არამედ თვითონაც უნარმოებია გამორკვევანი“ (ბელიაშვილი 1956: 10), რომ გენიოს პოეტს „უნდა დაეტოვებინა ამის შესახებ შრომა, მაგრამ ამ შრომამ ჩვენამდე ვერ მოაღწია“ (ბელიაშვილი 1956: 10) და ამიტომ „ჩვენ უნდა დავეყნოთ მარტო ვეფხისტყაოსანს, რომელიც მაინც დიდ გარკვევას გვაძლევს რუსთაველზე და იმ დროინდელ ქართულ მეცნიერების დონეზე“ (ბელიაშვილი 1956: 10). ლ. ბელიაშვილი თვლის, რომ თავისი პოემა მას ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც ასტრონომიული ცოდნის დაფარულად გამოხატვის საშუალება, რადგან სამყაროს აგებულების შესახებ მოსაზრებანის საჯაროდ გამხელა მის დროს, ქრისტიანული ინკვიზიციის პირობებში არ შეიძლებოდა და ამიტომ მიმართა ალეგორიულ თხრობას, კამუფლაჟს. ესაა ავტორის თქმით, რუსთაველის „იდუმალი“.

რაც შეეხება გიორგი თევზაძის აზრს რუსთაველის ასტრონომიის შესახებ, იგი კარგად ჩანს მისი სიტყვებში: „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ყოველი ასტრალური მოვლენა აღწერილია დეტალურად და შეუცდომლად, სწორედ იმგვარი თანმიმდევრობით, როგორადაც სინამდვილეში მიმდინარეობენ ეს მოვლენები; ამავე დროს პოემაში ნაჩვენებია ციური მოვლენების ისეთი სპეციფიკური დეტალები, რომელთა ცოდნაც მხო-

ლოდ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს თუ შეიძლებოდა ჰქონოდა; გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში ვლინდება ბუნების მოვლენათა არსის ისეთი ღრმა ცოდნა, რომ მის ავტორს უთუოდ თვით უნდა ეწარმოებინა უშუალო დაკვირვებები ამ მოვლენებზე“, „რუსთაველი გვესახება არა მარტო შეუდარებელ მხატვრად, არამედ ისეთ ბუმბერაზ მეცნიერადაც, რომლის ბადალი თოთხმეტი საუკუნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიამ არ იცის“ (თევზაძე 1984: 181). ასეთია მონოგრაფიის ავტორის დასკვნა და როგორც ვხედავთ, იგი ემთხვევა ლადო ბელიაშვილის აზრს ამავე საკითხზე.

ნიგნს „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ გარკვეული მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტოლოგიისათვისაც. პოემის სათანადო სტროფების ბელიაშვილისეულ ნანაკითხ-ინტერპრეტაციები, რომლებითაც საცნაური ხდება პოეტის კოსმოგრაფიული შეხედულებები, ქმნიან საფუძველს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვა-ცნებისა და ტერმინის („მთვარე“, „უამი“, „სოფელი“...) ახლებური გაგებისა და დაზუსტებისათვის, ტექსტოლოგიური ხასიათის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის, მათ შორის პოემის სტროფული შედგენილობის საკითხისათვის.

## დამოწმებანი:

**აბზიანიძე 1961:** Абзианидзе Т.С. *Критика законов Ньютона и построение Кеплера эллипса*. Тбилиси: Издательство Грузинского политехнического института им. В. И. Ленина, 1961.

**ბელიაშვილი 1956:** ბელიაშვილი ლ. *რუსთაველის და დანტეს იდუმალი* (სიტყვა პირველი) (*Les Secrets de Roustaveli et de Dante Alighieri. Premier discours*), პარიზი: 1956.

**ბელიაშვილი 2001:** ბელიაშვილი მ. *მამის გახსენება*. მნათობი, № 9-10, 2001.

**გამყრელიძე 1957:** გამყრელიძე გ. *შოთას „ვეფხისტყაოსანსა“ და მის მკვლევარებზე*. ჟ. „კრებული“. ნიუ-იორკი. 1957.

**თევზაძე 1979:** თევზაძე გ. *რუსთაველის კოსმოლოგია*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1979.

**თევზაძე 1984:** თევზაძე გ. *რუსთაველის კოსმოლოგია*. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1984.

**თევზაძე 1980:** თევზაძე დ. *აკაკი ბელიაშვილი*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1980.

**თავისუფლების ტრიბუნა 1980:** წერეთელი გ. *„რუსთაველის კოსმოლოგიის“ შესახებ*. ჟ. თავისუფლების ტრიბუნა, 28. 1980, პარიზი.

**იმედაშვილი 1957:** იმედაშვილი გ. *რუსთაველოლოგიური ლიტერატურა. 1712-1956 წლები*. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

**კომუნისტი 1979:** რატიანი პ. *მსოფლიო მეცნიერების დიდ გზაზე*. გაზ. „კომუნისტი“, 4 მაისი 1979. გვ. 3.

**რატიანი 2008:** რატიანი ნ. *ასტრონომია, ასტროლოგია თუ მითოლოგია. // ლიტერატურული ძიებანი. XXIX, 2008.*

**რუსთაველი 1951:** რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბ: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1951.

**ჩვენი დროშა (Notre Drapeau) 1961:** გაზ. „ჩვენი დროშა“ (“*Notre Drapeau*”). პარიზი: ოქტომბერი, 1961.

## MARI TSERETELI

*Tbilisi, Georgia*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **The Soviets in the Focus of Political Journalism of “People’s Affair” Magazine**

The journal “Public Affair” – emigrant social-federalists’ publication – based on the best traditions of Georgian classic journalism was published in Paris in 1926-1935. Publicist media text became the best tool in political combat for emigration. Comparative analysis of parallel spaces manifests featured distinction between European and Soviet values. Scopes of permanent critic review encompasses social-political reality of Soviet epoch, reveling non-democratic political-economic system characterizing communist totalitarian regime, repressive government, civil society dehumanization process, negligence of human rights. With publicist narrative the journal creates alternative counter-history of the soviet press and offers a cultural oasis that survived from the totalitarianism.

**Key Words:** *Samson Pirtskhalava, publicist media text, totalitarianism, dehumanization, European values.*

## **მარი წერეთელი**

*საქართველო, თბილისი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **საბჭოეთი ჟურნალ „სახალხო საქმის“ პოლიტიკური პუბლიცისტიკის ფოკუსში**

ემიგრანტული გამოცემა, ჟურნალი „სახალხო საქმე“\* გამოდიოდა პარიზში 1926-1935 წლებში, მას შემდეგ, რაც მისმა რედაქტორმა და წამყვანმა ავტორმა, თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-

\* ჟურნალი „სახალხო საქმე“ დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში, გურამ შარაძის კერძო კოლექციაში.

ერთმა ლიდერმა, მწერალმა და პუბლიცისტმა სამსონ ფირცხალავამ (1872–1952), საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სამშობლოდან იძულებით გადახვენილ თანამოაზრეებთან ერთად განაგრძო აქტიური სამწერლო-საზოგადო მოღვაწეობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით 1917-1921 წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოში გამოიცემოდა გაზეთი „სახალხო საქმე“. ამგვარად, ემიგრაციაში მის მიერ იმავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა სამშობლოში იძულებით შეწყვეტილი საქმის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

ემიგრანტული ჟურნალისტიკა, რომელიც ქართული კულტურის ორგანული ნაწილია, ათეული წლების განმავლობაში მიუწვდომელი იყო ქართველ მკვლევართათვის. სამსონ ფირცხალავა, ისევე როგორც სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები: გ.ლასხიშვილი, გ.დევანოზიშვილი, ვლ. ლორთქიფანიძე, გრ. რცხილაძე და სხვები, საბჭოთა იდეოლოგიასთან შეუთავსებლობის გამო განდევნილნი აღმოჩნდნენ ქართული კულტურული სივრციდან. ამან დიდად დააზარალა მე-20 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმე, რაც ყოველად შეუძლებელია ემიგრანტული პერიოდის კვლევის გარეშე. გურამ შარაძის „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის“ რეკომენდულში (2001-2005) სხვა პერიოდულ გამოცემებთან ერთად „სახალხო საქმეს“ პირველად ეთმობა ყურადღება და ეს არის ჟურნალის შესახებ ერთადერთი მიმოხილვითი, საინფორმაციო ხასიათის პუბლიკაცია. ქართული ემიგრანტული პოლიტიკური პუბლიცისტიკა მოიაზრება 20-30-იანი წლების საბჭოთა პროპაგანდისტული ჟურნალისტიკის ალტერნატივად და საპირწონედ — ამდენად, ჩვენთვის უაღრესად აქტუალურია მისი შესწავლა.

1926-1935 წლებში პარიზში გამოიცა უცხოეთში მყოფი სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტის ჟურნალ „სახალხო საქმის“ სულ რვა ნომერი. რედაქტორ სამსონ ფირცხალავასთან ერთად ჟურნალის ავტორები იყვნენ ფედერალისტები: ფილიპე შარაძე, ნიკოლოზ ურუშაძე, ვახტანგ მესხი, ბეგი გოლიაძე, ალექსანდრე შათირიშვილი, სიმონ ლეონიძე. პუბლიკაციები იბეჭდება სხვადასხვა ფსევდონიმითაც. საზღვარგარეთ პოლიტიკური ემიგრანტებისათვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის გამოხატვის, საზოგადოებრივ მოღვაწეობებზე ღიად რეაგირების, ყველაზე ძლიერი და ეფექტური იარაღი პუბლიცისტური მედიატექსტი გახდა, პოლიტიკური პუბლიცისტიკის სამიზნე კი მსოფლიოს ახალი ექსპერიმენტალური წარმონაქმნი საბჭოთა კავშირი. საბჭოეთი „სახალხო საქმის“ პუბლიცისტებისათვის არ არის მხოლოდ ოდენ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე განლაგებული ქვეყნის აღმნიშ-

ვნელი დეფინიცია, არამედ ის არის კაცობრიობის ისტორიაში თვისებრივად ახალი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მთლიანობის მატარებელი მეტაფორა და სახე-სიმბოლო. საბჭოეთი არსობრივი ფენომენია, რისი მხილებაც გახდა ჟურნალის მთავარი ავტორის სამსონ ფირცხალავასა და „ქართული საქმის“ პუბლიცისტების განუხრელი მიზანი.

ჩვენი ჰიპოთეზაა, რომ — ქართული კლასიკური ჟურნალისტიკის საუკეთესო ტრადიციებზე დაფუძნებული ემიგრანტი სოციალისტ-ფედერალისტების პერიოდული გამოცემა „სახალხო საქმე“ უცხოეთში დაიტვირთა ანტისაბჭოთა შეურიგებელი, მწვავე კრიტიკული დისკურსით, რომლის უმთავრესი მიზანიც იყო საქართველოს განთავისუფლება ბოლშევიზმის უღლისაგან.

ამგვარად, ტექსტების ფოკუსში მოქცეულია საბჭოეთი, რომლის იდეოლოგიური საფუძველიც არის ბოლშევიზმი. ემიგრაციაში, ორგანულ ნიადაგს მოწყვეტილი ფედერალისტი ავტორები, ცხადია, რჩებიან საკუთარი პარტიული იდეოლოგიის მიმდევრებად, თუმცა ჟურნალისათვის აღარ არის პრიორიტეტული მხოლოდ პარტიული პლატფორმის წარმოჩენა. ახალ რეალობაში, ისინი ახალი მიზანდასახულობით ამკვეთრებენ პუბლიკაციებს, რაც მათთვის თვითგამოხატვის ერთადერთი შესაძლებლობაა. ემიგრანტული პუბლიცისტიკაზე დაკვირვება კვლავაც გვარწმუნებს იმ აზრის ჭეშმარიტებაში, რომ: „დრო ქმნის ჟურნალისტიკას“, რაც თავის თავში მოიცავს მეორე თეზასაც: „ჟურნალისტიკა ასახავს დროს“.

ჟურნალი „სახალხო საქმე“ ღირებულია იმ მხრივაც, რომ თანამედროვე დემოკრატიული, სამოქალაქო ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპი — „სიმართლე უპირველეს ყოვლისა“, სწორედ ამ და სხვა ემიგრანტულ გამოცემებში გადარჩა საბჭოეთის ალტერნატიულ, ევროპულ სივრცეში არსებობით. ჟურნალში თემათა განსჯით, დისტანციური ანალიზითა და დებატებით გამოიხატება ევროპულ და საბჭოთა პოლიტიკურ ღირებულებებს შორის არსობრივი განსხვავება. პერმანენტული კრიტიკული განხილვის არეალშია მოქცეული საბჭოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე, მხილებულია კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი: არადემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა, რეპრესიული სახელმწიფო, საზოგადოების დეჰუმანიზაციის პროცესი, უგულვებელყოფილი ადამიანის უფლებები-სიტყვის, პრესის აკრძალული თავისუფლება, იდეოლოგიზირებული ლიტერატურა-ხელოვნება.

ჟურნალის დღის წესრიგში დგას მთავარი თემა- საბჭოეთის კრიტიკა, რაც გამოცემის შინაარსის (კონტენტის) ანალიზის მიხედვით, თვისებრივი მახასიათებლებით შემდეგი მთავარი მიმართულებებით წარმოჩნდება:



1. საბჭოეთის იდეოლოგიური არსი
2. ბოლშევიზმი-საერთაშორისო საკითხი
3. საბჭოეთის ეკონომიკა
4. საბჭოეთის კულტურა
5. საბჭოეთი და ევროპეიზმი

ყოველი მედიატექსტი კონკრეტული ეპოქის პროდუქტია და მისი შეფასება ეპოქის თავისებურებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. თუმცა მისი სამომავლო ღირებულება იმითაც განისჯება, რამდენად სწორად ხედავდნენ ავტორები პრობლემებს და რა ღირებულებებს ამკვიდრებდნენ ისინი. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა პოლიტიკურ პუბლიცისტიკაზე ვმსჯელობთ. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ არამარქსისტული, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმოშობის იდეური მოტივები. ქართულ ისტოგრაფიაში სოციალიზმის აღმოცენება შემდეგნაირად არის ახსნილი: „თუ ღრმად გავაანალიზებთ საქართველოს უახლეს ისტორიას, მივიღებთ სოციალიზმის ორ სრულიად განსხვავებულ ტიპს, ორი სრულიად საპირისპირო ისტორიული შედეგით. ერთია ბოლშევიკური, ანუ აზიური სოციალიზმი, მეორე-ევროპული ტიპის სოციალიზმი, რომელზეც დღესაც არ ამბობენ უარს ევროპის განვითარებული ქვეყნები. სოციალისტური იდეოლოგიის ღრმა ფესვებს საქართველოში განაპირობებდა მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც აღრმავებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და რუსული მმართველობის ანტიქართული სულისკვეთება (ჭუმბურიძე 2008:).

„ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება — ლიბერალიზმ-დემოკრატიზმია. იმ დროინდელი ჩვენი ცხოვრების სოციალური პირობები იმგვარი იყო, რომ სოციალიზმი ჩვენში უფრო ინტელექტუალური მოთხოვნების ფორმა იყო, ვიდრე პრაქტიკული ფორმულა მოქმედებისა“ — აღნიშნავდა სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) ნაშრომში „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“ (ჯორჯაძე 1989: 282) 1927 წელს ემიგრანტული „სახალხო საქმის“ რედაქტორი და პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავაც პარტიის იდეოლოგიურ არჩევანს ანალოგიურად განმარტავდა: „ჩვენი წმინდათა წმინდა ოცდაექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ განთავისუფლებული ქართველი ერი იყო. ამ აზრის გავრცელებას, განხორცილებას შევწირეთ მთელი ჩვენი ძალა, სიცოცხლე, პირადი კეთილდღეობა და სიხარული. ამას ვუმსხვერპლეთ და დაუქვემდებარეთ ყველაფერი და თვით სოციალიზმი“ (ფირცხალავა 1927ა)

„სახალხო საქმის“ პოლიტიკური პუბლიცისტიკა საბჭოეთის ადრეულ სინამდვილეს ასახავს (20-30 წლები) ცხადია, ტოტალიტარიზმი

უფრო მოგვიანებით იღებს საბჭოთა კავშირში თავის კლასიკურ სახეს, რომლის დამახასიათებელი ნიშნებიც ჩამოყალიბებულია ტოტალიტარიზმის ქრესტომათიულ განმარტებაში (კარლ ფრიდრიხი და ზიგნეც ბზეჟინსკი „ტოტალიტარული დიქტატურა და ავტოკრატია,“ 1965) თუმცა ძალამოკრებილი ავტორიტარიზმის კლასიკური ნიშნები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ს. ფირცხალავას და სხვა პუბლიცისტებს. ბოლშევიზმი პუბლიკაციებში გაანალიზებულია, როგორც საბჭოეთის იდეოლოგიური საფუძველი, დანაშაულებრივი იდეოლოგია. პუბლიცისტთა აზრით, ბოლშევიზმის ანტიჰუმანიზმი, უნინარესად, ადამიანს უქმნის საფრთხეს, რადგან იგი უარყოფს ბუნებრივ მისწრაფებებს, ზღუდავს ყველაზე მთავარ ღირებულებას – თავისუფლებას. ამდენად, „ბოლშევიზმის მიზანია არა გამაგრება და ამაღლება ადამიანობისა ადამიანში, არამედ მისი დაცემა, დამდაბლება, პირუტყვობის გაღვიძება და გაძლიერება ადამიანში“ (ფირცხალავა 1927ბ).

ბოლშევიზმი და ფაშიზმი იდენტურ იდეოლოგიებად არის მიჩნეული ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, 20-იან წლებში, როცა არც საბჭოთა ტოტალიტარიზმი იყო გამოვლენილი თავის სრული არსით და არც ფაშიზმი. „ბოლშევიზმი და მისი ღვიძლი ძმა ფაშიზმი, დიდი ომისაგან გამონვეულ დაქვეითებასა და დაუძღურებაზე აღმოცენებული, ებრძვის და სპობს ადამიანის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დიდის შრომით და ბრძოლით მოპოვებულ დანიშნულებების უმტკიცეს საფუძვლებს-პიროვნების ღირსებას, თავისუფლებას, თვითმოქმედებას, დემოკრატიას. ბოლშევიზმი და ფაშიზმი პიროვნების და თავისუფლების ჩახრჩობაზე, იძულებაზე და ხალხის ბრმა მორჩილებაზე ამყარებენ თავის მმართველობას. მათი კანონია-უმცირესობის, მცირე ჯგუფის ბატონობა და ერის დიდი უმრავლესობის სრული დამონება და მისი ყოველი თავისუფალი აზრი და გრძნობის აღმოფხვრა“ (ფირცხალავა 1926:)

პარალელისათვის გავიხსენოთ, რომ 20-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ-გერმანიასა და შემდგომ საფრანგეთში, ასევე იძულებით ემიგრირებული, თვალსაჩინო რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი ევროპის ახალ პოლიტიკურ რეალობაში წარმოშობილი კვაზი-სოციალისტური იდეოლოგიების არსს შემდეგნაირად განიხილავდა: „ლენინი ანტიჰუმანისტია და ანტიდემოკრატია. ამ თვალსაზრისით ის ახალი ეპოქის ადამიანია, არა მარტო კომუნისტური, არამედ ფაშისტური გადატრიალებების ეპოქისა. ლენინიზმი ახალი ტიპის „ბელადიზმია“, რომელიც მასების დიქტატორული ძალაუფლებით აღჭურვილ ბელადს წამოსწევს წინ. მას მიბაძავენ მუსოლინი და ჰიტლერი. სტალინი ბელადი-დიქტატორის დასრულებული ტიპი იქნება. ლენინიზმი, რასაკვირველია, არაა ფაშიზმი, მაგრამ ლენინიზმი უკვე ძალიან ნააგავს ფაშიზმს“ (ბერდიაევი 1990:102-103)

ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი სამოციანელების ეროვნულ-დემოკრატიული იდეალების მიმდევარი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის მიუღებელი იყო 20-30-იან წლების საბჭოეთში წარსულისადმი ბოლშევიკების ნიჰილისტური დამოკიდებულება, როცა ახალ უტოპიურ იდეას ემსხვერპლებოდა ისტორია, კულტურა, განათლება, სანაცვლოდ კი მკვიდრდებოდა ახალი საბჭოთა ფსევდოკულტურა. კომუნისტების მიერ წარსულის იგნორირება, უწინარესად, მომავალი განვითარებისათვის იყო შემფერხებელი, რადგან „ისტორიაში არ ყოფილა რევოლუცია, თუნდაც უძლიერესი, რომელსაც „ძველი“ აღმოეფხვრას ძირფესვიანად და მის მაგიერ სრულიად „ახალი“ აეგოს.“ (ლეონიძე 1926ა) პუბლიცისტთა აზრით შეუძლებელია ქვეყნის განვითარება, როცა პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება პრიმიტიულად არის მოწყობილი, ხოლო კულტურა ხელისუფლებისაგან მონოპოლიზირებულია, უკიდურესად ირღვევა ადამიანის უფლებები და უხეში ძალა ახშობს აზრის თავისუფლებას.

პირველმა მსოფლიო ომმა ევროპა მნიშვნელოვნად შეცვალა, „თითქოს საწყისი მიეცა უინსტონ ჩერჩილის წინასწარმეტყველებას „ამ ომმა უნდა დაამყაროს ეროვნების პრინციპი ევროპაში. ყველა ჩაგრული ერი უნდა განთავისუფლდეს და ევროპა უნდა შეიცვალოს ხალხთა სურვილების მიხედვით“ (შველიძე 2010ა:34). მაშინდელ, დამოუკიდებელი სახელწიფოების წარმოშობის, პროცესს ესადაგება იმ ქართველ ფედერალისტთა განწყობა, რომლებიც ემიგრაციაშიც ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული იდეოლოგიის ერთგულნი დარჩნენ და თანამიმდევრულად ამხელდნენ საბჭოეთში ბოლშევიკების ნაციონალურ და ინტერნაციონალურ პოლიტიკას. ავტორთა აზრით, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება განუყოფელია. ეროვნება, როგორც კოლექტიური თავისუფლების გამოხატულება, მათთვის მთავარი დემოკრატიული ღირებულებაა, ამ კონტექსტშია განხილული საბჭოეთში ეროვნული საკითხის მიმართ კომუნისტების ნიჰილისტური დამოკიდებულება.

დროდადრო ჟურნალი უბრუნდება 1924 წლის აჯანყების თემას. საქართველოში 1924 წელს იმოგზაურა გერმანელმა პროფესორმა ერის ობსტმა და ცალკე წიგნად გამოცა ნაშრომი „საქართველო“, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა დროს გერმანულ პრესაში გამოქვეყნებულ სამოგზაურო წერილებს. ჟურნალი 1927 წლის მესამე ნომერში პუბლიკაციას აქვეყნებს წიგნის შესახებ სათაურით „პროფესორი ობსტი საქართველოს აჯანყების შესახებ“ და მეცნიერის მოსაზრებებს იშველიებს ქართველი ხალხის იმდროინდელი პოლიტიკური განწყობების წარმოსაჩენად. როგორც ობსტი აღნიშნავდა: „24 წლის აფხულის აჯანყება ნაციონალური მოძრაობა იყო და ის, როგორც ასეთი, არა მხო-

ლოდ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ მოსკოვის რუსეთის წინააღმდეგ“.

„სახალხო საქმის“ ავტორები ბოლშევიზმს არ განიხილავენ მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ხალხების შიდა პრობლემად. პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ ევროპა, დასავლეთი უაღრესად ნეგატიურად იყო განწყობილი საბჭოთა რუსეთის მიმართ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობის გამო და იმედის თვალთ შეჰყურებდა მას. როგორც ვიცით, დასავლური სამყარო გარკვეული პროტესტისა და მცდელობის მიუხედავად, ვერაფერს გახდა ბოლშევიკების მიმართ, შემდეგ აღარ ჩაერია საბჭოთა კავშირის შიდა საქმეებში და საბოლოოდ, აღიარა კიდეც მისი დე იურე და დე ფაქტო არსებობა. „სახალხო საქმის“ პუბლიცისტებს არ სჩვევიათ მხოლოდ ემოციურ განწყობებზე დაფუძნებული ანალიზი, ისინი ობიექტურად მსჯელობენ ჩაურევლობის მიზეზებზე, რომლებსაც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის რეალური პოლიტიკური მდგომარეობით და სახელმწიფოთა პოლიტიკური პრაგმატიზმით ხსნიან, რაც, ცხადია, არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე ეპოქისათვის ნიშანდობლივი. მთავარ მიზეზად კი იმ გარემოებას მიიჩნევენ, რომ „ევროპა და მასთან სხვებიც, რომელთაც რაიმე მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ომში, ისე დაქანცული და დასუსტებული არიან დღეს, რომ გაგონებაც კი ეზარებოდათ რაიმე საერთაშორისო გართულების და სიხლის ღერის. ყველა დატვირთულია შინაური საქმეებით: ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ, მეურნეობის, მრეწველობის, სოციალური კრიზისებით, მთელ თავის ძალ-ღონეს ამ ომისგან გამოწვეულ თუ გართულებულ ჭრილობებს ანდომებენ.“ (ლეონიძე 1926ბ:). სანაცვლოდ, ტექსტებში ჭარბად გვხვდება საბჭოთა ხელისუფლების ექსპანსიური პოლიტიკის, როგორც მსოფლიოსათვის მოსალოდნელი საფრთხის საფუძვლიანი, პერმანენტული კრიტიკა. ავტორები ფაქტებზე დაყრდნობით ასაბუთებენ, რომ კომუნისტები მიზნად ისახავდნენ სხვა ქვეყნების ბოლშევიზაციასაც, რაც ისტორიის შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა კიდეც.

„სახალხო საქმის“ პუბლიცისტების ანტისაბჭოთა დისკურსში პრიორიტეტული თემაა საბჭოეთის ეკონომიკური მომავალი. ბუნებრივია, რომ ეკონომიკური საკითხიც პოლიტიკურ კონტექსტშია გააზრებული. სამრეწველო და აგრარული სფეროების განხილვისას, სანიმუშოდ ევროპის ქვეყნების — შვეიცარიის, დანიის, სერბეთის, ბულგარეთის და სხვათა მაგალითებია მოხმობილი. პუბლიცისტები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ საბჭოეთის ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველო, მათი აზრით, მიუხედავად სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალისა, რთულ პირობებში იმყოფება და არ აქვს განვითარების

პერსპექტივა. საბჭოთა ეკონომიკას ისინი მიიჩნევენ ძველი ყაიდის ეკონომიკად, „როდესაც ხალხი მოკლებულია საშუალებას უცხოეთის იაფი ნაწარმი შეიძინოს და იძულებულია იმავე ხელისუფლებისაგან რუსეთის 4000 კილომეტრით დაშორებულ ფაბრიკებში ცუდად და ძვირად დამზადებული საქონელი შეიძინოს“ (ფირცხალავა 1927გ:) რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის შედარებითი ანალიზი, კონკრეტული სტატისტიკის მოშველიებით, მიზნად ისახავს მკითხველისათვის რუსეთის ჩამორჩენილობის ჩვენებას. მათი განსჯით, მოცემულ პირობებში საქართველოს ეკონომიკური პროგრესი სათუო იყო, როცა მაგალითად, ევროპაში 2-3-ჯერ მეტი მოსავალი მოდიოდა, ტექნიკის განვითარება და მიწის დამუშავება იმდროისათვის მაღალ დონეს აღწევდა, საბჭოეთში კი პრიმიტიული იარაღებით ცდილობდნენ წინსვლას. წარმატება, მათი აზრით, მიიღწეოდა მხოლოდ შესაფერის ვითარებაში, „ქვეყნის გულმხურვალედ მოყვარული ხელმძღვანელობის“ პირობებში. ცხადია, ასეთად არ მიიჩნეოდა საბჭოთა ხელისუფლება.

ბოლშევიკების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური სამიზნე კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება აღმოჩნდა. „ლიტერატურა კრიზისშია-მოქმედებს საბჭოთა დრაკონული ცენზურა“, „საქართველოში, სიტყვა, აზრი, გადმოცემულია ტელეგრაფით“ — გვატყობინებს ყურნალი.

„სახალხო საქმის“ პუბლიცისტის ბეგი გოლიაძის აზრით „კომუნისტურ პარტიას კარგად ესმის, რომ ქართველი ხალხისთვის დამოუკიდებლობის ნიადაგის გამოცლა უფრო გაადვილდება, თუ ქართველ ერს წაერთმევა საკუთარი ათასწლიანი ეროვნული კულტურა და მის ნაცვლად გამეფდება რუსული კულტურის გავლენა“ (ბეგი გ-იადე: 1926). შემთხვევითი არ იყო, რომ ბოლშევიკების მიერ ძლიერი პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხი სწორედ ქართულ უნივერსიტეტზე განხორციელდა. ავტორები კონკრეტული პიროვნებების (კ. სულაქველიძე, თ. ლლონტი) დასახელებასაც არ ერიდებიან. გასაბჭოების ათი წლისთავზე ყურნალში მწვავე კრიტიკული პათოსით არის შეფასებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო: პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება-კულტურა. მათი აზრით, ის გარემოება, რომ რუსეთი არ იყო ჩაბმული საერთაშორისო ეკონომიკაში, მართებდა საგარეო ვალი, ასევე ქვეყანაში არსებული ვითარება-პარტიული გახლეჩილობა და პოლიტიკური რეპრესიები, მის მომავალზე აუცილებლად დამლუპველად აისახებოდა. ტექსტებში არაერთგზის არის გაკრიტიკებული კომუნისტების მიერ უკიდურესად უნიტარული, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკა. „საბჭოთა სამეფო“ — ამ სახელდებით არის წარმოაჩენილი საბჭოთა სახელმწიფოს მონოპოლიზე-

ბული მმართველობის არსი. საბჭოთა სისტემის გარდაუვალი კრახის მათეული ანალიზი ეფუძნება დიალექტიკის ლოგიკის ობიექტური და სუბიექტური კანონზომიერებების ცოდნას, რაც განაპირობებდა ისტორიული პროცესების ანალიზში ავტორთა თავდაჯერებას.

სტატიაში „მძიმე პირობები და მძიმე მოვალეობა“ სამსონ ფირცხალავა აღნიშნავს: „ქართული კულტურის წინსვლა დროებით შეჩერდა, მაგრამ ეს მისდამი რწმენას არ გაანელებს“ (სა-ფარ 1927:). პუბლიცისტები აკრიტიკებენ ქართველ ბოლშევიკებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ე.წ. სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების გამო, განდევნილი „ფსიქოლოგიზმის, რომანტიზმის და ესთეტიზმის“ სანაცვლოდ. „ნუთუ მართლა რუსულიდან ნათარგმნი საეჭვო ღირსების პიესებით, როგორიცაა „იღრიალე ჩინეთო“, შეიძლება ქართული თეატრის აყვავება“ — კითხულობდა ბეგი გოლიაძე 1928 წელს „სახალხო საქმეში (2) გამოქვეყნებულ სტატიაში „მათი იუბილე“.

ტექსტებიდან ჩანს, რომ ფედერალისტების უმთავრესი საზრუნავი კვლავაც ქართული სახელმწიფოს მომავალი-მისი ისტორია, კულტურა, ენა იყო. ცხადია, ქართველი ემიგრანტი ავტორები იმხანად ვერ წარმოიდგენდნენ, რომ როგორც რევზ გაჩეჩილაძე ნაშრომში „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“, სავსებით მართებულად აღნიშნავს: „მთავარი პარადოქსი ისაა, რომ საბოლოოდ კრემლის სუბიექტური მიზნის სანინააღმდეგოდ, რესპუბლიკებში საბჭოთა ნაციონალური კულტურის განვითარება ობიექტურად აღმოჩნდა ნაციონალური კულტურული ელიტების შექმნის საფუძველი. XX საუკუნის ბოლო დეკადებში კი ამ ელიტების როლი ცალკეული რესპუბლიკებისა და მთელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ განვითარებაში, რასაც საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა, ძალიან დიდი იყო (გაჩეჩილაძე 2013:235).

ევროპეიზმი იმთავითვე ახასიათებდა ქართველ ფედერალისტთა პოლიტიკურ აზროვნებას, ამ თვალსაზრისით ისინი თანამიმდევრულად აგრძელებდნენ მე-19 საუკუნის ქართველ სამოციანელთა ტრადიციას. 1901 წელს 19 იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი საჭირობოროტო კითხვები“ არჩილ ჯორჯაძე მკაფიოდ მიუთითებდა ფედერალისტების ევროპულ არჩევანზე: „აი, ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია თავიდან აგვაცილოს უგზო-უკვლოდ სიარული, ის გზა, რომელიც უკვე გაუვლია თანამედროვე ევროპას“. სამსონ ფირცხალავაც ემიგრაციაში ერთგულობდა ჯერ კიდევ ადრე გაკეთებულ არჩევანს და აღნიშნავდა: „ბოლშევიკების ათი წლის პრაქტიკა გვასწავლის, თუ როგორ არ უნდა ვიმოქმედოთ, „მონინავე ევროპის გამოცდილება კი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. დასავლეთის სწავლება და მაგალითი უნდა იყოს ჩვენი ხელმძღვანელი და არა მოსკოველთა ველურობა. აქედანაა სინათლე და არა აზიიდან თუ ევრაზიიდან“ (ფირცხალავა 1927დ)



პარალელური სივრცეების შედარებითი ანალიზი წარმოჩენილია ღირებულებით კონტექსტში, როცა ნეგატიურის (საბჭოთას) საპირწონედ, პოზიტიური (ევროპულ-დასავლური სივრცე) მოიაზრება. ავტორთა პოლიტიკური კომპეტენცია გვარწმუნებს პარალელების ლოგიკურობაში. ხშირად მათ არგუმენტად ევროპელი პოლიტიკოსების მოსაზრებები და ევროპული პრესაც მოჰყავთ. ჟურნალს ასეთი რუბრიკაც აქვს: „რას წერენ ევროპაში ბოლშევიკებზე?“ იმდროისათვის ცნობილ ევროპელ პოლიტიკოსთა გამონათქვამებიდან (ფილიპ სნოუდენი, სიდნეი უები, მარსელ სამბა, რუდოლფ გილფერდინგი, ჟან ჟორესი და სხვ.) მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ საბჭოურ კვაზი-სოციალიზმს საერთო არაფერი ჰქონდა ევროპულ დემოკრატიასა და სოციალიზმთან. მათ განასხვავებდა, უწინარესად, ადამიანის უფლებები, პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, წარსულთან დამოკიდებულების საკითხი, მეცნიერების, ხელოვნების-კულტურის იდეოლოგიზება, კლასთა ბრძოლის თეორია და სხვ.

ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი ამონარიდი: „ევროპელი სოციალ-დემოკრატია აღიარებს თავის მოქმედებაში ისტორიულ პრინციპს, განვითარების კანონებს და არ ფიქრობს, რომ ერთი დაკვრით, ურას ყვირილით შეიძლება ცხოვრების პირობების შეცვლა“ (ფირცხალავა 1927ე)

„სახალხო საქმის“ სამიზნე აუდიტორია კონკრეტულია: ტექსტები მიმართულია ნაციონალურ საზღვრებში დარჩენილი ქართველი მკითხველისადმი, რომელსაც ჟურნალი მუდმივად აფხიზლებს, ამხნევებს და დემოკრატიზმის ჭრმმარიტი არსის ჩვენებით ევროპულ პოლიტიკურ კულტურას აზიარებს მას, ამ თვალსაზრისით ჟურნალს აქვს შემეცნებითი ფუნქციაც. ასე ცდილობენ სამშობლოდან განდევნილი ემიგრანტი ავტორები მათთვის საოცნებო ევროპასთან დაახლოებასდა ეს იყო ბრძოლა იმ არჩევანისათვის, რომელიც ქართველმა ხალხმა ისტორიკოს დიმიტრი შველიძის აზრით ორიათასი წლის წინ გააკეთა და რომელიც გრძელდებოდა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაშიც, როცა „რუსეთის ორივე იმპერიის მარწუხებში მოქცეული ქართველობა ცდილობდა ჯერ ევროპეიზმი დაეპირისპირებინა რუსიფიკაციისათვის, შემდეგ — დემოკრატიზმი ტოტალიტარიზმისათვის და ა.შ. ამგვარი განუწყვეტელი ბრძოლით ელოდნენ ქართველები დასავლეთს 2000 წლის განმავლობაში“ (შველიძე 2010ბ:62)

მოვლენურობა, რაც არის თანამედროვე ჟურნალისტიკის მთავარი ნიშანი, „სახალხო საქმის“ პუბლიცისტიკისათვის არსებითია. ერთი მხრივ ისინი იხსენებენ წარსულის ბატალიებს და პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიებს საქართველოში, ამიტომაც მკითხველის თვალწინ გაივლებს ხოლმე თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეების: არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, გიორგი დეკანოზიშვილის და სხვა-



თა სახეები. მეორე მხრივ, 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირში, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მუდმივად რჩება პოლიტიკური პუბლიცისტიკის არეალში. ბუნებრივია, რომ ტექსტები გამსჭვალულია ანტისაბჭოთა ტენდენციით და მებრძოლი მუხტის მატარებელია. მათში ჩანს ავტორების ინფორმირებულობა. ფაქტების წარმოჩენის დინამიკა-საბჭოეთში განვითარებულ პროცესებთან სრულ კორელაციამია. ის მათიანეა, რომელშიც მოვლენები განხილულია ერთ მთლიან ჯაჭვში, სადაც ანალიზი და შეუნყვეტელი იდეოლოგიური დისკუსია უწყვეტად არის შემოთავაზებული. „ბოლშევიზმის ნანგრევებზე ახალი რუსეთი წარმოდგება, როგორ გადანყდება ჩვენი ბედი-ისევე ბორკილებით ვიქნებით მიჭედილი რუსეთზე თუ შევძლებთ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენში დამოუკიდებლობის დამკვიდრებას?“ (ფირცხალავა 1927ვ:) — ეს არის ყველაზე დილემური კითხვა, რომელიც ანუხებთ პუბლიცისტებს, რომელთა ფიქრისა და განსჯის მთავარი საგანი იყო საქართველოს განთავისუფლება კომუნისტური რეჟიმისაგან.

სამსონ ფირცხალავასა და ჟურნალის სხვა პუბლიცისტებისათვის მიუღებელია ვინრო პარტიული პარტიკულარიზმი. პუბლიცისტურ ტექსტებში, ლოგიკური განსჯით, საქართველოს პოლიტიკური მომავალი პროგნოზირებულია რეალისტური ოპტიმიზმით, დაცულია დემოკრატიული ჟურნალიზმის მთავარი პრინციპები: ფაქტების უტყუარობა, არგუმენტირებულობა, საზოგადოებრივი ინტერესის პრიმატი.

ამგვარად, ჟურნალი „სახალხო საქმე“ კვალში უდგას მსოფლიოსა და საბჭოთა საქართველოში იმხანად განვითარებულ მოვლენებს, დღემდე უცნობი პუბლიცისტური ნარატივით ქმნის საბჭოთა პრესის ალტერნატიულ, უტყუარ კონტრმატიანეს, როგორც ტოტალიტარიზმისაგან გადარჩენილ კულტურულ მიკროოაზისს.

## დამონებიანი:

**ბეგი გ-იადე 1926:** ბეგი გ-იადე. *ეროვნული კულტურის სადარაჯოზე*. ჟ. „სახალხო საქმე“, № 1 1926.

**ბერდიაევი 1937:** Бердяев Н. Истоки и смысл русского коммунизма. Москва: „наука“ 1990. განთავსებულია საიტზე: <http://elar.urfu.ru/bitstream/10995/67/1/Berdyayev.pdf>

**გაჩეჩილაძე 2013ბ:** გაჩეჩილაძე რ. *საქართველო მსოფლიო კონტექსტში*. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.

**ლეონიძე 1926ა:** ლეონიძე ს. *ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები*. „სახალხო საქმე“, № 1, 1926.

**ლეონიძე 1926ბ:** ლეონიძე ს. *ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები*. „სახალხო საქმე“, № 1, 1926.

**სა-ფარ 1927:** სა-ფარ. *25 წელი ქართული კულტურის სადარაჯოზე*. „სახალხო საქმე“, № 2, 1927.

**ფირცხალავა 1926:** ფირცხალავა ს. *მეთაური წერილი*. „სახალხო საქმე“, № 1, 1926.

**ფირცხალავა 1927ა:** ფირცხალავა ს. *ახალი ძალები*. „სახალხო საქმე“. № 3, 1927.

**ფირცხალავა 1927ბ:** ფირცხალავა ს. *მძიმე პირობები და მძიმე მოვალეობა*. „სახალხო საქმე“, № 2, 1927

**ფირცხალავა 1927გ:** ფირცხალავა ს. *საქართველოს ეკონომიკური მომავალი*. „სახალხო საქმე“, № 3. 1927.

**ფირცხალავა 1927დ:** ფირცხალავა ს. *წარსული და მომავალი*. „სახალხო საქმე“, № 2 1927.

**ფირცხალავა 1927ე:** ფირცხალავა ს. *საერთაშორისო გართულება*. „სახალხო საქმე“, № 3. 1927.

**შველიძე 2010ა:** შველიძე დ. *საქართველოს დასავლური ორიენტაცია: წარსულის ეპიზოდები*. თბ.: სსიპ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2010.

**შველიძე 2010ბ:** შველიძე დ. *საქართველოს დასავლური ორიენტაცია: წარსულის ეპიზოდები*. თბ.: სსიპ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2010.

**ჭუმბურიძე 2008:** ჭუმბურიძე დ. *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური საფუძვლები XX საუკუნის საქართველოში*. // *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*. № 3, 2008 [ონ-ლაინ ტექსტი განთავსებულია 14 აგვისტოდან, 2012]; მის.: <http://iberiana2.wordpress.com/segm/d-chumburidze/>).

**ჯორჯაძე 1989:** ჯორჯაძე ა. *წერილები*. თბ.: „მერანი“, 1989.

## **DODO TCHUMBURIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javaxishvili Institute of History and Ethnology*

### **Aleqsandre Zaqariadze’s Memoirs – “Democratic Republic of Georgia” – and its Value**

Military Chief of staff of independent Georgia Aleqsandre Zaqariadze spent most part of his life in emigration .His memories “ democratic Republic of Georgia” is very interesting.

The work has very important scientific value,as the memoir writer took part in the events which is described. The author is a liberal–minded person devoted with national ideals and democratic principles.In the memoirs are discussed the relationships between Georgia and Russia, also the aspects of relationship between Georgia and Europe. many political and publical or cultural problems which are actual for our society even today is evaluated with right concepts by him.

**Key Words:** *Aleqsandre Zaqariadze, emigration, memories, democratic Republic of Georgia*

## დოდო ჭავჭავაძის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

### ალექსანდრე ზაქარიაძის ნაშრომი — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ — და მისი სამეცნიერო ღირებულება

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ (1884-1957) თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა. საინტერესოა მისი მოგონებები „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელიც მიუნხენში მცხოვრებმა კარლო ინასარიძემ 1990 წელს გურამ შარაძეს გადასცა. მან ეს ნაშრომი ჯერ 1992 წელს ჟურნალ „მხედარის“ პუბლიკაციას დაურთო (შარაძე 1992), შემდეგ კი — 2003 წელს თავისი ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის IV ტომში სრულად გამოაქვეყნა (შარაძე 2003:164-316).

ნაშრომი ძალზე საინტერესოა და გააჩნია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება, რადგან მემუარისტი აღწერილი მოვლენების მონაწილე და თვითმხილველია. ავტორი ლიბერალურად მოაზროვნე, ეროვნული იდეალებისა და დემოკრატიული პრინციპების ერთგული ადამიანია. მემუარებში განხილულია საქართველო-რუსეთის, საქართველოსა და ევროპული სამყაროს ურთიერთობის ასპექტები. მრავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული პრობლემა, რაც დღესაც აქტუალურად დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე, მას ობიექტურად, სწორი კონცეპტებით აქვს შეფასებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას ჩვენში, სამწუხაროდ, ხშირად ტენდენციურად, უფრო მეტიც, უარყოფით კონტექსტში განიხილავენ. ამის მიზეზი არის სოციალ-დემოკრატებისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება, მათი ეროვნული ცნობიერებისადმი უნდობლობა. დავინყებულება ის ფაქტები, რითაც საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი გამოირჩევა: 1. ამ ისტორიულ ეტაპზე მოღვაწე სოციალ-დემოკრატები, მიუხედავად ბევრი მათგანის ბოლშევიკური წარსულისა, ევროპულ სოციალიზმს უჭერდნენ მხარს, რასაც ევროპის ბევრ ქვეყანაში დღესაც ჰყავს მომხრეები; 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში იყვნენ სხვა ეროვნული პარტიების წარმომადგენლებიც (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები), რომლებიც მტკიცე ევროპულ ორიენტაციას ადგნენ და პრორუსულ პოლიტიკას აქტიურად ემიჯნებოდნენ; 3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის ხელისუფლებამ დაიწყო ლიბერალური რეფორმების გატარება ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სამხედრო მშენებლობის და სხვა სფეროებში და იმ ურთულეს საგარეო თუ საშინაო ვითარების ფონზე, მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ქართული სახელმწიფოებრიობა დგას საუკუნოვან ტრადიციაზე, რომლის ნაწილსაც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო წარმოადგენს. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე დამოუკიდებელი საქართველოს ომებში აქტიურად იბრძოდა, იყო I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეისათვის თავდადებული ადამიანი.

ზაქარიაძის მოგონებები დაწერილია საინტერესოდ. მემუარისტი იგონებს ბევრ ისეთ მოვლენას, რომელთანაც, როგორც დიდი სამხედრო თანამდებობის პირს, თავად ჰქონდა შეხება. ამ ვრცელ მოგონებებში უამრავი საინტერესო ცნობაა დაცული, რომელიც დაეხმარება ამ პერიოდის მკვლევართ მოვლენების დაზუსტებასა და უკეთესად გააზრებაში.

შრომა, როგორც ავტორის წინასიტყვაობიდან ჩანს, დაწერილია 1921-1925 წლებში, პოლონეთის ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში. წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ საქართველოში სოციალიზმი პირადაპირ შემოვიდა ევროპიდან და პლუხანოვის საშუალებით შემდეგ გადაება რუსეთს, რომ სოციალ-დემოკრატიული აზროვნება ბუნებრივია ქართველი ხალხისთვის, მისი ღრმა ქრისტიანული მრწამსის გამო, ამიტომ გავრცელდა ასე მასშტაბურად და ბოლშევიზმმაც ჩვენში ამის გამო ვერ მოიკიდა ფეხიო. გამოთქვამს რწმენას, რომ მსოფლიო საზოგადოება მიაღწევს სამართლიანობის დამყარებას, საქართველოსაც ნათელი მომავალი დაუდგება, ოღონდ ამ გასაჭირში უნდა შეძლოს ფიზიკური გადარჩენა.

ნაშრომი რამდენიმე თავისაგან შედგება. ავტორი განიხილავს პერიოდს რუსეთის მიერ საქართველოს პირველი დაპყრობიდან და ხშირად არა მარტო საგულისხმო, არამედ ისტორიულად სწორ კონცეფციებსაც გვთავაზობს. თუმცა, არის მოვლენათა ტენდენციურად შეფასების მაგალითებიც. ნაშრომის მთავარი ღირსება მაინც იმ ფაქტოლოგიური მასალის სიუხვეა, რაზეც ავტორს, როგორც თვითმხილველს, ხელი მიუწვდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოსადმი მისი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ზაქარიაძე თვლის, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის მზად არ იყო. ამის ძირითად გამომხატულებად მიაჩნია, საკანონმდებლო ორგანოში პარტიების არათანაბარი წარმომადგენლობა (სოციალ-დემოკრატი — 103, სოციალისტ-ფედერალისტი — 12, ეროვნულ-დემოკრატი — 10, ესერი — 5). მისი აზრით, ის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ეროვნულ საკითხს 1905 წლის შემდეგ, პირველი რიგის საკითხად არ აყენებდა,

პარლამენტში კი ასეთი უმრავლესობა ჰქონდა სხვა პარტიებთან შედარებით, ჰქმნიდა სახელმწიფოს მშენებლობისათვის არახელსაყრელ ნიადაგს. თუმცა, ავტორი იქვე წერს, რომ მთავრობისა და ქართველი ხალხის მიზანი ერთი იყო: ეროვნული მე-ს შენარჩუნება, დემოკრატია და არა დიქტატურა, პატიოსანი შრომით ცხოვრება და არა ძარცვა-გლეჯით, ბრძოლა იმისათვის, რომ წოდებისა და გვარისათვის არ ყოფილიყო ვინმე დევნილი, ექიმთან თუ აფთიაქში 20 ვერსი არ ევლოთ, რომ ბავშვებს სოფლის სკოლამდე 10-15 ვერსი ფეხშიშველი სიარული აღარ დასჭირვებოდათ და ასე შემდეგ. ზაქარიაძის აზრით, ხელისუფლება ამის გაკეთებას ცდილობდა და სამართლიანი ქვეყნის აშენება სურდა (გვ.187).

ნაშრომის IV თავი ეძღვნება თავდაცვისა და შეიარღვეული ძალების მდგომარეობის ანალიზს 1917-1921 წლებში. ამ საკითხში ავტორის აზრი გასათვალისწინებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ის მოქმედი სამხედრო პირი იყო, ეროვნული საბჭოს მიერ სამინისტროების უფლებით არჩეული სამხედრო კომისიის შტაბის უფროსს წარმოადგენდა (კომისიის თავ-რე — ნოე ჟორდანიას). სამხედრო კომისიის წევრები არ იყვნენ დარგის სპეციალისტები, რასაც გარკვეული სიძნელებები მოსდევდა და ზაქარიაძესაც ბევრი შრომა სჭირდებოდა დარგში არსებული ვითარების გასაჯანსაღებლად. მან გეგმა წარუდგინა სამხედრო კომისიას, თუ უპირველესად რა უნდა გაკეთებულიყო სამხედრო დარგში. მისი გეგმა დაუყონებლივ მიიღეს, მაგრამ იარაღის ნაკლებობის გამო ვერ სრულდებოდა. თუმცა, არსენალი დაიკავეს ქართველებმა, მოხალისეთა რაზმებიც შეიქმნა, მაგრამ ბათუმი-ართვინი-ართაან ახალციხის რაიონებში ჯარის ჩაყენება რთული გამოდგა. სამაგიეროდ, ზაქარიაძის ხელმძღვანელობით, აღმოსავლეთის ფრონტიდან წამოსული, გაბოლშევიკებული რუსული ჯარის განიარაღება და საქართველოდან გაყვანა ისე ბრწყინვალედ განხორციელდა, რასაც შემდეგში ყველა მემუარისტი თუ მკვლევარი სიამაყით აღნიშნავდა.

ბრესტის ზავის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართველებს, უფრო სწორად, ამიერკავკასიის მთავრობას ოსმალებთან ომი მოუხდებოდა. 1918 წლის 1 მარტს ჩამოყალიბდა სპეციალური კორპუსი გენერალ ვასილ გაბაშვილის მეთაურობით, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა საომარი მოქმედებებისათვის. გაბაშვილის შტაბის უფროსად ზაქარიაძე დაინიშნა. ამიერკავკასიის სეიმში შეუთანხმებლობას, სომხების სამხედრო ძალის სისუსტესა და აზერბაიჯანის ოსმალეთთან მიმხრობას მიიჩნევს ზაქარიაძე გერმანიის საქართველოში შემოსვლის მთავარ მიზეზად. თუმცა, ეს იყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი და გერმანიასთან ქართველ პოლიტიკოსებს უკვე კარგახნის, პოლიტიკურად კარგად მოტივირებული კავშირი ჰქონდათ (ჯანელიძე 2002).

ამის შესახებ საუბარია გერმანიის უმაღლესი წარმომადგენლის — ფრიდრიხ კრესს ფონ-კრესსენშტაინის მოგონებებშიც (კრესსენშტაინი 2001).

ზაქარიაძე ოსმალეთის აგრესიას სწორად ხსნის, ამბობს, რომ ეს განპირობებული არ იყო მარტო ბრესტის ზავით მიღებული ტერიტორიების მიმართ პრეტენზიით. „აშკარად ჩანდა, — წერს იგი, — რომ ოსმალეთს სურდა მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია და ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდება. ასაბუთებდა ამას თავისი მორალური მოვალეობით, რომ ეხსნა ბოლშევიკებისაგან მუსულმანური აზერბაიჯანი, ამისთვის კი საჭირო იყო საქართველოს და სომხეთის ოკუპაცია, ვინაიდან ოსმალეთს და აზერბაიჯანს საერთო საზღვარი არ ჰქონდათ“ (ზაქარიაძე 2003: 211). რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს გენერალი 1783 წლის ტრაქტატზე დაფუძნებულს უწოდებს. ამ აქტით რუსეთის ხელისუფლება კისრულობდა საქართველოს დახმარებოდა თავისი ჯარით გარეშე მტრებთან ბრძოლაში, 1801 წელს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დაარღვია ალექსანდრე I-მა და საქართველო (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო) იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად აქცია, „ეხლა კი რუსეთის ჯარმა მიატოვა კავკასიის ფრონტი და შინ გაეშურა, საქართველო კი დატოვა მტრის (ოსმალეთის) საბედისწეროდ და ამით იძულებული გახადა ქართველი ერი თავის თავისთვის თვითონ ეპატრონა“ —ო. ეს არაგუმენტი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველი, რუსეთის ჯარი წავიდოდა თუ არა კავკასიის ფრონტიდან, ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ამით ვერაფერი შეცვლიდა. მაგრამ აგრესორი რუსეთისათვის გარკვეულ დიპლომატიურ პასუხს წარმოადგენდა.

ზაქარიაძე სომხებთან საომარ დაპირისპირებასაც კარგად ხსნის. მისი აზრით, სომხებს იმედი ჰქონდათ მოკავშირეების, ინგლისის სარდლობის, მათ არ ჰყოფნიდათ ის, რასაც საქართველოსგან ყოველთვის ღებულობდნენ: მცირე აზიის სიღრმეში დარჩენილნი, ისინი პირველნი განიცდიდნენ მუსულმანთა დარტყმებს, ამიტომ გამორბოდნენ საქართველოსკენ და აქესახლებოდნენ. ჩვენი წინაპრებიც ამაში არათუ უშლიდნენ ხელს, არამედ უწყობდნენ. ასე მოხდნენ ისინი სადავო ლორე-სანაინის მიდამოებშიც. ინგლისის სარდლობასთან საქართველოს დაბეზლება დაიწყეს გერმანული ორიენტაციის გამო, მაგრამ დაინახეს, რომ ალიანტები (ზაქარიაძე ასე უწოდებს მოკავშირეებს) არც საქართველოს და არც სომხეთს არაფრად აგდებდნენ და მხარს რუს დენიკინელებს უჭერდნენ. ამის გამო სომხეთის არმია დენიკინის ჯარში ჩაირიცხა, როგორც მეშვიდე კორპუსი. ამ არმიაში შემუშავდა, ზაქარიაძის აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს მოსპობის გეგმა: ერთდროულად დაერთყათ საქართველოსთვის: ჩრდილოეთიდან

(აფხაზეთიდან) დენიკინის არმიას, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან (ბათუმის ოლქი, ახალციხე-ბორჯომის მიმართულება) თურქოფილურ მუსულმანებს, გორის მაზრაში ოსების აჯანყება, ლორეს მხრიდან სომხების შემოტევა. თუმცა, ბოლშევიკების მიერ იყო ინსპირირებული აჯანყება გორის მაზრაში, და ეს თითქოს არ შეიძლებოდა დენიკინის ბანაკში შემუშავებულიყო, თუმცა, შესაძლო იყო საერთო მიზნის მისაღწევად დენიკინელებს ხელიც შეეწყობოდა ამ გამოსვლისათვის. მითუმეტეს, მომდევნო თავებში ზაქარიაძე ბოლშევიკებზე წერს: საქართველოს მოსპობისათვის დენიკინელებთანაც კი თანამშრომლობდნენო (ზაქარიაძე 2003: 252).

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის აგენტურის საქმიანობას, ნათქვამია, რომ შეთქმულთა ორგანიზაცია მოქმედებდა საქართველოს შიგნით პოლკოვნიკ ჯუნკოვსკის მეთაურობით, რაც გამჟღავნდა 1918 წლის ნოემბრის ბოლოს. შეთქმულებს უნდა აეფეთქებინათ რკინიგზა, ხიდები, სურამის გვირაბი. ამ ურთულეს დროს ზაქარიაძე სანაინის მიდამოებში მყოფი ქართველი სამხედროების სარდლად გაიგზავნა. მას სომხების მხრიდან პროვოკაცია უნდა აეშორებინა, მითუმეტეს, აქ იმყოფებოდა სომეხი გენერალი დრო (დრასტანატ კანაიანი), რომელიც პროვოკაციების დიდი ოსტატი იყო. ნოემბრის ბოლოს ის გამოიძახეს და ეს თანამდებობა გენერალ ნულუკიძეს გადააბარა, თავად კი სვიმონ მდივანს გაჰყვა ერევანში მოლაპარაკებებზე. მიხვდა რა სომხების ჩანაფიქრს, ერევნიდან მალე დაბრუნდა. ის გახდა ლორეს რაიონში გენერალ გედევანიშვილის შტაბის უფროსი, აღწერს ომის ქრონიკას, გენერალ მაზნიაშვილის დამსახურებას სანდარის მიდამოებში გამართულ ბრძოლებში, შემდეგ კი საბოლოო გამარჯვებას. თუმცა, ზაქარიაძე, არ ეხება იმ პროვოკაციას, რაც სომხებმა მოუწყვეს ქართულ ჯარს 15 დეკემბერს და რაც კარგად გამოუვიდათ ჩვენს ჯარში არსებული უფლისციპლინობის, მიაშიტობის, არასამხედრო წესრიგის არსებობის გამო. დასძინს, რომ ყველაფერი კარგად იმის წყალობით დასრულდა, რომ მტრის გეგმა ერთობლივი თავდასხმების შესახებ ვერ განხორციელდა, ცალ-ცალკე კი მათი უკუქცევა მამაც ქართველ ჯარისკაცებს არ გასჭირვებია. თუ ამ ე. წ. „გამოტოვებულ კადრებს“ არ ჩავთვლით, გენერალ ზაქარიაძის სამხედრო ქრონიკა ისე სრულყოფილია, რომ ძირითადი საომარი მსვლელობა სრულიად თვალსაჩინოა, მოვლენათა შეფასებებიც სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, ობიექტური, ყოველმხრივ გაცნობიერებული პიროვნების ნააზრევია.

ზაქარიაძის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთთან ომის დროს, 1918 წლის აპრილში, გერმანელებზე ადრე, საქართველოს დახმარებისთვის მოხალისეთა ჯარის რუსი გენერლისთვის — ალექსევისთვის მიუმართავს, რომელიც, მისი აზრით, დენიკინისგან განსხვავებით, არ ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას.



ირკვევა, რომ გიორგი მაზნიაშვილის შავიზღვისპირეთში გალაშქრება 1918 წლის ივნის-ივლისში ითვალისწინებდა როგორც ბოლშევიკების გაძევებას აფხაზეთის ტერიტორიიდან და იქ ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებას, ასევე ალექსეევის დახმარებას, რომელიც სოჭი-ტუაფსეს რაიონში მიიმწყვდიეს ბოლშევიკებმა და მონყვიტეს ზღვას, საიდანაც მოხალისეები მოკავშირე ქვეყნების დახმარებას ღებულობდნენ. დენიკინი ბოლომდე ებრძოდა დამოუკიდებელ საქართველოს. მისი არმიის ერთ-ერთი მეთაური, გენერალი ერდელი მოსკოვის აულებლობას და დენიკინის საბოლოო მარცხს საქართველოსთან მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას აბრალებდა. ეს მას თავად უთქვამს საქართველოში ყოფნისას: როდესაც დენიკინი მოსკოვს უახლოვდებოდა და ყოველ ბატალიონს იქ მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მე საქართველოს წინააღმდეგ გამზადებული 35 ქვეითი ათასეული მყავდა და არ შემეძლო მას დავხმარებოდიო (შარაძე 2003: 225).

„თავდაცვის საკითხი დამფუძნებელ კრებაზე“ — ზაქარიაძის ნაშრომის XIV თავია. აქ მოტანილია ყველა ის ცნობა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ქართულ ჯარს ეხება. ზაქარიაძე, ზოგიერთი სხვა ქართველი გენერლისაგან განსხვავებით, ამართლებს ჯარის ორსისტემიანობას და თვლის, რომ ეროვნული გვარდიის არსებობა რეგულარულ ჯართან ერთად, იმ ურთულეს პერიოდში აუცილებლობას წარმოადგენდა. ამას ხსნის, და შესაძლოა გარკვეული ლოგიკაც იყოს მის ახსნაში, მაგრამ, ალბათ, ის ადამიანები უფრო სწორად მსჯელობენ, რომელთაც პარტიული, ან კლასობრივი ნიშნით საჯარისო ფორმირებების შექმნა მიუღებლად მიაჩნიათ. მაგალითად: 1930 წლის „მხედარის“ მონინავეში ვკითხულობთ: „არსებობდა გვარდია და ჯარი, რომელნიც საბრძოლო ვარგისობის მიხედვით ერთი მეორეზე უვარგისნი იყვნენ და სამხედრო ორგანიზაციულად ეს ორმუცლიანი სისტემა დამბლას სცემდა საქართველოს შეიარაღებულ ძალას“ (აბულაძე 1930: 5).

შეგახსენებთ, რომ ეროვნული გვარდია ემორჩილებოდა გვარდიის შტაბს, შტაბის თავმჯდომარე უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარეს, ანუ მთავარსარდალს, აქედან, გვარდია ბრძოლის ველზე მხოლოდ მთავარსარდალის ბრძანებებს ასრულებდა და არა რომელიმე სარდლის, რასაც ხშირად საბრძოლო მოქმედებებში არეულობა და ქაოსი შეჰქონდა.

გვარდიის შტაბის წევრები, თავდაპირველად 12, შემდეგ 23, როგორც ზაქარიაძე წერს, იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრებიც. ისინი ამუშავებდნენ კანონპროექტს ჯარის შესახებ და ზედმეტად ცდილობდნენ გვარდიის უფლებების გაზრდას, თუმცა, თუ ავტორს ვერწმუნებით, აქ „ჟორდანისა და ჯუღელის (შტაბის მუდმივი თავმჯდომარის) სახელმწიფოებრივმა შეგნებამ გვიხსნა“ (ზაქარიაძე 2003: 240).

ნაშრომში საუბარია ჯარისკაცთა მობილიზაციის, განვრთვის, შეიარაღებისა და სხვა სიძნელებზე, რისი საფუძველიც მარტო ეკონომიკური პრობლემები კი არა, დროის უქონლობა, მუდმივი საფრთხეები და ზოგჯერ ქართველ პოლიტიკოსთა შეუთანხმებლობაც იყო.

ზაქარიძე სწორად აფასებს როგორც ახალი ოსმალეთისა და საქართველოს, ასევე რუსეთ-ოსმალეთის კავშირს I მსოფლიო ომის შემდეგ. ამბობს, რომ საქართველოსთან ოსმალეთი კარგ დამოკიდებულებაში იყო, მაგრამ ეს მოჩვენებითი, ორმაგი პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმოდაო. რაც შეეხება საქართველოსა და ბოლშევიკურ რუსეთს, მათ არავითარი ნორმალური ურთიერთობა არ ჰქონიათ, ამკარა ომს თითქოს ერიდებოდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ აგრესიულობის დამალვასო. „მართლაც, — წერს გენერალი, — საქართველო სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო იყო, ქართველმა ერმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, თანახმად თავისი ისტორიული უფლებისა და თანახმად დემოკრატიზმის მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპისა. ეს პრინციპი არაერთხელ თვით ბოლშევიკებმაც დაადასტურეს. იყო ნეიტრალური სახელმწიფო, არავითარ რუსეთის შინაურ საქმეებში არ ერეოდა, და საზოგადოდ, — ნუთუ სამნახევარ მილიონიანი საქართველო წარმოადგენდა რაიმე საშიშროებას 150-მილიონიანი რუსეთისათვის?“ — კითხულობდა და თავადვე პასუხობდა: „ამკარად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ეშინოდა გვერდით ჰყოლოდა მართლაც დემოკრატიული საქართველო, აყვავებული ზომიერი სოციალური რეფორმების მიერ! ეშინოდა, რომ ამ გარემოებას არ აეხილა თვალი თვით საბჭოთა ხალხებისათვის და ამით არ მოღებოდა ბოლო მის სიცრუეს“... (ზაქარიძე 2003: 255).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოვლენები, რომელთა შეფასება არაერთგვაროვანია. მკვლევარები განსხვავებული მიდგომითა და თავისებური არგუმენტაციით აფასებენ აზერბაიჯანის გასაბჭოების დროს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამხედრო ხელშეკრულება არსებობდა, რაც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა მხარეებს, საქართველო არ დაეხმარა აზერბაიჯანს ბოლშევიკების მიერ მისი ოკუპაციის დროს, 1920 წლის აპრილში. ამ ფაქტს კრიტიკულად განიხილავს და საქართველოს მთავრობის დიდ შეცდომად თვლის გენერალი გიორგი კვინიტაძე. მისი აზრით, ამან განაპირობა შემდგომში რუსი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის გაადვილება (კვინიტაძე 1998). თითქმის ამავე აზრისაა გენერალი გიორგი მაზნიაშვილიც (მაზნიაშვილი 1990)...

ლიტერატურისა და წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ყოყმანის შემდეგ აირჩია ეს პოზიცია, რაც

იმ ვითარებაში სავსებით სწორი და სახელმწიფოებრივად გამართლებული იყო. ამას ზაქარიასის ნაშრომიც ადასტურებს. 1919 წლის ზაფხულში ოსმალეთის ახალი ხელისუფლება ქემალ-ფაშას ბრძანებით გზავნის დიდ დელეგაციას მოსკოვში ფუად-ფაშას მეთაურობით, რომელიც ორი კვირა თბილისში შეჩერდა, როგორც ზაქარიასე წერს, „აქ ჩაიცვეს და დაიხურეს და ყველაფერში რუსულ ოქროს მანეთიანებს იხდიდნენ, რაც უკვირდათ თბილისში“. ამით ირკვეოდა, როგორ ჰყავდა რუსეთს მოსყიდული საუკუნოვანი მტერი. ინგლისის წინააღმდეგ ორივე ეს სახელმწიფო გაერთიანდა, ინგლისი ამიერკავკასიაში იდგა, რამაც ამ ქვეყნების ბედი გადაწყვიტა. აზერბაიჯანში ქემალისტებმა ხელი შეუწყვეს ბოლშევიკების გააქტიურებას. უსუბეკოვის მთავრობამ გავლენა დაკარგა, პარლამენტარები ჩვეულებრივად დადიოდნენ გროზნოში, სადაც რუსეთის ბოლშევიკური XI არმიის შტაბი იყო. ამ საკითხზე ბაქოში 1920 წლის 26 აპრილს დაინიშნა ქართულ-აზერბაიჯანული სამხედრო საბჭოს სხდომა. სამხედრო მინისტრის თანაშემწე და ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლი გენერალი ილია ოდიშელიძე საქართველოში არ იმყოფებოდა, ამიტომ მის ნაცვლად ბაქოში გენერალი კვინიტაძე გაიგზავნა. 26-ის საღამოს მან უკვე გამოსცა ტელეგრამით, თუ რა რაოდენობის ჯარი და იარაღი უნდა გაეგზავნა საქართველოს მოკავშირე აზერბაიჯანისთვის. ამ დეტალებს ზაქარიასე გვანვდის და ავსებს იმ ინფორმაციას, რაც ამ საკითხზე არსებობს. ზუსტად ასახელებს გასაგზავნი ჯარის ოდენობას, იარაღს, 28-ის საღამოს რომ ეს ჯარი და იარაღი უკვე მატარებელში იყო, საღამოს ცხრა საათზე მასთან იჯდა გენერალი სუმბათაშვილი, რომელიც ბაქოს სამხედრო ექსპედიციას მეთაურობდა და უკანასკნელ ინსტრუქციებს ლეზულობდა ზაქარიასისგან, როგორც სამხედრო სამინისტროს შტაბის უფროსისგან. „ამ დროს მიმინვიეს ტელეგრაფში პირდაპირ მავთულზე. ბაქოდან მელაპარაკა ერთი ქართველი ოფიცერი, რომელიც აზერბაიჯანის მთავარ შტაბში მსახურობდა. მეუბნება: იყავით ფრთხილად, მეშინია, რომ ქართული სამხედრო ერთეულები არ ჩავარდნენ სახიფათო მდგომარეობაში. აქ საკითხი გათავებულია. ეს-ეს არის პარლამენტმა დაადგინა, გადასცეს ძალაუფლება ბოლშევიკებს და რუსული ბოლშევიკური ნაწილები დაუყონებლივ შემოუშვას ბაქოში და მთელ აზერბაიჯანში...“ (გვ.258).

დანარჩენი ინფორმაციაც მოწმობდა, რომ ბაქოს ხელისუფლება ბოლშევიკების მხარეზე იყო გადასული, ეს ზაქარიასემ ჟორდანას მოახსენა, რომელმაც თავდაცვის საბჭო მოიწვია და გაიმართა მსჯელობა, კვინიტაძეს დაბრუნება უბრძანეს, ისიც მაშინვე გამოემგზავრა, ქართული ჯარი კი, აზერბაიჯანის ნაცვლად, წითელი ხიდის მიდამოებში გაჩერდა, საიდანაც მტერს მოელოდა. ლევანდოვსკის XI არმიის და გენერალ მაზნიაშვილის შებრძოლებას, იუნკერთა სკოლაზე თავ-

დასხმას და სხვა მოვლენებს ნაშრომში გარკვეული ადგილი უჭირავს. ესაა; 7 მაისის ხელშეკრულება, ინგლისელების გასვლა საქართველოდან, სომხეთის დაპყრობა რუსეთის მიერ, რუსეთ-საქართველოს თებერვლის ომი და სხვა. ყველა ეს თემა შეიცავს ისეთ ფაქტოლოგიურ მონაცემებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ამ ისტორიული მოვლენების მკვლევარისათვის. საქართველოსთან ომის დასაწყებად საბჭოთა რუსეთმა პროვოკაციას მიმართა, რასაც ზაქარიაძე გამოყოფს იმ უამრავ მოვლენასთან ერთად, რაც 1920 წლის ბოლოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ხსებოდა. რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს სხდომაზე, იმ დროს, როდესაც საქართველოსთან ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ინტერესები ვერ თანხმდებოდა, წაიკითხეს ინგლისში რუსეთის სპეციალური წარმომადგენლის — კრასინის დეპეშა, თითქოს ლოიდ ჯორჯი ხელს არ აწერდა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას მანამ, ვიდრე ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი არ ამუშავდებოდა. ეს იყო დეკემბრის დასაწყისი, 3 დეკემბერი, როდესაც ტროცკიმაც განაცხადა, რომ „საქართველოს სიმღერა დამთარდა“. შემდეგში გაირკვა, რომ არავითარი ლოიდ ჯორჯის მოთხოვნა არ ყოფილა და ეს ფაქტი შეითითხნა რუსი ბოლშევიკი მილიტარისტების მიერ. ამას ემატებოდა 7 მაისის ხელშეკრულების ის მუხლები, რომელსაც საქართველო არ ან ვერ ასრულებდა: უკონტროლოდ ვერ აღებდა კავკასიონის შემოსასვლელებს, კომუნისტური პარტიისა და ორგანიზაციების, ბოლშევიკური პრესისა და აგენტების საქმიანობის სრულ ლეგალიზებას და მათი ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თავისუფლებას ვერ უზრუნველყოფდა სასიცოცხლოდ აუცილებელ სახელმწიფო ინტერესთა გამო. რაც შეეხება თვით საქართველოს. ზაქარიაძე 7 პუნქტს გამოყოფს ქვეყნის იმჟამინდელ მდგომარეობაზე; 1. ხალხის მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მზადყოფნის სურვილი დაეცვა დამოუკიდებელი სახელმწიფო; 2. საერთაშორისო მხარდაჭერა, თუმცა მარტოოდენ თეორიული და არა საქმით; 3. სუსტი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდგომარეობა: შემორტყმული იყო მტრებით, ერთმანეთთან შეთანხმებული საბჭოთა რუსეთის და ქემალისტური ოსმალეთის ჯარებით; 4. სამილიონიანი საქართველო უნდა შებრძოლებოდა ასსამოცმილიონიან რუსეთს, ზაქარიაძე თვლის, რომ ქართველები ყველაფრით მაღლა იდგნენ, მაგრამ მცირენი იყვნენ; 5. დაბალი იყო თავდაცვის ტექნიკური მხარე, მეცნიერული პოტენციალი; 6. სუსტი იყო მეურნეობა-მრეწველობა, იარაღის შესაძენად საჭირო ფული შეიძლებოდა მხოლოდ მანგანუმის წარმოებიდან მიღებულიყო, მაგრამ ის კერძო საზოგადოების ხელში იყო, ამიტომ მთავრობას არ შეეძლო ამ ფულით თავისუფლად ესარგებლა.. ამას ზაქარიაძე მთავრობის სისუსტედ თვლის; მისი ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიასა და აზროვნებაში ასე გავრცელებული შეხედულებე-

ბა, თითქოს თბილისის არსენალი იარაღით იყო სავსე და მთავრობამ ეს თავის ჯარს დაუმალა, ტყუილია. ზაქარიაძე წერს, რომ არსენალში იყო დიდი რაოდენობის თოფები და ტყვია-წამალი, მაგრამ უსარგებლო. „გენერლებმა — ქუთათელაძემ და ყაზბეგმა ააწყვეს რაღაც ქარხნის მსგავსი უმანქანოდ, და აქ ქალები და ბავშვები ხელით აწყობდნენ თოფის ვაზნებს, კიდევ კარგი, რომ ეს ვაზნები მტრისკენ მიდიოდნენ და არა უკან, ჩვენსკენ...“ (გვ.271). მოკავშირეთა სარდლობამ სტამბოლში მყოფ ვრანგელს უბრძანა იარაღი საქართველოსთვის მიეცა, გაემგზავრა კომისია გენერლების — ქუთათელაძისა და ზაქარია მდივნის ხელმძღვანელობით, მათ ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, ეს იარაღი ვერ მიიღეს. „როგორც შემდეგ გამოიჩვენა ჩვენ ხელში ჩავარდნილ დოკუმენტიდან, — წერს ზაქარიაძე, — თურმე რუსულ საბჭოს გენერალ ვრანგელის მეთაურობით გამოეტანა დადგენილება, რომ მიღებული ყოფილიყო ყოველნაირი ზომები, რათა ქართველებს იარაღი არ მიცემოდა“. ასევე საუბრობს გენერალი პურის ნაკლებობაზე, რადგან ყუბანიდან ვეღარ შემოჰქონდათ, არგენტინაში ნაყიდი ხორბალი კი, ისე დაემხო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, არ მიუღია ქვეყანას. ზაქარიაძის ცნობები ზუსტად ასახავს ქართული ჯარის ამდროინდელ შემადგენლობას. აქედან ჩანს, რომ ის სულაც არ იყო ისე დიდი და ძლიერი, როგორც ამას გენერალ კვინიტაძის მოგონებებში ვეცნობით. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზაქარიაძე არცთუ ისე კრიტიკულია ჯარის მიმართ, ვიდრე ჟურნალ „მხედარის“ პუბლიკაციების ავტორი სამხედროები.

თუმცა ნაკლებად კრიტიკულია ავტორი 21 წლის თებერვლის ომის შეფასებისასაც, მაინც ობიექტურობას ინარჩუნებს, რადგან აკრიტიკებს გენერალ ჯიჯიხიას საბრძოლო ქმედებებს და მას ქართული ჯარის მარცხის მთავარ მიზეზად მიიჩნევს. იგივე აზრის არის ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილიც, რომელსაც ვრცელი გამოკვლევა ეკუთვნის საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე (ბენდიანიშვილი 2001: 324).

ზაქარიაძე არ აკრიტიკებს კვინიტაძეს, მაგრამ მთავარსარდლის პოსტზე მისი დანიშვნის დროსვე სანდარის მიდამოებიდან თბილისის პოზიციაზე უკანდახვევის ბრძანებას მიიჩნევს ფოილოს საბრძოლო პოზიციიდან, სადაც ქართულმა ჯარმა გამარჯვება მოიპოვა, უკანდახვევის აუცილებლობას. თუმცა, კვინიტაძის საბოლოო გადაწყვეტილებას ხსნის იმით, რომ არც იარაღის და არც სამხედრო ცოცხალი ძალის მიწოდება არ შეეძლოთ ფრონტისათვის, როგორც ამას ითხოვდნენ ცალკეული მეთაურები. მართალია, სხვებთან ერთად შტაბის უფროსმა ზაქარიაძემაც გაიზიარა კვინიტაძის თვალსაზრისი, რომ თბილისს ვერ შენირავდნენ სრულიად საქართველოს ბედს, ისტორიულადაც ჩვენი წინაპრები ასე იქცეოდნენ, ჯობდა მცხეთისკენ გადასულიყო საბრძო-

ლო პოზიციები, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა რა სუსტი იყო ეს პოზიცია. და ამ ფაქტს ზაქარიაძე სამწუხაროდ მიიჩნევს.

ზაქარიაძის ნაშრომში ბათუმის ბრძოლების, რუსეთის არმიის სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის, ქემალისტური თურქეთის შემოჭრის, ემიგრაციაში საქართველოს მთავრობისა და მისი წევრების, პოლონეთის ქართული სამხედრო ემიგრაციის შესახებ ბევრი საინტერესო და დეტალური ცნობებია. რამდენადაც ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოების ინტერესი ამ საკითხებისადმი შეუწყობელია, იმდენად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს გენერალ ზაქარიაძის ამ ვრცელ ნაშრომს. მისი ავტორი ხომ თვითმხილველი იყო იმ მოვლენებისა, რაზედაც ასე დანვრილებით და მტკივნეული განცდებით საუბრობს. ბევრი ისტორიული ფაქტი, სამხედრო ოპერაცია, რომელიც 1918-1924 წლებში განხორციელდა, ჯერ კიდევ არ არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდ შესწავლილი, შეჯერებული არ არის სხვადასხვა მონაცემი, ბევრი ნაშრომი ზოგადია და მწირია პირველწყაროებით, რასაც ავსებს გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ეს შესანიშნავი პუბლიკაცია.

#### **დამოწმებანი:**

**აბულაძე 1930:** აბულაძე პ. *ტფილისის დატოვების შესახებ*. მონინავე, „მხედარი“, № 4, 1930.

**ბენდიანიშვილი 2001:** ბენდიანიშვილი ა. *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921)*. თბ.: 2001.

**ზაქარიაძე 2003:** გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებები. // შარაძე გ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. IV. თბ.: 2003.

**კვინიტაძე 1998:** კვინიტაძე გ. *მოგონებები*. თბ.: 1998.

**კრესენშტაინი 2001:** კრესენშტაინი ფ. კ.ფ. *ჩემი მისია კავკასიაში*. თბ.: 2001.

**მაზნიაშვილი 1990:** მაზნიაშვილი გ. *მოგონებები*. ბათუმი: 1990.

**შარაძე 1992:** შარაძე გ. *გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე*. „მხედარი“, № 2, თბ.: 1992.

**ჯანელიძე 2002:** ჯანელიძე ო. *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან*. თბ.: 2002.

**OTAR JANELIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Institute of Political Science*

## **"What Everyone in the Free World Should Know about Russia" Emigration History Research**

In the book Russia is presented as one of the world's biggest conquerors, conquest being a characteristic feature of Russian tradition and the desire of world domination is pictured as an idea of Russian nation.

With the book, Ivane Nanuashvili fought against the regime, which deprived him from his motherland and doomed the author to the fate of an emigrant

Research of the Georgian emigrant reminds us once again that in modern Russia being a successor of the Soviets, and that imperial ambitions of the Kremlin have not been expired entirely.

**Key words:** *Ivane Nanuashvili, modern Russia.*

### **ოთარ ჯანელიძე**

*საქართველო, თბილისი*

*პოლიტოლოგიის ინსტიტუტი*

### **ივანე ნანუაშვილი და მისი წიგნი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“**

„რუსეთისათვის დასავლეთი გადაშლილი წიგნია,  
დასავლეთისთვის კი რუსეთი გამოცანად რჩება“.

(ივ. ნანუაშვილი)

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის მოძიება, შესწავლა და გამოცემა ბოლო დროს საქართველოში ნაყოფიერად მიმდინარეობს. უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული უმნიშვნელოვანესი ემიგრანტული მასალის — საარქივო დოკუმენტების, პერიოდული გამოცემების, წიგნებისა და სხვ. სამშობლოში ჩამოტანა და შესაბამის სიძველეთსაცავებში დაბინავება. ამან კვლევა-ძიებითი მუშაობა საგრძნობლად გააიოლა და შედეგიც თვალსაჩინოა: მხოლოდ გასულ წელს ქართული ემიგრაციის თემაზე ჩვენში ორ ათეულამდე დასახელების მარტო წიგნი გამოიცა (ქართული 2013: 224), გაცილებით მეტია პუბლიკაცია ჟურნალებსა და გაზეთებში. ცხადია, ეს



ლიტერატურა ხარისხით არაერთგვაროვანია. სამწუხაროდ, გვხვდება ნაჩქარევი, სათანადო სიღრმესა და სისრულეს მოკლებული, ზერელე სტატიებიც, მაგრამ არც ფასეული და სასარგებლო ნაშრომია ცოტა. ამ ფონზე აუცილებელია კვლევითი მუშაობის გარკვეული კოორდინაცია, დასაბუთებულ მომზადებული მასალის კვალიფიციური ექსპერტიზა და სხვა. ვფიქრობ, ყოველივე ამას ხელს შეუწყობს 2012 წელს თბილისში ჩამოყალიბებული ახალი ცენტრი ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახით, რომლის პირველ აქტივობებს დაინტერესებული საზოგადოება უკვე გაეცნო ელექტრო და ბეჭდური მედიის საშუალებებით. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაიწყო სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა უცხო ენაზე გამოცემული ქართველ ემიგრანტ ავტორთა ნიგნების თარგმნა და ქართულ ენაზე პუბლიკაცია. წინამდებარე სტატია ერთ-ერთი ამგვარი ნიგნის განხილვასა და მისი ავტორის წარმოჩენას ეძღვნება.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში სრულიად უცნობი იყო ემიგრანტული პოლიტოლოგიური ხასიათის ლიტერატურა, რომელსაც ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ წერდნენ და ბეჭდავდნენ. მათ შორის, სპეციალისტთა წრეებშიც კი ცოტას თუ გაეგო ივანე ნანუაშვილსა და მის ნიგნზე „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“, რომელიც 1973 წელს ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა.

ივანე ნანუაშვილი 1902 წელს თბილისში დაიბადა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას იგი ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე იყო, 1919 წელს კი ახლად გახსნილი თბილისის იმ სამხედრო სკოლის კურსანტი გახდა, რომელიც ისტორიას იუნკერთა სასწავლებლის სახელით შემორჩა. ივანე ნანუაშვილი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღზრდილ მცირერიცხოვან ახალგაზრდებს შორის იყო, რომელთაც ოფიცრის სამხედრო წოდება პირველებს მიენიჭათ და თეორიული სამხედრო ცოდნის პრაქტიკული გამოცდაც მალევე მოუწიათ. იგი კოჯორ-ტაბახმელასთან წითელი არმიის წინააღმდეგ საომარი ოპერაციის თვალსაჩინო მონაწილეა. 1921 წელს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ივანე ნანუაშვილი იძულებული შეიქმნა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში გახინჯულიყო. ნოე ჟორდანიას მთავრობის რეკომენდაციით, ახალგაზრდა ოფიცერი რამდენიმე ქართველ იუნკერთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრა და სწავლის გასაგრძელებლად ათენის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელს მიაშურა. 1922 წლის სექტემბერში საბერძნეთში ვითარება მკვეთრად დაიძაბა, სამხედროებმა სახელმწიფო გადატრიალების გზით მეფე კონსტანტინე პირველი და მისი მთავრობა ხელისუფლებას ჩამოაშორეს და მმართველობას დაუფლნენ.

ივანე ნანუაშვილმა პოლონეთში გადაინაცვლა. 1923-1925 წლებში მან შეძლო სამხედრო განათლება ამ ქვეყანაში სრულყო, დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია და პოლონეთის არმიის შემადგენლობაში ჩაირიცხა. გენერალ ალექსანდრე ზაქარიადის ცნობით, მატერიალური მდგომარეობა ქართველი ოფიცრებისა, რომლებსაც არ მიუღიათ პოლონეთის მოქალაქეობა (მათ შორის უნდა ვიგულოვოთ ივანე ნანუაშვილიც), სახარბიელო არ იყო (შარაძე 2003: 309). თუმცა, პოლონეთის მთავრობამ ისინი საცხოვრებელი უზრუნველყო და იმის საშუალებაც მისცა, კვალიფიკაცია სპეციალიზებულ სასწავლებლებში ან სპეციალური კურსებით აემალეზინათ (დაუშვილი 2007: 23). ამის წყალობით ივანე ნანუაშვილმა 1928-1930 წლებში დამატებითი კურსი პოლონეთის არმიის სამხედრო სკოლაში გაიარა (ქართული 1977: 132). მეორე მსოფლიო ომის წინ იგი უკვე კაპიტნის წოდებას ფლობდა.

პოლონეთში მყოფმა ივანე ნანუაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველ იუნკერთა კავშირის ჩამოყალიბებაში და ამ კავშირის პერიოდული გამოცემის, ჟურნალ „მხედარის“ ერთ-ერთ დამფუძნებლად მოგვევლინა (ზოგიერთი წყარო მას აღნიშნული ჟურნალის რედაქტორადაც მოიხსენიებს (იხ. ქართული 1977: 132; ასევე, თავისუფლების 1975: 11), რაც არ არის სწორი. ჟურნალს 1929-1931 წლებში პ. აბულაძე რედაქტორობდა (მხედარი 1931: 5; ასევე, ივერია 1975: 14). ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ „მხედარს“ სათავეში ედგა ვ.უგრეხელიძე (ქართველები 1994: 153; ასევე, შარაძე 2003: 22).

ჟურნალი 1929-1937 წლებში პარიზში გამოდიოდა. იბეჭდებოდა ქ. ვალენტინიეში არსებულ გამომცემლობა „საქართველოს“ სტამბაში. ივანე ნანუაშვილი წერდა ფსევდონიმით „ვ. ნა-ლი“. „მხედარში“ გამოქვეყნებული მისი პუბლიკაციები ძირითადად სამხედრო ისტორიისა და ხელოვნების საკითხებს ეძღვნება. სამაგალითოდ დავასახელებ სტატიებს: „სამხედრო ხელოვნება აზიაში და ევროპაში“ (მხედარი 1929:); „საქართველო-სომხეთის ომი“ (მხედარი 1930:); „სამხედრო ხელოვნების ეროვნული სახე და მისი განსახიერება ჩვენში“ (მხედარი 1934:); „განახლებული პოლონეთის უდიდესი ბრძოლები“ (მხედარი 1935:). აქვე დავძენ, რომ ამ პუბლიკაციების ენა და საზოგადოდ ივ. ნანუაშვილის „მწერლობა“ არ მოსწონდა ცნობილ ქართველ ემიგრანტს რევაზ გაბაშვილს, რომელიც ერთ კერძო წერილში ამას მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით აღნიშნავდა (ჯერვალდიძე 2012: 89).

კაპიტანი ივანე ნანუაშვილი მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პოლონეთის დამცველთა რიგებში ჩადგა. სამწუხაროდ, ვარშავის აღებისა და ოკუპაციის შემდეგ იგი გერმანელებმა დაატყვევეს და ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, სადაც ორი წელი გაატარა. ემიგრაციაში მყოფი გავლენიანი თანამემამულეების ძალისხმევით,

1941 წელს ივანე ნანუაშვილი ტყვეობიდან განთავისუფლდა, იტალიაში გადაინაცვლა და ნაციზმს ახლა არალეგალური გზით დაუპირისპირდა. 1944 წელს იგი აქ შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიას. შევიდა ინგლისის მხარეზე მებრძოლ პოლონურ ჯარში და აქტიური მონაწილეობა მიიღო იტალიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში (თავისუფლების 1975: 11). მალე ქართველი ოფიცერი გენერალ ანდერსის წყალობით ინგლისში აღმოჩნდა (შარაძე 2003: 313).

1951 წელს ივანე ნანუაშვილი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სან-ფრანცისკოში დასახლდა, მოქალაქეობა მიიღო და სიცოცხლის დარჩენილი წლები ამ ქვეყანაში გაატარა.

ივანე ნანუაშვილი 1952 წლის ოქტომბერში აირჩიეს ნიუ-იორკში ჩამოყალიბებული „ქართველთა დემოკრატიული კავშირის“ გამგეობის წევრად. ორგანიზაცია 1953-1961 წლებში ნიუ-იორკში გამოსცემდა ჰექტოგრაფიულ ინგლისურ-ქართულენოვან ჟურნალს „ჩვენი გზა“ (სულ გამოვიდა 5 ნომერი). ივ. ნანუაშვილი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. იგი დროდადრო სხვა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებსაც ეხმარებოდა. მაგალითად, ჟურნალ „კავკასიონისათვის“ ნანუაშვილს 1972 წელს 10 დოლარი შეუწირავს (კავკასიონი 1972/1973: 187).

ივანე ნანუაშვილი არჩეული იყო ამერიკის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ და წარმატებით უძღვებოდა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ჩამოყალიბებული ამ ორგანიზაციას. მისი ხელმძღვანელობისას, ერთი თანამედროვის სიტყვით, ნიუ-იორკის ქართული კოლონია დიდ ქართულ ოჯახს ჰგავდა, რომლის ყოველი წევრი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი „ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და განსაკუთრებით კულტურული მეობის პუბლიკაციისა და დაცვის საქმეში არა მარტო ამერიკული საზოგადოებრიობის წინაშე“ (ქართული... 1977: 4). ივანე ნანუაშვილი ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობასაც. მას „მტკიცე კავშირი ჰქონდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ აქტიურ ძალებთან, სადაც თავს იყრიდა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ერთა პოლიტიკური ემიგრაცია, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ ერთა შვილები. ამ საზოგადოებაში ვ. ნანუაშვილი სარგებლობდა დიდი ნდობით, გავლენით და პატივისცემით“ (თავისუფლების... 1975: 11).

აღსანიშნავია, რომ რადიო „თავისუფლების“ ქართულმა რედაქციამ ივანე ნანუაშვილს ცალკე გადაცემა მიუძღვნა, რომელსაც, ფსევდონიმით „ოთარ კეთილაძე“, კარლო ინასარიძე უძღვებოდა.

ივანე ნანუაშვილი ბევრი სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ნარკვევის ავტორია, რომელთა უმრავლესობა მან ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი სათაურით „საბჭოთა კავშირის სიძლიერე და სისუსტე“ დაიბეჭდა ბოსტონში 1956 წელს. ამ 342 გვერდიან

ნიგნში მან დანვრილებით აღწერა საბჭოთა კავშირის რაობა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კრემლის კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ ერისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპების უგულვებელყოფას (ქართული... 1977: 132-133).

ივანე ნანუაშვილი 1975 წლის აგვისტოში 73 წლის ასაკში გარდაიცვალა, რაც ქართული ემიგრაციისათვის დიდი დანაკლისი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში რამდენიმე ნეკროლოგი და გამოსათხოვარი წერილი დაიბეჭდა. ჟურნალი „ჩვენი დროა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა მომხდარის გამო და წერდა: „ვანო ნანუაშვილი იყო ცნობილი მხედარი, პოლიტიკური და ეროვნული მოღვაწე, თავდადებული მებრძოლი პატრიოტი“. ქართული საქმისათვის უდიდესი დანაკლისია ვ. ნანუაშვილის დაკარგვა, რომლის თავდადებული ბრძოლა და შრომა სამაგალითოდ დარჩება, ხოლო მისი ხსოვნა დაუვინყარი იქნება (ჩვენი 1976: 33).

ჟურნალმა „თავისუფლების ტრიბუნამ“ გამოაქვეყნა გამოსათხოვარი, რომელსაც ხელს აწერდა გიორგი ნოზაძე. ტექსტში ვკითხულობთ: „განსვენებული იყო დიდი ერუდიციის ადამიანი. ის განსაკუთრებით დახელოვნებული იყო სტრატეგიულ და პოლიტიკურ საკითხებში და ამ დარგში მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნარკვევი, როგორც ქართულად, ისე პოლონურად და ინგლისურად. ... განსვენებული წერილებს აქვეყნებდა ქართული ემიგრაციის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. ... მოკვდა კაცი მხურვალე ქართული გულით, შორს მისი საყვარელი მამულიდან“ (თავისუფლების 1975: 11-12).

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სოლიდურ გამომცემლობაში „Vantage Press“ დაიბეჭდა მისი მონოგრაფიული ნაშრომი „რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ“. ნიგნის გამოცემას ქართული ემიგრაცია დიდი ინტერესით შეხვდა (ჯერვალძე 2010: 163).

ივანე ნანუაშვილის განსახილველ ნიგნზე პირველი რეცენზია ემიგრანტმა ქართველმა ისტორიკოსმა ალექსანდრე მანველიშვილმა გამოაქვეყნა. იგი 1974 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში“ დაიბეჭდა.

რეცენზენტის სიტყვით, ივანე ნანუაშვილის გამოკვლევაში რუსეთის მიერ დამონებული ერების განთავისუფლების საკითხი განხილულია საერთაშორისო ასპექტში. მასში გათვალისწინებულია პრობლემის როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ისე სამხედრო შემადგენელი, რომლის „მსგავსი ამ დარგის ლიტერატურაში იშვიათია“. ეს არის „სინთეტური ნაშრომი“, რომელიც უცხოეთის ფართო საზოგადოებრივ აზრს აწვდის ღირსეულ სახელმძღვანელოს რუსეთის შესახებ (თავისუფლების 1974 ა: 13).

რეცენზეტი იწონებდა ივ. ნანუაშვილის დასკვნას, რომ რუსეთი-სათვის უმჯობესია ხელი აიღოს დაპყრობილი ერების ბატონობაზე, შექმნას რუსეთის ეროვნული სახელმწიფო და ასე შევიდეს თავისუფალ ქვეყნებთან კავშირში.

ა. მანველოშვილი მიიჩნედა, რომ საბჭოეთშიც მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც იზიარებენ ამ ჭეშმარიტებას. ისტორიკოსი ამის გამოძახილად თვლიდა ემიგრაციაში გახიზნული მწერლის ა. სოლჟენიცინის მიმართვას რუსეთის მთავრობისადმი, რომელშიც გამოთქმულია რჩევა, ხელი აიღონ პატარა ერების ბატონობაზე და იზრუნონ ეროვნული სახელმწიფოს შექმნაზე (თავისუფლების 1974 ა: 14).

ივანე ნანუაშვილის წიგნი ინტერდისციპლინარული ხასიათის ნაშრომია. იგი ისტორიის, პოლიტიკისა და გეოპოლიტიკის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. ამასთან, ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს ავტორის სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია და გულწრფელი სურვილი იმისა, რომ ხელი შეუწყოს თავისუფალი სამყაროს ხალხებს, რათა მათ უკეთ შეიცნონ რუსეთის სახელმწიფო და თავიდან აიცილონ მისგან მომდინარე საფრთხე.

ივანე ნანუაშვილის განსახილველ ნაშრომში რუსეთის ფენომენი ისტორიულ-პოლიტოლოგიურ ჭრილშია განხილული. წიგნში რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამპყრობლად, დამპყრობლობა რუსული ტრადიციის მახასიათებლად, ხოლო სამყაროზე ბატონობა რუსი ერის იდეადაა წარმოჩენილი. რუსეთის სახელმწიფოს განვითარების პროცესის აღწერისას ავტორი მიუთითებს, რომ მოსკოვის სამთავროდან მოყოლებული ამ ქვეყნის შიდამონყობის უცვლელ საფუძვლად ტოტალიტარიზმი გვევლინება, რომელიც ეროვნულ სისტემად ჩამოყალიბდა. რუს ხალხს არასოდეს უნახავს და არსდროს გამოუცდია პოლიციურისაგან განსხვავებული სისტემა, რადგან რუსეთის მისწრაფება მუდამ „მოუთოკავი აგრესია“, „დაუსრულებელი დაპყრობები“ და „სამყაროზე ბატონობა“ იყო. ამგვარი მიზნის განხორციელება კი ტოტალიტარული სისტემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა (ნანუაშვილი 2012: 424. 228).

ავტორის სიტყვით, რუსეთის შიდა მონყობას ორგანულად შეესის-სხლხორცა კომუნიზმი, რომელიც მსოფლიოზე გაბატონების რუსული ნაციონალური იდეის პირდაპირ იარაღად იქცა. კომუნიზმმა რუსი ერის აგრესიულობის ზრდა განაპირობა, რუსეთის შიდა მონყობა კი უშუალოდ აისახა და გავლენას ჰპოვეს მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ამ ფონზე, საბჭოთა სახელმწიფოს აგრესიული ბუნება და ხასიათი დასავლური სამყაროს თვალში შენიღბულია კომუნისტური პროპაგანდით. ივანე ნანუაშვილის წიგნი მიზნად ისახავს, ამხილოს ეს პროპაგანდა

და წარმოაჩინოს რუსეთის ქეშმარიტი სახე, რათა „თავისუფალმა სამყარომ მოვლენებს ობიექტურად შეხედოს და განვლილი თუ მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციები ცივი გონებით გააანალიზოს“.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ივ. ნანუაშვილის განსახილველი ნიგნი იწერებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შემსწავლელი არაერთი სამეცნიერო და სტრატეგიული ცენტრი არსებობდა (მათ შორის სტენფორდის უნივერსიტეტის ომის, რევოლუციისა და მშვიდობის ჰუვერის ინსტიტუტი, კენანის ინსტიტუტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსეთის ინსტიტუტი და სხვ. მეოცე საუკუნის 60-იან წლებში რუსეთისა და საბჭოთა ისტორიის კურსი ამერიკის შეერთებული შტატების 400 უნივერსიტეტსა და კოლეჯში იკითხებოდა. გამოთვლილია, რომ 1950-1963 წლებში ამერიკის უნივერსიტეტებში საბჭოთა და რუსეთის თემატიკაზე მარტო 1000-მდე დისერტაციაა დაცული (პეტროვ 2010:).

დასახელებული და სხვა მსგავსი ცენტრების მაღალკვალიფიციურ თანამშრომელთა, მკვლევართა თუ ექსპერტთა დასკვნები და რეკომენდაციები საფუძვლად ედებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ამათუიმ ადმინისტრაციის პოლიტიკას საბჭოეთის და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებთან ურთიერთობის განსაზღვრისას.

უნდა ითქვას, რომ ივ. ნანუაშვილის ნაშრომი ამ რანგის გამოკვლევებში არ მოხვედრილა. მეტიც, ეს ნიგნი მოხსენიებულიც კი არ არის ისეთი ავტორების მონოგრაფიებში, როგორებიცაა რ. პაიპსი (პაიპსი 1974; პაიპსი 1993; პაიპსი 1995), ზ. ბუჟინსკი (ბუჟინსკი 1990:), ე.კარრი (კარრი 1979:) და გ. ხოსკინგი (ხოსკინგი 1998; ხოსკინგი 2001:), თუმცა ეს გარემოება მის მნიშვნელობას ვერ აკნინებს.

ნიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ცივი ომის“ თემას, რომელიც გააზრებულია, როგორც მოწინააღმდეგის განადგურება მშვიდობიანი პოლიტიკური მოქმედებებით (ნანუაშვილი 2012: 24). ივანე ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ „ცივი ომის“ დაწყება სრულიად მოულოდნელი იყო დასავლური სამყაროსათვის, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ამ ტაქტიკას რუსეთი ივანე მრისხანის დროიდან მიმართავს. იგი მისი ბრძოლის „ეროვნული მეთოდი“, რომელსაც „რუსეთის ისტორიაში 400-წლიანი ტრადიცია აქვს“ (ნანუაშვილი 2012: 109; 248). ნაშრომის რამდენიმე პარაგრაფში აღწერილია, როგორ სარგებლობდა თავის დროზე მეფის და შემდეგ ბოლშევიკური რუსეთი ექსპანსიონისტური მიზნების მისაღწევად „ცივი ომის“ ხერხებით. ავტორის დაკვირვებით, რუსეთი პირველ რიგში მთელ ძალისხმევას მიმართავდა იქითკენ, რომ დასაპყრობი ქვეყანა გარე სამყაროსაგან იზოლაციაში მოექცია, რათა მას საზღვრებს გარედან დახმარება არ მიეღო; შემდეგ საფეხურს წარმოადგენდა ქვეყანაში შიდა დაპირისპირების ესკალა-



ცია, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზრდებოდა. ამ დროს რუსები, ჩვეულებრივ, ერთ კონკრეტულ ძალას კი არ უჭერდენ მხარს, არამედ მონაცვლეობით ეხმარებოდნენ მეზობლ მხარეებს, რათა მათ ერთმანეთი უფრო დაესუსტებინათ. ყველაფერი მთავრდება იმით, რომ დაპირისპირებულ მხარეთაგან რომელიმეს თხოვნით, რუსეთს ჯარის ნაწილები შეჰყავს ქვეყანაში „წესრიგისა და კანონიერების დასამყრებლად“, არსებითად კი მის ოკუპაციას ანხორციელებს (ნანუაშვილი 2012: 236-237).

ივანე ნანუაშვილის აზრით, დასავლეთი გვიან მიხვდა, რომ „ცივი ომის“ დროს ფსიქოლოგიური ომის წარმოებაც ყოფილა საჭირო. ამასთან, „დასავლეთმა, როგორც „ცივი ომში“, ისე ფსიქოლოგიური ბრძოლაში სისუსტე და დილეთანტობა გამოავლინა“. სწორედ ამით აიხსნება რუსეთის საოცარი წარმატებები და გავლენა სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილზე.

ივანე ნანუაშვილი კომუნიზმის წინააღმდეგ მეზობლ ძალთა შორის გამოყოფს დასავლეთს, „რუსულ ანტიკომუნისტურ ელემენტებს“ და რუსეთის დაპყრობილ ქვეყნებს (ნანუაშვილი 2012: 336-337) (არ არის სწორი ქართულ ენაზე გამოცემული ივ. ნანუაშვილის წიგნის სუპერკანზე აღნიშნული აზრი, თითქოს ავტორი დასავლურ სამყაროს ყოფდეს „საბჭოთა კავშირად, დასავლეთად და დაპყრობილ ერებად“).

ივ. ნანუაშვილმა იცის, რომ სხენებული ძალების მიზნებსა და იდეოლოგიებს შორის არსებული სხვადასხვაობის გამო მათი კოორდინაცია იოლი არ იქნება. რომ, ერთის მხრივ, თავს იჩენს ბუნებრივი დაბრკოლებები და მეორეს მხრივ, ხელოვნური სირთულეები. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ უკანასკნელს აქცევს, სათანადოდ აღწერს და განიხილავს მათ (ნანუაშვილი 2012: 338, 342).

წიგნში შეცდომადაა მიჩნეული დასავლეთის სახელმწიფოთა ტენდენცია — კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს დაუკავშიროს და გააერთიანოს დაპყრობილი და რუსი ხალხები. თეორიულად დასაშვებია ამგვარი პრინციპი, ივ. ნანუაშვილის აზრით, ლოგიკურად და სასურველადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ მას პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით განვიხილავთ სხვა სინამდვილეს ნავანყდებით. ავტორი განმარტავს, რომ რუსეთის ემიგრაციის არც ერთი ფრაქცია რუსეთის იმპერიის არსებობის შეწყვეტის ფაქტს არ აღიარებს. ისინი არ ცნობენ რუსეთის დაპყრობილ ერთა უფლებას თავისუფლებაზე, მაშინ, როდესაც ამ ერებს არ შეუძლიათ უარი თქვან სრულ დამოუკიდებლობაზე (ნანუაშვილი 2012: 351-352). ეს გარემოება კი ამ ორი ძალის ერთ ბანაკად გაერთიანებას თითქმის გამორიცხავს, რასაც ცხადყოფს გიორგი წერეთლისა და ელიზბარ ვაჩნაძის პოლემიკა გაზეთ „თავისუფალ ტრიბუნაში“ 1974 წელს (თავისუფლების 1974ა: 2; 1974ბ: 13-14).



ივანე ნანუაშვილის აზრით, საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მოქცეული „დატყვევებული ერები“ ამ იმპერიის ძლიერებისა და გავლენის მნიშვნელოვანი წყაროა. რუსეთის აგრესიული ქმედება დაპყრობილი ქვეყნების სამხედრო პოტენციალსა და ეკონომიკურ რესურსებს, მათ ცოცხალ ძალას და ამ ქვეყნების ტერიტორიებს სტრატეგიულ ადგილმდებარეობას ემყარება. მათი ჩამოშორება დაასუსტებს საბჭოეთს. თუ დასავლეთს სურს გაანეიტრალოს ანდა სრულად აღმოფხვრას საბჭოეთიდან მომდინარე საფრთხე და მსოფლიოში ხანგრძლივი, მტკიცე მშვიდობა დამკვიდრდეს, იგი უნდა დაეხმაროს ხსენებულ ერებს სრული თავისუფლების მოპოვებაში (ნანუაშვილი 2012: 107-108; 423-424).

ივ. ნანუაშვილისათვის მიუღებელი იყო, რომ დასავლეთის ყველა პოლიტიკური უწყება დაპყრობილი ქვეყნების საკითხს რუსეთის პრობლემად განიხილავდა და რომ მათ ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული, რისკენ მიისწრაფვოდნენ და რისთვის იბრძოდნენ ეს ქვეყნები (ნანუაშვილი 2012: 354-355).

ივ. ნანუაშვილს სურს თავისუფალ სამყაროს დაანახოს, რა საშიშროების წყაროა რუსეთი და რა საფრთხე მომდინარეობს მისგან. „ატილას შემოსევებიდან დაწყებული, დასავლეთი და დასავლური ცივილიზაცია არასოდეს დამდგარა ასეთი საფრთხის წინაშე“, მიუთითებს იგი და ცდილობს გააფრთხილოს დასავლეთის სახელმწიფოები და ხალხები, რათა უკეთ გაიგონ, რა ემუქრებათ მათ კაცობრიობის ისტორიაში „ყველაზე დიდი ბოროტების“ — კომუნიზმის მხრიდან (გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირს გაცილებით გვიან „ბოროტების იმპერია“ რონალდ რეიგანმაც უწოდა).

ამ ზოგადჰუმანისტურ მისწრაფებას აძლიერებს ავტორის ღრმა რწმენა იმისა, რომ თუ დასავლეთი გლობალური მასშტაბით გააცნობიერებს და ადექვატურად შეაფასებს საბჭოეთიდან მომდინარე მუქარას, მაშინ ბევრად უფრო იოლი იქნება თავის „ბუნებრივ მოკავშირესთან“, რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების მოძრაობასთან საერთო ენისა და კავშირის გამონახვა, რამაც შედეგად ამ ხალხების თავისუფლება უნდა მოიტანოს. ივანე ნანუაშვილის სიტყვით, მას შემდეგ, რაც გაიგებს, რა საფრთხის წინაშე დგას, დასავლეთი ადვილად მიხვდება, რისთვის იბრძვის რკინის ფარდის უკან გამოკეტილი ხალხი (ნანუაშვილი 2012: 361).

ივანე ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დასავლეთმა გამოიყენოს ბრძოლის ის ტაქტიკა, რასაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმართავს რუსეთი. რუსეთმა ნააქეზა და დააკავშირა დასავლეთთან დაპირისპირებული მისი კოლონიური რეგიონების ყველა ელემენტი. ამასთან, კომუნისტური იდეოლოგიის საფუძველზე, კრემლმა დივერსიული, შიდა კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება თვით დასავლე-

თის სახელმწიფოებში მოახერხა. დასავლეთი ამას ხედავს, მაგრამ ჯრ კიდევ არ უნდა დაიჯეროს, რომ „რუსეთის იმპერია მასზე პირდაპირ თვდასხმას ახორციელებს“ (ნანუაშვილი 2012: 362-364).

ნიგნში გამოკვეთილია დასავლეთის სხვა არსებითი შეცდომაც რუსეთთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ დასავლეთი კომუნიზმთან ბრძოლაში „ძალიან არაშორსმჭვრეტელურია“. დასავლეთში მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება მას შემდეგ, რაც რუსეთში კომუნისტური სისტემის ლიკვიდაცია მოხდება“ (ნანუაშვილი 2012: 365). ამის საპირისპიროდ, ივანე ნანუაშვილი დარწმუნებულია, რომ „სახელმწიფო, რომელიც წყნარი ოკეანიდან ელბამდეა გადაჭიმული, ვერასოდეს დათმობს აზრს მსოფლიო ბატონობაზე“ და, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რუსეთის პოლიტიკურ შეფერილობას (ნანუაშვილი 2012: 365; 235).

ივანე ნანუაშვილის ამ სწორ აზრს, სავსებით ადსტურებს თანამედროვე სინამდვილეც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთი გარკვეული დროით საერთაშორისო არენაზე ძველებურად ველარ დომინირებდა, მაგრამ ბოლო ათწლეულში იგი დაბეჯითებით ცდილობს თავისი იმპერიული მიზნების რეანიმაციას, რისთვისაც სამხედრო ძალის გამოყენებაზეც კი არ ამბობს უარს. ამის მკაფიო და თვალსაჩინო მაგალითია 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესია საქართველოში.

უტყუარია ავტორის თვალსაზრისიც, რომ სანამ ფიზიკურად შეუძლია, რუსეთი ხელს არ აიღებს შემდგომ დაპყრობებზე. დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ საჭიროა პრობლემის რადიკალური გადაწყვეტა: „აუცილებელია რუსეთის შესაძლებლობების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და შეზღუდვების დაწესება“ (ნანუაშვილი 2012: 235-236)

ივანე ნანუაშვილის დასკვნა ოპტიმისტურია. მას შეუქცევად ისტორიულ პროცესად მიაჩნია, რომ დაპყრობილი ხალხების ბრძოლა შედეგს გამოიღებს, მე-20 საუკუნე ქვეყნების მონობას გააუქმებს და მათ თავისუფლებას მოუტანს. დადგება დრო, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობა თავისუფალი ქვეყნების თანაბარუფლებიან თანამშრომლობას დაეფუძნება. ავტორის სიტყვით, პოლიტიკური სიტუაცია იმგვარია, რომ რუსეთის მსოფლიოზე გაბტონების შანსი მალე წარსულს ჩაბარდება. თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში დაბრუნებული რუსეთის სახელმწიფო შეიცვლება და სრულიად მისაღები გახდება ევროპული ქვეყნებისათვის. როდესაც რუსეთი დამპყრობლური მიდრეკილებებისაგან განთავისუფლდება, იგი ავტომატურად შეუერთდება თავისუფალი ქვეყნების ოჯახს და ამ ქვეყნებისაგან ისეთ პატივისცემას მიიღებს, როგორსაც დაიმსახურებს (ნანუაშვილი 2012: 424, 437).

ივ. ნანუაშვილის ნიგნი, როგორც ქართული ემიგრანტული პოლიტიკური აზროვნების ნიმუში, ჩვენი ეროვნული კულტურის

ნაწილია და უდაოდ სასარგებლოა, რომ იგი ითარგმნა და ქართულ ენაზეც გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ წიგნში მითითებული არ არის არც მთარგმნელი, არც რედაქტორი და არც გამომცემლის ვინაობა. გამოცემა არ არის აკადემიური ხასიათის, მას არათუ წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარებიც არ ერთვის. ავტორისა და წიგნის შესახებ მოკლე ცნობა მხოლოდ სუპერკანზეა (გარე ყდაზე) მოთავსებული. მხოლოდ წიგნის წარდგინებისას გახდა ცნობილი, რომ მისი ქართული და ინგლისური ვერსიები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ გამოუყვია (საქართველოს 2012:).

უნდა ითქვას, რომ ქართველი ემიგრანტის გამოკვლევას არ დაუკარგავს აქტუალობა. მართალია, ნაშრომი განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ წიგნს სადღეისოდ აქვს სხვა, კერძოდ, პრაქტიკული დანიშნულება. იგი ხელახლა შეგვახსენებს, რომ თანამედროვე რუსეთშიც, როგორც საბჭოეთის მემკვიდრე სახელმწიფოში, დაძლეული არ არის ტრადიციული დამპყრობლური მუხტი და რომ კრემლის იმპერიულ ამბიციებსაც საბოლოოდ არ გასვლია ყავლი.

## **დამონეპანი:**

**ბზეჟინსკი 1990:** Zbigniew Brzezinski, *Grand Failure: The Birth and Death of Communism in the Twentieth Century*. Collier Books. 1990.

**დაუშვილი 2007:** დაუშვილი რ. *ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში*. თბ.: „რაეო“, 2007.

**თავისუფლების 1974ა:** ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“. პარიზი; 1974, № 3.

**თავისუფლების 1974ბ:** ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“. პარიზი: 1974, № 1.

**თავისუფლების 1974გ:** ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“. პარიზი: 1974, № 4.

თავისუფლების 1975: 11. ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა“. პარიზი: 1975, IX.

**ივერია 1975:** ჟურნალი „ივერია“. პარიზი: 1975, № 17.

კავკასიონი 1972/1973: ჟურნალი „კავკასიონი“. პარიზი: 1972/73, XVI-XVII.

**კარი 1979:** Carr E. H. *The Russian Revolution: From Lenin to Stalin* (1917—1929). London: Macmillan, 1979.

**მხედარი 1931:** ჟურნალი „მხედარი“. პარიზი: 1931, № 11.

**მხედარი 1929:** ჟურნალი „მხედარი“. პარიზი: 1929, № 1,2,3.

**მხედარი 1930:** ჟურნალი „მხედარი“. პარიზი: 1930, № 7.

**მხედარი 1934:** ჟურნალი „მხედარი“. პარიზი: 1934, № 16.

**მხედარი 1935:** ჟურნალი „მხედარი“. პარიზი: 1935, № 19.

**ქართველები 1994:** ქართველები გერმანული დროშის ქვეშ. თბ.: 1994.

**ნანუაშვილი 2012:** ნანუაშვილი ი. რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ. თბ. 2012.

- პაიპსი 1974:** Richard Edgar Pipes, *Russia Under the Old Regime*, 1974.
- პაიპსი 1993:** Richard Edgar Pipes, *Russia Under the Bolshevik Regime: 1919-1924*. 1993.
- პაიპსი 1995:** Richard Edgar Pipes, *A Concise History of the Russian Revolution*, 1995.
- პეტროვი 2012:** Петров, *Центры русских и советских исследований в университетской США*, განთავსებულია 2010 წ. მის.: <http://petrov5.tripod.com/1.htm>
- საქართველოს... 2012:** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. განთავსებულია 28 ივნისს 2012. მის.: <http://www.culture.gov.ge/topicdetails-1.4277.html>
- ქართული 1977:** ქართული რედაქცია — რადიო „თავისუფლება“. კრებული III (რეპორტაჟები, ინტერვიუები, კორესპონდენციები). მიუნხენი: 1977.
- ქართული 2013:** ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“. № 1, თბ.: 2013.
- შარაძე 2003:** შარაძე გ. *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. IV. თბ.: 2003.
- ჩვენი 1976:** ჟურნალი „ჩვენი დროშა“, თებერვალი, № 85. პარიზი: 1976.
- ჯერვალძე 2012:** ჯერვალძე ც. *პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით*. თბ.: „პეგასი“, 2012.
- ჯერვალძე 2010:** ჯერვალძე ც. *პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით*. თბ.: „პეგასი“, 2010.
- ჰოსკინგი 1998:** : Hosking G. A. *Russia: People and Empire. 1552-1917*. Harvard University Press, 1998.
- ჰოსკინგი 2001:** Hosking G. A. *Russia and the Russians*. 2001.

# ქართულენოვანი ლიტერატურა ისრაელში Georgian Literature in a Foreign Language Environment – Israel

NESTAN KUTIVADZE

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

## Main Tendencies of Georgian Language Literary Work of Israel

The paper deals with Georgian writing in Israel which is one of the most important and distinctive segments of cultural inheritance of Georgian immigrants. It reflects the pain and expectation of these people thoroughly revealing their spiritual landscapes. The texts are created mostly on the main topics listed below: the first - Soviet reality and its peripeteia as the reality defining the life of Jewish people, the second \_ the issue of historical motherland that includes intensified feelings of the responsibility towards the country, the third - the tragic fate of the Jewish people during the World War II and the fourth - introspection of the latest ancestors and the past. It involves the tendencies of conceptualization of a very interesting ethnocultural phenomenon and reevaluation of several traditions.

**Key words:** *Georgian writing, Israel, ethnocultural, traditions.*

## ნესტან კუტივაძე

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ისრაელის ქართულენოვანი მწერლობის უმთავრესი ტენდენციები

ქართველთა პირველი ემიგრაცია ისრაელში XX საუკუნის 70-იან წლებში მოხდა. ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან დაიწყო წინაპართა მიწაზე რეპატრიანტთა კულტურული საქმიანობა, რომელმაც კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების: „ალიას“, „ხიდის“, „ნერგის“, „დროშასა“ და გამომცემლობა „კავკასიონის“ არსებობა. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ქართული წიგნების ბეჭდვა, რის შედეგადაც დღეს ჩვენთვის ცნობილია

ისრაელში მოღვაწე ქართულენოვანი ებრაელი მწერლები: იცხაკ დავიდი, თამარ კეზერაშვილი-მამისთვალოვი, იაკობ პაპიაშვილი, თინა შიმშელაშვილი, ჟენია მაღალაშვილი, დოდო ხუხაშვილი, თამარ სეფიაშვილი, ქეთი ბენ სიმონი, იაკობ ჩიკვაშვილი, ილია პაპისმედოვი, ნანა შაბათაშვილი-დავარი, სიმბ ჯანაშვილი, სიმბა ადარი (აჯიაშვილი), ფანი და პოლინა ბაზოვები, აბრამ მამისთვალოვი, გერშონ ბენ ორენი (წინუაშვილი), რაია ორენი წინუაშვილი, იზა დავითაშვილი, ისაკ მეგრელიშვილი, ჩესი ლეზგიშვილი და სხვ. ჩამოთვლილი ავტორები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი წერის სტილიც და მხატვრული რეპრეზენტაციის ხარისხიც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს მწერლობა საკმაოდ კარგად აჩვენებს ქართული ალიის სულიერ ლანდშაფტს. როგორც ცნობილი მკვლევარი გურამ ბათიაშვილი აღნიშნავს, „მათ სამშობლოდან სამშობლოში გადასვლის დრამატულმა მომენტმა ააღებინა ხელში კალამი. ეს კი მათს მოქალაქეობრივ პატიოსნებასა და შინაგან სიმართლეზე ლაპარაკობს“ (ბათიაშვილი 1989: 71). გულწრფელობა მართლაც ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა ამ ტექსტებისა, რომლებიც უცხოენოვან გარემოშია შექმნილი და ერთნაირად იღებს სასიცოცხლო ენერგიას სხვადასხვა ეთნოსის კულტურული სივრციდან. ეს თავისებურება ისრაელის ქართულენოვან მწერლობას ფასეულს ხდის და ეროვნული ლიტერატურის საყურადღებო შენაკადად აქცევს.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი მხოლოდ მხატვრულ პროზაა, თუმცა აქვე დავძენთ, რომ ისრაელში არაერთი ესეისტური თუ სხვა ხასიათის წიგნი იბეჭდება, რაც, ასევე, მოითხოვს კვლევას. ამ თვალსაზრისით, დავასახელებდით: დინა შამელაშვილის, ნანა ინჯიაშვილისა და რაია წინუაშვილის „რჩეული ხალხი“ (თელ-ავივი, 2004), რაია წინუაშვილის „სულის სარკმელები“ (თელ-ავივი, 2007), დ. ხანანაშვილი, რ. გოლანი, „ლოცვის კარები“ (თელ-ავივი, 2009) და სხვ.

ებრაელთა ქართულენოვანი მწერლობა ძირითადად ოთხ გამჭოლ მოტივზე იქმნება. პირველი — ესაა საბჭოთა სინამდვილე და მასთან დაკავშირებული პერიპეტეიები, როგორც ებრაელთა ყოფის განმსაზღვრელი რეალობა, მეორე — ისტორიული სამშობლოს თემა, რომლის შემადგენელი ნაწილია ქვეყნის წინაშე მოვალეობის ხაზგასმული შეგრძნება, მესამე — მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა ტრაგიკული ხვედრი და მეოთხე — უახლოესი წინაპრებისა და წარსულის რეფლექსია. ამასთან იგი მოიცავს უაღრესად საინტერესო ეთნოკულტურული ფენომენის გააზრებისა თუ ზოგიერთი ტრადიციის გადაფასების ტენდენციასაც.

ისრაელის ქართულენოვანმა მწერლობამ ზედმიწევნით ასახა XX საუკუნის საზოგადოებრივი ყოფა. შეიძლება ეს იმის წყალობითაც

მოახერხა, რომ ხშირად მხატვრული ნარატივის საფუძველი სინამდვილეა, მათ ნიგნებში შესული ნაწარმოებები რეალურ ამბებზეა აგებული და დოკუმენტურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიები უმეტესწილად ოჯახური დრამებია, მათში საბჭოთა სინამდვილისთვის დამახასიათებელი ბევრი მოვლენა აირეკლება. ამ მოთხრობებშიც ადამიანურ ტრაგედიას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებული მოვლენები განაპირობებს: იქნება ეს მეორე მსოფლიო ომი, ალია, ისრაელში დაწყებული ომი თუ სხვა მოვლენა.

„ადამიანი თიხის ქოთანს კი ნუ გგონია, ჯერ გატეხო, მერე შეანებო და თაფლი ჩაასხა. ადამიანს გრძნობები აქვს, გული აქვს, სტკივა და უხარია. და არც შენი ნებართვით მოვლენია ამ ქვეყანას. ადამიანი თვითონ არის ცხოვრება, ზურგით რომ დაატარებს წარსულს, ანმყოს, და მომავალს იმედის თვალთ შეჰყურებს...“ (მაღალაშვილი 2003: 19),- ჟენია მაღალაშვილის ერთ-ერთი გმირის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს ებრაელ მწერალთა უმთავრეს სათქმელს — ამქვეყნიური ყოფის არსი გაუხუნარ ადამიანურ, ეროვნულ და საკაცობრიო ფასეულობებზე გადის. სწორედ ამ ფასეულობათა მხატვრულად ინტერპრეტირება ხდება იზოლდა მოშიაშვილის („დაკარგული ბედნიერება“, „განძი“, „სამშობლოსაკენ ლტოლვა“, „ღამის აჩრდილი“...), ჟენია მაღალაშვილის („დამჭკნარი ყვავილი“, „ლია“, „ჩემი ქალიშვილი“, „და-ძმა“, „სინანული“...), იზოლდა კრიხელის („გული“, „ძალის მოტანილი ბედი“, „მოულოდნელობა“, „ხანკას მამა“, „მწვანე სამაჯური“, „მაჭანკალთან“, „მთვრალი ძროხები“, „სონატა ნახშირით“, „ვაზის სიცილი“...), თამი სეფიაშვილისა („დაუვიწყარი წარსული“, „მარგო“, „აღსარება“, „დუმილი“...) და სხვა ავტორთა ნაწარმოებებში.

სამშობლოსაკენ ლტოლვა ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი მწერლობის ერთ-ერთ ძირითად კონცეპტადაც შეიძლება გამოიყოს. იგი ერთ-ერთ უმთავრეს ლაიტმოტივად გასდევს თითქმის ყველა თემაზე შექმნილ ნაწარმოებს და კარგად ხსნის ებრაელთა გადარჩენის საიდუმლოს. ეს ლიტერატურა წარმოაჩენს XX საუკუნის 70-იან წლებში ებრაელთა პირველ მასობრივ ალიასთან დაკავშირებული პერიპეტეიებს, საყურადღებო დეტალებს, საინტერესოდ გადმოგვცემს ყოფილ საბჭოთა კავშირში ისრაელის სახელმწიფოს შესახებ დამკვიდრებულ უარყოფით აზრს. დღეს ამ ეპიზოდებით საბჭოთა ცნობიერების წარმატებით რეკონსტრუქციაა შესაძლებელი, რაც უთუოდ საყურადღებო პლასტია, ამ მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის შესაქმნელად. მოშიაშვილის ეს თხზულება ავტორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაწარმოებია.

ამ თხზულებებში დაუფარავად იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვა რწმენის რანგში იყო ამ ხალხი-



სათვის აყვანილი, ეს არ იყო მარტივი არჩევანი, რადგან მას აქ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობებისა და სხვა ადამიანებთან დაკავშირებული პერსპექტივების ძალაუნებურად რღვევა მოჰყვებოდა. ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ უფროსები ისე, რომ ხშირად თავიანთი შვილების გრძნობებს საერთოდ არ ან ვერ უწევდნენ ანგარიშს. ეს მათი წინაპრების მიერ საუკუნეებში გამოატარებული ოცნება იყო, რომელიც მათ შეეძლოთ რეალობად ექციათ და მასზე უარის თქმა იოლი არ იყო („სამშობლოსაკენ ლტოლვა“). არანაკლებ საყურადღებოა ის გაორება, რომელიც გამოიკვეთა ისრაელში დანყებული ომის შემდეგ: „... მე მიმყავს ჩემი ოჯახი სასაკლაოზე“, - ამბობს მოშიაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟი (მოშიაშვილი 2003: 165). დედის ამგვარ შეხედულებას უპირისპირდება სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულების აუცილებლობა. „— ყველა დედამ რომ შენსავით იფიქროს, მაშინ მეტად საბრალო იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, იმათაც ხომ ჰყავთ დედები, ვისი შვილებიც იქ იბრძვიან და ჩვენს მინას და ჩვენ ხალხს იცავენ, — ეუბნებოდა დანიელი ცოლს (მოშიაშვილი 2003: 165). დედის შიში, მისი განცდები ძალზე ადამიანური და ბუნებრივია და იგი მხატვრულად უფრო დამაჯერებელს ხდის ამ პასაჟს, თუმცა ისიც მრავლისმთქმელია, რომ, მიუხედავად რეპატრიაციასთან დაკავშირებული მოლოდინის მნიშვნელოვნად ცვლილებისა, ქიფურის ომის გამო გამოვლილი დიდი შიშისა და მომავალი გადასატანი მრავალი გაჭირვებისა, ეს ადამიანები მაინც არ წუხან “მშვიდი საბჭოეთის” დატოვების გამო. ავტორი არ ახდენს ამ თემის იდეალიზაციას. მხედველობიდან არ რჩება, რომ საქართველოში დარჩენილი მრავალი ოჯახი „დაუბრუნდა ძველ ცხოვრებას და სამუდამოდ ამოიღო გულიდან ისრაელზე ფიქრი“ (მოშიაშვილი 2003: 195).

ისრაელში შექმნილი მწერლობისათვის, სხვა მოტივებთან ერთად, მნიშვნელოვანია, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის თემის მხატვრული ინტერპრეტირებაც (ი. დავითაშვილი, თ. სეფიაშვილი...). ომში მყოფ ქვეყანაში შვილის სამხედრო სამსახურში გაგზავნა იოლი არ არის, მაგრამ ეს საკითხი სამშობლოს წინაშე თითოეული ადამიანის მიერ თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის აუცილებლობად აღიქმება. „... ამ დღისათვის მე დიდი ხანია ვამზადებ ჩემს თავს ... ყველა შვილი მშობელს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნივთ, და თუ კაცი სამშობლოს წინაშე პირნათლად იხდის ვალს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი სამშობლოს წინაშეც ვალმოხდელია“ (დავითაშვილი 2003: 129), ამბობს დედა, რომელსაც სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული ვალდებულება საკუთარი ქვეყნის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ პათეტიზმისაგან თავისუფალი არ არის ეს პასაჟი, იგი მაინც ბუნებრივი ინტონაციის მატარებელია, რადგან XX საუკუნის

ანტურაჟით მოწოდებული საუკუნეობრივი გამოცდილება და რწმენაა. სხვაგვარად ეს ტანჯული ერი ვერ შეძლებდა ათასწლეულების შემდეგ სახელმწიფოებრივად აზროვნებასა და ქმედებას და თავის სახელმწიფოს კვლავ აღდგენას. ამგვარი ტენდენცია ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურის გამჭოლი ხაზია.

სამშობლოსაკენ ლტოლვის არსი მთელი სისასხითაა წარმოჩენილი ჟენია მაღალაშვილის დოკუმენტურ მოთხრობაში — „ნათან და არონ ელიაშვილები“. ნათან ელიაშვილის ქალიშვილისა და საკუთარი დედის ნაამბობის მიხედვით ავტორი ჩვენი არცთუ ისე შორეული წარსულის ყველაზე ცნობილი პერსონაჟების დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეებს ქმნის. ნაწარმოებში რეალურად არსებული ადამიანებია ქცეული მხატვრულ გმირებად. ესენია გერცელ და დავით ბააზოვები, თბილისსა და მთელ კახეთში ცნობილი დიდვაჭარი — მოსე დავარაშვილი დასხვ. გერცელ ბააზოვისა და ნათან ელიაშვილის საუბრის ოსტატურად გადმოცემული ეპიზოდებიდან კარგად ჩანს, როგორ განიცდიდნენ XX საუკუნის პირველი ნახევრის რეალობას ებრაელთა საზოგადო მოღვაწეები. მათთვის საკუთარი ერი მაინც რჩებოდა „დაჩაგრულ ხალხად“, „რომელსაც საკუთარი სამშობლო არ გააჩნდა,“ და „სხვის კარზე შეკედლებულად“ თვლიდა თავს (მაღალაშვილი 2003: 82). დავით ბააზოვს მიაჩნდა, რომ მათ ევალეობდათ თავისი ხალხის აყვანა ისრაელში, ამისათვის მისი მომზადება. ამ საკითხის მიმართ რამდენადმე განსხვავებულია გერცელ ბააზოვის დამოკიდებულება.

საყურადღებოა, რომ დღეს ქართულენოვან ებრაულ მწერლობაში საკმაოდ აქცენტირებული თემა — ებრაელთა დიდი ალია, როგორც ფაქტი, სწორედ მაშინ დაიწყო და მასზე ფიქრი მრავალი თაობის სულს ათბობდა. ნათან და არონ ელიაშვილების ცხოვრება, მათი ისტორიის ტრაგიზმით აღსავსე მონაკვეთები, ცხადად აჩვენებს, რა გადაიტანა ამ ხალხმა თავისი სახელმწიფო რომ ჰქონოდა. ჟენია მაღალაშვილმა რეალურ მოგონებებზე დაყრდნობით ამ საკითხის მრავალი წახნაგი მოიტანა ჩვენამდე თითქმის იმავე ემოციური მუხტით, როგორც მას საუკუნის წინათ გააჩნდა, მაშინ, როცა ეს გაცილებით მიუწვდომელი ჩანდა, ვიდრე დღეს ან თუნდაც 50-იოდე წლის წინ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ისრაელში შექმნილი ქართულენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა მიერ განცდილი ტრაგედიის მხატვრული ასახვა. უნდა ითქვას, რომ ეს ისტორიები არაერთი თხზულების ყველაზე ოსტატურად აღწერილი ეპიზოდებია, რაც, ალბათ, შემთხვევითი არ არის. ომის თემამ ავტორებს შესაძლებლობა მისცათ არამხოლოდ ქართველი ებრაელებსა და მათ ყოფაზე გაემახვილებინათ ყურადღება, არამედ წარმოეჩინათ მათი განსაკუთრებულად ტრაგიკული ხვედრი ევროპაში და ამით გაეფარ-

თოებიანათ წამოჭრილი პრობლემების მასშტაბიც. იმ მძიმე წლებში ისრაელი მათთვის წინაპართა მიწა კი არა, გადარჩენის ერთადერთ ადგილად იყო ქცეული, რაც აისახა კიდევც ი. მოშიაშვილის („ღამის აჩრდილი“), ი. კრიხელის („ხანკას მამა“), თ. სეფიაშვილისა („დაუფინყარი წარსული“) და სხვათა ნაწარმოებებში. ი. მოშიაშვილმა მოთხრობაში — „ღამის აჩრდილი“ პოლონელი ებრაელების მძიმე ყოფას ვეცნობით. მაშინ პოლონეთიდან გაქცეული ებრაელების გზა რუსეთის გავლით მიდიოდა ისრაელისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ თხზულებას ისევე კეთილი ფინალი აქვს, როგორც თითქმის ყველა სხვა ნაწარმოებს, მაინც თვალსაჩინოა ის დრამატიზმი, რომლის საშუალებითაც მწერალი თავს აღწევს სქემატურობასა და სწორხაზობრიობას. ი. კრიხელის თხზულებამაც — „ხანკას მამა“ არანაკლები შთამბეჭდაობით აჩვენა ხანა გეფენი-გრუზინსკის პირადი ტრაგედია, ებრაელთა საერთო მძიმე ხვედრის კონკრეტულ გამოვლინებად რომ აღიქმება. „ამ სურათის მეტი არაფერი გამაჩნია, რაც ჩემ მშობლებს გამახსენებს... 1939 წელს გერმანელებმა შუალამისას გამოგვიყვანეს სახლიდან, ჩაგვყარეს მანქანებში — მე და დედაჩემი ცალკე, მამაჩემი ცალკე. იმ საშინელი ღამის შემდეგ, მე მშობლები თვალთ არ მინახავს: დედაჩემს გულის შეტევა დაემართა და მანქანაშივე დალია სული. მე ერთმა ახალგაზრდა ქალმა მომიკიდა ხელი და შემეფარა... სასწაულებით გადავურჩით ომის ქარცეცხლს... მამაჩემის შესახებ კი არაფერი ვიცოდი და დღემდე მჯეროდა, რომ ისიც საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა“ (კრიხელი 2004: 276-77),- ამბობს ქალი და დიდ მადლობას გამოთქვამს ქართველთა მიერ გამოჩენილი სიკეთისთვის, იმისთვის რომ მამა შეიფარეს, ლუკმა გაუყვეს, მისი მამის სურათი შეუნახეს. ავტორი ამ ისტორიას იმ მოსაზრების დადასტურებად მიიჩნევს, რომ კავკასიურმა ცარცის წრემ გადალახა ქვეყნის საზღვრები და არა იმიტომ რომ სოლომონ ბრძენის სასამართლო იდგა მის უკან, არამედ იმიტომ, რომ ადამიანური სიბრძნის ჩაუქრობელ ძალასა და იმედს გრძნობდა. ამ ერისათვის დამახასიათებელი სიბრძნე კარგად ჩანს თ. სეფიაშვილის ნაწარმოების — „დაუფინყარი წარსული“ გმირის სიტყვებში: „ყოველი ტვირთი მძიმეა, თუ არ აჯობე მას“ (სეფიაშვილი 2009: 55). სწორედ ამ რწმენით შეძლო ვალენტინამ, იუგოსლავიელი ებრაელების ქალიშვილმა, ცხოვრების უმძიმესი დარტყმების გადატანა. ამ გმირებმა მეორე მსოფლიო ომში მათ თავზე ატეხილი უზედირების მიუხედავად, არამარტო ცოცხლებმა გამოაღწიეს, არამედ ღირსება და სიყვარულის უნარი შეინარჩუნეს, რამაც პატიების ძალა მისცა მათ და, ბუნებრივია, რომ ამ ასპექტზე აშკარად პედალირებენ ამ თხზულებათა ავტორები.

ქართველებთან თანაცხოვრების არაერთი საგულისხმო დეტალი შემოინახა ისრაელში შექმნილმა მწერლობამ, რომელმაც დამახასიათე-

ბელი კოლორიტულობით აჩვენა საქართველოში ებრაელთა ყოფა. ამ მხრივ, შეიძლება გამოვყოთ ი. კრიხელის, თ. სეფიაშვილის, ი. დავითაშვილის, ს. სეფიაშვილისა და სხვათა თხზულებანი. მათში აღწერილი ისტორიები ერთნაირადაა ჰუმანიზმისა და მკაცრი ყოფის გამოვლინება, ამასთან ისიც შესამჩნევია, რომ თაობების ცხოვრება ჰგავს ერთმანეთს და განსხვავდება კიდეც, რადგან მიუხედავად დროის მდინარებისა, მაინც არის რალაც მყარი ყოველი ოჯახის ცხოვრებაში, რაც თუნდაც გენეტიკური კოდის იგივეობის გამო მეორდება.

წინაპართა დასამახსოვრებელ სახეებს ქმნის იზა დავითაშვილი წიგნში — „მარადიული შარავანდედი“. XX საუკუნის 1-ლი ნახევრის საქართველოს მკვიდრ შაფათ დავითაშვილზე დაწერილ მოგონებებში (პირობითად მისთვის ბიოგრაფიული რომანიც შეიძლებოდა გვეწოდებინა)მწერალმა შექმნა საკუთარი პაპის, არაჩვეულებრივი პიროვნული მომხიბვლელობით დაჯილდოებული ღირსეული ვაჟკაცის, მხატვრული სახე. შემთხვევითი არაა, რომ თავად შაფათამ თითქმის მთელი ცხოვრება საქართველოში გაატარა, მისი შთამომავლები კი ისტორიულ სამშობლოში ავიდნენ. მწერალი თავის რომანში აჩვენებს სწორედ მას, რაც უზარმაზარ დროით და გეოგრაფიულ სივრცეში რჩება უცვლელი. შაფათას მამის, არონ დავითაშვილის მიერ ნაანდერძევი „სინამდვილის ხუთი წესი“ წინაპრის დატოვებული გამოცდილებაა და სწორედ მისი ერთგულებით შეძლეს შთამომავლებმაც ცხოვრების ტვირთის ღირსეულად ზიდვა. ამ წესების არსი სულიერ და ფიზიკურ თვისებათა ერთობლიობაა, რომელშიც მიცემული პირობის შესრულება, სუფთა სინდისი და „მოხდენილი ჩაცმულობა“ ერთ სიბრტყეზე დევს (დავითაშვილი 2003: 15). ამ პრინციპებით აღიზრდილი შაფათა და ჭოლა დადიანის ვაჟის, ბედანის, ძმური სიყვარულით გაჯერებული ურთიერთობა ღრმა სიბერემდე გაგრძელდა და ორი ერის თანაცხოვრების იდეალურ მაგალითად იქვა. სწორედ მათს ურთიერთობას, მათს გაუზზარავ მეგობრობას უკავშირდება წიგნის საუკეთესო ეპიზოდები. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ შაფათას კოლორიტულ სახეს ავტორი მისი ცხოვრების არაერთი შთამბეჭდავი ეპიზოდის საშუალებით (ხშირად ხელოვნულად გაზვიადებულითაც) ქმნის და არა პუბლიცისტური ხასიათის ნარატივით. ავტორმა, ასევე, რომანში პერსონაჟებად შემოიყვანა როგორც ებრაელობისათვის, ისე ქართველებისათვის ცნობილი პიროვნებები (იაკობ სეფიაშვილი, ილია მოძღვრიშვილი, ოთარ მამფორია...), მათთან დაკავშირებული ამსახველი ეპიზოდებით ავტორმა კარგად გაუსვა ხაზი ორი ერის ურთიერთობის ცალკეულ შტრიხებს.

როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე პრობლემემატიკის მრავალფეროვნებითა და აქტუალურობით გამორჩეულია სოსო სეფიაშვილის ორნანილიანი რომანი „გაქცევა არსაიდან“, რომელიც წიგნად

2001-2002 წლებში გამოიცა. თხზულების მიმართ დიდი იყო ინტერესი როგორც ისრაელში, ისე საქართველოში, რასაც ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ ნაწარმოები 1997-1999 წლებში გაზეთ „ალიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ქარგა დეტექტიურია. მოქმედება ხდება 1990-იანი წლების აფხაზეთში. სოხუმში იპარავენ ებრაულ საოჯახო რელიქვიას თების სეფარადს და კლავენ 80 წელს მიტანებულ მოხუცს, რომელმაც არ დატოვა აფხაზეთი. ნაწარმოებში მთავარი ამბის პარალელურად, რამდენიმე ოჯახისა და ერთი ოჯახის რამდენიმე თაობის ისტორიაა მოთხრობილი, რითაც, ფაქტობრივად, აღწერილია ებრაული მოდგმის ტრაგედია.

რომანი აირეკლავს XX საუკუნის დასასრულის საქართველოს (აფხაზეთის) რეალობას. თბილისიდან უკავშირდებიან კრასნოდარს, იქედან კი სოხუმს. თბილისში დედის სიკვდილის ამბავს რომანის მთავარი გმირი — შალვა ისრაელაშვილი მოსკოვიდან იგებს. მოსკოვიდან იშვება საშვი, რომ შვილი დედის დასასაფლავებლად ჩავიდეს. აქვე ვეცნობით დღეს აფხაზეთში არალეგალურად ჩამომსვლელთათვის შექმნილ ვითარებასაც. საქართველოში ებრაელთა თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ისტორიის ყველა ქარტეხილი ებრაელებმა ქართველებთან ერთად გადაიტანეს. პრობლემები, რომლებიც მთელი სიმძაფრით წამოიჭრა ჩვენს უახლეს წარსულში, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქის პრობლემადაა წარმოდგენილი. „ახლა არც უნდა გაიხსენოს, როგორ დაცარიელდა სამეზობლო სოხუმიდან ებრაელების წასვლის შემდეგ. განა მარტი ებრაელები! ქართველებიც გაიქცნენ, რუსებიც, ბერძნებიც“, — აღნიშნავს ავტორი (სეფიაშვილი 2001: 6).

რომანის უმთავრესი ინტრიგა, ძირითადი სიუჟეტური ხაზი, თების სეფარადის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია. გარდა იმისა, რომ სეფარადთანაა დაკავშირებული ხაგანთა უძველესი საგვარეულოსა და განძსაცავის ლეგენდარული ისტორია, რომელსაც რომანი განსხვავებულ განზომილებაში გადაჰყავს, სწორედ მასთან მიმართებაში იკვეთება სხვადასხვა თაობის ებრაელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სულიერ ღირებულებებთან.

თუ შალვასთვის აბსოლუტურად გასაგებია მამის თავგანწირვა, ხაგანთა საიდუმლოს შენახვა, თების სეფარადის ერთგულება და ამის გამო უარის თქმა, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი ადამიანის მშვიდ ცხოვრებაზე, რადგან მან კარგად იცის ამ ნივთის მნიშვნელობა ებრაული ოჯახისათვის, მისი კარგად განსწავლული შვილებისათვის ის ასეთი მნიშვნელობას აღარ ატარებს. ისინი თვლიან, რომ ერთი სეფერთორა, თუნდაც წინაპრისაგან ნაანდერძევი, არ არის რწმენა და არ შეიძლება ოჯახსა და მის ინტერესებზე ძვირფასი იყოს. მათთვის ხაგანთა ლე-

გენდაც მხოლოდ გულუბრყვილო იმედის სხივია და სხვა არაფერი. შესაძლოა ეს ცვლილება იმანაც განაპირობა, რომ ისრაელი მათთვის აღარაა ალტკმული მიწა, საითკენაც საუკუნეების განმავლობაში მისწრაფოდნენ. ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან. ამ რეალობას აშკარად აჩვენებს ნაწარმოები.

სოსო სეფიაშვილის რომანი ძალზე საყურადღებო მოვლენაა ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკმაოდ მასშტაბურად, მრავალი პრობლემის კომპლექსურად წარმოჩენის თვალსაზრისით, ამასთან ნაწარმოები ასახავს მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის, რაც თავისთავად აჩენს კითხვას შეინარჩუნებს თუ არა იქ დაბადებული თაობა საქართველოსთან იმავე დამოკიდებულებას. ამ კითხვას მხოლოდ დრომ შეიძლება უპასუხო.

მართალია, ისრაელის ქართულენოვანი ლიტერატურის მრავალმა წარმომადგენელმა ბედი, პირველად ისრაელში ცადა და სწორედ ეს ფაქტი გახდა მათთვის შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი, მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საქართველოში გახდნენ ცნობილი შემოქმედები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ჩესი ლეზგიშვილი და თამარ მამისთვალოვი. ჩესი ლეზგიშვილმა საქართველოში დასტამბა საყურადღებო რომანი „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ თბილისში 1992 წელს. მწერალმა ისრაელში ასვლის შემდგომაც გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობა, გამოსცა პატარებისათვის დანერილი ზღაპრები და პიესები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: „ვეფხია და მოყმე“, „განაჩენი“. მწერალმა თავისი შემოქმედებით მრავალ საჭირობოროტო საკითხს გაუხსნორა თვალი, შეეცადა საკუთარი პოზიცია გამოეხატა და თანამედროვეებიც დაეფიქრებინა მათზე. მისი ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება ერთნაირად წარმატებული არ იყოს, მაგრამ ბევრი დასამახსოვრებელი გმირი და ისტორია შემოუნახა ქართულენოვან ებრაულ მწერლობას.

ასევე, გვინდა შევჩერდეთ ჟურნალისტის, მწერლისა და მთარგმნელის — თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილის მოღვაწეობაზე. ის ცნობილი რაბინის, ცხინვალის ებრაელთა სულიერი მოძღვრის, იცხაკ მამისთვალოვის ქალიშვილია, რომელმაც გააგრძელა მამის ტრადიცია და აბრამ მამისთვალოვსა და გერშონ ბენ ორენტან (წინუაშვილთან) ერთად თარგმნა თორა ქართულ ენაზე. მამის — რაბინ იცხაკ მამისთვალოვის მხატვრული სახე მწერალმა შექმნა მოთხრობაში — „სანახევრო თუმნიანი“. თხზულება ნამდვილ ამბავზეა აგებული და მასში მელამედის (მასწავლებლის) თალმიდისადმი (მონაფის) თავდადება და ამაგია აღწერილი. მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, ასევე, მოთხრობების ნიგნი — „მოლოდინი“ (მამისთვალოვი-კეზერაშვილი 1987). რამდენადაც მასში თავმოყრილია საქართველოსა და



ისრაელში გამოქვეყნებული ნაწარმოებები, ჩვენ საშუალება გვაქვს, თვალი გავადევნოთ ორ კულტურულ სამყაროს, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობს როგორც გეოგრაფიულ სივრცეში, ისე ერთი ადამიანის ცნობიერებაში („გახსენება“, „ამბავი შალვა ბებერაშვილისა“...).

გვინდა, ასევე, გამოვყოთ ქართულენოვანი პროზისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ასპექტი. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა მწერალი ეხება ქორწინების თემასა და მასთან დაკავშირებული ოჯახურ დრამას, რომელიც ერთ-ერთი საჭირობოროტო სოციალურ საკითხად იკვეთება. როგორც ჩანს, ეს მენტალური პრობლემა და ძნელად დასარღვევი ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გრძნობს მის საზიანო შედეგებს. ამითაა, ალბათ, განპირობებული ის ფაქტი, რომ ზოგიერთი უკვე ერთგავრ სტერეოტიპად ქცეული პლასტი, სხვადასხვა ვარიაციით მრავალ ნაწარმოებში გვხვდება (ჟ. მაღალაშვილი, თ. სეფიაშვილი, ს. სეფიაშვილი ...).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულენოვანი ებრაული ლიტერატურისათვის დომინანტად მაინც საქართველო და ქართულ-ებრაული ურთიერთობები რჩება. ძნელად, მაგრამ მაინც იკვეთება ის თემები, რომლებიც უშუალოდ ისრაელის ყოფიდან და ისტორიიდან შევიდა მათ მწერლობაში (ლ. ჩეზგიშვილი, ი. კრიხელი...).

საქართველოსა და ისრაელის რეალიები ბევრი განსხვავებული ნიუანსის მატარებელია. ამასთან ადამიანის განცდები ყოველთვის მსგავსია. ეს ფაქტორები გარდა იმისა, რომ საინტერესო, ფერადოვან მხატვრულ მოზაიკას ქმნის, საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ მსოფლმხდველობრივ საკითხებს, ეპოქის ცვლილებასა და პიროვნების სულიერი მოძრაობის ვექტორთა როგორც გადანაცვლებას, ასევე სიმყარეს. დღეს ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ისრაელის ქართულენოვანი მწერლობის ახალი თაობის მხატვრულ რეფლექსიას კარგად ნაცნობ თემებთან ერთად XXI საუკუნის ვითარებაც ასაზრდოებს (მაგ. თ. სეფიაშვილის „დუმილი“ 2008 წლის აგვისტოს ომს ეხება). ეს გვაძლევს საშუალებას, დროის ჭრილში გავიაზროთ არსობრივი საკითხები და ამ პროცესში მყარი და ცვალებადი მოვლენები გავმიჯნოთ.

ზოგადად ზემოთ გაანალიზებულ პრობლემატიკაზე იქმნება ქართულენოვანი მწერლობა ისრაელში, იძერწება დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები, რომლის პროტოტიპებიც ხშირად კონკრეტული, რეალური პიროვნებანი არიან, შთამომავლებმა რომ აქციეს საკუთარი წიგნების პერსონაჟებად და ამ გზით საკუთარი ერის (გვარის, ოჯახის) ისტორია შეინახეს, ცხოველმყოფლად ასახეს ეთნოლოგიური დეტალები, მრავალი ადათი და წეს-ჩვეულება. ამის გამო დოკუმენტურობა ამ



პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა და იგი ამითაც გამოირჩევა. ისრაელში ქართულ ენაზე შექმნილი ეს მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები საინტერესო კულტურული ფენომენია. ისინი ინახავენ ინფორმაციას ორი ერის თანაცხოვრებისა და განვითარების, მათ მიერ განვლილი ისტორიული პერიპეტეიების შესახებ და ამასათანავე ქმნიან საინტერესო ლიტერატურულ პროცესს, რომელიც, ვფიქრობ, სამომავლოდ კიდევ უფრო მაღალმხატვრულ ნიმუშებს მოგვცემს.

### **დამონშებანი:**

**ბათიაშვილი 1989:** ბათიაშვილი გ. *მზე ღრუბლებში*. თბ.: 1989.

**დავითაშვილი 2003:** დავითაშვილი ი. *მარადიული შარავანდედი*. ბათ-იამი: 2003.

**კრიხელი 2004:** კრიხელი ი. *ყვავილთა ქვეყნის ასული*. თელ-ავივი: 2004.

**მაღალაშვილი 2003:** მაღალაშვილი ფ. ჩემი ქალიშვილი. // *მოთხრობები*. იერუშალაიმი: 2003.

**მამისთვალოვი-კეხერაშვილი 1987:** მამისთვალოვი-კეხერაშვილი თ. *მოლოდინი*. თელ-ავივი: 1987.

**მოშიაშვილი 2003:** მოშიაშვილი ი. *კრებული*. თელ-ავივი: 2003.

**სეფიაშვილი 2009:** სეფიაშვილი თ. *დაუფინყარი ნარსული*. ისრაელი: 2009.

**სეფიაშვილი 2001:** სეფიაშვილი ს. *გაქცევა არსაიდან*. თელ-ავივი: 2001.

## **AVTANDILI NIKOLEISHVILI**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **For the Place of Lado Arveladze in the History of Georgian Emigrant Literature of the XX Century**

In the 20<sup>th</sup> century, among the Georgian writers living and working in Europe and the United States, Lado Arveladze occupies pride of place. Unfortunately, not much is known about his life and work not only for a wide public but for the specialists as well. Arveladze's fiction is at its best in his short stories. This is an interesting fact in itself because the literary energy of Georgian emigrant writers usually was exposed in their poetry and publicism. His writings are especially interesting in critical conceptualization of the disadvantages and state problems characteristic to the soviet regime.

*Key Words: Arveladze, Emigration, Europe, America*

# ავთანდილ ნიაოლიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ლადო არველაძის ადგილისათვის XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში

მეოცე საუკუნეში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ ქართველ მამულიშვილთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი მწერალ ლადო არველაძესაც უჭირავს. სამწუხაროდ, შემოქმედებითი ნიჭით უდავოდ გამორჩეული ამ ბელეტრისტიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღესდღეობით არათუ ფართო საზოგადოებისთვისაა ბევრი რამ სრულიად უცნობი, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის (შემდგომში — ქემ) დირექტორის, ქალბატონ რუსუდან კობახიძის ცნობით, ლ. არველაძის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ღვაწლის მეცნიერული შესწავლით სიცოცხლის ბოლო წლებში ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გურამ შარაძე დაინტერესებულა. სწორედ მას მოუძიებია და ჩამოუტანია თბილისში ნიუ-იორკსა და პარიზში გამოცემული მისი რამდენიმე ხელნაბეჭდი წიგნი, რომელთა ცალკე კრებულად გამოცემასაც გეგმავდა, მაგრამ სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულების გამო ამ კეთილშობილური საქმის განხორციელება ვეღარ მოასწრო.

ლ. არველაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ქართული ემიგრაციის მუზეუმში დღესდღეობით საბეჭდ მანქანაზე აკრებილი ოთხი წიგნია დაცული: ესენია: 1. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი III, გვ. 110; წიგნი IV, გვ. 132, პარიზი, 1963 წ. 2. მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1964 წ. გვ. 156. 3. პატარა მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1965 წ. გვ. 154. 4. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი IV, ნიუ-იორკი, 1966 წ. 216 გვ.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარდა დასახელებული წიგნებისა, ლ. არველაძესთან დაკავშირებით სხვა რაიმე მასალა არც ხსენებულ მუზეუმში და არც საქართველოს სხვა რომელიმე სხვა დანესებულებაში დაცული არ არის.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ლ. არველაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბევრი დეტალი დღესდღეობით სრულიად უცნობია. მართალია, თავის მოგონებათა წიგნში — „მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის“ მწერალი საკმაოდ საინტერესოდ და დანვრილებით

მოგვეთხრობს საკუთარი ცხოვრების ამბავს, მაგრამ რადგანაც ამ წიგნების პირველი და მეორე ნაწილები ჯერ-ჯერობით ხელმოუწვდომელია, ლ. არველაძის ბიოგრაფიის ადრინდელი პერიოდის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. უფრო მეტიც, ჩვენთვის დღესდღეობით ისიც კი არაა გარკვეული, სად და როდის დაიბადა მწერალი.

ლ. არველაძის მოგონებათა ზემოთ ხსენებული წიგნი მწერლის დროინდელ ეპოქალურ მოვლენათა მხატვრულ მათიანედაც შეიძლება მივიჩნიოთ. მასში ავტორი არა მარტო თავისი ბიოგრაფიის შთამბეჭდავ ეპიზოდებს გვიამბობს საკმაოდ დახვეწილი სიტყვიერი ხელოვნებით, არამედ მოვლენათა ეროვნული პოზიციებიდან გამსწვლ-შემფასებლის როლშიც ხშირად გვევლინება ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. არველაძის მოგონებათა წიგნის ჩვენთვის ხელმისაწვდომ მესამე ნაწილში თხრობა მეორე მსოფლიო ომში მწერლის მონაწილეობის პერიოდიდან — 1942 წლიდან — იწყება, მასში ავტორი თავისი ადრინდელი ცხოვრებიდანაც იხსენებს რამდენიმე ეპიზოდს. ასე რომ, ლ. არველაძის მემუარები შესაძლებლობას გვაძლევს რამდენადმე მაინც შეგვექმნეს წარმოდგენა მწერლის ბიოგრაფიის ომამდელ პერიოდზეც.

იგი დაბადებული უნდა იყოს 1910-1920-იანი წლების მიჯნაზე იმერეთის ერთ-ერთ სოფელში სიმონ და ქრისტინე არველაძეების ოჯახში. მწერალს დედა ორი წლის ასაკში გარდაცვლია და შვილებმრავალი (მას სამი და-ძმა ჰყოლია) ოჯახის მოვლა-პარტონობის მოვალეობა მამასთან ერთად მის უფროს დას — მაგდანასაც უკისრია, რომელიც იმხანად თერთმეტი წლისა ყოფილა.

მაგდანა თურმე ხუთი წლის განმავლობაში უვლიდა ოჯახს, შემდეგ კი, თექვსმეტი წლისა, ჩრდილოეთ ჩინეთში მდებარე ქალაქ ხარბინში სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველზე გათხოვილა და იქ გადასულა საცხოვრებლად. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე მანჯურია და მისი მთავარი ქალაქი ხარბინი ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან კერას წარმოადგენდა, სადაც იქაურ ქართველებს ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი სათვისტომო ჰქონდათ შექმნილი.

შორეული ჩინეთის ამ პროვინციაში ქართველ ემიგრანტთა ესოდენ დიდი რაოდენობით თავმოყრა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული 1898 წელს რუსეთის მიერ მანჯურიაში რკინიგზის ხაზის მშენებლობის დაწყებასთან. ამ მოვლენისა და 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად ქალაქ ხარბინში „3-4 ათასი ქართველი ცხოვრობდა. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ იქაურ კოლონიას რეპრესიებს თავდაღწეული ბევრი ქართველი შეუერთდა...

1908 წელს დაარსებულ სათვისტომოს ჰქონდა ქართული სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა; ურთიერთდამხმარე საზოგადოება ახლადწასულებს დაბინავებასა და სამსახურის შოვნაში შეველოდა“ (დაუშვილი 2007: 29).

XX საუკუნის 30-იან წლებში ჩინეთსა და იაპონიას შორის მდგომარეობის გაართულების გამო, რასაც შედეგად იაპონელთა მიერ ჯერ ხარბინის (1931 წ.), შემდეგ კი (1937 წ.) შანხაის აღება მოჰყვა, უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მანჯურული ქართველები იძულებული გახდნენ ჩინეთიდან გახიზნულიყვნენ და თავი ევროპისა და ამერიკისთვის შეეფარებინათ.

სამწუხაროდ, ხარბინში გათხოვილი მაგდანა ნაადრევად გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ.

როგორც ლ. არველაძის მონათხრობიდან ვგებულობთ, სევასტოპოლთან მოწინააღმდეგის ალყაში მოქცეული მწერალი და მისი თანამებრძოლები, რომელთა დიდ ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ, გერმანელებს საკუთარი ნებით ჩაბარებიან ტყვედ. ლ. არველაძის თქმით, ამ ნაბიჯის გადადგმა ერთადერთი გონივრული გამოსავალი იყო იმ სასონარმკვეთი მდგომარეობიდან, რომელშიც „სამხედრო სარდლობისგან მიტოვებული“ (მწერლის სიტყვებია) და სიკვდილისათვის განწირული ეს ადამიანები აღმოჩნდნენ იმხანად.

აი, როგორაა აღწერილი ტყვედ ჩაბარების ეს ეპიზოდი ხსენებულ ნიგნში: „ექვს ივლისს, დილით, მოხდა ის, რასაც ყველა ვნატრობდით, კომისრების გარდა: ამოგორდა მზე ჰორიზონტზე და გაჩაღდა თუ არა სროლა მტრის მხრიდან, ერთმა ქალმა წამოაცვა პირსახოცი ჯოხზე და ავარდა კიბეზე, რომელიც პატარა ბორცვის ქიმზე იყო მიყუდებული. თითქოს ამას უცდიდაო, წამოიშალა სამოცი ათასი ადამიანი ადგილებიდან და მოწყალეების გამომხატველი ღრიალით: „ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!“ გასწია იმ მხარისაკენ, საიდანაც ცეცხლის ნიაღვარი წამოვიდა ამ ერთი საათის წინ. ერთ წუთში დაცარიელდა ჩვენი უკანასკნელი ადგილ-სამყოფელი. გავრბოდით ყველა, ვისაც კი შეეძლო ფეხზე დგომა. კომისრებიც ჩვენთან ერთად გამორბოდნენ... გზაგადახა იხსნიდნენ საყელოდან თანამდებობის გამომხატველ ნიშნებს, იძრობდნენ ტანსაცმელს, ნალებს. ყრიდნენ ქუდებს“ (არველაძე 1963: III, 6).

ამ ნაბიჯის გადადგმით, რამაც რადიკალურად შეცვალა ტყვედ ჩაბარებულთა მთელი შემდგომდროინდელი ცხოვრება, მწერალმა, მართალია, სიცოცხლე კი შეინარჩუნა, მაგრამ სამშობლო დაჰკარგა. ლ. არველაძის მოგონებათა ნიგნისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორი მისთვის და მის ბედში მყოფი თანამემამულეებისთვის მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში მარადიულ სულიერ სატანჯველად ქცეული ამ აუნაზღაურებელი დანაკარგის უმნიშვნელოვანეს როლსაც წარმოაჩენს შთამბეჭქდავად.

ტყვეობის დროს ლ. არველაძეს ყოფნა მოუხდა უკრაინის, პოლენეთისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში, ხოლო ომის დამთავრებისას უკვე იტალიაში იმყოფებოდა და, მისივე თქმით, „ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში დაეხეტებოდა“ (არველაძე 1963: III, 23). იტალიაში ცხოვრების პერიოდში მწერალი იქაურ მანდილოსანზე დაქორწინებულა. როგორც ნიუ-იორკში გივი კობახიძის რედაქტორობით გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენ „ცნობის ფურცლის“ მეოთხე ნომრიდან ირკვევა, ამერიკაში ცხოვრების პერიოდში ლ. არველაძის მეუღლეს იმდენად საქმიანი და გულთბილი ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ ქართულ დიასპორასთან, რომ 1954 წლის აგვისტოში იგი „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წევრადაც კი აურჩევიათ.

იტალიაში ლ. არველაძე, სავარაუდოდ, 40-იანი წლების ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, შემდეგ კი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში, გადადის და აქტიურად ერთვება იქაური ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. როგორც ცნობილია, ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა 1952 წლის 5 ოქტომბერს ნიუ-იორკში დააარსეს უპარტიო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“, რომელიც იმავე წლის 2 ნოემბერს „გადაუნათლავთ და მისთვის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ უწოდებიათ. სახელწოდების შეცვლაში გამგეობა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკურ მუშაობაში საჭირო იყო ამერიკელთა ჩაბმაც. გარდა ამისა, ახალ სახელწოდებაში აშკარად არის ხაზგასმული „საქართველოს დამოუკიდებლობა“, რაც ახალი ორგანიზაციის სულიერ დედააზრს წარმოადგენდა“ (შარაძე 1992: 155).

დასახელებული ორგანიზაციის საქმიანობაში ლ. არველაძეც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს გვანვდის ნიუ-იორკში 1953-1954 წლებში გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი.“ კერძოდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობას 1953 წლის 27 იანვარს გ. კობახიძის, გრ. დიასამიძის, პ. კვარაცხელიასა და ლ. არველაძის შემადგენლობით შეუქმნია სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომლისათვისაც დაუვალებია ხსენებული ორგანიზაციის პერიოდული ორგანოების — ჟურნალ „ჩვენი გზისა“ და საინფორმაციო ბიულეტენ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა („ცნობის ფურცელი“ 1953: I, 7).

როგორც დასახელებული პერიოდული ორგანოების გაცნობით ვრწმუნდებით, ლ. არველაძე არა მარტო პრაქტიკულად ყოფილა ამ საქმიანობაში ჩართული, არამედ შემოქმედებითადაც და გარდა საკუთარი გვარ-სახელისა, თავის ნაწერებს მათში შემდეგი ფსევდონიმებითაც

აქვეყნებდა საკმაოდ ხშირად: „ქაცვია მწყემსი,“ „ს. ს,“ „ანჩარი,“ „ანი, „დამკვირვებელი“ (შარაძე 1992: 159).

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, იმის ზუსტად განსაზღვრა, სანამდე დარჩა ლ. არველაძე ამერიკაში საცხოვრებლად, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ბოლო წიგნი, რომელიც მან ამ ქვეყანაში, კერძოდ კი ნიუ-იორკში, ცხოვრების პერიოდში გამოსცა, 1966 წლით თარიღდება. სიცოცხლის ბოლო წლები კი მწერალს რომში გაუტარებია, სადაც 1975 წლის 17 ოქტომბერს გარდაცვლილა გულის შეტევით („თავისუფლების ტრიბუნა“ 1975: 16).

ლ. არველაძის მოგონებათა წიგნში მრავალი ღრმად შთამბეჭდავი ამბავია მოთხრობილი გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფი ქართველი ტყვეების ცხოვრებიდან. მწერალი ცდილობს, ეს ყველაფერი ყოველგვარი მიკერძოებისა და ტენდენციურობის გარეშე გვიამბოს და არა მარტო საბჭოთა სინამდვილის მანკიერი მხარეები წარმოაჩინოს უკომპრომისოდ და ნილაბახდილად, არამედ გერმანელ სამხედროთა ვანდალური ქმედებებიც. კერძოდ, იგი მრავალ შემადრწუნებელ ეპიზოდს გვიყვება იმის ნათელსაყოფად, როგორი სისასტიკით ეპყრობოდნენ გერმანელი ფაშისტები ტყვეებს.

ლ. არველაძის მემუარებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართველი კაცის ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ეროვნების ადამიანებისადმი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის ის ეპიზოდები, სადაც ტყვეთა ბანაკში მყოფი ქართველი ებრაელებისადმი ქართველთა აქტიურ თანადგომაზეა საუბარი, რის შედეგადაც ბევრი მათგანი რეალურად გადაურჩა გერმანელ ფაშისტთა ანტისემიტურ ვანდალიზმს.

ლ. არველაძის მოგონებათა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოსადმი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებასა და კრიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის განსჯისა და შეფასების დროს ავტორი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური მმართველობის მიერ მიზანმიმართულად გატარებულ ანტიეროვნულ პოლიტიკას წარმოაჩენს, იგი არც რევოლუციამდელი პერიოდის რუსული კოლონიალიზმის იმპერიულ ამბიციებს ტოვებს უყურადღებოდ და ამ თვალსაზრისითაც გამოთქვამს უაღრესად საგულისხმო მოსაზრებებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ლ. არველაძე და მისი ქართველი ემიგრანტი კოლეგები ყველაფერს ამას იმ დროს აკეთებდნენ, როცა საბჭოთა კავშირში არსებული იდეოლოგიური დიქტატურის გამო აღნიშნული პრობლემა რადიკალურად სანინააღმდეგო პოზიციებიდან განიხილებოდა და რუსეთი არათუ ჩვენი ქვეყნის დამპყრობდამმონებელ სახელმწიფოდ იყო აღიარებული, არამედ მის ერთადერთ მხსნელად და მფარველად.

ლ. არველაძის მოგონებათა წიგნი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობასა და დამონებას ავტორი იმ ქართველთა მოლაღატებრივი საქმიანობის სავალალო შედეგადაც მიიჩნევს, რომელთაც მშობელი ქვეყნის ინტერესები თავიანთ კარიერისტულ მიზნებს ანაცვალეს. თუმცა, მწერლის შეფასებით, ეს ადამიანები გამონაკლისი არ ყოფილან და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტორმაც შეასრულა, რომ XIX საუკუნისა და საბჭოთა პერიოდის ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი ნათლად არ ჰქონდა გააზრებული და ნილაბახდილი სახით ვერ აცნობიერებდა რუსული კოლონიალიზმის არსს.

ლ. არველაძის აზრით, ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის ეროვნული ცნობიერების ამგვარი დეფორმირება, უპირველეს ყოვლისა, იმ კოლონიური პოლიტიკით იყო განპირობებული, რასაც საქართველოს დაპყრობის პირველივე წლებიდან მოყოლებული ატარებდა რუსეთი ჩვენს ქვეყანაში მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად.

კერძოდ, მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ უნინ-არესად სწორედ ამ პოლიტიკის სამწუხარო შედეგს წარმოადგენდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ის დამოკიდებულება, რასაც შესაბამისი პერიოდების ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი იჩენდა, ერთის მხრივ, 1918-1921 წლებში აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი, მეორეს მხრივ კი 1921 წლის თებერვლისა და მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენებისადმი.

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ მწერალი არა მარტო ზოგადად მსჯელობს, არამედ მრავალ კონკრეტულ ეპიზოდსაც იხსენებს როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, ისე მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდანაც. მაგალითად, „იმის მესამედი მსხვერპლი რომ გაეღო საქართველოს 1921 წელს, როცა ლენინის არმია მოადგა ჩვენს საზღვრებს, რომელიც გაიღო მეორე მსოფლიო ომში, ვერ დაგვიპყრობდა წითელი ბანდა, ჩაუცმელი, მოუვლელი და შეუიარაღებელი... ძალზე მცირე იყო მაშინ მსხვერპლი, სამშობლოს დასაცავად გაღებული: ქუდზე კაცი არ გამოსულა საზღვრის დასაცავად. სავსე იყო დეზერტირებით ქუჩა, მოედანი, ბაზარი, ტყე და ველი, სადაც კი შეიძლებოდა თავის შეფარება.

ყველა ცდილობდა გაერიდებინა თავი ომისთვის. ერთი მეორეს ეფარებოდნენ ზურგს უკან. ძალიან მცირენი აღმოჩნდნენ მამაცნი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანეს თავისი ქვეყნის კეთილდღეობის დაცვის საქმეს“ (არველაძე 1963: III, 61).

აღბათ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ ერთ-ერთი ქართველ ემიგრანტის (გ. წერეთლის) მიერ ჩვენი ქვეყნის ისტორიის „პატარა ოქროს ხანად“ შეფასებული პერიოდის ქართველი საზოგა-



დოებისთვის ასეთი მკაცრი ბრალდება ძალზე ცოტა ვინმეს თუ წაუყენებია. საკუთარი ერისადმი ამგვარი უმძიმესი ბრალმდებლის როლში გამოსვლით ლ. არველაძე, ფაქტობრივად, მოყვრისთვის სიმართლის შეუღამაზებლად თქმის იმ დიდ ტრადიციას აგრძელებდა თავისი შესაძლებლობის დონეზე, რომელიც საუკუნეების წინათ დაამკვიდრეს ჩვენში ქართული მწერლობის ისეთმა საუკეთესო წარმომადგენლებმა, როგორებიც დ. გურამიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. ნერეთელი და სხვები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. არველაძის ლიტერატურული შესაძლებლობანი ხსენებულ მწერალთა შემოქმედებით მასშტაბებს ვერ შეედრება, თავისი ეროვნული გულისთქმითა და პირუთვნელობით იგი მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ამ ტრადიციების უღალატოდ ერთგულ იმ მოღვაწედ, რომელიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოხატავდა საკუთარ კრიტიკულ თვალთახედვას.

შესაბამისი პერიოდების ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილისადმი ავტორის ამდაგვარი დამოკიდებულების ნათელსაყოფად აქ წიგნის ის ეპიზოდებიც მინდა გავიხსენო, სადაც მწერალი ქართველ დედათა პატრიოტული თვითშეგნების დეფორმირების შესახებაც საუბრობს ზემოთ ხაზგასმული პირუთვნელობით. მაგალითად, ლ. არველაძის მტკიცებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის ხანმოკლე პერიოდში „ვერც ქართველი დედები აღმოჩნდნენ მთლად იმ დონეზე, რომელ დონეზედაც იდგნენ ძველი დედები: არავინ ისტუმრებდა შვილს ბრძოლის ველისაკენ, არავინ ულოცავდა გზას, არავინ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვის მოვალეობისადმი“ (არველაძე 1963: III, 61).

იმისათვის, რომ ქართველი დედებისადმი წაყენებულ ამ უმძიმეს ბრალდებას მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, მწერალი მისი მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდანაც იშველიებს კონკრეტულ ეპიზოდებს. მაგალითად: „ჩვენი ოჯახის განაყოფი ლავრენტია არველაძე მოკლეს ანყურთან; დედამ ასე დაიტირა: „შვილო ლავრენტია, ობლობაში გამოზრდილო, დეიქცეს და დეიმხოს ჟორდანიას მთავრობა, რა გინდოდა შენ ანყურთან, რა გინდოდა, რა გინდოდა!“

ასევე მოსთქვამდა სიმონა არველაძის დედა ნინო: „ღმერთო, ამოაგდე ჟორდანია-გეგეჭკორის ოჯახები! რა უნდოდა ჩემს სიმონას ნატანებთან (სიმონა არველაძე მოკლეს ნატანებთან ომის დროს 1918 წელს), რა გვინდოდა ჩვენ იქინეო...“ ამისთანა სიტყვებით ამბობდნენ სხვა დედებიც: ალათია ფრანგიშვილი, ელისაბედ არველაძე, ნატალია არველაძე ჟორდანიას მთავრობის მიმართ. რაში დებდნენ ჟორდანიას მთავრობას ბრალს ჩვენი დედები? იმაში, რომ მათი შვილები საქართველოს საზღვრების დაცვის დროს დაიხოცნენ“ (არველაძე 1963: III, 61).

ქართველ დედათა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ამგვარი დეფორირების ტრაგიკული შედეგის არსში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასარკვევად, მწერალს ზემოთ დამონმებული მაგალითებისაგან არსებითად განსხვავებული ასეთი ეპიზოდებიც მოჰყავს საბჭოთა პერიოდის ჩვენი ცხოვრებიდან, კერძოდ კი სამამულლო ომის დროიდან: „ეხლა, როცა საქართველოს მიწაზე ძალიან მცირე რიცხვი დარჩნენ ოჯახებში, რომელთაც არ განუცდიათ ყუმბარების და ჰაერიდან წამოსული ბომბების ჟრუანტელის მომგვრელი ძრწოლა და შიში, როცა ყოველი სამი ოჯახიდან ერთმა მაინც ჩაიცვა თალხი, როცა ზოგიერთი ოჯახიდან სულ განყდა მამაკაცის სახსენებელი (ჩემი მეზობლის თედორე არველაძის ოჯახიდან ხუთი ძმა იყო განწვეული ჯარში, არ დაბრუნებულა არც ერთი), ცრემლის გადმოგდებასაც ვერავინ ბედავდა, არამც თუ სამდურავის გამოთქმას. ამისთანა საოცარი ცვლილება მოხდა სულ რაღაც ოცდასამიოდე წელიწადში...

რამ შეცვალა ეს გარემოება? შიშის გრძნობამ, რუსულმა ხიშტმა, მკერდში რომ აქვს მიბჯენილი ყოველ ქართველს სქესისა და ასაკის განურჩევლად.

შიშმა დაბადა ერთგულება, სიყვარული, თავისდადების გრძნობა. მოჩვენებითია ეს?.. სულ ერთია, რა სახისაც არ უნდა იყოს“ (არველაძე 1963: III, 61).

ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით წარმოსახულ ამ ეპიზოდებს ავტორი, პირველ ყოვლისა, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკის სავალალო შედეგად მიიჩნევს და ამ სამწუხარო ჭეშმარიტების არსში მკითხველის კიდევ უფრო ღრმად გარკვევის მიზნით ასეთ პარალელსაც ავლებს: „დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად ასიოდე მოკვდა და ასი ათასი წყევლა და კრულვა გაეგზავნა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. ეხლა კი დაპყრობილი საქართველოდან ასი ათასები კვდებოდნენ სხვისი მიწის დამპყრობელთაგან დასაცავად და არც ერთი სამდურავი, არც ერთი დეზერტირი. რა ძალა ჰქონია თურმე შიშს!“ (არველაძე 1963: III, 63).

ლაღო არველაძის შემოქმედებითი ენერგია ყველაზე მეტად მის მოთხრობებში გამოვლინდა. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც იძენს, რომ ქართველ ემიგრანტ მწერალთა ლიტერატურული შესაძლებლობანი უწინარეს ყოვლისა პოეზიასა და პუბლიცისტიკაში წარმოჩინდა, მხატვრული პროზა კი მათთან შედარებით გაცილებით სუსტიცაა და რაოდენობრივადაც ცოტა. მართალია, ლ. არველაძის მოთხრობების მხატვრული ოსტატობის ხარისხი ქართული პროზის დიდოსტატების, მათ შორის მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ყველაზე დიდი წარმომადგენლის — გრიგოლ რობაქიძის მწერლურ შესაძლებლობებს ვერ შეედ-

რება, მაგრამ მისი პროზაული ნაწარმოებების მკითხველი, ვფიქრობ, სადავოდ არ გახდის იმ ფაქტს, რომ სიტყვიერი ხელოვნების მხრივაც, თემატურადაც და პერსონაჟთა ტიპაჟის მრავალფეროვნებითაც იგი ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ პროზაიკოსთა შორის ერთ-ერთი აშკარად გამორჩეული ბელეტრისტია.

ლ. არველაძის მხატვრული პროზისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს საბჭოთა სინამდვილისთვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა კრიტიკული თვალთახედვით წარმოსახვა და განსჯა-გააზრება. განსხვავებით საბჭოთა საქართველოში მცხოვრები მისი კოლეგებისაგან, რომლებიც ხელისუფლების მიერ დანესებული მკაცრი ცენზურულ-იდეოლოგიური კონტროლის გამო აზრის თავისუფლად და შეუზღუდველად გამოთქმის შესაძლებლობას იყენებდნენ მოკლებულნი, ლ. არველაძის შემოქმედებაში სათქმელი პირდაპირ და ყოველგვარი შენიღბვის გარეშეა ნათქვამი.

საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, რასაც შედეგად ზემოთ აღნიშნული იდეოლოგიური ხუნდების დამსხვრევაც მოჰყვა, ცენზურული შებოჭილობის დამორგუნველ მარწუხებს თავი ქართველმა მწერლებმაც დააღწიეს და მათ შემოქმედებაში წინანდელ პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო მასშტაბურად და მრავალსახოვნად აისახა საბჭოური ეპოქალური სინამდვილისთვის ფართოდ დამახასიათებელი მანკიერებანი. თუმცა ეს გარემოება ლ. არველაძისა და უცხოეთში იმხანად მოღვაწე სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედების როლსა და მნიშვნელობას ვერ აკნინებს, რადგანაც, თავიანთი ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, აღნიშნულ მანკიერებათა მამხილებლისა და კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმომჩენის როლში მათზე ადრე სწორედ ისინი მოგვევლინენ.

განსხვავებით საბჭოთა საქართველოში მოღვაწე კოლეგებისაგან, რომლებიც კომუნისტური ყოფის ნაკლოვან მხარეებსა და ჩვენს ეროვნულ პრობლემებს ძირითადად შენიღბულად, ქვეტექსტური მინიშნებებითა და ალეგორიებით, გამოხატავდნენ, ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთ სათქმელს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ და შეულამაზებლად, ამბობდნენ. მართალია, მათ მხატვრულ სიტყვას აქაურ დიდოსტატთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ძალა და ენერგია ნაკლებად ახლავს, მაგრამ საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით ამსახველი თავიანთი ნაწარმოებებით შესაბამისი პერიოდის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ისინი მაინც იმკვიდრებენ საგულისხმო ადგილს.

ლ. არველაძის ლიტერატურული შესაძლებლობანი ყველაზე მეტად ეროვნულ და სოციალურ თემებზე დანერგულ მოთხრობებში გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენაძენად უნდა მივიჩნიოთ ვრცელი მოთხრობა „ფანატიკოს-რევოლუციონერი,“ რომლის მთავარი პერ-

სონაჟის — გიორგი კეთილადის პიროვნული სახის ხორცშესხმით ავტორმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვით მებრძოლი იდეალიზებული გმირის შექმნა ცადა.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სულისკვეთების მქონე პიროვნებათა მხატვრულ სახეებს ჩვენმა მწერლობამ საკმაოდ მრავლად შეასხა ხორცი, ლ. არველაძის მოთხრობის გმირი მათ ორეულს არ წარმოადგენს. გიორგი კეთილადის ცხოვრებისეული გზის აღწერით მწერალმა იდეალიზებული ფორმით წარმოგვიდგინა ის პიროვნება, რომელიც სიცოცხლის უმთავრეს საზრისად ქცეულ თავის ეროვნულ იდეალებს უღალატოდ იცავდა და ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ ურთულეს ეპოქებში, როგორებიც იყო მეფის დროინდელი რუსეთის იმპერიას, დამოუკიდებლობის აღდგენის ხანმოკლე პერიოდი და საბჭოთა ტირანია.

გიორგი კეთილადის ეროვნული მრწამსის ჩამოყალიბებაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა გასული საუკუნის პირველი ოცნლეულის რუსეთის იმპერიასა და მის ნაწილად ქცეულ საქართველოში ფართოდ აღზევებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ; თუმცა რევოლუციის არსის მისეული გაგება პრინციპულად განსხვავდება იმ მიზანდასახულობისაგან, რასაც ეროვნულ ფასეულობათა წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ქართველი სოციალისტები ემსახურებოდნენ იმხანად. კერძოდ, ლ. არველაძის მოთხრობის მთავარი გმირი რევოლუციას არა მარტო სოციალურ პრობლემათა გადაჭრის გზად სახავდა, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალურ პერსპექტივადაც. გიორგი კეთილადე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ თავისი ცხოვრების უზენაეს იდეალად დასახული ამ მიზნების პრაქტიკულად განხორციელება პირველ ყოვლისა სწორედ რევოლუციის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომაც ებმება იგი იმდროინდელ რევოლუციურ ბრძოლებში ფანატიკური გატაცებით და საბოლოოდ ეწირება კიდევ ამ კეთილშობილურ მიზანსწრაფვას.

ლ. არველაძის მოთხრობის მთავარი გმირის განსაკუთრებულ აღმფოთებას ის უმადურობაცა და მზაკვრული დამოკიდებულებაც იწვევდა, რასაც ჩვენს ქვეყანას შემოხიზნული უცხოტომელები იჩენდნენ მკვიდრი მოსახლეობისადმი. საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილ ამ ხიზნებს ქართველმა ხალხმა, მართალია, სამკვიდრებელიც მისცა და საარსებო ლუკმაპურიც გაუყო ძმურად, მაგრამ მათმა ერთმა ნაწილმა მათთვის ბოძებული სიკეთე იმით გადაგვიხადა, რომ არა მარტო ქართული მიწების საუკეთესო ნაწილს დაეპატრონა, არამედ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეებსაც ნაეპოტინა აქტიურად.

ლ. არველაძის ეროვნული თვალთახედვის უფრო ღრმად გასააზრებლად აქ მოთხრობის იმ ეპიზოდებსაც მინდა მივაქციო ყურადღება, სადაც XX საუკუნის დასაწყისის თბილისში არსებული მდგომარეობაა აღწერილი. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში პირველად მოხვედრილი გიორ-

გი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რადგან ხედავდა, რომ „ქუჩის ყოველ კუთხეში, მოედნებზე, რკინის გზის სადგურებში თუ სხვაგან სხვა და სხვა ენა ესმოდა. განუდევნიათ ტკბილი ქართული სამშობლოს დედა ქალაქიდანო, — ფიქრობდა გულდანყვეტილი გიორგი. მერე კიდევ ის უმძულრებდა გულს, რომ ქართველის საგულისხმო რაიმე საკუთრება თითქმის არაფერი ჩანდა. „არამიანცის საავადმყოფო“, „მირზოვეის ფაბრიკა“, „თამამშევის ქარვასლა“, „მელიქ ყაზარაიანცის სახლი.“

ნეტავი სად არის ქართველი კაცის სახელობაზე რამეო, — უკვირდა ჯერ კიდევ სოფლელ ბიჭს.“

ლ. არველაძის ეროვნული მრწამსის წარმოჩენის თვალსაზრისით ასევე საინტერესო ნაწარმოებია მოთხრობა „მორწმუნე თავადი“, რომელშიც სატირულ-ირონიული ფორმითაა წარმოსახული ჩვენს ქვეყანაში რუსული კოლონიალიზმის დამყარების შედეგად ეროვნულად დეგრადირებული ის ადამიანი, ვისთვისაც ცხოვრების უმთავრეს კრეოდ მხოლოდდა საკუთარი კეთილდღეობისთვის ბრძოლაა ქცეული.

მიუხედავად ეროვნული პრობლემით მწერლის ცხოველი დაინტერესებისა, მისი პროზის უმთავრეს თემას მაინც საბჭოთა ყოფის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმოსახვა წარმოადგენს. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სწორედ იმდროინდელი ეპოქისთვის ტიპურად დამახასიათებელ სოციალურ პრობლემათა მხატვრული ასახვა გახდა ის ძირითადი მიმართულება, რომელმაც ყველაზე შთამბეჭდავად და მასშტაბურად წარმოაჩინა ლ. არველაძის, როგორც ბელეტრისტის, ლიტერატურული შესაძლებლობანი.

ლ. არველაძის მხატვრული პროზის პრობლემატიკა მხოლოდ ზემოთ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა სახეები გაცილებით უფრო მრავალფეროვანიცაა და ინდივიდუალიზებულიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღემდე ხელნაწერის სახით არსებულ ამ ლიტერატურულ მემკვიდრეობას მკითხველი უახლოეს მომავალში ნიგნებად გამოცემულსაც იხილავს და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება იმისა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაეცნოს ქართული ემიგრანტული მწერლობის ამ ნიჭიერი წარმომადგენლის შემოქმედებას.

გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ქართულ ემიგრანტულ პრესაში ლ. არველაძე პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა დროდადრო. ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანადროული ყოფისადმი მიძღვნილ ამ წერილებში ეროვნული თვალთახედვითაა განსჯილ-შეფასებული ბევრი საჭირობოროტო საკითხი, მამულიშვილური პოზიციებიდანაა წარმოჩენილი ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ღვაწლი და დამსახურება, პირუთვნელადაა მხილველი როგორც რუსული კოლონიალიზმის არსი, ისე საკუთრივ ჩვენთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის მანკიერებანი და ა. შ.

ლ. არველაძის პუბლიცისტიკის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა მის იმ ფელეტონებზეც მიიღია ვთქვა, რომლებშიც უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებისეული მანკიერებანია მკაცრად და უკომპრომისოდ მხილებული. ბასრი სატირა, რასაც მწერალი თავისი დროის ქართველ ემიგრანტთა ყოველდღიური ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელი ამ ნაკლოვანი მხარეების წარმოსაჩენად იყენებს, ავტორისეულ სათქმელს მეტ სიმძაფრესა და შთამბეჭდაობას სძენს. მართალია, მწერლის სატირულ ფელეტონებს კონკრეტული ადრესატები არ ჰყავდა და ხსენებული მანკიერებანი მათში მხოლოდ ზოგადად და ანონიმ პერსონაჟთა მეშვეობით იყო მხილებული, მაგრამ მათი გამოქვეყნება მაინც ინვევდა ქართველ ემიგრანტთა არც თუ მცირე ნაწილის გულისწყრომასა და აღშფოთებას.

ასეთია ლადო არველაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა თვალის ერთი გადავლებით. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ხელნაწერის სახით არსებული და ფართო საზოგადოებისათვის ძნელად ხელმისაწვდომი ეს მემკვიდრეობა არც განხილული ნაწარმოებებით შემოიფარგლება და არც ჩემ მიერ ყურადღებაშიქცეული საკითხებით ამოიწურება, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა საკმაოდ მყარ საფუძველს იმის სათქმელად, ქართველი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ამ პიროვნების სახით მეოცე საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობას ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო წარმომადგენელი რომ ჰყავს.

### **დამოწმებანი:**

**არველაძე 1963:** არველაძე ლ. *მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის*. წიგნი III, წიგნი IV, პარიზი: 1963. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

**არველაძე 1964:** არველაძე ლ. *მოთხრობები*. ნიუ-იორკი: 1964. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

**არველაძე 1965:** არველაძე ლ. *პატარა მოთხრობები*. ნიუ-იორკი: 1965. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

**არველაძე 1966:** არველაძე ლ. *მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის*. წიგნი IV, ნიუ-იორკი: 1966. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

**დაუშვილი 2007:** დაუშვილი რ. *ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში*. თბ.: 2007.

**თავისუფლების ტრიბუნა 1975:** ჟ. „თავისუფლების ტრიბუნა“. № 9. პარიზი: 1975.

**შარაძე 1992:** შარაძე გ. *ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით*. თბ.: 1992.

**ცნობის ფურცელი 1953-1954:** ცნობის ფურცელი. *საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი*. №1 № 1, 4, 5, 6. ნიუ-იორკი: 1953-1954.